სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



სამხედრო კონფერენცია ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე

MILITARY CONFERENCE ON CURRENT ISSUES OF NATIONAL DEFENSE AND SECURITY

სამხედრო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული

COLLECTION OF THE PAPERS OF THE MILITARY SCIENTIFIC CONFERENCE

2021

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამხედრო კონფერენცია ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე

MILITARY CONFERENCE ON CURRENT ISSUES OF NATIONAL DEFENSE AND SECURITY

სამხედრო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE MILITARY SCIENTIFIC CONFERENCE

22 დეკემბერი 2021

კონფერენციის ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის სარედაქციო კოლეგია (შემდგომში-კოლეგია) შემდეგი შემადგენლობით:

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი	
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი
სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი	
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სტილისტი / კომპიუტერული უზრუნველყოფა	
დავით სტეფანიშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების უფროსი სპეციალისტი
სარედაქციო კოლეგიის წევრები	
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი
ალექსი ბურდულაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსი
ნანი არაბული	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
რომეო გალდავა	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
შალვა ჯულაყიძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორები
ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
მიხეილ შავთვალაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
ნიკოლოზ ესიტაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

სარჩევი

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ტერმინები და ცნებები
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე _ 9

სტარტეგიული კომუნიკაციები, გამოწვევები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის
მაიორი ირაკლი ბუიშვილი _ 17

ტექნოლოგიების ეფექტი თანამედროვე კონფლიქტებში
ვიცე-პოლკოვნიკი შალვა გელაძე _ 24

საქართველოს მოქალაქეთა სუბიექტური აღქმის პრობლემა: რუსეთი - საფრთხე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის
ვიცე პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 28

საინფორმაციო ომის გამოწვევა სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან მიმართებაში
მაიორი იოსებ ლორთქიფანიძე _ 37

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა 1990-1991 იან წლებში
ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი _ 43

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების როლის გაფართოების პერსპექტივები
ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე _ 50

ISBN 978-9941-8-4174-3

ამოცანით მართვა და საქართველოს თავდაცვის ძალები ნდობის კულტივირება
პოლკოვნიკი მამუკა ქავთარაძე _ 57

შავი ზღვის რეგიონი და ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის საქმეში
პოლკოვნიკი ზვიად შანავა _ 65

აზერბაიჯანის წარმატების მიზეზები მთიანი ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტში
ვიცე პოლკოვნიკი ილია ჩანადირი _ 70

რა არის გლობალური სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ორი უდიდესი გამოწვევა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში და რატომ?
პოლკოვნიკი დავით ჩხეტიანი _ 78

თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატები, საცეცხლე მხარდაჭერა „ღარიბთათვის“
ვიცე-პოლკოვნიკი ბიძინა წერეთელი _ 84

ყარაღის კონფლიქტის გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე და საქართველოს პოზიცია
კაპიტანი ხვიჩა ხოზრევანიძე _ 95

თავდაცვის განხორციელება არარეგულარული მიდგომების გამოყენებით
პოლკოვნიკი რომან ჯანჯულია _ 102

CONTENT

NATIONAL SECURITY CONCEPT, TERMS AND CONCEPTS
BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE _ 9

STRATEGIC COMMUNICATIONS, CHALLENGES FOR THE NATIONAL SECURITY OF GEORGIA
MAJOR IRAKLI BUISHVILI _ 17

THE EFFECT OF TECHNOLOGY IN MODERN CONFLICTS
LIEUTENANT COLONEL SHALVA GELADZE _ 24

THE PROBLEM OF SUBJECTIVE PERCEPTION OF GEORGIAN CITIZENS: RUSSIA - A THREAT TO THE NATIONAL SECURITY OF GEORGIA
LIEUTENANT COLONEL LEVAN GOZALISHVILI _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 28

THE CHALLENGE OF INFORMATION WARFARE IN RELATION TO STATE SECURITY
MAJOR IOSEB LORTKIPANIDZE _ 37

RESTORATION OF GEORGIA'S INDEPENDENCE AND THE SYSTEM OF INTERNATIONAL RELATIONS IN 1990-1991
LIEUTENANT COLONEL DAVIT MARGIANI _ 43

PROSPECTS FOR EXPANDING THE ROLE OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES WITHIN THE FRAMEWORK OF THE NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION'S "SMART DEFENSE" PROGRAM
LIEUTENANT COLONEL GIORGI SKHIRTLADZE _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 50

MISSION COMMAND AND GEORGIAN DEFENSE FORCES
COLONEL MAMUKA KAVTARADZE _ **57**

THE BLACK SEA REGION AND ECONOMIC SECURITY IN ENSURING THE COUNTRY'S DEFENSE CAPABILITIES
COLONEL ZVIAD SHANAVA _ **65**

REASONS FOR AZERBAIJAN'S SUCCESS IN THE 2020 NAGORNO-KARABAKH CONFLICT
LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI _ **70**

WHAT ARE THE TWO GREATEST CHALLENGES TO GLOBAL STABILITY, SECURITY AND PROSPERITY IN THE NEXT DECADE AND WHY?
COLONEL DAVIT CHKHETIANI _ **78**

MODERN UNMANNED AERIAL VEHICLES, FIRE SUPPORT FOR THE "POOR"
LIEUTENANT COLONEL BIDZINA TSERETELI _ **84**

POSITION OF GEORGIA AND INFLUENCE OF KARABAKH CONFLICT ON REGIONAL SECURITY
CAPTAIN KHVICHA KHOZREVANIDZE _ **95**

IMPLEMENTING DEFENSE USING IRREGULAR / NON-LINEAR APPROACH
COLONEL ROMAN JANJULIA _ **102**

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ტერმინები და ცნებები

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

აბსტრაქტი

„სახელმწიფოსთვის ტრადიციულად ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ხოლო ცნების შინაარსი მოიცავს ერის, როგორც კულტურულ-პოლიტიკურ ერთობის, ყველა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას, რომელიც უზრუნველყოფს, მის მდგრად არსებობასა და განვითარებას“.[1]

ეროვნული უსაფრთხოების, როგორც ტერმნინის ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმ უსაფრთხოების პრობლემის ძირითად შინაარსთან, რომელიც მსოფლიოში არსებული ერების წინაშე დგას. ისტორიულად ეროვნული უსაფრთხოება ასოცირდებოდა მოსახლეობისა და ქვეყნის საარსებო სივრცის (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების) დაცვასთან. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა წყდება, თუ სახელმწიფო თავს უსაფრთხოდ გრძნობს გარშემო მტრებისგან და შემოტევის საფრთხე მინიმუმამდე არის დაყვანილი, ხოლო ქვეყნის შიგნით სტაბილურობას და შინაგანი წესრიგის დამყარებას წარმატებით უზრუნველყოფს. [2] ეროვნული უსაფრთხოების არსებულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებასა და მათ ეფექტურ ორგანიზაციის დონეს. მსოფლიოს წესრიგმა და საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფმა ცვლილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში განიხილება, არამედ შემოდის ახალი ცვლადი ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოების სისტემასთან. როგორც კისინჯერი იტყოდა „შესაძლებელია ქვეყანა სამხედრო რესურსებით იყოს ჯუჯა, ხოლო ეკონომიკა ქონდეს ძლიერი, ამის მაგალითია იაპონია, ხოლო სახელმწიფო შეიძლება იყოს სამხედრო რესურსებით გიგანტი მაგრამ ეკონომიკით ჯუჯა, სწორედ ასეთია თანამედროვე რუსეთი“. ამით დასტურდება ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ უსაფრთხოებას თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მან სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების სისტემა გადაფაროს.

პოლიტიკურ ლექსიკონში „ეროვნული უსაფრთხოება“ გულისხმობს - „დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსისუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფას“. ერონული უსაფრთხოება, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ ცნებად ადაპტირდა, რადგან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს უსაფრთხოება უმაღლეს ღირებულად ითვლება, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას მოიცავს. მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მთავარ შეუცვლელ გარანტად სახელმწიფო ითვლება, სახელმწიფომ კი უსაფთხოება უნდა განახორციელოს მრავალი კომპონენტისგან შემდგარი კონცეფციის მიხედვით.

საკვანძო სიტყვები:
შეიარაღებული ძალები, კონცეფცია, ძალაუფლება, სამხედრო ძალა, ეროვნული უსაფრთხოება.

1 ეროვნული უსაფრთხოება - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1059
2 ეროვნული უსაფრთხოება - https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartvelos-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia

NATIONAL SECURITY CONCEPT, TERMS AND CONCEPTS

BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE

ABSTRACT

„National security for a state traditionally means ensuring the territorial integrity of the country and internal political stability and the content of the concept includes all the vital conditions of the nation as a cultural-political unity, that ensure its sustainable existence and development“.[1]

The formation of national security as a term is related to the core content of the security problem facing the nations of the world. Historically, national security has been associated with the protection of the population and the country's living space (strategically important facilities). The problem of national security is solved if the state feels safe from the enemies and the threat of invasion is minimized and successfully ensures stability and internal order within the country.[2] An important place in the existing structure of national security is occupied by the strengthening of law enforcement agencies and effective organization of them. The world order and rapid changes in the international relations has led to the fact that the national security of the country is not only considered in the military-political context, but also a new variable economic security factor is emerging, which is closely related to the national security system. As Kissinger would say, "It is possible for a country to be a mini-state in terms of military resources having a strong economy like Japan, and a state may be a giant in terms of military resources having a poor economy like modern Russia." This confirms the fact that economic security has a significant place in the modern international system, but not too important to overshadow the military-political security system.

In the political dictionary, "national security" implies "ensuring maintaining the independence, sovereignty, territorial integrity, political institutions and cultural identity." National security has also been adapted for the central concept of international relations, since the security of the state is considered to be the highest value in the anarchic international system that encompasses the concept of political realism. The state is deemed to be the principal irreplaceable guarantor of security for the population, and it must ensure security in accordance with a multi-component concept.

KEYWORDS:
Armed forces, concept, power, military strength, national security.

1 ეროვნული უსაფრთხოება - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1059
2 ეროვნული უსაფრთხოება - https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartvelos-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia

„ეროვნული უსაფრთხოება“ მოკლე ისტორია

მე-17 საუკუნეში ევროპაში ოცდაათწლიანი ომის დროსა და ინგლისში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად წარმოიშვა ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციები, 1648 წელს „ვესტფალიის მშვიდობამ“ დაამყარა იდეა, რომ ნაციონალურ სახელმწიფოს სუვერნული კონტროლი აქვს, არა მხოლოდ საშინაო საქმეებზე, როგორიცაა რელიგია, არამედ გარე უსაფრთხოების ფაქტორებზეც. ეროვნული სახელმწიფოს იდეა დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც სწორედ ვსტფალიის ზავის შედეგად წარმოიშვა. პრევესტფალიური საერთაშორისო სისტემა ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ არსებობდა უნივერსალური პრინციპი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოების საქმეებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ იმპერატორები, პაპები, მეფეები და მთავრები. ეს ნამდვილად იყო საღვთო რომის იმპერიის პრინციპი. ეროვნული სახელმწიფოს ახალმა იდეამ განსხვავებული მიდგომა მიიღო. მშვიდობა და სტაბილურობა უკეთესი იქნებოდა იმ პირობებში თუ სახელმწიფოებს ნაკლების პოლიტიკური დავა ექნებოდათ და ადამიანები ერთმანეთს არ მოკლავდნენ, რაიმე უნივერსალური პრინციპის გამო, მოგეხსენებათ იმ პერიოდში გავრცელებული იყო რელიგიის გამო მოსახლეობებს შორის დაპირისპირებები.[1]

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ დაკავშრებულია 1901-1909 წლებში აშშ-ის პრეზიდენტ თეოდორ რუზველტთან. მან 1904 წელს აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე პანამის ტერიტორიების (სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო) ოკუპირებას ასაბუთებდა. მოგვიანებით 1947 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი „ეროვნული უსაფრთხოების“ შესახებ, რომელმაც უზრუნველყო ეროვნული უსაფრთხოების პრაქტიკული პოლიტიკის მნიშვნელობა.[2]

რეალიზმის სკოლის დომინანტობის პირობებში (დაახლოებით 1930-1970 წლები) უსაფრთხოების კონცეფცია შემოიფარგლებოდა სამხედრო ძალისა და გეოსტრატეგიული კვლევების ფორმატით, რადგან უსაფრთხოების სამუშაო დეფინიცია რეალიზმის სკოლასთან არის დაკავშირებული, ასევე ცივი ომის პერიოდში და მას შემდეგაც ერი-სახელმწიფოები (Nation-States) მთავარ აქტორებად ითვლებოდნენ, საერთაშორისო ურთიერთბებისა და უსაფრთხოების სისტემაში, აქედან გამომდინარე უსაფრთხოების მთავარი კონცეფცია დაკავშრებულია ერი-სახელმწიფოსთან და პოლიტიკურ ტერმინთან „ეროვნულ უსაფრთხოებასთან“.[3]

„ეროვნული უსაფრთხოების“ პოლიტიკური მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთბების სისტემაშიც ადაპტირდა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობები დაფუძნებულია ეროვნული სახელმწიფოების წონასწორობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ სუვერენიტეტისა და თავდაცვის შეზღუდულ მიზნებს. ამ იდეას დაუპირისპირდა ფილოსოფოსი იმანუელ კანტი (1724–1804), რომელმაც აღადგინა უნივერსალური პრინციპული იდეა არა ძველ რელიგიურ კონტექსტში, არამედ საერო კონტექსტში, რომელიც განმანათლებლობით არის შთაგონებული. თავის 1795 წელის ნარკვევში „მუდმივი მშვიდობა: ფილოსოფიური ჩანახატი“, მან გამოთქვა იდეა, რომ ეროვნული სახელმწიფოების სისტემა უნდა შეიცვალოს ახალი განმანათლებლური მსოფლიო წესრიგით. ეროვნულმა სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული ინტერესები საერთო სიკეთეს უნდა დაუქვემდებაროს და იმართებოდეს საერთაშორისო სამართლის მიერ. ასე დაიბადა საერთაშორისო საქმეების მმართველი ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სეკულარული შეხედულება, რომელიც დღეს აისახება ლიბერალური ინტერნაციონალიზმის გლობალურ მსოფლმხედველობაში და ყველაზე მკაფიოდ ვლინდება გაეროში.[4]

ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა განმარტებების განხილვისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს აზროვნების ეს ორი სკოლა. ისინი იმყოფებიან მიმდინარე დებატებში ეროვნული სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების როლის შესახებ, მსოფლიოს თანამედროვე წესრიგში (სისტემაში). მაგალითად, ამერიკელი ლიბერალური ინტერნაციონალისტები, გაეროსა და საერთაშორისო მმართველობისადმი თავიანთი ერთგულებით, არიან ნეოკანტიელები. ხოლო რეალისტები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან თომას ჰობსის (1588–1679), ჰუგო გროციუსის (1583–1645) და სხვა ფილოსოფოსების შეხედულებებისკენ, რომელებიც ემხრობა ეროვნული სახელმწიფოს უზენაესობას.

1 Cameron Mark., National Securuty, New York Times, 2018 pp 65-110
2 Cameron Mark., National Securuty, New York Times, 2018 pp 145-150
3 Derek S. Reveron, US Foreign Policy and Defense Strategy: The Evolution of an Incidental Superpower, Washington 2017, pp 40-78
4 International Security - https://www.hertie-school.org/en/international-security

მნიშვნელოვანი ტერმინები და კონცეფცია

ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა დეფინიციების გაანალიზებამდე მნიშვნელოვანია ზოგიერთი კონცეფციისა და ტერმინის განმარტება. პირველი არის „ძალაუფლების კონცეფცია“ - მისი მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობასა და მის დაცვაზე. იგი გულისხმობს გარკვეულ კონტროლს, თუ რამდენად შეუძლია გარე ძალებს ზიანი მიაყენოს ქვეყნის შიგნით არსებულ სტაბილურობას და სუვერენიტეტს. გარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია „სამხედრო ძალაუფლების კონტროლი“, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ასევე გარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება „რბილი ძალის კონცეფციაც“,[5] რომლის მიზანია ომის თავიდან აცილება დიპლომატიური საშუალებებით. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში დიპლომატია ასოცირდება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ამ თეორიის ფუძემდებლად შესაძლებელია ჩაითვალოს ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი შარლ მორის დე ტალეირანი, რომელსაც სხვადასხვა რეჟიმის დროს, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. ასეთ შემთხვევაში დიპლომატიას, როგორც ინსტრუმენტს მიეკუთნება სადაზვერვო სააგენტოები; სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ომრხივ და საჯარო დიპლომატიას.[6] დიპლომატია ასევე წარმოადგენს ხელოვნებას რათა გააერთიანოს „ეროვნული ძალის“ სხვადასხვა ელემენტები საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია მთავრობამ გონივრულად მართოს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი, რითაც ის უზრუნველყოფს თავისი პოლიტიკის მხარდაჭერას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი, რომელიც სწორად უნდა გავიგოთ, არის „სამხედრო ძალა“, იგი ეხება სამხედრო შესაძლებლობებს და შეიარაღებული ძალების სტრუქტურას. სახელმწიფოებმა შეიძლება რეალურად „სამხედრო ძალა“ ხშირად არ გამოიყენონ, მაგრამ როგორც ძალაუფლების სტატიკური საზომი, სამხედრო ძალა სინამდვილეში არის ცვლადი, რომელიც ექვემდებარება ყველა სახის ფაქტორს, მათ შორის მოწინააღმდეგეთა ფარდობით სიძლიერეს და მისი ეფექტურად გამოყენების ხარისხს. ძალა არის სამხედრო ან სამართალდამცავი ძალების გამოყენება გარკვეული მიზნის მისაღწევად. ძალის არაგონივრულად ან წარუმატებლად გამოყენებამ შეიძლება შეამციროს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობა და მოსახლეობაში გარკვეული უნდობლობის საკითხი აღძრას, არა როგორც სამხედრო ძალის მიმართ, არამედ სახელმწიფოსთან მიმართებით, მოსახლეობის უნდობლობის საკითხი ხშირად სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობას აზიანებს. ამიტომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში „სამხედრო ძალას“ მნიშვნელოვანი და სენსიტიური ადგილი უჭირავს. ძალა არის ძალაუფლების ინსტრუმენტი, მაგრამ განსხვავებით ინსტიტუციური ინსტრუმენტებისგან, როგორიცაა შეიარაღებული ძალები, მისი გამოყენება მოქმედებაში არის ის, რაც განასხვავებს მას ძალის სტატიკური ინსტრუმენტებისგან, როგორიცაა სამხედრო შესაძლებლობები. რა არის ეროვნული თავდაცვა ? მარტივად რომ ვთქვათ, იგი ეხება შეიარაღებული ძალების უნარს დაიცვას ერის სუვერენიტეტი და მოსახლეობის სიცოცხლე. მაგრამ ეს კონცეფციაც გარკვეულწილად 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მოდიფიცირდა და შეიცვალა. 11 სექტემბრის ტერორისტთა კორდინირებულმა თავდასხმამ აშშ-ს ტერიტორიაზე გამოიწვია ის, რომ აშშ-მ საკუთარი მოსახლეობის დასაცავად „სამხედრო ძალის“ გამოყენება, თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაიწყო, როგორც ეროვნული თავდაცვის ელემენტი.

აქედან გამომდინარე, სამხედრო ძალა აყალიბებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც სამხედრო ძალიდან გამომდინარე ფუძემდებლური დოკუმენტია, იგი განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ და მომავალ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და აღდგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ ყალიბდება ეროვნული უსაფრთხოების დილემა, რომელსაც გააჩნია რეგიონალური დონის მასშტაბები, რადგან მისი ფენომენი განისაზღვრება რეგიონალური ურთიერთობებითა და გამოიხატება სამეზობლო პოლიტიკის სწორ წარმართვაში.

ეროვნული უსაფრთხოების დილემის ჩამოყალიბების შემდეგ, შემოდის ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი, რომელიც გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ნებისმიერი სახის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე ტრანსრეგიონალურ დონეზე ხორციელდება.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია გაირკვეს ეროვნული სიძლიერის გამოხატულების და მისი პოლიტიკური სუბსტრატის შემცველი რას წარმოადგენს. სწორედ აქ შემოდის ეროვნული ინტერესის კონცეფცია, რომელიც

5 Donald M. Snow, Making Strategy, University Alabama, 1998, pp 56-70

6 Donald M. Snow, National Security, Washington, 2018, pp 65-112

განსაზღვრავს სახელმწიფოს რეალურ მიდგომებს საგარეო პოლიტიკის ღირებულებებისა და მიზნების აღსრულების წარმოდგენების შესახებ.

უსაფრთხოება საერთაშორისო სისტემაში

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიოში განსხვავებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ჩამოყალიბდა, იგი მოიცავს სხვადასხვა ზომებისა და ღონისძიებების კომპლექს, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოში უსაფრთხოების გარემოს შექმნას. მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს „უსაფრთხოების" გაგების უნივერსალური კონცეფცია, მაგრამ არსებობს მოსაზრებები და მრავალგანზომილებიანი კონსესუსები. მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ წარმოიშვა უსაფრთხოების გამოწვეებიდან გამომდინარე კონცეფციები:[7]

კოლექტიური თავდაცვა - კოლექტიური თავდაცვა არის, ოფიციალური შეთანხმება სახელმწიფოებს შორის, რათა შესთავაზონ თავდაცვის მხარდაჭერა სხვა წევრ სახელმწიფოებს, თუ მათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პრობლემები ექნებათ. იგი არის კლასიკური თავდაცვის ალიანსების საფუძველი. კოლექტიური თავდაცვის პრინციპი ნატო-ს დამფუძნებელი ხელშეკრულების ქვაკუთხედია. ის რჩება უნიკალურ და მტკიცე პრინციპად, რომელიც აკავშირებს ნატოს წევრებს, ავალდებულებს მათ დაიცვან ერთმანეთი და წარმოადგენს მოკავშირეთა ურთიერთსოლიდარობის სულისკვეთების წყაროს.[8]

კოლექტიური უსაფრთხოება - კოლექტიური უსაფრთხოება ეხება სხვადასხვა სახის შეთანხმებებს. კოლექტიური თავდაცვა, რომელიც მოიცავს წევრი სახელმწიფოების ორმხრივ ვალდებულებებს, შეიძლება ჩაითვალოს კოლექტიური უსაფრთხოების ფორმად, რომელიც გეოგრაფიულად შემოიფარგლება სამხედრო თავდაცვით. თუმცა, უფრო ხშირად, კოლექტიური უსაფრთხოება განიხილება, როგორც რეგიონალური და გლობალური კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილია ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ, როგორიცაა ერთა ლიგა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ხშირად, ასეთი შეთანხმებები ემყარება საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო დახმარებისა და მმართველობის კონცეფციებს. მათი განმასხვავებელი მახასიათებელი არის ჰიბრიდული ხასიათი საერთაშორისო დონეზე კოლექტიურ მოქმედებასა და ნაციონალური სახელმწიფოების მიღებას შორის, რომლებიც საბოლოო ჯამში პასუხისმგებელნი არიან საკუთარ უსაფრთხოებაზე.[9]

გლობალური უსაფრთხოება - გლობალური უსაფრთხოება არის იდეების ერთობლიობა, რომელიც ძირითადად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ იქნა შემუშავებული ცივი ომის დასრულების შემდეგ, მისი მთავარი მიზანია, მსოფლიოს მოუწოდოს, რომ უსაფრთხოება ყველას საქმეა. ის ემყარება წინაპირობას, რომ არც ერთი ერი არ არის დაცული, თუ ყველა არ არის დაცული. მიუხედავად იმისა, რომ საუბარი ეძღვნება ეროვნული თავდაცვის იდეას, გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა კონფლიქტის აღმოფხვრის მცდელობას საერთაშორისო სამართლის, დახმარების, ნდობის აღდგენის ღონისძიებებისა და გლობალური მმართველობის მეშვეობით. ამრიგად, ძალის გამოყენება ძირითადად დაცული უნდა იყოს საერთაშორისო სამშვიდობო ძალებისთვის, მშვიდობის აღსრულებისა და უდანაშაულო მოქალაქეების ძალადობისგან დაცვისთვის და ორგანიზებული უნდა იყოს გაეროს მიერ.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკური განზომილება

ეროვნული უსაფრთხოება მე-20 საუკუნეში ფოკუსირებული იყო სამხედრო უსაფრთხოებაზე, მაგრამ როგორც კონცეფცია ის დროთა განმავლობაში გაფართოვდა, გაფართვება დამოკიდებული შეიარეღებული ძალების შესაძლებლობებზე, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას სახელმწიფოები აყალიბებდნენ შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. 1947 წელს აშშ-ში შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭო, რათა„ რჩევა მისცეს პრეზიდენტს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საშინაო, საგარეო და სამხედრო პოლიტიკის ინტეგრაციის შესახებ...". ბირთვულმა ეპოქამ და გლობალურმა პრობლემებმა ეროვნულ უსაფრთხოებას განსხვავებული მნიშვნელობაც შესძინა. ეროვნულ უსაფრთხოებას თანამედროვე პერიოდში დაემატა: ეკონომიკური უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ეკოლოგიური უსაფრთხოება; და ადამიანის უსაფრთხოების დაცვა.

პოლიტიკური უსაფრთხოება გულისხმობს ხელისუფლებისა და პოლიტიკური სისტემის სუვერენიტეტისა

7 Kim R. Holmes, What Is National Securiy - https://www.heritage.org/sites/default/files/2019-10/2015_IndexOfUSMilitaryStrength_What%20Is%20National%20Security.pdf

8 National Security versus Global Security- https://www.un.org/en/chronicle/article/national-security-versus-global-security

9 Romm, Joseph J, Defining national security: the nonmilitary aspects, London, 1993. Pp 56-80

და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას უკანონო შიდა საფრთხეებისა და გარე საფრთხეებისაგან თუ ზეწოლისგან. იგი მოიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას და სამართალდამცავ სტრუქტურებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკის შესაძლებლობების დაცვას ხალხის უზრუნველსაყოფად, არამედ იმასაც, თუ რამდენად თავისუფალია მთავრობა და ხალხი გააკონტროლონ თავიანთი ეკონომიკური და ფინანსური გადაწყვეტილებები. ის ასევე გულისხმობს ერის სიმდიდრისა და ეკონომიკური თავისუფლების დაცვას გარე საფრთხეებისა და იძულებისგან. ამრიგად, იგი მოიცავს ეკონომიკურ პოლიტიკას და ზოგიერთ სამართალდამცავ უწყებას, მაგრამ ასევე საერთაშორისო შეთანხმებებს ვაჭრობისა და ფინანსების შესახებ.[10]

შიდა უსაფრთხოება მოიცავს, უსაფრთხოების სფეროს შემდეგ მიმართულებებს: „შიდა საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება, კონსტიტუციური წყობილებისა და სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ექსტრემისტულ-ტერორისტული იდეოლოგიისა და საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში ჩართული უწყებების შესაძლებლობათა განვითარება“.[11] (საქართველოს კანონი - 3126-IIს)

კიბერუსაფრთხოება გულისხმობს მთავრობისა და ხალხის კომპიუტერულ და მონაცემთა დამუშავების ინფრასტრუქტურას და ოპერაციული სისტემების დაცვას მავნე ჩარევისგან, იქნება ეს ქვეყნის გარედან თუ ქვეყნის შიგნით.

ადამიანური უსაფრთხოება ეხება კონცეფციას, რომელიც ძირითადად განვითარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცივი ომის დასრულების შემდეგ. იგი ფართოდ განსაზღვრავს უსაფრთხოებას, როგორც ადამიანთა უსაფრთხოებას შიმშილის, დაავადებისა და რეპრესიებისგან, მათ შორის ყოველდღიური ცხოვრების მავნე შეფერხებისგან. დროთა განმავლობაში, კონცეფცია გაფართოვდა და მოიცავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას, სურსათის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, პირად უსაფრთხოებას, საზოგადოების უსაფრთხოებას, პოლიტიკურ უსაფრთხოებას. მისი განმასხვავებელი მახასიათებელია ეროვნული უსაფრთხოებისგან იმით, რომ იგი ფოკუსირდება სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებზე და ხალხების ძალადობისაგან დაცვის საერთაშორისო პასუხისმგებლობაზე. ის უნდა განისაზღვროს და განახორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოება მრავალი მნიშვნელობის მქონე იდეაა. ერთ-ერთი არის უფრო ტრადიციული კონცეფცია ეკოლოგიური პრობლემებით გამოწვეულ კონფლიქტებზე რეაგირებისთვის, როგორიცაა წყლის ნაკლებობა, ენერგიის შეფერხება ან მძიმე კლიმატის ცვლილებები.ვარაუდობენ, რომ ეს პრობლემები არის „ტრანსნაციონალური“ და, შესაბამისად, შეიძლება გამოიწვიოს ერებს შორის კონფლიქტი. ვარაუდი არის ის, რომ ადამიანის მიერ გამოწვეული გარემოს დეგრადაცია არის საფრთხე, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო მართველობით, თითქოს ეს იყოს ეროვნული უსაფრთხოების საფრთხის მორალური ეკვივალენტი. წარსულში სტიქიური უბედურებები არ განიხილებოდა ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხედ, მაგრამ ეს ვარაუდი იცვლება, რადგან „კლიმატის ცვლილება“ და გლობალური დათბობა დიდ ზეგავლენას ახდენს, უშუალოდ მოსახლეობის უსაფრთხოებაზე.[12]

რა არის ეროვნული უსაფრთხოება

გარკვეული კონცეფციების, ტერმინებისა და მიდგომების შემდეგ, უფრო ნათელი ხდება ის თუ რა არის ეროვნული უსაფრთხოება. ეროვნული უსაფრთხოება არის სახელმწიფოსა და ერის დაცვა გარე სააფრთხებისგან, მისი უმაღლესი მიზანია ერისა და სახელმწიფოს დაცვა სხვადასხვა საფრთხებისგან, შეიარაღებული ძალების შენარჩუნებითა და სახელმწიფო საუდიმლოების დაცვით. თანამედროვე პერიოდში ეროვნული უსაფრთხოება ასევე გულისხმობს სახელმწიფოს და მოსახლეობის დაცვას ეკონომიკური და სხვადასხვა სოციალური პრობლემებისაგან. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთგამაძლიერებელი ინსტიტუტები.

სახელმწიფოსთვის ეროვნული უსაფრთხოება ტრადიციულად გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას, ხოლო ცნების შინაარსი მოიცავს ერის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთობის, ყველა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად არსებობასა და განვითარებას.

10 Paleri, Prabhakaran National Security: Imperatives And Challenges, New Delhi, 2008, pp76-98

11 საქართველოს კანონი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463

12 Brown Harold ,Thinking about national security: defense and foreign policy in a dangerous world, London, 2008, pp. 45-70

პოლიტიკურ ლექსიკონში „ეროვნული უსაფრთხოება“ გულისხმობს - „დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსისუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფას“. ერონული უსაფრთხოება, ასევე ადაპტირდა საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ ცნებად, რადგან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს უსაფრთხოება უმაღლეს ღირებულად ითვლება, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციას მოიცავს. მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მთავარ შეუცვლელ გარანტად სახელმწიფო ითვლება, სახელმწიფომ კი უსაფთხოება უნდა განახორციელოს მრავალი კომპონენტისგან შემდგარი კონცეფციის მიხედვით.

დასკვნა

და ბოლოს, დასკვნის სახით მსურს, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია გამოვთქვა, საკვლევი საკითხის ანალიზიდან გამომდინარე ეროვნული უსაფრთხოების შესახებ.

#1: სახელმწიფოებმა მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს შეიარაღებული ძალების განვითარებასა და სტრატეგიული მოქნილობის გაზრდას სამხედრო სფეროში, რადგან ანალიზი აჩვენებს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ბაზისად კვლავ „სამხედრო ძალა“ რჩება. სწორედ იგი განაპირობებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებასა და ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოებმა შეიძლება „სამხედრო ძალა“ რეალურად ხშირად არ გამოიყენონ, მაგრამ სინამდვილეში სამხედრო ძალა, არის ცვლადი, როგორც ძალაუფლების სტატიკური საზომი, რომელიც ექვემდებარება ყველა სახის ფაქტორს, მათ შორის მოწინააღმდეგეთა ფარდობითი სიძლიერისა და მისი ეფექტურად გამოყენების ხარისხს. ძალა არის სამხედრო ან სამართალდამცავი ძალების გამოყენება გარკვეული მიზნის მისაღწევად.

აქედან გამომდინარე, სამხედრო ძალა აყალიბებს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც სამხედრო ძალიდან გამომდინარე ფუძემდებლური დოკუმენტია, იგი განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ და მომავალ საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. შეიარაღებულ ძალებს შეუძლია გაუმკლავდეს ნებისმიერ საგანგებო სიტუაციას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერის საფრთხის წინაშე.

#2: შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოებისთვის. პირველ რიგში მოსახლეობა და ხელისუფლება უნდა შეთანხმდეს იმაზე, რომ შეიარაღებული ძალებისთვის უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს პრიორიტეტები, თუ სად და რამდენი უნდა იხარჯებოდეს გარკვეულ სექტორებში. უხეშად, რომ ვთქვათ ეროვნული უსაფრთხოების შექმნას უზრუნველყოფს ძლიერი შეიარაღებული ძალები, რომელიც დღევანდელ სამყაროში ძალიან დიდ ეკონომიკურ რესურსებს მოითხოვს, ამიტომ სახელმწიფომ ყველა შესაძლო ვარიაცია უნდა გამოიყენოს, რომ შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი იზრდებოდეს საფრთხებიდან გამომდინარე.

#3: მაქსიმალურად მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი შეიარაღებული ძალებითა და სამხედრო ინტერვენციით. ძალის არაგონივრულად ან წარუმატებლად გამოყენებამ შეიძლება შეამციროს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობა და მოსახლეობაში გარკვეული უნდობლობის საკითხი აღძრას, არა როგორც სამხედრო ძალის მიმართ, არამედ სახელმწიფოსთან მიმართებათი, მოსახლეობის უნდობლობის საკითხი ხშირად სახელმწიფოს პოლიტიკურ სტაბილურობას აზიანებს. ამიტომ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და ეროვნული უსაფრთხოებაში „სამხედრო ძალას“ მნიშვნელოვანი და სენსიტიური ადგილი უკავია. გამოკვეთილი უნდა იყოს ასევე, რომელი მიზნის მისაღწევად არის საჭირო შეიარაღებული ძალები და რომელი მიზნისთვიაა საჭირო „რბილი ძალის კონცეფცია“. რომლიც გულისხმობს, დიპლომატიური საშუალებებით გარკვეული პრობლემებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების გადაჭრას, პოლიტიკურ მეცნიერებაში დიპლომატია ასოცირდება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რადგან დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობები მოწყობილია სახელმწიფოთა აქტიურ თანამშრომლობაზე და ურთიერთდამოკიდებულებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Cameron Mark., National Securuty, New York Times, 2018
- Derek S. Reveron, US Foreign Policy and Defense Strategy: The Evolution of an Incidental Superpower, Washington 2017,
- Donald M. Snow, Making Strategy, University Alabama, 1998,
- Donald M. Snow, National Security, Washington, 2018,
- Romm, Joseph J, Defining national security: the nonmilitary aspects, London, 1993.
- Paleri, Prabhakaran National Security: Imperatives And Challenges, New Delhi, 2008,
- Brown Harold ,Thinking about national security: defense and foreign policy in a dangerous world, London, 2008,
- Brown Harold ,Thinking about national security: defense and foreign policy in a dangerous world, London, 2008,
- International Security - https://www.hertie-school.org/en/international-security
- Kim R. Holmes, What Is National Securiy - https://www.heritage.org/sites/default/files/2019-10/2015_IndexOfUSMilitaryStrength_What%20Is%20National%20Security.pdf
- National Security versus Global Security- https://www.un.org/en/chronicle/article/national-security-versus-global-security
- International Security - https://www.hertie-school.org/en/international-security

სტარტეგიული კომუნიკაციები, გამოწვევები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის

მაიორი ირაკლი ბუიშვილი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში განხილულია სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში. სტატიის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია რომ რუსეთის მხრიდან წარმოებულ ჰიბრილუ მოქმედებებში ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო ძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. სტატიის მეორე ნაწილში განხილულია რუსული პროპაგანდა და გზავნილები რითაც ცდილობს მოახდინოს ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. სტატიაში განხილული კვლევების თანახმად აღნიშნულია რომ საქართველოში რუსეთი აქტიურად იყენებს მედიას, ბეჭდურ მედიას და ინტერნეტ ტელევიზიებს. კვლევების მიხედვით გამოიკვეთა ანტიდასავლერი კომენტარი, რაც წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია. ქართულ გზავნილებსა და დისკუსიებში რუსული ნარატივის სისტემა წარმოადგენს სამ საფეხერიან სტრუქტურას, რაც მიზნად ისახავს: საფრთხეების შექმნას, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისადმი უნდობლობის დათესვას და საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობას. სტატიაში განხილული კვლევების მიხედვით ძირითადი გზავნილები მოდის ამერიკის შეერთებული შტატების და NATO-ს საწინააღმდეგოდ. სტატიის მეორე თავში განხილულია საქართველოს სტარტეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობა და ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორიცაა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია (2017-2020) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია. (2017-2020) ასევე სტატიაში ასახულია სტარტეგიული კომუნკაციების განვითარების რეკომენდაციები. მესამე ნაწილში განხილულია ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბების მნიშვნელობა და მისი ფორმირება მასში გაერთიანებული უნდა იყოს მოვლენების შერწყმა იდეოლოგიასთან და რწმენასთან, ასევე ის უნდა გადმოგვცემდეს ინფორმაციას მომავალ ქმედებებზე.

საკვანძო სიტყვები:
ჰიბრიდული ომი, სტარატეგიული კომუნიკაცია, რუსული პროპაგანდა, ეროვნული ნარატივი. რბილი ძალა

STRATEGIC COMMUNICATIONS, CHALLENGES FOR THE NATIONAL SECURITY OF GEORGIA

MAJOR IRAKLI BUISHVILI

ABSTRACT

This article discusses the importance of strategic communication in strengthening national security. The introductory part of the article emphasizes that the information is one of the most important tools of state power in Russian-made hybrid actions. The second part of the article discusses Russian propaganda and messages that try to influence Georgian society. According to the researches discussed in the article, Russia actively uses the media, print media and Internet televisions in Georgia. Studies have shown anti-Western comments, which is almost three times higher than in previous years. The system of Russian narrative in Georgian messages and discussions is a three-tier structure that aims to: create threats, sow distrust in Georgia's strategic partners, and provide Russia with alternatives in combating threats. According to the studies discussed in the article, the main messages come against the United States and NATO. The second chapter of the article discusses the importance of Georgia's strategic communication and the steps taken by the country, such as the Georgian Government's Strategy on Communication with the European Union and NATO (2017-2020) and the Communication Strategy of the Ministry of Defense of Georgia. (2017-2020) the article also reflects the recommendations for the development of strategic communications. The third part discusses the importance of forming a national narrative and its formation, that it should combine events with ideology and belief, and that it should provide information on future actions.

KEYWORDS:
Hybrid War, Strategic Communication, Russian Propaganda, National Narrative, Soft power.

შესავალი

„ინფორმაცის ეპოქაში, უფრო მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვისი
არმია იგებს, არამედ ის თუ ვისი ამბავია გამარჯვებული“
ჯოზეფ ნაი

უკვე რამდენიმე წელია საქართველოში აქტიურად განიხილება და დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ჰიბრიდული ომი, რუსული რბილი ძალა, პროპაგანდა, დეზიმფორმაცია, რუსული ნარატივი და სხვა. თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტმა და სოციალურმა მედიამ დიდი გარღვევა მოახდინა ინფორმაციის გავრცელების მხრივ. ინფორმაცია წარმოადგენს რბილი ძალის მოქმედების ერთ-ერთ ძირითად იარაღს. საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული მოქმედებების გამოყენების ფონზე ინფორმაცია უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფო ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. დღევანდელი საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე როდესაც რუსეთ აქვს ოკუპირებული ტერიტორიების 20% და აქტიურად აწარმოებს ჰიბრუდულ მოქმედებებს, საჭიროა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, უწყებათაშორისო თანამშრომლობა და ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის წარმოება. რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სტარატეგიული კომუნიკაციების სისტემის განვითარებას. 2018 წლის 25 სექტემბერს სტრატეგიული კომუნიკაციების ფორუმზე მაშინდელმა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარემ ირაკლი კობახიძემ სიტყვით გამისვლის დროს განაცხადა რომ საქართველო მუშაობს სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბებაზე და ასევე წინააღმდეგობას ვუწევთ სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ გარე ზეწოლებს. მისივე შეფასებით სტრატეგიული კომუნკაციის სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს რთულ პროცესს განვითარებული ქვეყნისთვისაც კი, განსაკუთრებით დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის.[1] ცხადია რომ ინფორმაცია წარმოადგენს ეროვნული სიძლიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტტს და სტარტეგიული კომუნიკაციების ჩანოყალიბება და განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული უსაფრთხოების გასამტკიცებლად.

რუსული პროპაგანდა

საიფორმაციო ომი რომელიც წარმოადგენს ჰიბრიდული ომის კომპონენტს არა არის ახალი რუსეთისთვის და მას აქტიურად იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად უკვე მრავალი წელია. მაგალითისთვის 1980 იან წლებში ინდოეთში, რომელიც იყო სამხედრო ნეიტრალიტეტ გამოცხადებული ქვეყანა, 150 მდე საბჭოთა აგენტი იყო და მართავდნენ 10 ინდურ გაზეთს და ერთ საინფორმაციო სააგენტოს.[2] დღევანდელი რუსული პროპაგანდა დღითი-დღე რთულად ამოსაცნობი და გასანეიტრალებელი ხდება, ის არა არის მიმართული კონკრეტული ქვეყნის ან გეოგრაფიული არეალისკენ არამედ მისი გამოყენება ხდება დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. აღნიშნულ მოსაზრებებს სხვადასხვა კვლევა და ანგარიში ამყარებს, ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური დაზვერვის 2017 წლის ანგარიშის თანახმად დეზიმფორმაციის და არალეგალური დაფინანსების მეშვეობით რუსეთი ცდილობდა ჩარეულიყო და ზეგავლენა მოეხდინა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე.[3] რუსული რბილი ძალის ერთ-ერთი მთავარი იარაღი არის საკაბელო ტელევიზია RT (Russia Today). RT წარმოადგენს BBC ის რუსულ ანალოგს. ეს არის ახალი ამბები რომელიც მაუწყებლობს 24 საათის განმავლობაში და გადმოსცემს მსოფლიოს ახალი ამბების რუსულ თვალსაზრისს. არხი მეორე მსოფლიოში ყურების თვალსაზრისით BBC შემდეგ და პირველი რომრლმაც მოახერხა მილონი ნახვა ინტერნეტში.(ფიგ. 1) მაუწყებლობა დაარსებულია რუსეთის პრეზიდენტის განკარგელებით და მისი ბიუჯეტი შეადგენს 300 მილიონ დოლარს[4]

1 კობახიძე, ირაკლი 2018
2 შუბითიძე, ერეკლე. 2021. „საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე“
3 Office of the Director of National Intelligence, 2017
4 ჯულახიძე, გრიგოლ.2018 რუსული პროპაგანდა მიზნები ნარატივები და აქტორები საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.



ფიგ. 1 საინორმაციო საშუალებები სოციალურ მედიაში. წყარო: ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ეროვნული საბჭოს დირექტორის 2017 წლის ანგარიში

რუსული პროპაგანდა და ნარატივის გავრცელება ყურადსაღებია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში რომელსაც რუსეთი თავისი ზეგავლენის სფეროდ მოიაზრებს. 2008 წლის ომის და ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ რუსეთი აქტიურად ეწევა ევროატლანტიკური სივრცეში საქართველოს გაწევრიანების შემაფერხებელ მოქმედებებს. სართაშორისო გამჭირვალეობა საქართველოს 2015 წლის კვლევა „ვის ეკუთვნის ქართული მედია“-ს მიხედვით ინტერნეტ მომხმარებლების ზრდასთან ერთად იზრდება ინტერნეტ ტელევიზიების და გამოცემების რაოდენობა. კვლევაში აღწერილაი პრო რუსული და ანტი დასავლური ინტერნეტ მედია და ასევე აღნიშნულია, რომ ინტერნეტ ტელევიზიებს არ აქვთ რეკლამებიდან არანაირი შემოსავალი და ისინი მაინც აგრძელებენ ფუნქციონირებას.[5] საქართველოში მედიის განვითარების ფონდის(MDF) მიერ, 2018 წელს ჩატარდა კვლევა თემაზე „ანტიდასავლური პროპაგანდა“. კვლევის სუბიექტი იყო 17 მედია საშუალება სადაც 2017 წელს დაფიქსირდა 1967 ანტიდასავლერი კომენტარი, რაც წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებული შედეგია.(ფიგ 2) ქართულ გზავნილებსა და დისკუსიებში რუსული ნარატივის სისტემა წარმოადგენს სამ საფეხერიან სტრუქტურას, რაც მიზნად ისახავს: საფრთხეების შექმნას, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისადმი უნდობლობის დათესვას და საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობას[6]



ფიგ 2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა
წყარო: მედიის განვითარების ფონდი 2018

როგორც დიაგრამიდან ჩანს ძირითადი აქვენტები გაკეთებულია ამერიკის შეერთებული შტატების და NATO ს წინააღმდეგ. ამერიკის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებში ისმის ისეთი ნარატივები როგორიცა:

5 სართაშორისო გამჭირვალეობა საქართველოს 2015 წლის კვლევა „ვის ეკუთვნის ქართული მედია“
6 მედიის განვითარების ფონდი 2018

ამერიკა გვმართავს და ერევა შიდა საქმეებში, ამერიკა ახალისებს ტერორიზმს, ამერიკამ არ დაგვეხმარა 2008 წლის ომის დროს და სხვა. (ფიგ. 3) ხოლო NATO სთან მიმართებაში დომინირებდა აზრი რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანება არარეალურია და საქართველოს სწრაფვა ალიანსში ახდენს რუსეთის პროვოცირებას. ჩრდილოატლატიკურ ალიანსში გაწევრიანება ნიშნავს ტერიტორიების დაკარგვას, საქართველოს მოუწევს უარი თქვას რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. (ფიგ. 4)



ფიგ 3. გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით
წყარო: მედიის განვითარების ფონდი 2018



ფიგ 4. გზავნილები ნატოსთან დაკავშირებით
წყარო: მედიის განვითარების ფონდი 2018

საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების გაძლიერების შესაძლებლობა

ბოლო პერიოდში საქართველოს მხრიდან აქტიური ნაბიჯები იქნა გადადგმული სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების მხრივ, რაც გამოიხატება საჯარო სექტორში და სახელმწიფო ინსტიტუციებში

სტრატეგიული კომუნიკაციების უჯრედების ინტეგრაციით. ასევე შემუშავებული იქნა ეროვნული და უწყებრივი დოკუმენტები, რომლებიცაა: საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020. საქართელოს ვროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიში გადმოცემულია სტრატეგიული მიზნები რაც ძირითადად გულისხმობს: მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას გასაგებ ენაზე ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის დადებით მხარეებზე; განხორციელებულ, მომდინარე და დაგეგმილ პროექტებზე რომლებიც ხელს უწყობსა საქართველოს ინტეგრაციას.[7] როგორც უკვე ავღნიშნეთ ჩვენ ვიმყოფებით ინფორნაცის ერაში და კომუნიკაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. აღსანიშნავია რომ სტარატეგიული კომუნიკაცია არ ნიშნავს მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას და მასში გაერთიანებულია კომუნიკაცია და სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯები. ამერიკის შერთებული შტატების თეთრი სახლის 2010 წლის ეროვნული სტრატეგიული კომუნიკაციების დოკუმენტის თანახმად მთავრობის ყოველი ქმედება უნდა წარმოადგენდეს კონკრეტულ მესიჯს. დოკუმენტის განმარტებით ქმედება იმდენად მნიშვნელოვანია როგორც სიტყვები.[8] NATO -ს ევროპის გაერთიანებული სარდლობის ყოფილი მეთაური გადამდგარი ადმირალი ჯეიმს სტავრიდისი სტრატეგიული კომუნიკაციების შემდეგ განმარტებას გვთავაზობს, მისი თქმით სტარატეგიული კომუნიკაცია წარმოადგენს გზავნილს რომელიც ემსახურება საზოგადოებისთვის დროულ და ზუსტ ინფორმაციის მიწოდებას რათა მოვიპოვოთ საკუთარი მიზნების ხარდაჭერა.[9] სტარტეგიულ კომუნიკაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების არხები. ბოლო ათწლეულში საქართველოში საგრძნობლად გაზრდილია ინტერნეტ მოხმარება 2010 წლიდან მოყოლებული 68% გაიზარდა ინტერნეტ მოხმარება. სოციალური მედია განსაკუთრებით პოპულარულია და მოსახლეობის 68% მოიხმარს რითაც მოწინავე პოზიცია უკავია რეგიონში.[10] NDI 2019 წლის კვლევამ აჩვენა რომ მოსახლეობა ძირითადად ინტერნეტს იყენებს ინფორმაციის მისაღებად. გაიზარდა ინფორმაციის ინტერნეტში გადამოწმების წილი და ზოგადად ინტერნეტის წილი ინფორმაციის მოპოვებაში 2015 წელთან შედარებით 15% ით არის გაზრდილი.[11] (ფიგ. 5)



ფიგ 5. ინფორმაციის წყაროები. წყარო NDI 2019

აღნიშნული კვლევების საფუძველზე შესაძლებელია თავისუფლად ვთქვათ რომ ინტერნეტი და ასევე სოციალური მედია წარმოადგენს მზარდ განვითარებად სფეროს საქართველოში და მისი გამოყენება სტარტეგიული კომუნიკაციების არხებად არის მნიშვნელოვანი კომპონენტი. სოციალური მედიის აქტიური გამოყენებით შესაძლებელია ადვილად მოხდეს სამიზნე აუდიტორიის შერჩევა და მესიჯების დროული გადაცემა.

7 საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020

8 The White House, National Framework for Strategic Communication, Washington, D.C., March 2010

9 James Stavridis, Strategic Communication and National Security, Joint Force Quarterly, Issue 46, 3d quarter 2007

10 ჯანგიანი, გიორგი 2020. „სტრატეგიული კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერება საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით“

11 National Democratic Institute, and CRRC Georgia. Public Attitudes in Georgia. 2019

ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბება

საკუთარი ეროვნული ნარატივის ქონა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ერროვნული ნარატივი წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიის და სტრატეგიული კომუნიკაციების ნაწილს რომელიც ემსახურება ეროვნული მიზნების მიღწევას. NATO-ს უმაღლესი მთავარსარდლობის სტარტეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელის მარკ ლეითის განმარტებით ნარატივი უნდა ეხმარებოდეს საერთო ღირებულებებს ის უნდა იყოს რეზონანსული და ემოციური.[12] ეროვნული სტრატეგიული ნარატივის მნიშვნელოვანი თვისება ის არის რომ მასში გაერთიანებული უნდა იყოს მოვლენების შერწყმა იდეოლოგიასთან და რწმენასთან, ასევე ის უნდა გადმოგვცემდეს ინფორმაციას მომავალ ქმედებებზე. კარგ ნარატივს უნდა შეეძლოს განახორციელოს ზეგავლენის მოხდენა სამიზნე აუდიტორიაზე. ეროვნული ნარატივების ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოსთვის როდესაც ქვეყანა დღეს იმყოფება მოწყვლად გარემოში, რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ორი რეგიონი და აქტიურად ახორციელებს ჰიბრიდულ მოქმედებებს და ცდილობს მოახდინოს გავლენა საზოგადოებრივ აზრზზე. რუსულ ნარატივზე საპასუხოდ საჭიროა ეროვნული ნარატივის ისეთი ფორმირება რომელიც მხარს დაუჭერს ეროვნული უსაფრთხობის კონცეფციით გათვალისწინებულ ინტერესებს.

დასკვნა

ყოველივე აქედან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ სტარტეგიული კომუნიკაციების განვითარება მნიშვნელონანი ელემენტია ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისთვის. საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები რუსეთიდან წამოსული ანტიდასავლური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ არის დადებით ქმედება, მაგრამ საჭიროა ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება და ერთიანი ეროვნული სტრატეგიული კომუნიკაციის კონცეფციის ჩამოყალიბება. ეროვნული ნარატივის შემუშავება და მისი სწორად დაყვანა სამიზნე აუდიტორიის მისამართვით გაანეიტრალებს რუსულ პროპაგანდას. დღევანდელ საინფორმაციო სამყაროში ინტერნეტი და სოციალური მედია წარმოადგენს მზარდ განვითარებად სფეროს და მისი ეფექტური გამოყენება სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ შექმნის წინაპირობას რომ გზავნილები და ეროვნული ნარატივები დროულად იქნას მიწოდებული მოსახლეობისთვის. ყეველივე ზემოთ ხსენებული ქმედებები წარმოადგენს სტარტეგიული კომუნიკაციების უწყვეტ ჯაჭვს და მისი სწორი და ეფექტური გამოყენება საბოლო ჯამში უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მიღევის მხარდაჭერას.

გამოყენებული ლიტერატურა

- Kobachidze Irakli 2018 parliament.ge
- Shubitidze, Erekle. 2021. “Transformation of information warfare methods against the background of the development of modern communication capabilities”. Tbilisi: Center for Strategy and Development of Georgia. www.gcsd.org.ge/ge/publications/show/76
- Office of the Director of National Intelligence. 2017. Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections. Washington: National Intelligence Council. ICA_2017_01.pdf (dni.gov)
- Julaakhidze, Grigol.2018 Russian Propaganda Goals narratives and actors. Georgian foundation for strategic and international studies. Expert Opinion.cdr (tsu.ge)
- Transparency International Georgia 2015. The report on whom georgian media belongs. Tbilisi: Transparency International Georgia. https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/vis_ekutvnis_kartuli_media.pdf
- Media Development Foundation. 2018. Anti-Western propaganda. Tbilisi: Media Development Fund. MergedFile (mdfgeorgia.ge)
- Strategy of the Government of Georgia on Communications for EU and NATO Membership in Georgia 2017-2020 matsne.gov.ge
- The White House, National Framework for Strategic Communication, Washington, D.C., March 2010.
- James Stavridis, Strategic Communication and National Security, Joint Force Quarterly, Issue 46, 3d quarter 2007
- Jangian, George 2020. “Strengthening strategic communication capabilities in the field of ICT.” Tbilisi: Center for Strategy and Development of Georgia კვლევა - გიორგი ჯანგიანი.pdf (gcsd.org.ge)
- National Democratic Institute, and CRRC Georgia. Public Attitudes in Georgia. 2019. PowerPoint Presentation (ndi.org)
- Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China’s Three Warfares to NATO’s Narratives, 201 Information at War From China s Three Warfares to Nato s Narratives PDF - [PDF Document] (vdocuments.mx)

12 Mark Laity, NATO and the Power of Narrative, Information at War: From China’s Three Warfares to NATO’s Narratives, 201

ტექნოლოგიების ეფექტი თანამედროვე კონფლიქტებში

ვიცე-პოლკოვნიკი შალვა გელაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი

აბსტრაქტი

თუ ომების ისტორიას ყურადღებით შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ ომებში გამარჯვების განმაპირობებელი მრავალი ფაქტორიდან შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ომის მსვლელობისას.

ახლებური მიდგომები ტაქტიკაში და ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას გაძლევს აკონტროლო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და მისი შემდგომი ნაბიჯები, ასევე მიაყენო ზუსტი დარტყმები მოულოდნელ დროს და არასასურველ ადგილზე, ყველაფერი ერთად გაძლევს მორალურ ფსიქოლოგიურ უპირატესობას. აღნიშნული ფაქტორების მეშვეობით ერთ-ერთ მხარეს ეძლევა საშუალება აკონტროლოს ბრძოლოს მთლიანი სურათი და მისი მიმდინარეობის რიტმი, რაც საბოლოოდ გარდაუვალი ტრიუმფით დასრულებას მოასწავებს.

თანამედროვე ომების ხასიათმა და ცვალებადმა ბუნებამ, დაპირისპირებული მხარეებისგან მოითხოვა არასტანდარტული აზროვნება და მიდგომები ბრძოლების წარმოების დროს, სახელმწიფოები ფიქრობენ ისეთი ტექნოლოგიების შექმნაზე და გამოყენებაზე, რაც პირველ რიგში მოწინააღმდეგესთან მიმართებაში იქნება ბევრად ეფექტური და რაც ძალიან მნიშვნელოვანია მისი დამზადებისთვის დაიხარჯება ნაკლები რესურსი. თუ 2008 წლის რუსეთ საქართველოს სამხედრო დაპირისპირებას გავაანალიზებთ, რუსეთის არმიის მოქმედებებმა ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა მის ეფექტურობაზე, პირველ რიგში რუსეთის გენერალურ შტაბში.

რუსეთმა საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირების შემდგომ გააკეთა სწორი ანალიზი და დაიწყო შესაფერისი რეფორმები შეიარაღებულ ძალებში, რისი პრაქტიუკული გამოცდა უკვე 2014 წელს მოხდა უკრაინაში, ყირიმის ოკუპაციის დროს. ნებისმიერი შიდა რეფორმა ან ქვედანაყოფების სხვადასხვა ფორმაციით ჩამოყალიბება საბოლოოდ არ არის საკმარისი წარმატების მისაღწევად თუ ვერ

მოხერხდა მათი თანამედროვე ტექნოლოგიური იარაღით აღჭურვა. სწორედ ტექნოლოგიურმა იარაღმა განაპირობა თურქეთის არმიის მიერ დაგეგმილი ოპერაციების წარმატებით განხორციელება სირიაში, სადაც მათ უპილოტო საფრენი აპარატებით შეძლეს მარტივად გაენადგურებინათ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო ისეთი თანამედროვე სისტემები, რომლითაც რუსული სამხედრო ელიტა ყოველთვის თავს იწონებდა და საუკეთესოდ მოიხსენიებდა მის უცხოურ ანალოგებში.

თურქული და ისრაელის წარმოების მაღალტექნოლოგიურმა იარაღმა, ასევე დიდი გამოხმაურება გამოიწვია სომხეთ აზერბაიჯანის მეორე ომში, სადაც აზერბაიჯანმა შესანიშნავი სინქრონულობით წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის, როგორც საავიაციო ისე სახმელეთო შეიარაღება და ამ ყველაფრის ერთიან სივრცეში მართვის შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები:
მაღალტექნოლოგიური, ყარაბაღის მეორე ომი, ტაქტიკა.

THE EFFECT OF TECHNOLOGY IN MODERN CONFLICTS

LIEUTENANT COLONEL SHALVA GELADZE
HEAD OF DISTANCE LEARNING CENTER
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ABSTRACT

If we study the history of wars carefully, we will find that from the many factors that determine the success of wars, we can distinguish several factors that often play a crucial role in the course of a war.

New approaches to tactics and technologies that allow you to control the opponent's intent and its next steps, as well as deliver accurate shots at unexpected times and in the wrong place, all together give you a moral psychological advantage. Through these factors, one of the parties is allowed to control the whole picture of the fight and the rhythm of its course, which will ultimately lead to an inevitable triumph.

The nature and changing nature of modern warfare has required opposing sides to adopt non-standard thinking and approaches in the conduct of combat, with states thinking of creating and using technologies that will be much more effective with the adversary in the first place and, less importantly, less resources. If we analyze the Russian-Georgian military confrontation in 2008, the actions of the Russian army raised many questions about its effectiveness, first of all in the Russian General Staff.

Russia made a proper analysis after the military confrontation with Georgia and started appropriate reforms in the armed forces, a practical test of which took place in 2014 during the occupation of Crimea in Ukraine. Any internal reform or formation of subdivisions in different formations is ultimately not enough to succeed if it fails to equip them with modern technological weapons. It was technological weapons that led to the successful conduct of operations planned by the Turkish army in Syria, where they were able to easily destroy modern Russian anti-aircraft systems with unmanned aerial vehicles, which the Russian military elite has always boasted and best mentioned in its foreign counterparts.

Turkish and Israeli-made high-tech weapons also caused a great deal of controversy in the Second Armenian-Azerbaijani War, where Azerbaijan presented with excellent synchrony various types of both air and ground weapons and the ability to manage all of this in a single space.

KEYWORDS:
High-tech, second karabakh war, tactics.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარმა კონფლიქტებმა, ნათლად წარმოაჩინა ის მიმართულება რა მიმართულებითაც მომავალში კაცობრიობა აპირებს განვითარებას სამხედრო ტექნოლოგიური კუთხით. თანამედროვე კონფლიქტებში, ტექნოლოგიურად წამყვანი ქვეყნები გამოკვეთილად ცდილობენ ადამიანის ჩანაცვლებას ხელოვნური ინტელექტითა და ჭკვიანი ტექნოლოგიებით, რომელიც საწყის ეტაპზევე ცვლის თამაშის წესებს.[1] ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, ისრაელი, ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს ხარჯავს ტექნოლოგიურ კვლევებში და მიზანი ყველგან ერთია, შექმნან ტექნოლოგია, რომელიც მეწინავე იქნება თანამედროვე კონფლიქტებში და აშკარა, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ ერთს. ამის ნათელი მაგალითია სომხეთ აზერბაიჯანის მეორე ომი, სადაც აზერბაიჯანმა ისრაელისა და თურქეთის წარმოებული უპილოტო საფრენი აპარატებით გაანადგურა სომხური ათობით სამხედრო დანიშნულების ტექნიკა, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს 4 მილიარდ დოლარს.[2]

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კატეგორია ადამიანებისა თვლის, რომ საქართველომ აქცენტი უნდა გააკეთოს სწორედ უპილოტო საფრენი აპარატების შესყიდვასა და წარმოებაზე, ასევე ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებაზე, მოცემულ ნაშრომში განვითარებული იქნება მსჯელობა, რომლის მიხედვითაც საქართველოსნაირმა ქვეყანამ არ შეიძლება ცალკეული სახეობის ტექნოლოგიურ იარაღზე გააკეთოს სწორება, არამედ ეს უნდა იქნას განხილული კომპლექსურად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი თუ რატომ უნდა განავითაროს მცირე სახელმწიფომ მაღალტექნოლოგიური კვლევები და ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სამხედრო სისტემებში, ესაა ადამიანური რესურსის დაზოგვა. პატარა სახელმწიფოები ადამიანური რესურსების სიმცირით ყოველთვის ჩამორჩებიან დიდ სახელმწიფოებს და დაპირისპირების შემთხვევაში ეს სისუსტე რაღაცით უნდა დააბალანსონ, აქედან გამომდინარე სახმელეთო კომპონენტების მაღალ დონეზე მომზადება და მოწინააღმდეგესთან შედარებით ტექნოლოგიური უპირატესობა ხშირ შემთხვევაში ესაა ის შანსი, რომელი შანსის გამოყენებითაც შეუძლია ქვეყანამ მასზე რესურსებით აღმატებულ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან წარმატებაზე იფიქროს. ისრაელი 1967 წლის 6 დღიან ომში, როგორც სახელმწიფო გადარჩა მაღალკვალიფიციური სამხედრო კონტინგენტისა და ტექნოლოგიების შერწყმული მოქმედებით, რაც მოწინააღმდეგეების რესურსებთან შედარების შემთხვევაში ეს წარმოუდგენელი გახლდათ.

თანამედროვე კონფლიქტებში მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეითი ქვედანაყოფების როლი, როგორც მასის უპირატესობის და ეს შესანიშნავად გამოჩნდა თურქეთის მიერ წარმოებულ სამხედრო კამპანიებში ლიბიასა და სირიაში, სადაც კარგად გამოჩნდა თანამედროვე ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების ძირითადი ეტაპები და ის სისტემები, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მსგავსი სახის ოპერაციებში.[3] თურქეთმა წარმატებით და მცირე დანაკარგებით მოახერხა განსაკუთრებით სირიაში ქურთების წინააღმდეგობის კერების განადგურება და საკმაოდ დიდი ტერიტორია გააკონტროლა საზღვრის მომიჯნავედ რა დროსაც ძალზედ ეფექტურად გამოიყენა კომპლექსური სამხედრო ტექნოლოგიები როგორიცაა: ბრძოლის ველის ერთიანი მართვის პროგრამა, რა დროსაც ერთ სივრცეში ახდენდა ბრძოლის ველის დაკვირვებას და გადაწყვეტილებას უსწრაფესად იღებდნენ სამხედრო მეთაურები. სპეცდანიშნულების მცირე ჯგუფები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ქურთებისგან განსხვავებით უცხო და მაღალმთიან ტერიტორიაზე მოქმედებდნენ საკმაოდ ეფექტურად ახდენდნენ სამიზნეების იდენტიფიცირებას და ლაზერული დამიზნების სიტემებით კოორდინატების გადაცემას, რის დაზუსტებას ახდენდნენ უპილოტო საფრენი აპარატები და ამის შემდეგ იწყებოდა მიზანზე ზემოქმედება როგორც ზეზუსტი არტილერიით ისე უპილოტო საფრენი აპარატებითა და დამრტყმელი ავიაციით. პარალელურად აქტიურად გამოიყენებოდა რადიოლექტრონული ბრძოლის სისტემები, რომლებიც ეფექტურად ახშობდნენ მოწინააღმდეგის რადიო სიგნალებსა და აბრმავებდნენ რადიოლოკაციურ სადგურებს. აღნიშნული ტაქტიკა საკმაოდ წარმატებით დანერგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, რასაც უფრო მაშტაბური გაგრძელება მოჰყვა თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ სირიასა და ლიბიაში.

შესაბამისად, აღნიშნული ტექნოლოგიების კომპლექსურად გამოყენებამ თურქეთის სარდლობას მისცა საშუალება დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის ჩართვა აერიდებინა თავიდან, რამაც ავტომატურად დანაკარგების შემცირება გამოიწვია.

---

1 Bergen Peter, Rothenberg Daniel, ,,Drone Wars (Transforming Conflict, Law, and Policy) || The Five Deadly Flaws of Talking About Emerging Military Technologies and the Need for New Approaches to Law, Ethics, and War'', (2014), https://bit.ly/3zF64Vh

2 Mushvig Mehdiev, ,,Armenia's Military Equipment Loss in Recent Karabakh War Stands at $4 Billion, Exceeding State Budget'', Kaspiannews, (6.12.2020), https://bit.ly/3qVVa9D

3 Geneva centre for security policy, Syria and Libya's contributions to the evolution of the Turkish ,,forward defence'' doctrine (Geneva: GCSP, 2021), 14-19. https://bit.ly/3q5LTMJ

მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები როგორიცაა: დიდი ფართობის ტერიტორიის კონტროლის აუცილებლობა ცოცხალი ძალით, ბლოკ საგუშაგოები, პატარ პატარა ბაზები გაბნეული მთელს ტერიტორიაზე, რაც ცოცხალი ძალის დიდ რაოდენობას მოითხოვს, ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სამხედრო მეთაურები ვერ ამბობენ უარს ტრადიციულ დაგეგმარებაზე და შეტევები წარმოუდგენიათ მასების უპირატესობით, როგორიცაა ბრიგადის ზომის ან დივიზიის ზომის შენაერთებით განხორციელებული იერიში, რისი ძალიან კარგი მაგალითიც განხორციელდა სომხეთ აზერბაიჯანის მეორე ომის დროს, როდესაც ომის პირველ დღეებში აზერბაიჯანის სარდლობა შეტევებს ავითარებდა ბატალიონისა და ბრიგადის ზომის ქვედანაყოფებით. ოპერაციის რაიონის სამხრეთ ნაწილში არსებულმა ვრცელმა ტერიტორიებმა აზერბაიჯანის სარდლობას შეუქმნა განცდა, რომ დიდი ფართობის ტერიტორიაზე განხორციელებული ფართო მასებით შეტევები ბევრად სწრაფად მოახდენდა მოწინააღმდეგის დემორალიზებას და გაადვილებდა მიზნის მიღწევას. მიუხედავად აზერბაიჯანის მხრიდან ტექნოლოგიური უპირატესობისა, სამხედრო მეთაურები ცდილობდნენ მასების კონცენტრირებით ერთ წერტილში გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას და მუდმივი იერიშების ფონზე მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის კერების განადგურებას, რასაც შემდეგ უნდა მოყოლოდა დევნის ოპერაცია და აღნიშნულ ოპერაციას ჭირდება დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა. რომ შევაჯამოთ, დიდი რაოდენობის ცოცხალი ძალით შეტევები კვლავ რჩება სამხედრო დამგეგმავების ხელში ეფექტურ საშუალებად, რა დროსაც ასეთი ტიპის შეტევებს იყენებენ დიდი ფართობის მქონე ტერიტორიებზე და ცდილობენ მასების უპირატესობით მოწინააღმდეგის დემორალიზებასა და შემდეგ დევნის ოპერაციის დაწყებას.

მოცემული მსჯელობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ადამიანის სიცოცხლე ნებისმიერი დონის მეთაურისათვის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს, სადაც შესაძლებელია, რომ გამოიყენო ტექნოლოგია, თუნდაც ძვირადღირებული, მაგრამ ამით გადარჩება სიცოცხლე, ეს ნებისმიერ დროს ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სამხედრო ხელმძღვანელობისთვის. აზერბაიჯანული ქვედანაყოფების მასიურმა შეტევებმა პირველ დღეებში ძალიან მალე დაანახა ხელმძღვანელობას, რომ რაოდენობა არ უდრის ხარისხს და აზერბაიჯანული ქვეითი ქვედანაყოფების დაბალმა მომზადების დონემ გამოიწვია დიდი დანაკარგები, განადგურდა კოლონები, რომლებიც მთაგორიან ტერიტორიაზე საკმაოდ ნელა და ქაოტურად მოძრაობდნენ, რამაც სომხეთის არტილერისტებს მისცა საშუალება ჭურვების ქარცეცხლში მოეყოლებინათ დიდი ზომის ქვედანაყოფები. აღნიშნულმა ფაქტებმა აზერბაიჯანის სამხედრო ხელმძღვანელობა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მთაგორიან ტერიტორიაზე უმჯობესი იქნებოდა ემოქმედათ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებს მცირე ჯგუფებად და გარღვეულ უბნებზე მოეხდინათ შეუმჩნევლად შეჟონვა, სადაც შესანიშნავად განახორციელებდნენ ლაზერული დამიზნების ხელსაწყოებით მიზანჩვენებას და როგორც არტილერიით ისე უპილოტო საფრენი აპარატებით უსწრაფესად მოხდებოდა მიზნის განადგურება.[4] აღნიშნული ტაქტიკა აზერბაიჯანის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა აითვისეს თურქ და პაკისტანელ კოლეგებთან თანამშრომლობით, რაც წარმატებით გამოიყენეს უკვე ქალაქ შუშას აღების დროს.

შესაბამისად, ჭკვიანი ტექნოლოგიების დახმარებით, შესაძლებელია მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული დიდი რაოდენობის ადამიანთა ჩართულობა კონფლიქტებში, რაც იძლევა საშუალებას უკეთესი ეფექტი ტექნოლოგიების საშუალებით მიიღწეს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ცალკე აღებული რომელიმე თანამედროვე სისტემა შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ბრძოლის მიმდინარეობაზე, თუმცა თანამედროვე კონფლიქტების ბუნებამ დაამტკიცა ჭკვიანი ტექნოლოგიების კომლექსურად გამოყენება დიდ უპირატესობას იძლევა ბრძოლის ველზე და რაც მთავარია ნაკლებად საჭიროებს ადამიანის უშუალოდ პროცესში ჩართვას, ამით მცირერიცხოვანი ქვეყნები ზოგავენ უმნიშვნელოვანეს ადამიანის სიცოცხლეს, ხოლო ჭკვიანი ტექნოლოგიების დანერგვითა და მისი კომპლექსურად გამოყენებით, შესაძლებელი ხდება მცირერიცხოვანი არმია მრისხანე მოწინააღმდეგედ გადაიქცეს, მასზე უფრო ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Peter Bergen, Danie Rothenberg l, Drone Wars (Transforming Conflict, Law, and Policy) || The Five Deadly Flaws of Talking About Emerging Military Technologies and the Need for New Approaches to Law, Ethics, and War, (2014), https://bit.ly/3zF64Vh
- Mehdiev Mushvig, ,,Armenia's Military Equipment Loss in Recent Karabakh War Stands at $4 Billion, Exceeding State Budget'', Kaspiannews, (6.12.2020), https://bit.ly/3qVVa9D
- Geneva centre for security policy, Syria and Libya's contributions to the evolution of the Turkish ,,forward defence'' doctrine (Geneva: GCSP, 2021), 14-19. https://bit.ly/3q5LTMJ
- Centre for strategic and international studies, The Air and Missile War in Nagorno-Karabakh: Lessons for the Future of Strike and Defense (Washington: Centre for strategic and international studies, 2020) https://bit.ly/3f5P4hq

4 Centre for strategic and international studies, The Air and Missile War in Nagorno-Karabakh: Lessons for the Future of Strike and Defense (Washington: Centre for strategic and international studies, 2020) https://bit.ly/3f5P4hq

საქართველოს მოქალაქეთა სუბიექტური აღქმის პრობლემა: რუსეთი - საფრთხე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია, საქართველოს მოქალაქეთა სუბიექტური აღქმის პრობლემა, არის თუ არა რუსეთი - საფრთხე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობაში არ არსებობს ერთსულოვნება რუსეთის საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ აღქმაში.

სტატიაში განხილულია ჰიბრიდული და ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელსაც რუსეთი აქტიურად იყენებს სასურველი შედეგის მისაღწევად. გამოიკვეთა შემდეგი სახის, პროპაგანდისტული ნარატივები და ბერკეტები: პირველი - ერთმორწმუნეობის საკითხი; მეორე - ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობა; მესამე - სხვა მეზობელ ქვეყნებისგან ,,მტრის ხატის" შექმნა და მეოთხე - ქვეყნის მოსახლეობაში შიშისა და უძლეველობის სინდრომის დანერგვა. ასევე აღწერილია, თუ რა მიზანს ემსახურება ზემოაღნიშნული ბერკეტები. ყველა ეს ხერხი მიმართულია საქართველოს არჩეული დასავლეთის გზის - ევროპული და ევროატლლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ. მათი მიზანია ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებაში ხელის შეშლა და უკან რეგრესისკენ სვლა.

საბოლოოდ წარმოდგენილია, რეკომენდაციები. ზემოაღნიშული ვითარებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოსავლს და იარაღს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება როგორც ნატოსა და ევროკავშირის, ასევე რუსეთის შესახებ.

საკვანძო სიტყვები:
რუსეთი, საფრთხის აღქმა, ნარატივები, ნატო, ევროატლანტიკური ორგანიზაცია, დეზინფორმცია.

THE PROBLEM OF SUBJECTIVE PERCEPTION OF GEORGIAN CITIZENS: RUSSIA - A THREAT TO THE NATIONAL SECURITY OF GEORGIA

LIEUTENANT COLONEL LEVAN GOZALISHVILI

ABSTRACT

The article presents the problem of subjective perception of Georgian citizens, whether Russia is a threat to the national security of Georgia. Based on the research, it can be said that today there is no unanimity among the Georgian population in perceiving Russia as a major threat to Georgia.

The article discusses the hybrid and psychological operations that Russia is actively using to achieve the desired result. The following types of propaganda narratives and levers were identified: first, the issue of monotheism; Second, the centuries-old relationship of historical coexistence; third, the creation of an "enemy icon" from other neighboring countries; and fourth, the introduction of a syndrome of fear and invincibility in the population of the country. It also describes the purpose of the above-mentioned levers, all these measures are directed against the European and Euro-Atlantic integration of the chosen western path of Georgia. Their goal is to prevent them from joining the Euro-Atlantic organizations and to move backwards.

Finally, recommendations are presented. One of the important solutions and weapons from the above-mentioned situation is to raise the awareness of the Georgian population about NATO and the European Union, as well as Russia.

KEYWORDS:
Russia, threat perception, narratives, NATO, Euro-Atlantic organization, disinformation

დღესდღეობით საქართველოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. მიუხედავად ამისა, მაინც ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. არის თუ არა რუსეთი უპირველესი საფრთხე? ამასთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული თვალსაზრისი, განპირობებულია იმით, რომ რუსეთს ისტორიულად ჩვევად აქვს მეზობელ ქვეყნებში შექმნას ისეთი ვითარება, რომ მოსახლეობის უმეტესობას არ გააჩნდეს წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. შემდეგ კი განახორციელოს ინტერვენცია. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 1921 წლის საქართველოსა და 2014 წლის ყირიმის ანექსია. შესაძლოა ითქვას, რომ რუსეთს შესწევს უნარი ,,რბილი ძალით'' ფსიქოლოგიური ოპერაციებითა და პროპაგანდისტული მოქმედებებით უცხო ქვეყნის მოსახლეობაზე გაავრცელოს და შეინარჩუნოს თავისი გავლენა როგორც ინტერვენციამდე, ასევე ინტერვენციის შემდეგ. აღნიშნული მოქმედებებით საბოლოოდ იგი აღწევს მისთვის სასურველ მიზნებს. საქართველოსთან მიმართებით ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა იყოს სახელმწიფოში დასავლეთის მხარდამჭერი საზოგადოების შემცირება და პრორუსულად მოაზროვნე საზოგადოების გაზრდა.

რუსეთი სასურველი შედეგის მისაღწევად აქტიურად იყენებს ჰიბრიდულ და ფსიქოლოგიურ ოპერაციებს, რომელიც მოიცავს შემდეგი ტიპის პროპაგანდისტულ ნარატივების: პირველი - ერთმორწმუნეობის საკითხს; მეორე - ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას; მესამე - სხვა მეზობელი ქვეყნებისგან ,,მტრის ხატის" შექმნასა და მეოთხე - ქვეყნის მოსახლეობაში შიშისა და უძლეველობის სინდრომის დანერგვას. ყველა ეს ხერხი მიმართულია საქართველოს არჩეული დასავლური გზის ევროპული და ევროატლლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ. მათი მიზანია ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებაში ხელის შეშლა და უკან რეგრესისკენ სვლა. რუსეთი ხშირ შემთხვევაში ახერხებს აღნიშნული ბერკეტების ეფექტურად გამოყენებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობაში არ არსებობს ერთსულოვნება რუსეთის საქართველოსთვის მთავარ საფრთხედ აღქმაში. ნაშრომში განხილული იქნება ის ფაქტორები და ხერხები, რომელებიც ზეგავლენას ახდენენ ზემოაღნიშნული ვითარების შექმნაში.

საქართველო-რუსეთის ერთმორწმუნეობა

ერთ-ერთ უპირველეს ბერკეტს წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ერთმორწმუნეობა. რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობებში მნიშვნელოვან მხარდამჭერ ფაქტორად იყენებს ქრისტიანულ რელიგიას. იგი ხშირად აპელირებს იმაზე, რომ საქართველო და რუსეთი ერთმორწმუნე ერია; რომ მათი კულტურა და ტრადიციები უმეტეს შემთხვევაში თანხვედრაშია, რადგან როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა წარმოადგენს ქრისტიან მართლმადიდებელ მრევლს. რუსული ნარატივების მიხედვით, დასავლეთი შეურაცხყოფს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ოჯახის სიწმინდეს (მითების დეტქტორი, 2020). აღნიშნული გზავნილები გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, გიორგაძე ლელა თავის ნაშრომში ამგვარ მოსაზრებას ავითარებს:

> კავკასიაში რუსეთის გამოჩენის დღიდან საქართველოს მიერ იგი ყოველთვის აღიქმეოდა ევროპასთან და შესაბამისად, ქრისტიანულ სამყაროსთან დაკავშირების საშუალებად, გზად და ხსნად. რუსეთიც ყოველთვის ამ პათოსით მოიწევდა ამიერკავკასიისკენ და განსაცდელში მყოფ ერთმორწმუნე ერებს უანგარო დახმარებას ჰპირდებოდა. თუმცა ისტორიული გამოცდილებიდან გამოჩნდა, რომ რუსეთს არ გაუწევია საქართველოსთვის დახმარება და რეალურად, არც აპირებდა. ეს მის ინტერესებში არ შედიოდა. ახლანდელი გადასახედიდან კი ჩანს, რომ იგი, უფრო მეტად, იქცა ,,ღობედ'', ვიდრე ,,კარად'' ევროპისაკენ და შესაბამისად, ქვეყნის განვითარებისკენ სავალ გზაზე. (გიორგაძე 2014)

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც საუკუნეების განმავლობაში რუსეთი ცდილობდა რელიგიის საფარქვეშ განეხორციელებინა თავისი ეროვნული ინტერესები, არ დაეშვა საქართველოს დემოკრატიზაცია და შეეზღუდა საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა/ გაწევრიანება. სავარაუდოდ, ახლაც რუსეთი შეეცდება განაგრძოს რელიგიურ ნიადაგზე საქართველოს მოსახლეობის ნდობის მოპოვება და დასავლეთის მაქსიმალური დისკრედიტაცია. ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკა დაწყებისთანავე იყო დაფუძნებული ქართველთა მიამიტობასა და მათ მგზნებარე რელიგიურ გრძნობაზე. შესაბამისად, იმის აღქმას საზოგადოების უდიდეს ნაწილში, რომ რუსეთი არის ძირითადი საფრთხე საქართველოსთვის, ამ ეტაპისთვის არ არსებობს ერთპიროვნულობა.

რუსები არა მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიით ახდენენ მანიპულირებას სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე,

არამედ მუსლიმური რელიგიაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია ტელეკომპანია ,,TRT"-ში გაჟღერებული პუტინის ინტერვიუ:

> ისლამი და მუსლიმანობა, რუსული კულტურის განუყოფელი ნაწილია. [...] „ისლამური თეოლოგიის განათლებას, ყოველთვის ჰქონდა ღრმა და შესანიშნავი ისტორია. 1917 წლის რევოლუციამდე რუსი მუსლიმანი თეოლოგები, მსოფლიოს ყველა კუთხეში დიდი პატივით მოიხსენებოდნენ და მათ მსოფმხედველობას დიდი ყურადღება ეთმობოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში კი ეს სიმდიდრე დაიკარგა. ჩვენი მთავრობა რუსეთში, ისლამის რელიგიის შესასწავლად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას აპირებს. ვინაიდან ისლამი და მუსლიმანები ჩვენი მრავალრიცხოვანი ქვეყნის განუყოფელი ნაწილნი არიან. (ტელეკომპანია ,,TRT" 2018)

ზემო თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთისთვის რელიგიური გრძნობებით მანიპულირება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ,,იარაღს'' სხვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილი ნების მოსაპოვებლად.

რუსეთთან ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ,,ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობა". საქართველო-რუსეთის კავშირი მრავალ საუკუნეს რომ ითვლის, ეს ფაქტია. თუმცა, ამ შემთხვევაში, ხაზი გაესმევა კონკრეტულად საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნასა და აღნიშნული პერიოდიდან უფროსი თაობის ცნობიერებაში არსებულ გადმონაშთს, ახალგაზრდობის ნოსტალგიას. ნოსტალგიური გრძნობები გააჩნია ისეთი ასაკობრივ ფენას, ვინც დაიბადა და გაიზარდა საბჭოთა კავშირის პერიოდში და ფაქტიურად მთელი ახალგაზრდობა გაატარა რუსეთის წინაპრის, საბჭოთა კავშირის შთაბეჭდილებების გავლენის სფეროში. (ინტერვიუ 60 წელს გადაცილებულ საქართველოს მოქალაქეებთან, 2021) რესპოდენტების მონათხრობით შესაძლოა ითქვას, რომ მათი მხრიდან დადებითი ნოსტალგიის აღქმა, მეტწილად ახალგაზრდობასთან ასოცირდება. ახალგაზრდობა კი ადამიანის ცხოვრებაში მონატრების მნიშვნელოვან მოგონებას წარმოადგენს. ფაქტიურად ჩნდება დაბრუნების განცდა, ისევ უკან ახალგაზრდობის პერიოდში. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდი იმისა, რომ მათი დამოკიდებულებამ რუსეთისადმი და დადებითმა ნოსტალგიამ ასევე შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ოჯახის წევრებზე. ხოლო აღნიშნული გავლენის შემთხვევაში, გაიზრდება რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი გარემოება, ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს როგორც დასავლეთთან ინტეგრაციისთვის, ასევე რუსეთის საფრთხედ სრულფასოვნად აღქმისთვის.

საქართველოს მეზობლი სახელმწიფოების ,,მტრის ხატად" წარმოჩენა

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს მეზობლების ,,მტრის ხატად" წარმოჩენა. რუსეთის ფედერაცია აღნიშნული ქმედებით ცდილობს: უპირველესად, გადაფაროს რუსეთის საფრთხედ აღქმა; მეორე - ყურადღება გადაიტანოს წარსულში სხვა სახელმწიფოებთან ისტორიულ დაპირისპირებულ მოვლენებზე და ბოლოს, შეახსენოს საქართველოს მოსახლეობას ისტორიულად დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის, ტაო-კლარჯეთი, ლორე და დავით-გარეჯი. ამ თემასთან დაკავშირებით მათი მხრიდან ძირითადად გაჟღერებული შემდეგი სახის გზავნილებია - ,,თუ რუსეთი ოკუპანტია, მაშინ თურქეთიც, აზერბაიჯანიც და სომხეთიც ოკუპანტია'' (მითების დეტექტორი 2020). აღნიშნული პროპაგანტისტული ნარატივებით, რუსეთის ფედერაცია, ერთის მხრივ, საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის, ეთნიკურად უმცირესობის) სახით ეტაპობრივად იჩენს მომხრეებს, თანამოაზრეებსა და შესაბამისად, რუსეთის აღქმა, როგორც ძირითადი საფრთხე - კარგავს აქტუალობას. ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო სისტემაში საქართველო გამოჰყავს, როგორც კონფლიქტური სახელმწიფო, რადგან რუსეთის ნარატივის მიხედვით ,,საქართველოს არა მხოლოდ რუსეთთან აქვს კონფლიქტი, არამედ ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან" (დეზინფომეტრი 2020, 39). შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ქმედებებით რუსეთი ასევე აღწევს

გარკვეულ მიზანს, რაც გამოიხატება საქართველოში პრორუსული საზოგადოების ეტაპობრივად ზრდაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, შემდეგი საერთაშორისო კვლევები:

> 2015 წლის აგვისტოში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) და CRRC საქართველომ ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ამ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 28%-მა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიულ კავშირში, [...] მაშინ, როდესაც 2013 წლის მონაცემების მიხედვით, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას გამოკითხულთა მხოლოდ 11% უჭერდა მხარს. ამის პარალელურად, თუ 2014 წლის აგვისტოს კვლევაში ევრო ატლანტიკურ ინტეგრაციას გამოკითხულთა 54% უჭერდა მხარს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 45%-მდე შემცირდა. (იმავე ორგანიზაციის მიერ 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა 24%-მდე შემცირდა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა კი 58%-მდე გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ წინა კვლევისგან განსხვავებით, აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებს) (ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის კვლევა 2016)

ზემოთ მოყვანილი კვლელების შედეგები მეტწილად გამომდინარეობს ფსიქოლოგიური ოპერაციებიდან, რუსული ტელეარხების პროდუქტებიდან, მათ მიერ გადმოცემული მსგავსი ნარატივებიდან და პროპაგანდით. ამის მაგალითია 2021 წლის 31 ოქტომბერს ქართველი ჟურნალისტის, ალექსანდრე ბუზალაძის მიერ მომზადებული რეპორტაჟი რუსული ტელეარხ ,,Россия 1"-ისთვის, სადაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით იყო საუბარი. რეპორტაჟი გადაღებულია საქართველოს რამდენიმე კუთხეში და ხანგრძლივობა შეადგენს 9 წუთს. რეპორტაჟში აღწერილია საქართველოს მოქალაქეების შემდეგი უკმაყოფილება: უპირველესად, ჟურნალისტი ხაზს უსვამს, თუ როგორ მიატოვა დასავლეთმა საქართველო და ამით გამოიწვია იმედგაცრუება; შემდეგ თემაში აღწერს, ცხინვალის რეგიონის ეგრეთ წოდებული ადმინისტრაციული საზღვრისპირა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას. რეპორტაჟში საქართველოს მოქალაქეები აღნიშნავენ, თუ როგორ არიან ისინი უკმაყოფილო საქართველოს ხელისუფლებით, კონკრეტულად ცხინვალთან კავშირის ჩაკეტვით. მათი თქმით, კავშირის გაწყვეტა ცხინვალთან განახორციელა საქართველოს მხარემ. ასევე ხაზი გაესვა 2008 წელს რუსი ჯარისკაცების ქართულ სოფლებში მშვიდობიან შემოსვლას. (Россия1 2021)

მესამე საკითხი შეეხებოდა ახალქალაქში რუსული სამხედრო ბაზის დაკეტვას, საქართველოს მოქალაქეებმა გამოთქვეს მწუხარება რუსული ბაზის გაყვანასთან დაკავშირებით. ისინი აღწერენ, რომ აღნიშნულმა უარყოფითად იმოქმედა მათ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე, გააუარესა მათი ეკონომიკური ვითარება. მათი თქმით საქართველოში ცხოვრება შეუძლებელია, ამიტომ აპირებენ ქვეყნის დატოვებას, კერძოდ რუსეთში შვილთან წასვლას. ასევე აღინიშნა სომხებსა და ქართველებს შორის რუსული ენით კომუნიკაციის მნიშვნელობა. რეპორტაჟის ბოლოს გაშუქებულია დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომლებიც გამოთქვამენ თურქეთის მიმართ უკმაყოფილებასა და ნატრობენ რუსეთთან კავშირის აღდგენას. (Россия1 2021)

ზემოთ მოყვანილი ყველა ნარატივი გაჟღერებულია საქართველოს მოქალაქეების მხრიდან. ისინი ერთსულოვნად პრობლემების გადაჭრის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევენ მხოლოდ რუსეთს. შესაბამისად რეპორტაჟის მასიურად გავრცელების შემდეგ შესაძლოა მოხდეს პრორუსული გავლენის გავრცელება იმ ნეიტრალურად განწყობილი საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ დასავლეთისთვის მყარი მხარდაჭერა. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს დასავლეთის ანტიპათია და რუსეთის სიმპათია. ასე რომ, დიდი ალბათობით, ამ შემთხვევითაც გაიზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეყნის მოსახლეობაში შიშისა და უძლეველობის სინდრომის დანერგვა

რუსეთის მხრიდან ფსიქოლოგიური ოპერაციების საშუალებებით საქართველოს მოსახლეობაში შიშისა და უიმედობის დანერგვა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზეგავლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღნიშნული ქმედებით რუსეთი ერთდროულად ახერხებს საქართველოში ანტიდასავლური მესიჯების გავრცელებასა და ამასთანავე ქვეყანაში ზრდის პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის მხარდაჭერას, რაც თავის მხრივ რუსეთის, როგორც საფრთხის აღქმას, კიდევ უფრო ამცირებს. ზემოხსენებულ მოსაზრებას ნათლად

ადასტურებს, მედიის განვითარების ფონდის (MDF) და საქართველოს გაეროს ასოციაციაციის (UNAG) მიერ გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ. ანგარიშში, რომელიც 2019 წლის მონიტორინგის შედეგებს ასახავს, აღნიშნულია, რომ ,,2016 წელთან შედარებით, ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოში ორჯერ გაიზარდა.''(JAM news, 2020) ამავე ანგარიშში ანტიდასავლური ნარატივები სამ ეტაპადაა გამოყოფილი: პირველი - შიშის დათესვა, მეორე - უიმედობის დანერგვა და მესამე ხსნის - ანუ გამოსავლის შეთავაზება. განვიხილოთ თითოეული ეტაპები და მათი განვითარების დინამიკა. დავიწყოთ შიშის დათესვით. რუსეთი მუდამ აპელირებს მის სამხედრო ძალაზე და ქართული საინფორმაციო საშუალებებით ავრცელებს ისეთ ნარატივებს, სადაც ხაზია გასმული ,,რუსეთის სამხედრო სიძლიერეზე და საქართველოს თავდაცვის ძალების უძლურობაზე" (აიფაქტი, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება 2021) აღნიშნულით რუსეთის ფედერაცია, საქართველოს გარკვეული მოსახლეობის დახმარებით, ცდილობს საქართველოს მოქალაქეებზე მოახდინოს ზეგავლენა და დათესოს შიში. მათ შორის ბრძოლის განახლებისა და რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების შემთხვევაში, საქართველოს პოლიგონად გადაქცევის შიში.

რაც შეეხება მეორე ეტაპს - უიმედობას, რუსეთი ცდილობს ასევე დანერგოს, დასავლეთის მხარდაჭერის, უიმედობის შეგრძნება. აღნიშნულთან დაკავშირებით ნათელ მაგალითს წარმოადგენს, მათი მიერ გავრცელებული შემდეგი ტიპის ნარატივები: ,,საქართველოს გამო დასავლეთი რუსეთს არ დაუპირისპირდება და რომ ამერიკა არასანდო პარტნიორია, რომელმაც ქურთების დაცვა ვერ შეძლო". (JAM news, 2020) ამას ემატება ნატოში გაწევრიანების დროში გაწელილი მოლოდინი და რუსეთის ექსპერტების შემდეგი განცხადებები. მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე კრამჩიხინმა განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ნატოს მხრიდან გაფართოების საკითხში არ ხდება ისეთი ქვეყნების მიღება, რომლებსაც აქვთ მოუგვარებელი კონფლიქტები, შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა, იქამდე, ვიდრე საქართველო ოფიციალურად არ აღიარებს ცხინვალის რეგიონის (ე.წ სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ("ნატოს წევრობის ბუნდოვანი პერსპექტივა" 2016) ალექსანდრე კრამჩიხინმა ასევე ხაზი გაუსვა საქართველოსა და ნატოს სამომავლო ურთიერთობებს და აღნიშნა: „რაც შეეხება თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებასა და ნატოს კონტინგენტის საქართველოში გაზრდას, მე ამას არ ველოდები, მაგრამ თუ ეს მოხდება, მოსკოვის პასუხი იქნება ადეკვატური. რაც უფრო დიდი იქნება მათი კონტინგენტი, მით უფრო გაიზრდება საჯარისო შენაერთების რაოდენობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში." მიუხედავად იმისა, რომ ნატოსა და საქართველოს ურთიერთობები დღითი-დღე ძლიერდება და მოიცავს უფრო ქმედით ღონისძიებებს, რომელიც დასტურდება ნატო საქართველოს არსებითი პაკეტით, (ე.წ SNGP) საქართველოს და ნატო-ს ადმინისტრაციის ხშირი ვიზიტებით, შეხვედრებითა და საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში საქართველოს მხარდამჭერი მკაფიო გზავნილებით, (ლოიდ ოსტინის ვიზიტი საქართველოში 2021) საქართველოს მოსახლეობის გარკვეული კატეგორია, ნატოს შესაძლებლობებსა და პასუხისმებლობებს მაინც ისე აღიქვამს, როგორ ინტერპრეტირებასაც ახდენს რუსეთის ფედერაცია. ეს კი მათში იწვევს ნატოს და საერთოდ დასავლეთის უნდობლობისა და უიმედობის შეგრძნებას, შიშისა და უიმედობის განცდას, რომ საქართველო ვეღარასადოს იქნება მთლიანი. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პირივნებათა კატეგორია, არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით, აქტიურად განიხილავენ, სხვა სანდო პარტნიორებს.

ზემოაღნიშნული ვითარების ფონზე, პრობლემებისა და გამოწვევების, ერთადერთ ალტერნატიულ ხსნად და გამოსავლად, რუსეთი, საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობს თავის თავს. ეს გარემოება კი საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის მისაღებ ფაქტორად რჩება. მათი განმარტებით, მოცემული შეთავაზებით თავს გაცილებით დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნობენ. (ავტორის გამოკითხვა) თუმცა, ჩვენ თუ გავიხსენებთ ამერიკის პრეზიდენტის ბენჟამენ ფრანკლინის სიტყვებს: ,,ის, ვინც დათმობს თავისუფლებას დროებითი უსაფრთხოების მისაღებად, არც თავისუფლების ღირსია და არც უსაფრთხოების.''

როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიისთვის ქვეყნის უსაფრთხოების გადაჭრის გზები გადის ჩრდილოეთით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა უსაფრთხობისა, ჩრდილოეთი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ქვეყნის გარკვეული მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობაზეც. რადგან საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია თვითდასაქმებით. კერძოდ, სოფლის მეურნეობით, ხოლო მათი პროდუქტების რეალიზაცია პირდაპირ დაკავშირებულია რუსეთის ბაზარზე. საქართველოში ,,სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 39%-ია. ამ სექტორში 659 ათასი ადამიანია დასაქმებული, რომელთა უმეტესი ნაწილი საკუთარ მეურნეობაში (მცირე მიწაზე) მუშაობს. ქვეყნების მიხედვით ყველაზე მეტი ღირებულების სურსათი და სასმელი საქართველოდან რუსეთში გადის" (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში 2020,1). საკვები პროდუქტებისა და სასმელების ექსპორტის ზრდა განპირობებულია 2018 წელს რუსეთის ბაზრის გახსნით

(საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, 33) როგორც ჩანს, დღესდღეობით პროდუქტის რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ბაზარს წარმოადგენს რუსეთი. გლეხი, რომელიც წლის მოსავლის გასაღებას ახდენს მისთვის ხელსაყრელ ფასად და მან იცის, რომ მისი ფინანსური კეთილდღეობა განპირობებულია რუსეთის ბაზრით. ამ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობისთვის რუსეთის აღქმა, როგორც საფრთხე - ასევე მცირდება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ რუსეთი აღვიქვან როგორც მტერი. რადგან ცნობილია, ყველაფერი მსოფლიოში ემსახურება მხოლოდ ერთ ფაქტორს, კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, გამოსავალი შესაძლოა იყოს შემდეგნაირი: დასავლეთის ინვენსტიციების მოზიდვა და მათი დახმარებით ალტერნატიული ბაზრების მოძიება, გაფართოება. რომელიც გაცილებით მიშვნელოვნად შეცვლის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კეთილდღეობას. აღნიშნული კი თავისთავად შეამცირებს რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულბასა და ჩანაცვლდება სხვა ალტერნატიული ბაზრით. საბოლოოდ, შეიცვლება საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან კატეგორიაში რუსეთის აღქმა არა როგორც მისი ფინანსური კეთილდღეობის წყარო, არამედ როგორც მათი კეთილდღეობის, განვითარების დაბრკოლებად და საბოლოოდ უკან რეგრესისკენ სვლის გენერატორად.

რუსეთის მუდამ ღიად და ფარულად, ცდილობდა ხელი შეეშალა საქარველოს განვითარებისთვის, შესაბამისად ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. რადგან თუ საქართველო ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით განვითარდება, აღნიშნული შეუმჩნეველი არ დარჩება როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებისთვის, ასევე რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომელიც არ შედის და რადიკალურად ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. როგორც უკვე აღინიშნა ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგი - ოკუპირებული ტერიტორიები. რუსეთის განმარტებით, საქართველოსთან ომში იძულებით ჩაერთო იმ მიზეზით, რომ აღეკვეცა ოსების გენოციდი, ქართველთა მხრიდან. თუმცა, რეალურად, მრავალი ქართველი და უცხოური მკვლევარისა და პოლიტიკოსის მიერ ომის მთავარ მიზეზი დასახელებულია საქართველოს ჩრდილოატლანიკური ორგანიზაციებში გაწევრიანებისკენ სწრაფვა და მისთვის ხელის შეშლა, კერძოდ, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შედეგები. მათმა გეგმამ შეიძლება ითქვას ნაწილობრივ იმუშავა, რადგან საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი გაურკვეველი პერიოდით გადაიწია. თუმცა, მთავარი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, რაც მოიცავდა საქართველოს მიერ არჩეული დასავლეთის პოლიტიკური ვექტორის შეცვლას ჩრდილოეთ ვექტორით. საქართველოს ეროვნულ კონცეფციაში ნათლად არის განსაზღვრული დასავლეთის ვექტორი და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციებში გაწევრიანეისკენ სწრაფვა. ამ ვითარებაში რუსეთმა შეიძლება ითქვას შეცვალა სტრატეგია და უკვე დასავლეთს ხისტად წაუყენა შემდეგი ულტიმატუმი: 2021 წლის 10 დეკემბრის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტით მოითხოვეს 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ოფიციალურად გაუქმება, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. (Министерство иностранных дел Российской Федерации, 2021). მათი განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ეუთოს ყველა მონაწილე სახელმწიფოს ლიდერების ვალდებულებას - „არ გააძლიერონ, მათი უსაფრთხოება სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე“. (Министерство иностранных дел Российской Федерации, 2021) თუმცა, დასავლეთის მხრიდან, რუსეთის ულტიმატუმზე, ადეკვატური პასუხები იქნა გაჟღერებული. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, საქართველოს პრემიერ მინისტრთან შეხვედრის დროს, რუსეთის მიერ გამოქვეყნებულ მოთხოვნების პასუხად აღნიშნა:

> საქართველო არის ნატოს ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი. [...] ჩვენ ვაგრძელებთ რუსეთისთვის მოწოდებას, რომ შეწყვიტოს აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის” რეგიონების აღიარება და გამოიყვანოს სამხედრო ძალები. [...] ჩვენ შევთანხმდით, რომ ნატო იქნება ძალიან ფხიზლად, რათა თავიდან აიცილოს შემდგომი ესკალაცია. რუსეთის მხრიდან მომავალ ნებისმიერ შემდგომ აგრესიას ექნება მაღალი ფასი და ამასთანავე ექნება ძალიან სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის. საქართველოს და უკრაინას აქვს უფლება თავად აირჩიოს თავისი მოკავშირეები და რუსეთს არ აქვს უფლება, რომ უკარნახოს ეს არჩევანი. ჩვენ უარვყოფთ ნებისმიერ იდეას ევროპაზე გავლენის მცდელობისა.(იენს სტოლტენბერგი 2021)

მსგავსი შინაარსის განცხადებები ასევე გააჟღერეს ამერიკის და დასავლეთის პოლიტიკოსებმა. მაგალითად ევროპარლამენტის ლიეტუველმა დეპუტატმა ანდრიუს კუბილიუსმა განაცხადა:

> პუტინი, რომელმაც დაიწყო ომი საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ, ახლა ითხოვს, რომ ამ ქვეყნებმა არ უნდა იზრუნონ უსაფრთხოებაზე და დასავლეთმა ისინი უნდა მიატოვოს. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას და არა ქართველებმა და უკრაინელებმა. დროა ნაბიჯი გადაიდგას საქართველოს უკრაინისა და მოლდოვის ევროინტეგრაციისთვის და ეს ხვალინდელ

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე უნდა დაიწყოს. ასევე უნდა წავიწიოთ წინ ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმის საკითხზე. ეს თუ არ მოხდება, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ ქვეყნების მომავალი რეალურად მსხვერპლად შესწირეს პუტინის დაშოშმინებას. (ანდრიუს კუბილიუსი 2021)

მიმდინარე განცხადებები ცხადყოფს, რომ დღესდღეობით საქართველოსა და უკრაინის ჩდილოატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანება-არგაწევრიანების თემა, გახლავთ დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების შეჯახების არენა. მათი პაექრობის საბოლოო შედეგების პროგნოზირება ჯერ-ჯერობით ნაადრევია, თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ აღნიშნული გამოწვევის წინააღმდეგ დასავლეთს ამ ეტაპისთვის გააჩნია ერთი საერთო აზრი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იმუქრება, მოთხოვნების არ შესრულების შემთხვევაში გამოიყენებს ,,უკანასკნელ არგუმენტს" სამხედრო ძალას (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო), მაინც დასავლეთი ერთპიროვნულია და არ აპირებს გადაწყვეტილების შეცვლას. მკვეთრ დათმობებზე წასვლასა და რუსეთის მთავარ მოთხოვნების შესრულებას, რაც მოიცავს შეზღუდოს საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოების გადაჭრის არჩევანის თავისუფლება და საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოებას შეუქმნან საფრთხე. წინააღმდეგ შემთხვევაში, (იგულისხმება მოთხოვნების დაკმაყოფილება) ვფიქრობ, დამატებით შეარყევს დასავლეთის რეპუტაციას საერთაშორისო სისტემაში და მათ შორის საქართველოშიც, შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზრდება პრორუსულად განწყობილი მოსახლეობა და მათი გავლენები საქართველოში.

რეკომენდაციები

ზემოაღნიშული ვითარებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოსავლს და იარაღს წარმოადგენს:

ა) საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება როგორც ნატოსა და ევროკავშირის, ასევე რუსეთის შესახებ. საჭიროა ნათლად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმა. ამ შემთხვეაში, არ მიეცემა საშუალება რუსულ პროპაგანდას მიაღწიოს თავის ძირითად მიზანს, რაც მოიცავს საქართველოს კონსტიტუციური მისწრაფების, კერძოდ, ევროპლ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ხელის შეშლა.

ბ) ნათლად განმარტება საქართველოს მოსახლეობისთვის, რომ ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანება, თავისთავად მოითხოვს დროს. რომელიც შესაძლოა გაიწელოს გარკვეული პერიოდით, მანამ, სანამ არ მოხდება ნატოსა და ევროკავშირის სატანდარტების პრინციპების თავსებადობა ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული პროცესი კი საქართველოს მოსახლეობის მხრიდან, არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ცრუ მოლოდინები და უნდობლობის შეგრძნება. საჭიროა სტრატეგიული მოთმინება, ქვეყანაში ევროატლანტიკური პოლიტიკის გატარება. ხოლო როდესაც ეგრედ წოდებული ,,შესაძლებლობის ფანჯრის კარი'' საქრთველოსთვის გაიღება, აღნიშნულ პერიოდისთვის, ქვეყანა მზად უნდა იყოს, გახდეს, ჩრდილო და ევროატლანტიკური ორგანიზაციების სრულფასოვანი და დამსახურებული წევრი.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კოცეფციის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსის არჩევანს წარმოადგენს დასავლეთი, რაც გულისხმობს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციას, მაინც ქვეყნის მოსახლეობაში კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში პრორუსული განწყობილი საზოგადოება ეტაპობრივად იზრდება. მიზეზი შესაძლოა იყოს რუსული ჰიბრიდული ომი „რბილი ძალა" და რუსეთის მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური ოპერაციები: აგიტაცია-პროპაგანდა. ზემოაღნიშნული ქმედებები ეფექტურ ზეგავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის იმ გარკვეულ ნაწილზე, რომლებშიც იცვლება შეხედულება დასავლეთზე და იკვეთება იმედგაცრუება. მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობაში რუსეთის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ძირითად საფრთხედ აღქმასთან დაკავშირებით აზრი ორადაა გაყოფილი.

გამოყენებული ლიტერატურა

- აიფაქტი, 2021. რუსეთის “ალტერნატივა საქართველოსთვის” https://www.ifact.ge/altin/ (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდი (GMF).2016 ,,რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში.“ 2016წ. https://ei-lat.ge/wp-content/uploads/2020/09/politikis-dokumenti.pdf (გადამოწმებულ იქნა 05.11. 2021);
- გიორგაძე ლ. 2014. ,,საქართველოსა და რუსეთის საეკლესიო ურთიერთობები პოსტსაბჭოურ პერიოდში (1990-2004 წლებში).“ სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/lela_giorgadze.pdf; (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- იენს სტოლტენბერგი - ,,რუსეთის მხრიდან მომავალ ნებისმიერ შემდგომ აგრესიას ექნება მაღალი ფასი'' https://bit.ly/32mSj0U 15.12.2021(გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- ინტერპრეს ნიუსი. ლოიდ ოსტინის ვიზიტი საქართველოში https://bit.ly/32aZtoX 18.10.2021(გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- ანდრიუს კუბილიუსი - ,,დროა, რეალური ნაბიჯები გადავდგათ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროინტეგრაციისთვის'' 2021 წ https://bit.ly/3mhXtC6 (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021).
- ლაჩაშვილი.ი, მამულაძე და დავით ნაროუშვილი დ. დეზინფომეტრი. 2020. ,,ანტიდასავლური დეზინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში“ სექტემბერი-ოქტომბერი https://grass.org.ge/uploads/other/2021-01-06/825.pdf (გადამოწმებულ იქნა 04.11. 2021);
- მითების დეტექტორი.2020 ,,პარლამენტის 14 წევრის მხარდაჭერილი კანდიდატის ანტიდასავლური და ქსენოფობიური განცხადებები.“ 25 ივნისი, 2020 https://bit.ly/3wkn6Gv (გადამოწმებულ იქნა 05.11. 2021);
- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2011. NATIONAL SECURITY 2011 CONCEPT OF GEORGI A https://bit.ly/3o2K6WF (გადამოწმებულ იქნა 02.11. 2021);
- ნატოს წევრობის ბუნდოვანი პერსპექტივა.” n.d. Accessed December 10, 2021. https://iwpr.net/ka/global-voices/natos-cevrobis-bundovani-perspektiva (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2020 წლის თებერვალი ,,2012-2019 წლების ძირითადი ტენდენციები'' https://bit.ly/3syyezN (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში 2012-2019 წლებში არსებული ძირითადი ტენდენციები 12 მარტი, 2020 https://bit.ly/3IZQhV7 (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- ტელეკომპანია ,,TRT“. ,,პუტინი ისლამის რელიგიის შესწავლის მომხრეა.“ 25.01.2018 წელი. https://bit.ly/3EH9B6G (გადამოწმებულ იქნა 01.11. 2021);
- JAM news. MDF: ანტიდასავლური პროპაგანდის მთავარი აქცენტები - შიში და უიმედობა. 2020 წელი. https://bit.ly/30GKvX7 (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- ,,Россия 1“2021. ,,Вести ,Новости. Брошенный и забытый Саакашвили паникует и истерит.“ - 31 ნოემბერი, 2021. ვიდეო, 8:59 https://www.youtube.com/watch?v=82Ciy8TPmk4 (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);
- Заявление МИД России о диалоге с США и другими странами Запада относительно выработки гарантий безопасности - Новости - Министерство иностранных дел Российской Федерации (mid.ru) https://bit.ly/32f44Gs (გადამოწმებულ იქნა 15.12. 2021);

საინფორმაციო ომის გამოწვევა სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან მიმართებაში

მაიორი იოსებ ლორთქიფანიძე

აბსტრაქტი

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს საინფორმაციო გარემოს გამოყენება, როგორც ახალ საბრძოლო განზომილებად, თავიანი სამხედრო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მისი მასშტაბებიდან, გავრცელების სისწრაფიდან და ეფექტურობიდან გამომდინარე იგი საგრძნობლად აღემატება დღემდე არსებულ სხვა ანალოგიების შესაძლებლობებს. გლობალიზაციის პროცესმა აღნიშნული საშუალების ეფექტიანობა დამატებით გააორმაგა, სახელდობრ: გაქრა მოქმედების საზღვრები და დროის ფაზები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების ელემენტები ვერ უმკლავდებიან ახალი საბრძოლო სივრცის კომპლექსურობას. მოცემულ ესეში განხილული იქნება საინფომაციო ომი როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის ნომერ პირველი გამოწვევა მიმდინარე ეპოქაში.

აღნიშნული თეზისიდან გამომდინარე, ნაშრომი შეეხება ახალი საბრძოლო ინსტრუმენტის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს როგორიცაა: საინფორმაციო ომის განმახორციელებელი კადრები და უსაფრთხოების სამსახურის მიერ მათი იდენტიფიცირების დაბალი ალბათობა; მოქმედების სივრცეები ფიზიკურ გარემოსთან და დროსთან მიმართებით, სადაც ხაზი გაესმება აღნიშნული ინსტრუმენტის შეუზღუდავ შესაძლებლობებს; საინფორმაციო ომის სამიზნეები, მათზე ზემოქმედების მეთოდები და შედეგები.

საკვანძო სიტყვები:
საინფორმაციო ომი, სახელმწიფოს უსაფრთხოება, მოქმედების ფაზები, საინფორმაციო ომის ობიექტი, კიბერ-ჯარისკაცი.

THE CHALLENGE OF INFORMATION WARFARE IN RELATION TO STATE SECURITY

MAJOR IOSEB LORTKIPANIDZE

ABSTRACT

From the 1950s onwards, states began to actively use the information environment as a new combat dimension to achieve their own military-political goals. Due to its scale, speed of distribution and efficiency, it significantly exceeds the capabilities of other analogies to date. The process of globalization has further doubled the effectiveness of this tool, namely: The boundaries of action and time phases have disappeared. In addition, it should be noted that security elements can not cope with the complexity of the new combat space. This essay will discuss the information war as the number one challenge of the State Security Service in the current era.

Based on this thesis, the paper deals with such important components of the new combat instrument as: information warfare personnel and low probability of their identification by the security service; Spaces of action in relation to the physical environment and time, where unlimited possibilities of the said instrument are emphasized; targets of information warfare, methods and consequences of influencing them.

KEYWORDS:
information warfare, state security, phases of action, object of information warfare, cyber-soldier.

სახელმწიფოები შექმნის დღიდან ორიენტრიებული არიან განვითარებაზე, თუმცა ამისთვის აუცილებლია მშვიდი და სტაბილური გარემოს არსებობა. აღნიშნულის შექმნა წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის ძირითად ფუნქციას. ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში უსაფრთხოების ელემენტებს (არმია, პოლიცია, სპეცსამსახური) აღნიშნული გარემოს შექმნისთვის უწევს განსხვავებულ საშუალებებთან შებრძოლება, როგორიცაა: მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებული ძალები საზღავო, სახმელეთო და საჰაერო სივრცეში; არასახელმწიფოებრივი ელემენტები (ტერორისტული ორგანიზაციები); დაქირავებული მებრძოლები. გასული საუკუნის ბოლო მეოთხედიდან გამოჩნდა ახალი საბრძოლო განზომილება, საინფორმაციო გარემო, სადაც განხორციელებული ოპერაციები მისი მასშტაბებიდან, გავრცელების სისწრაფიდან და ეფექტურობიდან გამომდინარე საგრძნობლად აღემატება დღემდე არსებულ სხვა ანალოგიების შესაძლებლობებს. გლობალიზაციის პროცესმა და განსაკუთრებით ინტერნეტის მომხმარებელთა გაზრდილმა რაოდენობამ აღნიშნული საშუალების ეფექტიანობა გააორმაგა, სახელდობრ: გაქრა მოქმედების საზღვრები და დროის ფაზები. ინტერნეტ სივრცეში შექმნილი საინფორმაციო და სოციალური ქსელების ასევე რადიო, ტელემაუწყებლობის საშუალებით დაინტერესებული სახელმწიფო სამიზნე ქვეყანაში წინასწარ შერჩეულ აუდტორიაზე მისთვის ხელსაყრელი ინფორმაციის პროპაგანდის საშუალებით ახდენს უარყოფით ზეგავლენას, რაც იწვევს მოსახლეობის პოლარიზებას და ფიზიკურ დაპირისპირებას, რომელიც სახელმწიფოში ქმნის არასტაბილურ გარემოს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების ელემენტები ვერ უმკლავდებიან ახალი საომარ სივრცეში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების, იგივე საინფორმაციო ომის კომპლექსურობას. მაშასადამე საინფორმაციო ომი მისი ეფექტურობიდან გამომდინარე წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოების ნომერ პირველ გამოწვევას მიმდინარე ეპოქაში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ომში უშუალოდ ოპერაციების განმახორციელებელი კადრი არ არის დამკვეთის (სახელმწიფოს ან არასახელმწიფო აქტორის) მიერ წინასწარ რეკრუტირებული და გაწრთვნილი ინდივიდი, იგი ნებისმიერი შეიძლება იყოს, რომელმაც თვით დაინტერესების საფუძველზე შეისწავალა ციფრული სამყარო და შეუძლია ინტერნეტში გარკვეული სირთულის მანიპულაციების განხორციელება. საინფორმაციო ოპერაციის განხორციელების დროს ინტერნეტ სივრცეში შექმნილი ვითარება არ იძლევა შესაძლებლობას, რომ წინასწარ განისაზღვროს თუ ვის მიერ იქნება თავდასხმა განხორციელებული, აგრეთვე ვინ ან რა იქნება ზეგავლენის ობიექტი და ასევე რომელი აქტორის დაინტერესებით ახორციელებს კიბერ-ჯარისკაცი კონკრეტულ ოპერაციას. ლ.ბიტმანის მიხედვით საინფორმაციო ოპერაციის განხორციელების დროს დამკვეთის, შემსრულებლის და ობიექტს შორის ურთიერთობის და ზემოქმედების რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული ვერსია მოიცავს სამ მონაწილეს: ოპერატორი, გავლენის აგენტი და მოწინააღმდეგე (შუბითიძე 2021.12). აღნიშნული მოდელის მიხედვით ოპერატორი არის დამკვეთი, გავლენის აგენტი-შემსრულებელი და მოწინააღმდეგე-ობიექტი. ეს მეთოდი ინიციატორს ანონიმურს ტოვებს, მოწინააღმდეგე განხორციელებული ოპერაციის შემსრულებლად და ავტორად გავლენის აგენტს აღიქვამს. მოცემული მეთოდის გამოყენებით წარმატებით განხორციელდა საინფორმაციო ოპერაცია ლატვიაში, სადაც რამდენიმე საინფორმაციო პორტალმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კორონა ვირიუსი შეიტანა კანადურმა სამხედრო შენაერთებმა. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა ნარატივი, რომ ლატვიაში კორონა ვირუსის წყარო ნატოს ძალები იყო. ამავ დროულად ვრცელდებოდა ინფორმაცი, რომ ლატვიაში ვირუსის გავრცელების მაღალი ნიშნულის გამო, ნატოს ძალები ტოვებდნენ დისლოკაციის რაიონებს და იგი დაუცველი რჩებოდა. (შუბითიძე 2021.20). ამ მაგალითის საფუძველზე არსად ჩანს რეალურად ვინ იყო ინიციატორი და ასევე შუძლებელია განსაზღვრო წინასწარ კონკრეტულად რომელი გავლენის აგენტი განახორციელებს ოპერაციას. შესაბამისად უსაფრთხოების სამსახურისთვის რთულია პრევენციულად ან დროულად მოახდინოს კიბერ-ჯარისკაცზე იგივე გავლენის აგენტზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება. დამატებით რეაგირების პროცეს ართულებს ის მოცემულობა, რომ დამკვეთი არ არის შეზღუდული რაიმე ხელშეკრულებით ან ვალდებულებით გავლენის აგენტის და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების რაოდენობაში. მაგალითად გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციით დღიურად მის საინფორმაციო სივრცეზე ხორციელდება 120 000 თავდასხმა(Gery,Lee,Ninas.2017.23). ზემოთ მოცემული მსჯელობიდან და მაგალითებიდან გამომდინარე ნათელია, რომ საინფორმაციო ომი არის პრიორიტეტული გამოწვევა უსაფრთხოების ელემენტისთვის.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საინფორმაციო ომის განხორციელების ფაზები, მასში მონაწილე შესაბამისი ელემენტების გათვალისწინებით. მარტინ ლიბიცკი მუთითებს რომ საინფორმაციო ომი შედგება შვიდი მნიშვნელოვანი ელემენტისგან: მართვის და კონტროლის ომი, სადაზვერვო ბრძოლა, ელექტრონული ბრძოლა, ფსიქოლოგიური ბრძოლა, ეკონომიკური საინფორმაციო (ბლოკადა, იმპერიალიზმი) ბრძოლა, კიბერბრძოლა (Libicki 1995, 5). აღნიშნულ ელემენტებს იყენებენ საინფორმაციო ოპერაციებში მონაწილე

დაპირისპირებული მხარეები როგორც მშვიდობიან ისე საომარი მდგომარეობის დროს. მშვიდობიან ფაზაში საინფორმაციო ოპერაცია ძირითადად ხასიათდება სადაზვერვო, შენიღბვითი, ჯაშუშური ღონისძიებებით ასევე სამიზნე ობიექტის შესაძლებლობის დეგრადირებით და საკუთარის გაუმჯობესებით. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხორციელდება დაინტერესებულ ქვეყანაში იმ კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამიზნეების დადგენა, რომელებზეც ზემოქმედების შემთხვევაში მიღწეული იქნება სასურველი საბოლოო შედეგი. ასევე ტარდება საბრძოლო ველის საინფორმაციო მომზადება, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე მოპოვებული იყოს მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე ინფორმაციული და ფსიქოლოგიური უპირატესობა. მაგალითად რუსეთმა ყირიმის ოკუპაციამდე საინფორმაციო ოპერაციები დაიწყო ერთი წლით ადრე. „Komsomolskaya Pravda“ (KP), „Regnum“, და „TV Zvezda“ -ს გამოყენებით აქტიურად ავრცელებდა უარყოფით ინფორმაციას უკრაინის მთვრობის შესახებ, ასევე გავრცელებული თემები ეხებოდა: საბჭოთა კავშირის აღდგენას და რელიგიურ საკითხებს(Sazonov,Müür,Mölder.2016). მოცემული ღონისძიებების გატარებით მათ მოახდინეს აღნიშნულ რაიონში ფუნქციონირებადი სამთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციების დეგრადირება, რითაც შექმნეს საფუძველი, რომ ყირიმი დაეკავებინათ უბრძოლველად.

ომიანობის პერიოდს რაც შეეხება, აქ საინფორმაციო ოპერაციები მიმდინარეობს საომარი მოქმედებების პარალელურად და ხასიათდება უფრო მეტი აქტიურობით და მაღალი ეფექტურობით. იგი მოიცავს სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლების დისკრედიტაციას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე ზეგავლენას, წინასწარ შერჩეული შეიარაღებული ძალების წევრების და მოქალაქეების დაშინებას, ზეწოლას სხვადასხვა სარგებელის მიღების მიზნით, ასევე დეზინფორმაციის გავრცელებას და კრიტიკულად მნიშვნელოვან ობიექტებზე ჰაკერულ თავდასხმას (Giles.2019,11). ყველა ზემოთ აღნიშნული მეთოდების საბოლოო მიზანია საკვანძო პირებმა ვერ მიიღონ გადაწყვეტილება დროულად ან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს არასწორი. მოსახლეობის კოგნიტურ პროცესებზე საიმფორმაციო ოპერაციებით ზემოქმედების პარალელურად ლეტალური ძალის გამოყენების საუკეთესო მაგალითი არის 2016 წელს სირიაში განვითარებული მოვლენები, სადაც რუსეთის სპეცსამსახურებმა “Twitter”-ზე შექმნეს პრორუსული დომეინი- “Southfront.org”, რომელსაც იყენებდნენ რუსული სამხედრო ძალის და სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის მოქმედებებზე, გადაწყვეტილებებზე დადებითი შინაარსის ინფორმაციის გასავრცელებლად, მაშინ როდესაც რუსული საავიაციო ბომბდამშენი თვითმფრინავები ბომბავდნენ ჰოსპიტლებს(Aro.2016). აღნიშნული ქმედებით საინფორმაციო ოპერაციამ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების რეალური მოქმედებები შენიღბა სხვა პოზიტიური შინაარსის მქონე ინფორმაციით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სირიის მოსახლეობის განწყობაზე და გამოიწვია მათი დადებითი დამოკიდებულება როგორც რუსეთის, ისე პრეზიდენტის მიმართ. მოცემული განხილვის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს რომ საინფორმაციო ომს არ გააჩნია რაიმე საზღვრები დროსთან და ფიზიკურ ადგილმდებარეობასთან მიმართებით, რომელიც ხაზს უსმევს მის კომპლექსურობას და ეფექტურობას. ეს მოცემულობა დამატებით ართულებს საინფორმაციო სივრცეში მოქმედებების კონტროლს, რაც ცალსახად წარმოადგენს უსაფრთხოების სამსახურის მნიშვნელოვან გამოწვევას.

შემდეგი განხილვის საკითხი იქნება საინფორმაციო ომის ზეგავლენის ობიექტები. ზოგადად მოწინააღმდეგე სახელმწიფოში თუ საჭიროა დესტაბილიზაცია, იმისთვის რომ მოხდეს მის პოლიტიკურ ელიტის დეგრადაცია და საბოოლოდ შეიქმნას მისი დამორჩილების წინაპირობა პირველ რიგში აუცილებელია ზეგავლენა კლაუზევიცის ცნობილი ტრეადაზე: ხელისუფლება, ხალხი, არმია. წარსულში არსებული საბრძოლო კონვენციური თუ არაკონვენციური ინსტრუმენტების გამოყენებით აქტორს შესაძლებლობა ჰქონდა აღნიშნული ტრეადიდან მხოლოდ ერთ-ერთზე მოეხდინა რეაგირება. ახალი საბრძოლო გარემო, იგივე საინფორმაციო სივრცე, წინამორბედებისგან განსხვავებით იძლევა საშუალებას, რომ ერთდროულად მოახდინო ზეგავლენა სახელმწიფოს სამივე ელემენტზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უპირატესობას იმ მხარის მიმართ, რომელიც იყენებს აღნიშნულ ინსტრუმენტს. სახელმწიფოს პოლიტიკურ სპექტრზე, ხელისუფლებაზე ზეგავლენა ხდება შემდეგი მიმართულებებით: ქვეყნის პოლიტიკურ ვექტორზე ზეგავლენით, პოლიტიკური ლიდერების სტატუსის დაკნინებით, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფუჭებით, ეკონომიკური ბლოკადის შექმნით ან ენერგო მატარებლების პროვოკაციული ბერკეტად გამოყენებით. ერთ-ერთი მაგალითი სახელმწიფოს პოლიტიკურ ვექტორზე ზეგავლენის არის ლატვიაში არსებული პრორუსული პოლიტიკური პარტიის “Harmony”- ის განცხადებები, რომლის თანახმად ის ღიად აცხადებს რომ რუსეთი აწარმოებს რაციონალურ და პრაგმატულ პოლიტიკას ევროპასთან მიმართებით. ასევე იგი ეწინააღმდეგება ყირიმის ანექსიის შედეგად რუსეთზე დადებულ სანქციებს (Bikovs,Bruge,Spruds 2018, 14). აღნიშნული ქმედებების შედეგად მოხდა ლატვიის პოლიტიკურ ვექტორზე უარყოფითი ზემოქმედება. მოსახლეობაზე ზეგავლენის განხორციელებისთვის კარგი მოცემულობაა, როდესაც დაინტერესებულ ქვეყანას სამიზნე სახელმწიფოში გააჩნია მისი ეროვნების მქონე მოქალაქეები, რადგან მათზე ზეგავლენის მოხდენა შედარებით მარტივია. ამ მდგომარეობის კარგი

მაგალითია ესტონეთში განვითარებული მოვლენა. ტალინის ერთ-ერთ ეკლესიაში შეკრებილ მოსახლეობას, რომელთა უმრავლესობა ეროვნებით რუსი იყო, მიმართა პრორუსულად განწყობილმა მღვდელმა: რომ ესტონეთი არის ისტორიული მართლმადიდებული რუსეთის ტერიტორია და ნებისმიერი ვინც იქნება ამ იდეის წინააღმდეგი არის მართლმადიდებლური სამყაროს დამყოფი(Estonian International Security Service 2021,6). ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამხედრო ძალაზე ზემოქმედი ფაქტორი მშვიდობიან პერიოდში, რომლის მიზანია საომარ მოქმედებამდე მოწინააღმდეგე ქვეყნის შენაერთები იყოს დემორალიზებული, რათა ვერ შეძლონ ეფექტურად დასახული ამოცანების შესრულება. რუსეთის მიერ ყირიმში 2014 წელს განხორციელდა საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაცია იქ განლაგებულ უკრაინულ სამხედრო ქვედნაყოფებზე. აღნიშნული ოპერაცია მიმდინარეობდა სამი კვირი განმავლობაში, რამაც გამოიწვია მათი მორალური მდგომარობის დაქვეითება. შედეგად რუსმა სამხედროებმა უმნიშვნელო წინააღმდეგობებით მოახდინეს ყირიმის ანექსია (Sokolov and Hadjitodorov. 2018, 11). მაშასადამე ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე ნათელია, რომ აქტორმა საინფორმაციო ომის გამოყენებით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მოწინააღმდეგე ქვეყნის ხელისუფლებაზე, ხალხზე და არმიაზე პარალელურად ასევე ინდივიდუალურად, რაც განაპირობებს მათ დემორალიზებას, სწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობის შემცირებას და დესტაბილიზაციას, რომელიც წარმოადგენს დამარცხების წინაპირობას. შესაბამისად უდავოდ შეიძლება ითქვას რომ საინფორმაციო გარემოში მიმდინარე საომარი ოპერაციები არის უსაფრთხოების ყველზე მნიშველოვანი გამოწვევა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ საინფორმაციო ომი შესაძლებელია გაჭიანურდეს ხანგრძლივად შედეგის მიღებამდე და სახელმწიფოებმა მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის უპირატესობა მიანიჭოს თანამედროვე ტექნოლოგიების უახლეს ქმნილებას: ზებგერით იარაღს. თუმცა გასათვალისწინებელია ის მოცემულობა, რომ აღნიშნული იარაღის შექმნა დაკავშირებულია კოლოსალურ ფინანსებთან, ასევე მას ექნება მხოლოდ წერტილოვანი ზემოქმედების ეფექტი, დამატებით აღნიშნული იარაღის გამოყენება მისი თვითღირებულებიდან გამომდინარე ყველა სამიზნეზე არარელევანტურია. ამავდროულად საინფორმაციო ომი მინიმალური ფინანსური დანახარჯებით, ნაკლები ადამიანური რესურსის დაკარგვის ალბათობით და მაღალი, მასშტაბური ეფექტიანობით მნიშვნელოვნად აღემატება ზებგერითი იარაღის გამოყენების მარგქმედების კოეფიციენტს. მოცემული მსჯელობის ნათელი მაგალითია ჩინეთის მიერ ტაივანის მის საზღვრებში მოსაქცევად განხორციელებული საინფორმაციო ოპერაციები, მაშინ, როდესაც მას უკვე გააჩნია ზებგერითი იარაღი(Sevastopulo,Hille 2021). ის იყენებს ძლიერი საინფორმაციო ომის სტარტეგიას ტაივანის ხელისუფლების წინააღმდეგ და არ გეგმავს ლეტალური ძალის გამოყენებას. პარალელურად ჩინეთი იგივე საბრძოლო ინსტრუმენტის გამოყენებით აფერხებს ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობას არსებულ სივრცეში (Gery,Lee,Ninas. 2017, 24). მაშასადამე მოცემული განხილვის საფუძველზე საინფორმაციო ომის უპირატესობა ცხადია და შესაბამისად წარმოადგენს უსაფრთხოების ელემენტის ძირითად გამოწვევას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა, მომავალში განხორციელებული საომარი კამპანია იქნება სამხედრო და არასამხედრო საბრძოლო ინსტრუმენტების გონივრული კომბინაციის ნაზავი, სადაც გამოყენებული იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო და ძალოვანი შესაძლებლობები, თუმცა წამყვანი როლი ექნება საინფორმაციო ოპერაციებს. აღნიშნულ ჰიპოთეზას ამყარებს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ვალერი გერასიმოვი, რომლის თანახმად მომავლის ომებში საინფორმაციო ომის წილი სამხედრო ძალასთან მიმართებაში იქნება 4:1 (Tashev, Purcell, Mclaughlin. 2019, 133). ამასთანავე აღსანიშნავია ახალი საბრძოლო ინსტრუმენტის უპირატესობები, როგორიცაა: კადრების შეუზღუდავი რაოდენობა, მათ მოსამზადებლად და დავალებების შესასრულებალდ მინიმალური ფინანსური დანახარჯი, განხორციელებულ ოპერაციებში ინიციატორის ანონიმურობა, ასევე საინფორმაციო ომის განხორციელების ფართო სპექტრი, დამატებით მისი გამოყენება შესაძლებელია მშვიდობიან და საომარ გარემოში, რომლის საშუალებით შესაძლებელია ზემოქმედება ნებისმიერ სამიზნეზე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანზე: ხელისუფლება, არმია, ხალხი. მაშასადამე აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ცხადია, რომ საინფორმაციო ომი არის მნიშვნელოვანი საბრძოლო ინსტრუმენტი და იგი წარმოადგენს სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულ გამოწვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

- შუბითიძე, ერეკლე.2021. საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე. თბილისი. https://gcsd.org.ge/storage/files/doc/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20-%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%20%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf 12.12.2021
- Gery,William., Lee, SeYoung., and Ninas, Jacob. 2017. Information Warfare in an Information Age. National Defense University Press. https://ndupress.ndu.edu/Portals/68/Documents/jfq/jfq-85/jfq-85_22-29_Gery-Lee- Ninas.pdf. 14.12.2021
- Libicki C, Martin. 1995. What is Information Warfare?. The Centre for Advanced Command Concepts and Technology.Washington. October. https://apps.dtic.mil/sti/pdfs/ADA367662.pdf. 16.12.2021
- Sazonov,Vladimir.,Müür,Kristiina.,Mölder,Holger.2016. Russian Information Campaign Against The Ukrainian State and Defence Forces. Estonian National Defence College. Tartu. July. https://www.ksk.edu.ee/wpcontent/uploads/2017/02/Report_infoops_08.02.2017.pdf . 13.12.2021.
- Giles, Keir. 2019. The Russian Information Warfare Constract. Royal military college of Canada. Ontario. March. https://cradpdf.drdc-rddc.gc.ca/PDFS/unc341/p811007_A1b.pdf 11.12.2021
- Aro, Jessikka.2016. The cyberspace war: propaganda and trolling as warfare tools. May https://doi.org/10.1007/s12290-016-0395-5 13.12.2021
- Bikovs, Arturs., Bruge, Ilvija., and Spruds, Andris.2018. Russia,s Influnce and Precence in Latvia. New Direction. Belgium. https://newdirection.online/2018-publications-pdf/ND-RussianInfluenceInLatvia-preview(low-res).pdf 16.12.2021
- Estonian International Sequrity Service.2021. Annual Rewiew 2020-2021. Tallin. Tallinna,Raamatutrükikoda. https://kapo.ee/sites/default/files/content_page_attachments/Annual%20Review%202020-2021.pdf 15.12.2021
- Sokolov Martin, Hadjitodorov Stefan. 2018. Blending New-generation Warfare and Soft Power: Hybrid Dimensions of Russia-Bulgaria Relations. The Quarterly Journal. No 1. (January). https://www.researchgate.net/publication/328116210_Blending_New-generation_Warfare_and_Soft_Power_Hybrid_Dimensions_of_Russia-Bulgaria_Relations. 16.12.2021
- Sevastopulo,Demetri.,Hille, Kathrin. 2021. China tests new space capability with hypersonic missile. FINANCIAL TIMES. October 16. https://www.ft.com/content/ba0a3cde-719b-4040-93cb-a486e1f843fb 16.12.2021
- Tashev, Blagovest., Purcell, Michael., Mclaughlin, Brian.2019. Russia’s Information Warfare Exploring the Cognitive Dimension. MCU Journal. https://www.usmcu.edu/Portals/218/CAOCL/files/RussiasInformationWarfare_MCUJ_Fall2019.pdf?ver=2019-11-19-093543-040 14.12.2021

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა 1990-1991 იან წლებში

ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი

აბსტრაქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სახელმწიფოს ხელახალი ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა ქვეყნისთვის. ერთის მხრივ საქართველოში ინსპირირებულმა ეთნიკურმა დაპირისპირებებმა და მეორეს მხრივ, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორცილებულმა პროცესებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის დასუსტებაში: სამოქალაქო ომი და აღმასრულებელი ხელისუფლების დამხობა, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში - თითოეულ აბ მოვლენას ერთმანეთთან უმნიშვნელოვანესი დამოკიდებულება გააჩნდა, რომელსაც ხელი შეუწყო, საგარეო ურთიერთობების განუვითარებლომაბ, რომელსაც თავის მხრივ მაქსიმალურად უჭერდა მხარს რუსეთის ფედერაცია და მსოფლიოში იმ დროისათვის არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა. 1991 წელს, საქართველოს ახლდაშექმნილი რესპუბლიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა არსებული რეალობისთვის. ფაქტიურად პოსტ-ცივიომისეული ლიბერალური წესწყობილების პროცესში საქრთველო მხოლოდ რუსული ზეგავლენის ქვეშ დარჩა, რაც 2 000 - იან წლებამდე იკვეთება ჩვენს რეალობაში. მიუხედავად 1990 - იანი წლებში განხორციელებული რუსულ ნარატივიანი პროვოცირებული ტრაგიკული მოვლენებისა, ქვეყნის ხელისუფლებამ შესძლო ქართული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათ შორის ძალოვანი სტრუქტურებისათვის ფუნქციური დატვირთვის მინიჭება.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილია 1990 -1991 წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვანი აპექტები, რომლებაც ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, ასევე ხაზგასმულია იმდროინდელი საგარეო ურთიერთობების ჩავარდნის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, ასევე გამოთქმულია ავტორის აზრი და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები:
რუსული ნარატივი, მნიშვნელოვანი ასპექტები, გეოპოლიტიკური, საბჭოთა კავშირის კოლაფსი

RESTORATION OF GEORGIA'S INDEPENDENCE AND THE SYSTEM OF INTERNATIONAL RELATIONS IN 1990-1991

LIEUTENANT COLONEL DAVIT MARGIANI

ABSTRACT

The process of restoring Georgia's independence and reviving the state turned out to be quite difficult for the country. On the one hand, the ethnic conflicts in Georgia and on the other, the internal political processes of the country, played an important role in weakening it: civil war and overthrow the executive government, conflict in the Tskhinvali and Abkhazia - Each event had a crucial relationship with each other, aided by the underdevelopment of international relations, which in turn, were strongly supported by the Russian Federation and the geopolitical situation in the world at that time. In 1991, the newly formed Republic of Georgia turned out to be unprepared for the current realities. In fact, in the process of liberal institutions after the Cold War, Georgia remained under Russian influence, which manifested itself in our reality until the 2000s. Despite the provocative tragic events of the Russian narrative of the 1990s, the government of the country was able to transfer functional control to state institutions of Georgia, including law enforcement agencies.

The previous article highlighted important aspects of the processes that took place in Georgia in 1990-1991, which influenced the formation of the Armed Forces of Georgia, It also emphasizes the subjective and objective reasons for the failure of international relations at that time, as well as the opinion and recommendations of the author.

KEYWORDS:
Russian narrative, importent aspects, geopolitical, the collapse of the soviet union

შესავალი

მე-20 საუკუნის დასასრულს მსოფლიოს უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები მოხდა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა საბჭოთა კავშირის კოლაფსმა და მის ადგილას ახალი სახელმწიფოების აღმოცენებამ.[1] თავის მხრივ ისტორიულ კანონზომიერებას ექვემდებარება სახელმწიფოების ტერიტორიების ცვლილებები, ახალი სახელმწიფოებრივი სუბიექტების წარმოქმნა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო გაერთიანებების შექმნა და დაშლა, თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის შეწყვეტა რომელიც თავის მხრივ დადებითი მოვლენა იყო, მას თან ახლდა მთელი რიგი უარყოფითი მოვლენებიც. მიუხედავად იმისა რომ ამ უკანასკნელმა თავისი არსებობა ჯერ კიდევ 3 ათწლეულის წინ შეწყვიტა, მისმა სამართალმემკვირემ რუსეთის ფედერაციამ აქტიურად გააგრძელა საგარეო პოლიტიკის ის კანონზომიერება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას გააჩნდა სხვადასხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში. მაგალითისათვის კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების ინსპირირება, რომელიც 30 წლის შემდგომაც გადაუწყვეტავ დილემად რჩება ისტორიისათვის. თუ გადავავლებთ თვალს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგებს კავსაკიის რეგიონისათვის, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) სომხეთ-აზერბაიჯანის, სამხედრო კონფლიქტების და გაუთავებელი დაპირისპირებების საბაბად იქცა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოსთვის დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ნაშრომი საკმაოდ აქტუალურია. ხოლო შედეგები რომელსაც 30 წლის შემდგომაც იღებს საქართველო ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, სწორედ რომ 1990 - იანებში განხორციელებული პროცესებიდან (სამოქალაქო ომი, ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტები) მომდიანრეობს. სწორედ აქედან გამომდინარე, ქვეყნის „ნატო“-ში გაწევრიანების პროცესიც გაჭიანურებულია განსხვავებით სხვა რამდენიმე საბჭოთა ყოფილი რესპუბლიკისაგან. ნაშრომს აქტუალობას სძენს ისიც, რომ დღემდე არ არის გაშუქებული საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოსათვის სამხედრო მატერიალური დოვლათის რაოდენობრივი მონაცემები.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეროვნული მორაობის შედეგის პიკს წარმოადგენდა. 1990 წლის 14 ნოემბრის[2] უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით გაუქმდა „საქართველოს სსრ“ და მის ნაცვლად გაჩნდა ტერმინი საქართველოს რესპუბლიკა. 1991 წლის 31 მარტს[3] ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მიხედვით. იქიდან გამომდინარე რომ 1921 წლის საქართველოს ანექსიიდან 1991 წლამდე მუდმივ ცვალებადი იყო საქართველოს ტერიტორიები[4] საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებებით. მაგალითისათვის მისი ტერიტორია 1919 წლისათვის შეადგენდა 107 600 კვ.კმ. ხოლო საბჭოთა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია 69 700 კვ.კმ -ს სხვაობა 37 900 კვ.კმ-ია. რომელიც წლების განმავლობაშ სხვადასხვა ხელშეკრულებებით გადაეცა: რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის სსრკ რესპუბლიკებს და თურქეთს. სწორედ ამიტომ მისი აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მხირიდან განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა საზღვრებში.[5] რაც ერთის მხრივ გამორიცხავდა ახალი კონფლიქტების წარმოშობას სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ტერიტორიული პრეტენზიების ნიადაგზე, ხოლო მეორეს მხრივ გარკვეულწილად ზღუდავდა ეროვნული მოძრაობის მისწრაფებებს ისტორიული სამართლიანობის აღდგენსათან დაკავშირებით. თარიღების მიხედვით საქართველოს დამოუკიდებლობა პირველ ეტაპზე სცნეს შემდეგმა დიდმა სახელმწიფოებმა: 1991 წლის 25 დეკემბერს ა.შ.შ,[6] კანადამ ირანმა, 1991 წლის 27 დეკემბერს ჩინეთმა, ბელარუსიამ, ეგვიპტემ, სლოვენიამ 1991 წლის 28 დეკემბერს ხორვატიამ და იორდანიამ, ამავე წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანმა 13 სექტემბერს სომხეთმა 12 დეკემბერს უკრაინამ და თურქეთმა 20 დეკემბერს

1 გაჩეჩილაძე, რ. „რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი“ https://www.gfsis.org/files/my-world/4/USSR.pdf უკანასკნელად ნანახია 11.28.2021წ. (საბჭთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიქმნა 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული სახელმწიფო)

2 1990 წლის 14 ნოემბრის, ზვიად გამსახურდიას იმართვა http://www.ai-ia.info/online-arqivi/53-1990-clis-14-noemberi-saqartve-los-uzenaesi-sabchos-tavmjdomaris-gamosvla.htm უკანასკნელად ნანახია 11.28.2021წ.

3 დარჩაშვილი, მ. „1991 წლის რეფერენდუმი საქართველოში“ ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი, თბ. 2011წ.

4 ნათმელიძე, მ. „საქართველოს ტერიტორიების ცვლილებები 1921 წლიდან“ საქართველო არის ესე თბ.2003 წ,

5 საქართველოს ეროვნული არქივი, https://archive.gov.ge/ge/sakartvelos-damoukideblobis-aghdgena-1 უკანასკნელად ნანახია 28.11.2021წ.

6 ა.შ.შ-ის საელჩო საქართველოში „აღიარება“ https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/ უკანასკნელად ნანახია 28.11.2021წ.

ლიტვამ და სხბვებმა.[7] მიუხედავად საერთაშორისო აღიარებისა საქართველო მაიც დადგა ტერიტორიული მთლიანობის რისკის წინაშე, რომელიც შედარებით ძველი ისტორიული ნარატიებით იყო განპირობებული.

თუ ჩვენ ჩავუღრმავდებით საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილის, ცხინვალის რეგიონის სტატუსის ჩანაცვლებამ „სამხრეთ ოსეთით",[8] რომლის წინაპირობაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიელი ოსების ჩამოსახლებით დაიწყო და დაირღვა ეთნიკური ბალანსი ეთნიკურ ქართველებთან მიმართებაში, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობის შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებში 1923-1924 წლებში გაჩენილმა ტერმინმა „სამხრეთ ოსეთი"-მა წარმოქმნა განცდა, რომ კავკასიის რეგიონში არსებობს ოსური სახელმწიფო, რომლის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილები ერთ ეთნიკურ და ტერიტორიულ მთლიანობას ქმნიან, თუმცა ამავდროულად სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკებს ექვემდებარება. რაც თავის მხრივ დროთა განმავლობაში ქმნიდა გნცდას, რომ არა საქართველო სახრეთ ოსეთი იქნება დამოუკიდებელი ან ავტონომიური სახელმწიფო, ამას კი ხელს უწყობდა ეთნიკური ბალანსი. მოცემულმა ისტორიულმა რეალობამ ჯერ კიდევ 1990 - იან წლებში, მაშინ როდესაც საქართველოს ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგის ზენიტში იმყოფება, ეგრედწოდებულმა „სამხრეთ ოსეთმა" გამოაცხადა დამოუკიდებლობა და საბჭთა რუსეთთან იშუამდგომლა, მის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრით, რამაც ამავე 1990 წლის 10 დეკემბერს ცენტრალური თბილისის მხრიდან ავტონომიის გაუქმება და მისი ტერიტორიების გადანაწილების გადაწყვეტილებით შიდა ქართლის, იმერეთის და რაჭის მხარეებზე დასრულდა. ცენტრალური ხელისუფლების ამ ნაბიჯმა ვერ უზრუნველყო მოცემული რეგიონის სტატუსკვოს შენარჩუნება, რაც შემდგომ 1991-1992[9] წლებში რეგიონში სამხედრო დაპირისპირებების და ამავე წელს რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის სამშვიდობო ლეგიტიმაციის საფუძველი გახდა. ერთის მხრივ რუსეთის ფედერაციამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭთა საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში ხოლო, მეორეს მხრივ არ დაკარგა მასზე ზეგავლენა და საერთაშორისო დონეზე დააკანონა მისი სამხედრო ძალების ყოფნის ლეგიტიმაცია აღნიშნულ რეგიონში.

აფხაზეთის საკითხი ცხინვალის რეგიონთან შედარებით, რთულ ფენომენს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 1990 - იანი წლების მონაცემებით ეთნიკური ქართველები აბსოლიტურ უმრავლესობას[10] 45.7 % (239 872) -ს ხოლო ეთნიკური აფხაზების რაოდენობა 17.8 %

(93 267) - ს წარმოადგენდა, ვერ უზრუნველყო საომარი მოქმედებების აღკვეთა. ერთის მხრივ გაერო-ს „ერთა თვითგამორკვევის" რეზოლუცია კარგავდა ლეგიტიმურ უფლებას, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის ფედერაცია მაქსიმალურად ცდილობდა დესტაბილიზაციის შექმნას რეგიონში სხვადასხვა ხელთ-არსებული საშუალებებით. მათ შორის

1. ისტორიული ნარატივებითა და მისი რადიკალური დამახინჯებით
2. ეთნიკურ ნიადაგზე გაღვივებული კონფლიქტის ტირაჟირებით
3. რელიგიურ ნიადაგზე აფხაზეთში ჩრდილო კავკასიელი და სხვა ეთნიკური წარმომავლობის სამხედრო ძალების მობილიზებითა და მათი ცენტრალურ თბილისთან დაპირისპირებებით.

მოცემულ მდგომარეობას მაქსიმალურად შეუწყო ხელი ცხინვალის რეგიონში ქართული ხელისუფლების კოლაფსმა და შიდა სამოქალაქო დაპირისპირებებმა, რაც ერთის მხრივ სეპარატისტული ძალებისათვის ქმნიდა სასათბურე პირობებს, ხოლო მეორეს მხრივ რამდენიმე ფრონტზე გაწელილ ქართულ პოლიტიკურ თუ სამხედრო ძალებს დროთა განმავლობაში უქვეითებდა რესურს. თუ თვალს გადავავლებთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში სამხედრო მოქმედებებს, ორივე მათგანი 1992 წლის 24 ივნისის სოჭის (დაგომისის)[11] და 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის[12] ხელშეკრულებებით დასრულდა. განსაკუთრებით საინტერესო კი აღმოჩნდა ფაქტი, რომ მიუხედავად ხელშეკრულების გაფორმებისა „სტატუსკვო" რომელიც გულისხმობდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ცენტრალური თბილისის დე-იურე შემადგენლობაში არსებობას, რეალური ნაბიჯები არ მოჰყოლია. მეტიც ფაქტიურად მათი სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ ფურცელზე დაწერილ აქსიომად იქცა, რომელმაც რეალობაში სულ სხვაგვარი განვითარება ჰპოვა. რუსეთის ფედერაციამ გაერო-ს მანდატით

7 მაცაბერიძე, მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა" http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Malkhaz%20Matsaberidze%20-%20Saqartvelos%20Politikuri%20Sistema%20-%20bolo.pdf უკანასკნელად ნანახია 28.11.2021წ.

8 ყალიჩავა, კ. „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ შედარებითი ანალიზი" თბ. 2019წ. http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Kakhaber%20Kalichava.pdf უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.

9 ჩიტაძე, ნ. „საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი, წარსული, აწმყო, მომავალი" თბ.2011წ. http://iccn.ge/files/sakartvelos_avtonomiuri_respublikebis_samartlebrivi_statusi_nika_chitadze.pdf უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.

10 საქსტატი, „საქართვეოს დემოგრაფიული მონაცემები 1992-2010წლებში" თბ. 2011წ.

11 UNITED Nation peacemaker ""Agreement on Principles of Settlement of the Georgian - Ossetian Conflict (Sochi Agreement)" https://peacemaker.un.org/georgia-sochi-agreement92 უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.

12 მოსკოვის 1994 წლის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. https://gmas.ge/2018/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%AA%C2%AD%E1%83%AE%C2%AD%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%C2%AD%E1%83%A7%C2%AD%E1%83%95%E1%83%94%C2%AD%E1%83%A2%E1%83%98%C2%AD%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93/ უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.

ფაქტიურად დააკანონა საკუთარი შეიარაღებული ძალების ლეგიტიმაცია რეგიონებში, რომელზეც თანხმობა იმდროინდელ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა გაცხადებული.[13]

პირველ ეტაპზე, საქართველო 1990 იან წლებში ფაქტიურად წარმოადგენდა ნახევრად დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რადგანაც მისი აღიარება დიდი პოლიტიკური წონადობის ქვეყნების მხრიდან მხოლოდ მას შემდეგ მოხდა რაც საბჭთა კავშირმა უზანაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1991 წლის 26 დეკემბერს გამოაცხადა დაშლა. ასევე 1989 წლის 9 აპრილს[14] თბილისში დატრიალებულ სისხლიან მოვლენებს ოფიციალურად არ გამოხმაურებია არცერთი დასავლური თუ ევროპული სახელმწიფო. მიზეზი მარტივია, დასავლეთი ამ პერიოდში მაქსიმალურად ფრთხილად ერევა საბჭოთა კავშირის შიდა სახელმწიფოებრივ ვითარებაში, რადგანაც მისი მთავარი მიზანი მიღწეულია „სსრკ“-ს კოლაფსი გარდაუალია, გერმანია გაერთიანებულია, ერთადერთი საფრთხე, რასაც ის ამ პერიოდში ხედავს არის ატომური სსრკ-ს დაშლის შედეეგად გამოწვეული ვითარება და მისი კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებს ჰქონდა კონკრეტული დაინტერესება საქართველოსთან მიმართებაში, ის რადიკალურ და უხეშ ნაბიჯებს არ დგავდა. რაზეც მეტყველებს 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმის დროს საქართველოში ა.შ.შ-ის ყოფილი პრეზიდენტისა და ჯორჯ ბუშის ოფიციალური წარმომადგენლის რიჩარდ ნიქსონის არაოფიციალური ვიზიტი.[15] ამით ა.შ.შ ცდილობდა ერთგვარი საფუძველი მოემზადებინა საქართველოსთან ურთიერთობისათვის და ამავდროულად გარკვეულ ირიბ „მესიჯებ“-ს უგზავნიდა ოფიციალურ რუსეთს. თუმცა სამწუხაროდ ეს ურთიერთობები გარკვეული მიზეზების გამო შედარებით გვიანდელ პერიოდამდე ვერ განვითარდა, რამაც ერთგვარი დაღი დაასვა საქართველოში 90 - იანებში დატრიალებულ მოვლენებს. დასავლეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებმა კოლაფსი 1991 წლის გაზაფხულისკენ განიცადა, მაშინ როდესაც ა.შ.შ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უფროსმა განაცხადა „აშშ მხარს არ დაუჭერდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოს რესპუბლიკას, რადგან ეს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმედ მიაჩნია“.[16] შესაძლებელია დავსვათ კითხვა: რამ განაპირობა დასავლეთის ინტერესი, შემდგომ მისი დაქვეითება და ბოლოს ისევ დაინტერესება საქართველოს საკითხით ? შევეცდებით პასუხი იმდროინდელი გეოპოლიტიკური რეალობებიდან გამომდინარე გავცეთ:

- აშშ-ს ინტერესი საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის არსებობდა განსაკუთრებით დამოუკიდებლობის აღდგენის ბრძოლის პერიოდში, თუმცა ურთიერთობების დინამიკის გაუარესება შესაძლოა ავხსნათ რამდენიმე ფაქტორით. 1991 წლის 31 ივლისს, ჯერ კიდევ ბუშის ცნობილ გამონათქვამამდე, გორბაჩოვსა და მას შორის შედგა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები ატომური და ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ,[17] რომლის კონტროლზეც საერთო მონიტორინგი უნდა წარმოებულიყო. ამით ა.შ.შ დასუსტებული რუსეთისგან ფაქტიურად ირიბად იღებდა გარანტიას მის ხელთ არსებული ატომური შეიარაღების კონტროლსა და გაუვრცელებლობაზე. სწორედ ამიტომ ა.შ.შ-მ ერთგვარი დათმობა განახორციელა საქართველოსთან ურთიერთობის საპირწონედ. ასევე არსებობს ლოგიკური ეჭვი, რომ ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის პროდასავლურ მენტორობაზე, რომელშიც სსრკ- რუსეთი და შემდგომ რუსეთის ფედერაცია ნაკლებად ერეოდა, შედგა ერთგვარი შეთანხმება ძალთა გადანაწილების და ზეგავლენის სფეროების შესახებ. ერთის მხრივ ა.შ.შ-მ კავკასიის რეგიონისა და სხვა რამდენიმე საბჭთა რესპუბლიკების მხარდაჭერაზე უარის თქმით მიიღო: გაერთიანებული გერმანია,[18] დამოუკიდებელი ლიტვა ლატვია ესტონეთი, ბირთვული შეთანხმება და მეორეს მხრივ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნები, რომლებიც მისდა ჩაურევლად შეძლებდნენ რუსეთის კიდევ უფრო დასუსტებას. ამავდროულად იმ ეტაპზე ზემოთ ხსენებული მიზეზების გარდა, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ერაყ-ქუვეითის საკითხი, რომელსაც შესაძლოა მეტ-ნაკლებად გამოეწვია ნავთობ-კრიზისიც. ხოლო საქართველოში 1990-იან წლებში ტირაჟირებული ინფორმაცია თითქოსდა ზვიად გამსახურდიას აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნდა პროდასავლური ორიენტაცია, ლოგიკურ აზრს არის მოკლებული, რადგანაც ამ პერიოდში მიღებულ ვერცერთ დოკუმენტში ვერ შევხვდებით მსგავს დამოკიდებულებებს, მეტიც იმდროინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მუდმივად კეთდებოდა პროდასავლური ორიენტაციული განცხადებები. მეტიც, გარდა ზემოთხსენებულისა თუ გავიხსენებთ ზ. გამსახურდიას 1991 წელს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვებს, საგარეო პოლიტიკური ბლოკადა არა

13 გოგიტიძე, მ. “ქართული ჯარის იტორია - ნაწილი I“ http://saqinform.ge/news/42080/mamuka+gogitiZe%3A+qatTuli+haris+istoria+%28nawili+1%29.html უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.

14 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია „ აღდგომიდან ამაღლებამდე“ ამონარიდები საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, გამონათქვამებიდან)

15 რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი საქართველოში https://lessonsgeo.wordpress.com/1991/03/01/%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A-2/

16 გოგიტიძე, მ. ქართული ჯარის ისტორია - ნაწილი I”

17 გუჩუა, ა. „სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში: ნატო და მასობრივი განადგურების იარაღი“ https://openscience.ge/bitstream/1/1988/3/Sadoktoro%20Guchua.pdf უკანასკნელად ნანახია 01.12.2021წ.

18 ჩოჩა, ვ. „გერმანიის გაერთიანება და მისი ასახვა ქართულ პერიოდულ პრესაში“ საქართველოს საპარლამენტო ბიბლიოთეკა

მხოლოდ მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, არამედ კონკრეტული ადამიანების[19] (ნაგულისხმევია შევარდნაძე) მიზანშედეგობრივი წინააღმდეგობით იყო განპირობებული, რომელიც პირადად გამსახურდიას უპირისპირდებოდა და ამით ზიანდებოდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ავტორიტეტი.

დასკვნა

ქართულ-რუსული ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის, თუმცა ისტორიის არცერთ პერიოდში ის არ ყოფილა თანაბარუფლებიანი. ამ ურთიერთობების საპირწონედ საქართველომ ასწლეულების განმავლობაში არაერთი შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტები, პოლიტიკური დაპირისპირებები და საომარი მოქმედებები გადაიტანა. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა თითქმის 100 წლიანმა (70 წელი) ოკუპაციამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის სწორხაზოვანი განვითარება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართელოს გაუჭირდა საერთაშორისო ურთიერთობათა არენაზე საკუთარი თავის დამკვიდრება, რასაც ხელი იმდროინდელმა მსოფლიო გეოპოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ფაქტიურად 1990 - იან წლებში დასავლეთმა ვერ უზრუნველყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა, რამაც შემდგომ უმნიშნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე, რაც დასავლეთისთვისაც ერთგვარ გამოწვევად იქცა შედარებით გვიან, რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკასთან დაპირისპირების ფაზაში.

დღესდღეისობით კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოცემული ისტორიული საკითხის სიღრმისეული შესწავლა, რადგანაც ისტორია სხვა არაფერია თუ არა გამოცდილება, რომელიც შესაძლოა საქრთველომ გამოიყენოს მომავალი შეცდომების პრევენციის მიზნით.

19 საქართველოს პირველი პრეზიდენტი, გამსახურდია, ზ. მიმართვა 1991წ, https://www.youtube.com/watch?v=D_RtAQrDHcg

გამოყენებული ლიტერატურა

- ყალიჩავა, კახაბერ. „კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ შედარებითი ანალიზი“ თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა, 2019წ.
- დარჩაშვილი, მანანა. „1991 წლის რეფერენდუმი საქართველოში“ თბილისი. ღია დიპლომატიის ასოციაციის სამეცნიერო ჟურნალი #17, 2011წ.
- მაცაბერიძე, მალხაზ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019წ.
- ჩიტაძე, ნიკა. „საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი, წარსული, აწმყო, მომავალი“ თბილისი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2011წ.
- გუჩუა, ალიკა. „სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში, ნატო და მასობრივი განადგურების იარაღი“ თბილისი. კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტი, 2020წ. https://openscience.ge/bitstream/1/1988/3/Sadoktoro%20Guchua.pdf უკანასკნელად ნანახია 01.12.2021წ.
- გამსახურდია, ზვიად. „საპრეზიდენტო მიმართვა“ საქართველოს უზენაესი საბჭო, თბილისი. 1990წ. http://www.ai-ia.info/online-arqivi/53-1990-clis-14-noemberi-saqartvelos-uzenaesi-sabchos-tavmjdomaris-gamosvla.htm უკანასკნელად ნანახია 11.28.2021წ.
- საქართველოს ეროვნული არქივი, „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ თბილისი 1991 წ. https://archive.gov.ge/ge/sakartvelos-da-moukideblobis-aghdgena-1 უკანასკნელად ნანახია 28.11.2021წ.
- გაჩეჩილაძე, რევაზ. „რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი“ გამომცემლობა ჩემი სამყარო #4. თბილისი 2014წ.
- გოგიტიძე, მამუკა. „ქართული ჯარის ისტორია - ნაწილი I” თბილისი. გამომცემლობა საქართელოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება, 2010წ.
- სიხარულიძე, კახა. „ამერიკელი სტუმრები თბილისში, რეფერენდუმის წინ“ თბილისი . დამოუკიდებლობის გაკვეთილები, 1991წ.
- გამსახურდია, ზვიად. „საპრეზიდენტო მიმართვა“ თბილისი. საქართველოს უზენაესი საბჭო. 1991წ, https://www.youtube.com/watch?v=D_RtAQrDHcg
- საქსტატი, „საქართვეოს დემოგრაფიული მონაცემები 1992-2010წლებში“ თბილისი, 2011წ.
- UNITED Nation peacemaker “”Agreement on Principles of Settlement of the Georgian - Ossetian Conflict (Sochi Agreement)” https://peacemaker.un.org/georgia-sochi-agreement92 უკანასკნელად ნანახია 29.11.2021წ.
- მოსკოვის 1994 წლის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. https://gmas.ge/2018/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%AA%C2%AD%E1%83%AE%C2%AD%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%C2%AD%E1%83%A7%C2%AD%E1%83%95%E1%83%94%C2%AD%E1%83%A2%E1%83%98%C2%AD%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93/
- ა.შ.შ-ის საელჩო საქართველოში „აღიარება“ https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/ უკანასკნელად ნანახია 28.11.2021წ.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების როლის გაფართოების პერსპექტივები

ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი სხირტლაძე

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამაში საქართველოს როლისა და ფუნქციის გაანალიზება. აღნიშნული პროგრამა ინიცირებული იყო ნატოს მიერ 2012 წელს ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ. პროგრამა მიზნად ისახავდა ეფექტურ-დანახარჯიანი თავდაცვის მექანიზმის შექმნას და ეფუძვნებოდა პრიორიტიზაციის, სპეციალიზაციისა და მრავალეროვნული თანამშრომლობის პრინციპებს. სტატიაში წარმოდგენილია კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ის ძირითადი მიმართულებები, რომლებშიც სპეციალიზაციის შესაძლებლობა აქვს საქართველოს. ამჟამად საქართველო ჩართული არის მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მრავალეროვნულ პლატფორმის პროექტში, რომელიც დაკავშირებულია კიბერუსაფრთხოებასთან. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობისა და საზოგადოების რეალისტური პოლიტიკის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება დამატებით სპეციალიზაცია სამხედრო თავდაცვის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით ოპტიმალურ ვარიანტად იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს პოტენციალის გამოყენება და უპილოტო საფრენი ხომალდების წარმოების ტექნოლოგიის განვითარება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შავი ზღვის აუზის ქვეყანასთან, თურქეთთან თანამშრომლობით. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პროექტი სრულად შესაბამისობაში იქნება “ჭკვიანი თავდაცვის” სამ ძირითად პრინციპთან.

საკვანძო სიტყვები:
„ჭკვიანი თავდაცვა“; „ნატო-საქართველოს ურთიერთობები“; „კიბერუსაფრთხოება“;

PROSPECTS FOR EXPANDING THE ROLE OF THE GEORGIAN DEFENSE FORCES WITHIN THE FRAMEWORK OF THE NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION'S "SMART DEFENSE" PROGRAM

LIEUTENANT COLONEL GIORGI SKHIRTLADZE

ABSTRACT

The main purpose of this article is to analyze the role and function of Georgia in the "Smart Defense" program. The program was initiated by NATO in response to the economic crisis in 2012. The program aimed to create a cost-effective defense mechanism and was based on the principles of prioritization, specialization and multinational cooperation. The article presents the main areas identified in the research, in which Georgia has the opportunity to specialize. Georgia is currently involved in the development of a multinational platform for the exchange of information on malware related to cyber security. As a result of the research, we found out that considering the geopolitical situation in Georgia and the realist political view of the society, it would be better to have additional specialization in the field of military defense. The optimal option in this regard was the use of the potential of the State Military Scientific-Technical Center "Delta" and the development of technology for the production of unmanned aerial vehicles, which can be implemented in cooperation with the Black Sea country, Turkey. The study showed that the project will be fully in line with the three basic principles of "smart defense."

KEYWORDS:
"smart defense"; NATO-Georgia Relationship; "Cyber Security";

შესავალი

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. საქართველო ეძებდა უსაფრთხოების ძლიერ გარანტს, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის დაცვას პოტენციური საგარეო მტრებისაგან. გადაწყვეტილება დასავლური კურსის სასარგებლოდ იქნა მიღებული. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ნატოს თანამშრომლობას, რაც დროთა განმავლობაში ძლიერდებოდა. 1999 წლიდან იწყება სამხედრო თანამშრომლობა. საქართველო მონაწილეობს დაგეგმვისა და განხილვის პროცესში (PARP). აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს იმ პარტნიორი ქვეყნების ძალებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას, რომელთაც შეუძლიათ ნატო-ს მოკავშირეებთან ერთად ითანამშრომლონ კრიზისებზე რეაგირების ოპერაციებში და უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის სხვა აქტივობებში. ის უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ძალების თავსებადობისა და შესაძლებლობების გასაზრდელად (Nato 2014). 2004 წელს იწყება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფორმატში თანამშრომლობა. ეს არის პარტნიორობის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ნატო ქვეყნებს აწვდის მათზე მორგებულ რჩევებს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიდა რეფორმებზე და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ფართო პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმების შესახებ (NATO 2017). 2008 წლიდან ნატომ საქართველოსთან თანამშრომლობა ფართოვდება წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში, რასაც მოჰყვა (2014 წ.) ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SGNP), რომლის მთავარი მიზანია ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება.

დღესდღეობით, ნატო-ს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში და შესაბამისად ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2021). მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ნატო-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებს "ჭკვიანი თავდაცვის" (smart defence) კონტექსტში. ვისაუბრებთ რა ფორმით არის ამჟამად საქართველო ინტეგრირებული აღნიშნულ პროგრამაში და რა მიმართულებით შეიძლება მოხდეს თანამშრომლობის გაფართოება.

საკვლევი კითხვა შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

» რა პერსპექტივები არსებობს ნატო-ს „ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამაში საქართველოს თავდაცვის ძალების როლის გაფართოების მიმართულებით?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა კვლევის შემდეგი ჰიპოთეზის გენერირება:

» საქართველოს შეუძლია სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს უპილოტო საფრენი ხომალდების დარგში სპეციალიზაცია

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი. კვლევაში მონაცემთა შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის ისეთი ტექნიკა, როგორიც არის თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. სიღრმისეულად იქნა გაანალიზებული „ჭკვიანი თავდაცვის" კონცეფცია და პროგრამის ძირითადი მიმართულებები. ასევე სამხედრო თავდაცვის მიმართულებით საქართველოს შესაძლებლობები და პოტენციალი.

ნაშრომის სტურქტურა შემდეგი სახით არის აგებული: მეორე ნაწილში დახასიათებული იქნება "ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამა. მესამე ნაწილში ვისაუბრებთ "ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამაში საქართველოს ინტეგრაციის შესაძლო ფორმებზე და როლზე. მეოთხე ნაწილში კი წარმოდგენილი იქნება დასკვნა.

ჭკვიანი თავდაცვა

2008-9 წლების ფინანსური კრიზისის, გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეების ზრდის საპასუხოდ, 2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე ნატომ წარადგინა ახალი ფუნდამენტური სტრატეგია - „ჭკვიანი თავდაცვა" (Giulia 2013). რეცესიამ და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდამ სახელმწიფოები აიძულა შეემცირებინათ თავდაცვის ხარჯები. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ მშვიდობა და სტაბილურობა არ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად და რომ ალიანსს სჭირდება ინვესტირება თავდაცვითი შესაძლებლობების ზრდისათვის. აღნიშნულმა განაპირობა თავდაცვის ხარჯების ტვირთის ხელახალი გადანაწილების საჭიროება, რადგან აშშ და კანადა ვეღარ იქნებოდა ძირითადი

კონტრიბუტორი. ალიანსის სხვა წევრები უნდა აღჭურვილიყვნენ იმ შესაძლებლობებით, რომელიც მიჩნეული იყო კრიტიკულად და მდგრადად. ამ გამოწვევის დასაძლევად ერთ-ერთი ინსტრუმენტია „ჭკვიანი თავდაცვა“ (Nato 2017). აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს არსებული ბიუჯეტების უფრო ეფექტურად ხარჯვას ერთობლივი მუშაობას, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას და მრავალეროვნულ პროექტებში მოკავშირეთა რესურსების კოორდინაციას. მოკავშირე ქვეყნებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ იმ უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც ნატო-ს ყველაზე მეტად სჭირდება; სპეციალიზდნენ იმაზე, რასაც აკეთებენ საუკეთესოდ და ეძებონ მრავალეროვნული გადაწყვეტილებები საერთო პრობლემებისთვის. ნატო შეითავსებს შუამავლის ფუნქციას და დაეხმარება ერებს ჩამოაყალიბონ და განავითარონ ის, რისი გაკეთებაც შეუძლიათ ერთად ნაკლები დანახარჯებით.

“ჭკვიანი თავდაცვის” სტრატეგია ემყარება სამ ძირითად პრინციპს: პრიორიტიზაცია, სპეციალიზაცია და მრავალეროვნული თანამშრომლობა. პრიორიტეტიზაცია გულისხმობს მრავალეროვნული ორგანიზაციების მიერ კრიტიკული პრობლემების რანჟირებას მნიშვნელოვნების მიხედვით. პრიორიტიზაციის პირველი პაკეტი შემუშავდა ლისაბონის სამიტზე 2010 წელს, რომელიც ცნობილია ლისაბონის შესაძლებლობების პაკეტით. პროექტები მოიცავს კრიტიკული მოთხოვნების ფართო სპექტრს, როგორიცაა ზუსტად მართვადი საბრძოლო მასალა, კიბერთავდაცვა, ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვა და ერთობლივი დაზვერვა და სხვ. (Tombarge 2014).

სპეციალიზაცია გულისხმობს ძალისხმევის კონცენტრაციას ალიანსისათვის ღირებულ იმ სფეროებში, სადაც მოკავშირეები ძლიერები არიან. შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში ერები იღებენ ცალმხრივ გადაწყვეტილებებს აღჭურვილობის გეგმების ფორმირებისას. ამ შემთხვევაში სხვა ქვეყნებს შეიძლება დაეკისროთ განსხვავებული მიმართულებების განვითარების ვალდებულება. ნატომ უნდა წაახალისოს სპეციალიზაცია „პროექტის მიხედვით“, რათა წევრები კონცენტრირდნენ თავიანთ ძლიერ მხარეებზე და კოორდინირებული მოქმედებით მიიღწეს თავდაცვის ბიუჯეტის შემცირება თავდაცვის პოტენციალის კლების გარეშე. ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის ერთადერთი, რომელსაც აქვს სრული სპექტრის ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობები, არის შეერთებული შტატები. ევროპის ქვეყნები სპეციალიზაციალიზდებიან გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. იმისათვის, რომ არ მოხდეს გადაჭარბებული კონცენტრაცია რომელიმე სფეროში, საჭიროა ცალკეული ქვეყნების გეგმების სინქრონიზაცია ალიანსის თავდაცვის გეგმასთან. ამას მივყავართ გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციებისა და სხვა წევრ ქვეყნებთან კოორდინაციის საჭიროებასთან.

მრავალეროვნული თანამშრომლობა პრინციპის მიხედვით თითოეული წევრი ნებაყოფლობით უერთდება პროექტს, რითაც იძენს ახალ შესაძლებლობებს. სახელმწიფოებმა შეიძლება შექმნან კლასტერები კონკრეტულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით და იმუშაონ მათ განვითარებაზე. ერთად მოქმედებით, ერებს შეუძლიათ განავითარონ შესაძლებლობები, რომელთა განვითარება დამოუკიდებელად არ შეეძლოთ, მაგალითად, რთული სამხედრო შესაძლებლობები. თანამშრომლობის ფორმები შეიძლება იყოს განსხვავებული: დაეფუძვნოს გეოგრაფიული, კულტურული თუ აღჭურვილობის მოთხოვნების თვალსაზრისით საერთო სტრატეგიულ ხედვას, ან მოხდეს რამდენიმე პატარა ქვეყნის კოოპერირება სხვა ერის ხელმძღვანელობის ქვეშ (Tombarge 2014).

ზემოგანხილული უპირატესობების მიუხედავად, “ჭკვიანი თავდაცვის” პროგრამა გამოწვევების წინაშე დგას რეალისტური პოლიტიკის მქონე ქვეყნებში. ამ ტიპის ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ სუვერენიტეტს, ინტერესებსა და ძალაუფლებას. განსაკუთრებით კი თავდაცვის სექტორში, რომელიც მათ მთავრობების მიერ ხშირად განიხილება წმინდა ეროვნულ საკითხად. გარდა ამისა, რეალისტური პერსპექტივით აქტორების პირადი ინტერესები არა თუ ავსებს, არამედ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. შედეგი არის ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ძალაუფლების შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სტატუსის გასამყარებლად და გადარჩენისთვის (Giulia 2013). მეორე მხრივ, შეიძლება წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი ალიანსის ხედვასა და ცალკეული წევრი სახელმწიფოს საზოგადოების ინტერებს შორის, განსაკუთრებით სამხედრო რესურსების გამოყენების საკითხში. ალიანსი შეიძლება ჩაერთოს კონფლიქტში, რომელიც კონკრეტული ქვეყნისათვის შეიძლება საფრთხეს არ წარმოადგენდეს, რაც გამოიწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას. საპირისპიროდ, ეროვნული ინტერესებისათვის არსებითი კონფლიქტი შეიძლება სრულად უგულებელყოფილ იქნას ერთობლივი პროექტის სხვა მონაწილეების მიერ.

საქართველოს როლი "ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამაში

„ჭკვიანი თავდაცვის" ინიციატივის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება დასახელდეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტი და მის შედეგად წარმოშობილი სამხედრო ხარჯების შემცირების საჭიროება. 2020 წელს ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემის წინაშე მსოფლიო კიდევ ერთხელ დადგა, ამჯერად პანდემიის მიზეზით. აღნიშნულმა კიდევ უფრო გაზარდა „ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამის მნიშვნელოვნება. მეორე მხრივ, სოციალური დისტანცირების ფონზე გაიზარდა ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის მოხმარება, რამაც გაზარდა მოთხოვნა კიბერ სივრცის დაცულობის კუთხით. ლისაბონის პაკეტი განსაზღვრავდა ათ პრიორიტეტს, რომელთაგან ოთხი - თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების მიმართ ბრძოლა; საჰაერო და საზღვაო გადაზიდვის შესაძლებლობების გაუმჯობესება; და კოლექტიური ლოგისტიკური კონტრაქტები - უკავშირდებოდა მიმდინარე პრობლემებსა და საფრთხეებს; სამი მათგანი შექმნილია განვითარებადი და აღმოცენებად საფრთხეების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, კიბერთავდაცვა და სტაბილიზაცია და რეკონსტრუქცია; ხოლო დანარჩენი ოთხი მიზნად ისახავს გრძელვადიან შესაძლებლობებს, როგორიცაა ინფორმაციის უპირატესობა, კონტროლი, ერთობლივი დაზვერვა, ზედამხედველობა და დაზვერვა (ISR) და ალიანსის სახმელეთო მეთვალყურეობა. როგორც ჩანს „ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამის მიმართულებები საკმაოდ ფართო და კომპლექსურია. რა როლი შეუძლია შეასრულოს საქართველომ „ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამის ფარგლებში? ანუ, რომელ პრიორიტეტებში აქვს პოტენციალი ჩვენს ქვეყანას?

თავდაცვის სამინისტროს საჯაროდ ცნობილი ხედვა არის, რომ საქართველო „ჭკვიანი თავდაცვის" პროგრამაში უნდა ჩაერთოს კიბერუსაფრთხოების სფეროში. 2020 წელს საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმზე სიტყვით გამოსვლის დროს თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა აღნიშნა, რომ „საქართველო ნატოს მეორე არაწევრი ქვეყანა გახდა, რომელიც შეუერთდა ნატოს „ჭკვიანი თავდაცვის" პროექტს - მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მრავალეროვნულ პლატფორმას" (imedinews 2020). კიბერუსაფრთხოების ბიურო აქტიურად ჩაერთო ნატოსთან თანამშრომლობაში. თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიურომ 2019 წელს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ნატოს კიბერუსაფრთხოების სწავლებაში - „კიბერ კოალიცია". 2020 წლის იანვრიდან ბიურომ სრული წვდომა მიიღო მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მიმოცვლის მრავალეროვნულ (MISP) პორტალზე და ამით გახდა MN MISP-ის პლატფორმის სრულფასოვანი წევრი (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2021). აქვს თუ არა საქართველოს კიბერუსაფრთხოების მიმართულების სპეციალიზაციის შესაძლებლობა? კიბერუსაფრთხოების მიმართუელბის განვითარება მოითხოვს, როგორც მატერიალურ, ასევე გონებრივ რესურსს. მათ შორის, სპეციალიზაციის თვალსაზრისით აუცილებელი არის გონებრივი რესურსის არსებობა, ხოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება შედარებით მარტივად გადაჭრადი პრობლემაა. ამ თვალსაზრისით საქართველოში არის დიდი პოტენციალი, რაზეც მეტყველებს ქართველ მოსწავლეთა წარმატება მათემატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების საერთაშორისო ოლიმპიადებზე. მეორეს მხრივ, საქართველოში ყალიბდება ძლიერი უმაღლესი სკოლა, რომელსაც შეუძლია მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები ტექნიკური მიმართულებით. მათ შორისაა, ქუთაისის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი და ა.შ.

მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს აქვს კიბერუსაფრთხოების სფეროში სპეციალიზაციის დიდი პოტენციალი. მაგრამ არის თუ არა მხოლოდ აღნიშნულ სფეროში კონცენტრაცია საკმარისი უსაფრთხოების სათანადო დონით უზრუნველყოფისათვის, იქნება თუ არა მეტწილად რეალისტური ხედვის ქართულ საზოგადოებაში კონსესუსი მიღწეული და თუ შესაბამისი ნება არ იქნება, არის თუ არა სხვა მიმართულების განვითარების პოტენციალიც? რთულად დასაჯერებელია, რომ ოკუპანტი ქვეყნის მეზობლად მყოფი კონსერვატიული შეხედულებების მატარებელი საზოგადოება დათანხმდება მხოლოდ კიბერსივრცის დაცვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. უფრო ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური ნება უნდა იყოს სამხედრო თავდაცვის მიმართულებით სპეციალიზაციაც. აქვს თუ არა საქართველოს „ჭკვიანი თავდაცვის" კონტექსტში დამატებითი მიმართულებით სპეციალიზაციის პოტენციალი და რომელი შეიძლება იყოს ეს მიმართულება? ცხადია, აღნიშნულ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უნდა უკავშირდებოდეს სამხედრო ტექნოლოგიის სფეროს.

საქართველოში სამხედრო მრეწველობა სათავეს მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან იღებს და ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტა"-სთან. დელტას საქმიანობა ოთხ მიმართულებას მოიცავს, მათ შორის არის სამხედრო დანიშნულების პროდუქციის შექმნა და წარმოება. დელტას მიერ შემუშავებულ სამხედრო პროდუქტთა შორის არის დიდგორის სერიის

ჯავშანტრანსპორტიორები, დისტანციური საბრძოლო მოდულები, ნაღმსატყორცნები, საჰაერო რაკეტები, უპილოტო საფრენი თვითფრინავები და სხვ. (დელტა 2018). დელტას გააჩნია როგორც ინტელექტუალური, ასევე ტექნიკური რესურსი, რომლის საშუალებითაც შეუძლია დააპროექტოს და აწარმოოს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო დანიშნულების პროდუქცია (დელტა 2020). დელტას გააჩნია ექვსი კვლევითი ინსტიტუტი, მრავალფეროვანი მიმართულების სპექტრით, მათ შორის მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი, სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა–ტექნიკის ინსტიტუტი და ა.შ. დელტას მიღებული აქვს მონაწილეობა რამდენიმე საერთაშორისო სამხედრო გამოფენაში. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს შეუძლია სამხედრო ტექნოლოგიური სფეროს რომელიმე დარგში სპეციალიზაცია.

რა მიმართულებით შეუძლია სპეციალიზაცია საქართველოს იმგვარად, რომ დაცული იყოს „ჭკვიანი თავდაცვის“ პრიორიტიზაციისა და მრავალეროვნული კოორდინაციის პრინციპები? კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ თვალსაზრისით პერსპექტიული მიმართულებაა შეიძლება იყოს უპილოტო საფრენი ხომალდების წარმოება. არგუმენტები კი შემდეგია: ერთი მხრივ დელტას გააჩნია უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების გამოცდილება, მეორე მხრივ კი სპეციალიზაციის ეს მიმართულება თავსებადი იქნება „ჭკვიანი თავდაცვის“ დანარჩენ ორ პრინციპთან. ლისაბონის პაკეტის მიმართულებათა შორის ფიგურირებს საჰაერო კონტროლი და ზედამხედველობა და დაზვერვა. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება შესაძლებელია ამ მიმართულებით (Hurst 2019). მეორე მხრივ, უპილოტო საჰაერო ხომალდების წარმოებით დაკავებული ნატოს წევრი ქვეყანა - თურქეთი, რომელიც ასევე წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ქვეყანას. გეოგრაფიული მახასიათებლიდან გამომდინარე საქართველომ და თურქეთმა, სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად შეიძლება განავითარონ უპილოტო საჰაერო ხომალდების წარმოებისა და გამოყენების მიმართულებით სპეციალიზაცია. ეს, თავის მხრივ, გააძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და შეარბილებს რეალისტების მხრიდან მომდინარე წინააღმდეგობას.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომი ეხებოდა ნატოს „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამაში საქართველოს ინტეგრაციის შესაძლო როლსა და ფორმებს. „ჭკვიანი თავდაცვის“ კონცეფცია ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ 2012 წელს განვითარებდა ნატოს მიერ. მისი მთავარი მიზანია ალიანსის წევრების საერთო ინტერესების გათვალისწინებით ქვეყნებმა განახორციელონ სპეციალიზაცია თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული შესაძლებლობების განსავითარებლად. სპეციალიზაციის პროცესი შეამცირებს თავდაცვის დანახარჯებს და თავიდან აარიდებს სახელმწიფოებს შესაძლებლობების დუბლირებას. ძირითადი მიმართულებები დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური თავდაცვის მექანიზმის შექმნასთან. საქართველო მეორე არაწევრი ქვეყანა გახდა, რომელიც აღნიშნულ პროგრამას 2020 წლიდან შეუერთდა მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მრავალეროვნულ პლატფორმას. ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება და სათანადო რესურსი, რომ მოხდეს ამ სპეციალიზაცია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. ნაშრომში მხარდამჭერ არგუმენებად განხილული იყო გონებრივი რესურსისა და უმაღლესი სკოლის შესაბამისობა სპეციალიზაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებთან. მთავრობის მიერ მხარდაჭერილ კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად, ნაშრომში განხილული იყო შესაძლებლობათა მეორე მიმართულება, რომელშიც სპეციალიზაცია შეუძლია საქართველოს, კერძოდ კი ეს არის მაღალტექნოლოგიური უპილოტო საფრენი ხომალდების წარმოება. აღნიშნული მიმართულება პრიორიტეტულია ნატოს „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამისთვის და ასევე იძლევა ქვეყნებს შორის თანამშომლობის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, ამ მიმართულებას ექნება მტკიცე საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანია პოლიტიკის გატარებისა თუ პროგრამის განხორციელების პროცესში პოლიტიკური რეჟიმის სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და გამტკიცებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

- Giulia , Roccia Amparo Bruni . 2013. Making NATO's Smart Defence Initiative Work. London, January 23.
- Hurst, Major. 2019. "Small Unmanned Aerial Systems and Tactical Air Control." AIR & SPACE POWER JOURNAL 19.
- Nato. 2020.
  https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm March 23. Accessed Noember 9, 2021.
  Nato. 2017. Individual Partnership Action Plans. January 9.
- Nato. 2014. Partnership for Peace Planning and Review Process. Noember 5. Accessed Noember 9, 2021.
  https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_68277.htm
- Nato. 2020. Partnership for Peace programme. March 23. Accessed March 9, 2021.
  https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm
- Nato. 2017. Smart Defence. February 20. Accessed Noember 10, 2021.
  https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_84268.htm?selectedLocale=en
- Tombarge, Paul A. 2014. "NATO Space Operations." Marshall Center Occasional Paper, December
- imedinews. 2020. imedinews.ge. September 25. Accessed Noember 10, 2021.
  https://imedinews.ge/ge/tavdacva/164163/irakli-garibashvili-saqartvelo-gakhda-natos-meore-aratsevri-qvekana-romelits-mavne-programu-li-uzrunvelkopis-shesakheb-inpormatsiis-gatsvlis-mravalerovnul-platpormas-sheuertda
- დელტა. 2020. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას" დებულება. თბილისი, May 1.
- დელტა. 2018. სსს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტას" შემაჯამებელი ანგარიში. Accessed Noember 10, 2021.
  http://www.delta.gov.ge/file/2019/02/Annual-Summary-2018.pdf
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2021. თანამშრომლობა ნატოსთან. Tbilisi. Accessed Noember 10, 2021
  https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2021. საქართველო ნატო-ს ურთიერთობები. თბილისი.

ამოცანით მართვა და საქართველოს თავდაცვის ძალები ნდობის კულტივირება

პოლკოვნიკი მამუკა ქავთარაძე

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის მეტად აქტუალურ თემას " ამოცანით მართვას" და მართვის ამ ფილოსოფიის მთავარი შემადგენელის, ნდობის, ფორმირებას. ნდობის ფორმირების ფაქტორი დაყოფილია ძირითად ელემენტებად, რომელთა მიმართაც შეფასებულია საქართველოს თავდაცვის ძალების „ამოცანით მართვის" კულტურის მიმღებლობისადმი მზაობა.

ნაშრომი ამტკიცებს, რომ მიუხედავად ნდობის ფორმირების ყველა ძირითად ელემენტში საქართველოს თავდაცვის ძალების ხელშესახები პროგრესისა, კვლავ არსებობს აუთვისებელი ან ნაკლებად ათვისებული სივრცეები, რომელთა წამყვანი ქვეყნების თავდაცვის ძალების გამოცდილების საფუძველზე დაფარვა, უფრო ეფექტურს გახდიდა სისტემას და შექმნიდა ამოცანით მართვის დანერგვის უკეთეს საფუძველს.

საკვანძო სიტყვები:
ამოცანით მართვა, ნდობა, კომპეტენცია, ღირებულებები, კომუნიკაცია, გამჭვირვალეობა, თანაბარი შესაძლებლობები, გამონაკლისი, საქართველოს თავდაცვის ძალები.

MISSION COMMAND AND GEORGIAN DEFENSE FORCES

COLONEL MAMUKA KAVTARADZE

ABSTRACT

The paper analyzes a very important topic for Georgian Defense Forces – “Mission Command” and the readiness of the organization to adopt it. The study discusses the formation of trust as the main pillar of Mission Command philosophy. This work identifies the main elements of trust and compares them to Georgian Defense Forces’ current situation.

The paper’s main finding states, that despite the progress of Georgian Defense Forces in all main elements of trust formation, there are still gaps to be addressed or the existing practices to be enhanced. Therefore, adopting proven international practices could make existing trust formation system more effective and create better foundation for Mission Command integration in the Georgian Defense Forces.

KEYWORDS:
Mission Command, Trust, Competence, Values, Communication, Transparency, Equal Opportunities, Exceptions, Georgian Defense Forces.

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სისტემაში ამოცანით მართვის ფილოსოფიის დანერგვა 2019 წელს დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მისი დანერგვის ძირითადი აუცილებლობა საბრძოლო ვითარებაში მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების წინაპირობა იყო, მოგვიანებით ნათელი გახდა ამ კულტურის არსებობის უპირატესობები მშვიდობიანობის დროს, ნდობაზე დაფუძნებული, შემოქმედებითი და ეფეტიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

თავდაცვის სისტემამ არაერთი ნაბიჯი გადადგა ამ პროექტის განხორციელების პროცესში, როგორც ხედვის და სტრატეგიის, ასევე დოქტრინული და მარეგულირებელი დოკუმენტების ნაწილში, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებში მისი ინტეგრირების ხელშესაწყობად.

პროცესში ნათლად გამოიკვეთა არა მხოლოდ პროგრესი, არამედ ნაკლოვანებებიც ამოცანით მართვის პროექტის განხორციელების მიმართულებით. შესაბამისად, 2019 წლიდან დღემდე ვხედავთ, რომ მიუხედავად ამოცანით მართვის ძირითადი საყრდენის - **ნდობის** ფორმირების ყველა ძირითად ელემენტში საქართველოს თავდაცვის ძალების ხელშესახები პროგრესისა, კვლავ არსებობს აუთვისებელი ან ნაკლებად ათვისებული სივრცეები, რომელთა წამყვანი ქვეყნების თავდაცვის ძალების გამოცდილების საფუძველზე დაფარვა, უფრო ეფექტიანი გახდიდა სისტემას და შექმნიდა ამოცანით მართვის დანერგვის უკეთეს საფუძველს.

ნდობის ჩამოყალიბების ძირითადი ელემენტები

ამოცანით მართვის კულტურის დანერგვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ნდობის ფაქტორს. აუცილებელია ნდობის კულტივირება არა მხოლოდ ზემოდან ქვემოთ, ხელმძღვანელის დაქვემდებარებულის მიმართ, არამედ ქვემოდან ზემოთ, დაქვემდებარებულისა - ხელმძღვანელისადმი. საბრძოლო ოპერაციის წარმატების ფაქტორს ორმხრივი ნდობის არსებობა გაცილებით ზრდის. ერთის მხრივ, ხელმძღვანელის დაქვემდებარებულისადმი ნდობა, უფლებამოსილების დელეგირების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორია, რაც ზრდის დაქვემდებარებულის შემოქმედებითობის ფაქტორს და ახალისებს ინიციატივას. უშუალოდ ბრძოლის ხაზზე მყოფი მეთაურის სწრაფი გადაწყვეტილებები შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნას ხელსაყრელი შემთხვევები, რაც მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების წინაპირობად შეიძლება გარდაიქმნას. მეორეს მხრივ, დაქვემდებარებული მეთაურის ხელმძღვანელისადმი ნდობა, ზრდის მის მოტივაციას, ეჭვქვეშ არ აყენებს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებების მართებულობას და გრძნობს მის მხარდაჭერას, რაც ასევე ოპერაციის წარმატების დამატებითი წინაპირობაა.

ორმხრივი ნდობის კულტივაციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ვფიქრობ ძირითადი ელემენტებია: **კომპეტენცია, კომუნიკაცია, სამართლიანობის განცდა** და **ღირებულებებისადმი ერთგულება.** ვფიქრობ, ამ ელემენტების ერთობლიობა და არა ცალკეულად მათი კულტივირება წარმოშობს სასურველ შედეგს და ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

<u>კომპეტენცია</u>

კომპეტენციას სამოქალაქო განათლების ლექსიკონი ასე განმარტავს: კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო უნარების, ცოდნისა და ქცევების ერთობლიობა.[1] ა.შ.შ.-ს არმიის დოქტრინული სახელმძღვანელოები კი მას ასე განმარტავენ: სამხედრო მოსამსახურის მიერ მასზედ დაკისრებული მოვალეობის და ამოცანის დადგენილი სტანდარტითა და დისციპლინით წარმატებით შესრულების უნარი.[2] არაერთი გამოკითხვა აჩვენებს, რომ კომპეტენციის ფაქტორი დიდწილად განსაზღვრავს თავდაცვის ძალებში ხელმძღვანელის ნდობას დაქვემდებარებულისადმი.[3]

სამხედრო მოსამსახურეები კომპეტენციებს ძირითადად სამი წყაროდან იღებენ: **განათლება, ქვედანაყოფები** და **თვითგანვითარება.**[4] განათლება სამხედრო მოსამსახურეს თეორიულ ცოდნას და შეზღუდულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აძლევს, რომელიც შემგომ მან უკვე ქვედანაყოფში სამსახურის პერიოდში უნდა შეინარჩუნოს, განავითაროს და პრაქტიკაში გამოიყენოს. სამხედრო კარიერის განმავლობაში განათლების განგრძობადობა მნიშვნელოვნად ზრდის სამხედრო მოსამსახურის საჭირო ცოდნისა უნარების <u>მუდმივ შენარჩუნებასა</u> და განახლებას. ეს ასპექტი განსაკუთრებით აუცილებელია სამხედრო მოსამსახურის

1 "კომპეტენცია - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი."
2 "Adrp1.Pdf." გვ.3-2
3 "Adrp6-0-2012.Pdf." გვ.2-1
4 "312724.Pdf." გვ. ii

კარიერული ზრდის შემთხვევებში, ოპერატიული დონეების მონაცვლეობისას, როდესაც მისი თვალსაწიერი იზრდება და თვისობრივად იცვლება როგორც სამოქმედო არეალი, ასევე გადაწყვეტილების მიღების სირთულე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პოზიციების დაბალანსებული მონაცვლეობა, სადაც სხვადასხვა თანამდებობებზე სამხედრო მოსამსახურე განსხვავებულ ცოდნასა და გამოცდილებას იძენს.[5] სხვადასხვა თანამდებობებზე მონაცვლეობა თავის თავში, კონკრეტული თანამდებობის პასუხისმგებლობებს, ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას და პერიოდულ გადამზადებებსაც მოიცავს, რაც სამხედრო მოსამსახურის გამოცდილებასა და ცოდნას მეტად მრავალფეროვანს ხდის და შესაბამისად მის კომპეტენტურობის ხარისხს ერთი-ორად ამაღლებს.

რაც შეეხება თვითგანვითარებას, პერსონალის განვითარებაში ის ერთ-ერთ ძირითად სვეტს წარმოადგენს იმ სამი სვეტთაგან, რომელთაგანაც დანარჩენი ორი, ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარებაა.[6] ვერც ერთი ორგანიზაცია და მით უმეტეს ისეთი დიდი უწყება, როგორიც თავდაცვის სისტემაა, შეზღუდული დროის, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამო, სრულად ვერ უზრუნველყოფს მისი მთელი პერსონალის ყველა მიმართულებით თანაბრად განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები მსმენელებს აძლევენ მხოლოდ აუცილებელ საბაზისო ცოდნას, რომლის გაღრმავება და პრაქტიკაში გამოყენება მათ შემდგომ, ორგანიზაციებში დაბრუნებისას და თავის თავზე მუშაობით უნდა შეძლონ. შესაბამისად, თვითგანვითარებას დამსახურებულად უჭირავს ძირითადი ადგილი პერსონალის განვითარებაში, ვინაიდან ის ავსებს და აღრმავებს საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას.

<u>კომუნიკაცია</u>

შეუძლებელია ნდობის ჩამოყალიბება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის ურთიერთქმედების გარეშე, სადაც ძირითადი როლი ორმხრივ **კომუნიკაციას** უჭირავს.[7] ამოცანით მართვით ხელმძღვანელობის ძირითადი კონტროლის მექანიზმი არა პირდაპირი, არამედ პასიური კონტროლია. მაშინ, როცა დეტალური მართვა, დაქვემდებარებულის ყოველი ნაბიჯის კონტროლს მოითხოვს და შესაბამისად ხელმძღვანელს უწევს დაქვემდებარებულის პასუხისმგებლობების თავის თავზე აღება, ამოცანით მართვისას, ხელმძღვანელის მთავარი მაკონტროლებელი საშუალებები მისი ხედვა, ჩანაფიქრი, კონცეფცია და ეფექტურობის საზომი კრიტერიუმებია, რაც დაქვემდებარებულს თავისუფალი მოქმედების ჩარჩოებს უწესებს და გადამწყვეტ ეტაპებზე ანგარიშვალდებულს ხდის ხელმძღვანელის მიმართ.

სწორედ კონტროლის ამ პასიური საშუალებების დაქვემდებარებულებამდე სწორად დაყვანაა ხელმძღვანელის მთავარი ამოცანა, რათა ორივე მხარეს ჰქონდეს არსებული რეალობის ერთიანი აღქმა: ხელმძღვანელს იმისა, რომ დაქვემდებარებულს სწორად ესმის მისი ჩანაფიქრი, მოქმედებათა კონცეფცია და როგორც დავალება, ასევე მიზანი, ხოლო დაქვემდებარებულს - აქვს თავისუფალი მოქმედების უფლება ხელმძღვანელის ჩანაფიქრის ფარგლებში დასმული დავალებისა და მიზნის მისაღწევად.

არსებული რეალობის ერთიანი აღქმა მხოლოდ ცალმხრივი კომუნიკაციით ვერ მიიღწევა. მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც დაქვემდებარებულს აქვს უფლება დააზუსტოს ხელმძღვანელის მიერ გაცემული დირექტივა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ხელმძღვანელის მიერ შექმნილი გარემო, უნდა ახალისებდეს ორმხრივ კომუნიკაციას, არა მხოლოდ საბრძოლო, არამედ ყოველდღიურობაში, რაც ხელს შეუწყობს პირდაპირი კონტროლის გარეშე ამოცანის შესრულების კულტურის დამკვიდრებას.

<u>სამართლიანობის განცდა</u>

ნებისმიერი ჯანსაღი და ნდობით აღჭურვილი ორგანიზაციის საფუძველი სამართლიანობის განცდაზეა დაფუძნებული. თანაბარი შესაძლებლობები, საერთო სტანდარტები და წესები, სისტემის გამჭვირვალეობა, სტაბილურობა და პროგნოზირებადობა, ორგანიზაციისადმი მისი წევრების სამართლიანობის განცდას ავითარებს, ზრდის მათ ნდობას და შესაბამისად, მათ მოტივაციას ერთგულად ემსახურონ ორგანიზაციას, აათმაგებს.[8]

თანაბარი შესაძლებლობები, რომელიც ასახულია მათზე ორგანიზაციის ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომობასა და მათზე ხელმისაწვდომობის საერთო წესებსა და სტანდარტებში, ასევე ამ სტანდარტების განუხრელი და გამჭვირვალე აღსრულება ქმნის პროგნოზირებად და სამართლიან გარემოს, რითაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციის წევრებს ლოგიკურად დაგეგმონ თავიანთი კარიერა და

5 "Fm6_22.Pdf." გვ. 3-31
6 "312724.Pdf."
7 "ARN18314-ADP_6-0-000-WEB-3.Pdf." გვ. 7
8 "B-ანა კატუკია დისერტაცი%.Pdf." გვ. 54-63

გაითავისონ მათ მიერ შერჩეული პრიორიტეტების ზეგავლენა მათივე სამსახურეობრივ კარიერაზე. თანაბარი შესაძლებლობები ქმნის ჯანსაღ კონკურენციას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია აწინაურებს საუკეთესო კადრებს და შესაბამისად მათ ხარჯზე ამაღლებს ორგანიზაციის ეფექტურობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სისტემის გამჭვირვალეობა. ორგანიზაციის წევრების არასწორი და დამახინჯებული აღქმები, რაც ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობით ყალიბდება, ხშირ შემთხვევაში იწვევს დემოტივაციას, ნიჰილიზმს და პესიმიზს, რაც ნეგატიურად ისახება მათი სამუშაოს შესრულების ხარისხზე, ძნელი ხდება გამოცდილი კადრების შენარჩუნება და ახალი კადრების დაინტერესება. ორგანიზაციის საკადრო გამჭვირვალე პროცესები ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას ამ პროცესების შესახებ, აყალიბებს სწორ აღქმებს ორგანიზაციის წევრებში და შესაბამისად ზრდის ორგანიზაციის სანდოობას.[9]

<u>ღირებულებები</u>

მე ვიტყოდი, ღირებულებები არის იმ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს თავდაცვის ძალების ყველა მოსამსახურეს განურჩევლად მათი სამხედრო თუ სამოქალაქო სტატუსისა. ერთგულება, სიმამაცე, კეთილსინდისიერება, მზრუნველობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და უანგარო სამსახური ნაკრებია იმ მორალურ და ფიზიკური თვისებებისა, რომლებიც გათანაბრებულია ღირსეული სამსახურის ცნებასთან და რომელთაც უნდა ეყრდნობოდეს თავდაცვის ძალების თითოეული წევრი თავიანთ გადაწყვეტილებებში მშვიდობიანობისა თუ საომარი მდგომარეობის დროს. ფაქტიურად, მომავალი ლიდერების ამ ღირებულებებზე აღზრდა და მათვის ამ ფასეულობების გასისხლხორცება არის მაღალი მორალური სტანდარტების თავდაცვის ძალების ჩამოყალიბების საფუძველი.

ღირებულებებია სწორედ გარანტი ორგანიზაციის წევრების მიერ მორალურად და ზნეობრივად სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა.[10] ამ თვისებებით აღჭურვილი პირადი შემადგენლობა, შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად სრულად შეჰკრავს ნდობის ყველა ასპექტს და განაპირობებს საჭირო დროსა და ადგილზე ყველა დონის ლიდერების მორალურად და ზნეობრივად სწორ და კომპეტენტურ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს თავდაცვის ძალების მიმდინარე მართვის პრაქტიკის შეფასება ნდობის ელემენტებთან მიმართებაში

<u>კომპეტენცია</u>

თავდაცვის ძალების სამხედრო განათლების სისტემა უმეტესწილად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც მას თავდაცვის ძალები უყენებს. საკარიერო და შუალედური საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ მსმენელისათვის იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების მიცემას, რაც მას შესაბამის პოზიციებზე ოპერირებისათვის ესაჭიროება. დამატებით, სპეციალიზაციის კურსები და წრთვნები, ავსებენ იმ სიცარიელეებს, რომელსაც საკარიერო პროგრამები ვერ ფარავენ ან საკარიერო პროგრამებს შორის პერიოდებში სამხედრო მოსამსახურეს ცოდნის შენარჩუნებისა თუ დამატებით განვითარებისათვის ესაჭიროება. სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების გეგმიური როტაცია, რომელიც დაახლოებით 2-3 სასწავლო წლით განისაზღვრება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესებისა და პროგრამების პერიოდულ განახლებას ახალ ხედვებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო საგანმანათლებლო სისტემა მუდმივი განახლების პროცესშია, ცვლილებების საფუძველი როგ შემთხვევებში პირადი დაკვირვება და ზეპირსიტყვიერად გამოთქმული უკმაყოფილება შეიძლება გახდეს. ეჭვგარეშეა, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები მხოლოდ პირად შეფასებებს არ ეყრდნობა და თანამშრომლების გარკვეული ნაწილის გამოკითხვასაც მოიცავს, თუმცა სრული და ყოვლისმომცველი შეფასებისათვის დამატებითი მექანიზმების გამოყენება უპრიანი იქნებოდა.

შეფასების პირველი და მთავარი მექანიზმი პროგრამის მიზანი და შედეგებია, რომელზედაც პროგრამა უნდა გავიდეს. პროგრამის მიზნის ცვლილება ავტომატურად პროგრამის ცვლილების წინაპირობა ხდება, ხოლო პროცესში შედეგებზე გაუსვლელობის იდენტიფიცირება - პროგრამის შემადგენელი კომპონენტების კორექტირების ან ფუნდამენტალურად ცვლილების აუცილებლობას განაპირობებს. პროგრამისა და სასწავლო პროცესის შეფასება გრძელვადიანი და განგრძობითი პროცესია, შესაბამისად მისი ყოვლისმომცველი და სიღრმისეული ანალიზის გარეშე ნაჩქარევმა ცვლილებებმა საპირისპირო შედეგები შეიძლება გამოიწვიოს

9 "Why Transparency Is the Secret to Improving Employee Experience."

10 წრთვნებისა და განათლების სარდლობა, დოქტრინების ცენტრი, "საქართველოს თავდაცის ძალები ღირებულებები." გვ. 1

როგორც შედეგების, ასევე რესურსების ხარჯვის მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც.

სამხედრო მოსამსახურეები ქვედანაყოფებში სასწავლებლებიდან მიღებული ცოდნის რეალიზებას ახდენენ. რა თქმა უნდა, ეს ცოდნა ყოველდღიური საქმიანობიდან და წრთვნებიდან გამოცდილებად იქცევა და როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საბრძოლო უნარ-ჩვევებს ძენს მათ.

წამყვანი ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვედანაყოფებში საჭირო კომპეტენციების მიღების მთავარი პირობა სწორედ წრთვნებია, რომლის როგორც ადამიანური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას უდიდესი ყურადღება ექცევა.[11] შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალების დაკომპლექტებისა და ლოგისტიკური უზრუნველყოფის მაღალი ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია მიზანზე ორიენტირებული წრთნების უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ სამხედრო მოსამსახურეების კომპეტენციების ზრდის წინაპირობა იქნება.

თავდაცვის ძალები თვისობრივად უამრავ განსხვავებულ თანამდებობას მოიცავს, რომლებიც საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის მიმართულებებშია თავმოყრილი. კარიერულ ზრდასთან ერთად, ხელმძღვანელი პირებისათვის უფრო და უფრო მზარდ საჭიროებას იძენს ამ მიმართულებებზე გარკვეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობა, მათი კარიერული ხაზიდან გამომდინარე. შესაბამისად კარიერულ ზრდის პარალელურად, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია პოზიციების თანამიმდევრული და ზიგზაგისებური ცვლა ყველა იმ საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად, რომელიც მის მომდევნო საკვანძო პოზიციას ესაჭიროება.

უდავოა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე, თავდაცვის ძალებმა პერსონალის საკარიერო განვითარების გზაზე დიდ პროგრესს მიაღწია. დღესდღეობით, პოზიციების მონაცვლეობის ელემენტი აქტიურად ინერგება, თუმცა მთავარ ხელისშემშლელ პირობად „წოდებრივი პირამიდის" გაუმართაობა შეიძლება ჩაითვალოს. „წოდებრივი პირამიდა" პროგნოზირებად საკადრო მექანიზმად შეიძლება იქცეს, რის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გადინების, დაწინაურებისა და რეკრუტირების რაოდენობების დროში და სივრცეში ნათლად განსაზღვრა. შესაბამისად, საკადრო მონაცვლეობა გაცილებით მოქნილი და ეფექტური გახდება.[12]

რა დროს ვხარჯავთ თვითგანვითარებაზე?, რა რესურსი გვაქვს ამისათვის? და ვართ თუ არა მოტივირებული ამ რესურსისა და ძალისხმევის გაღებაზე? ეს კითხვები თითოეულმა სამხედრო მოსამსახურემ თავის თავს უნდა დაუსვას. თუმცა მთავარი ამოსავალი წერტილი ამ ნაწილში სწორედ რომ პირადი საკარიერო მიზნების განსაზღვრაა. მიზნებიდან შეიძლება იმ აუცილებელი მოქმედებების განსაზღვრა, პრიორიტიზირება და რესურსების ალოკაცია, რომლებიც სასურველ მიზნამდე მიგვიყვანენ. რა თქმა უნდა თავდაცვის სისტემა უზრუნველყოფს ნაწილი ნაბიჯების დაფარავს, თუმცა დანარჩენი ნაწილის დაფარვის გზა სამხედრო მოსამსახურემ თვითგანვითარებაში უნდა ეძიოს.

<u>კომუნიკაცია</u>

საქართველოს თავდაცვის ძალები სხვადასხვა დონეზე კომუნიკაციის არაერთ გზას იყენებს, მათ შორის ძირითადი, სამეთაურო ჯაჭვის გავლით ვერტიკალში დირექტივების ვერბალური თუ წერილობითი დაყვანა და შესრულების სტატუსის მიღებაა. სტრატეგიულ დონეზე განსაკუთრებული როლი სტრატეგიულ ლიდერთა ხედვებს და უწყების კონცეპტუალურ დოკუმენტებს ენიჭება. საქართველოს თავდაცვის სისტემა გამოირჩევა ამ დოკუმენტების მრავალფეროვნებით, რომელზე წვდომაც საჯაროა.

მაგალითისათვის, ა.შ.შ-ს თავდაცვის ძალებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო სტრატეგიული ლიდერების აქტიურ კომუნიკაციას თავდაცვის ძალების ფართო აუდიტორიასთან ყველა იმ მიმართულებაზე, რომელიც პრიორიტეტად არის განსაზღვრული თავდაცვის ძალებისათვის. ამისათვის ისინი იყენებენ როგორც ციფრულ, ასევე ფიზიკურ შესაძლებლობებს: სოციალური ქსელები, ტელე და საკლასო კონფერენციები, შეხვედრები სამხედრო განათლების დაწესებულებების მსმენელებთან, სამუშაო შეხვედრები, პანელური დისკუსიები, შემეცნებითი არხები და რა თქმა უნდა კლასიკური დირექტივები.

ა.შ.შ.-ს თავდაცვის დეპარტამენტის საერთაშორისო იურიდიული კვლევების ინსტიტუტის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის ძალებში ამოცანით მართვის პროექტის წარმატებით განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება თავდაცვის სისტემის სტრატეგიული ლიდერების ჩართულობას და იმას თუ რამდენად შეძლებენ ისინი თავიანთი ხედვებისა და ჩანაფიქრის პირად შემადგენლობამდე დაყვანას.[13]

ყველა ეს საშუალება უზრუნველყოფს სტრატეგიული ხელმძღვანელობის მთავარი გზავნილების თავდაცვის ძალების ფართო აუდოიტორიამდე მიტანას, რაც ამცირებს სტრატეგიული გზავნილების არასწორ

11 "Ar350-1-2017.Pdf." გვ 123-126

12 Kapp, "Military Officer Personnel Management: Key Concepts and Statutory Provisions."

13 Defense Institute of International Legal Studies, "Mission Command Study Visit - Findings and Recommendations." გვ. 4

გაგებას, საფუძველს უქმნის ორგანიზაციულ ღირებულებებისა და კულტურის ჩამოყალიბებას და აერთიანებს მთელ ორგანიზაციას საერთო მიზნებისაკენ.

სამართლიანობის განცდა

საქართველოს თავდაცვის ძალების მუდმივი სწრაფვა და განახლება საერთო სტანდარტებისა და წესების შემუშავების ნაწილში, კიდევ ერთხელ ადასტურებს ორგანიზაციის მზაობას გახადოს სისტემა უფრო გამჭვირვალე, სტაბილური და პროგნოზირებადი. თუმცა, აღსრულების პროცესში გამონაკლისების არსებობა, კომუნიკაციის ნაკლებობა და შერჩევის პროცესის ზოგიერთ საფეხურზე არსებული ნაკლოვანებები, ზრდის არაინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების რისკსა და არასასურველი ინფორმაციის წარმოქმნის ალბათობას, რაც წარმოქმნის დამახინჯებულ აღქმებს ორგანიზაციის წევრებში, ასუსტებს სისტემისადმი ნდობას და ამცირებს მოტივაციას.

განვითარების გზაზე მდგარ ახალგაზრდა და დიდ ორგანიზაციაში, სადაც განათლებული და გამოცდილი კადრების სიმწირეა, სწორად ფუნქციონირებადი გამონაკლისების სისტემა ამცირებს კვალიფიციური კადრების მოძიების რისკებს. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის შიგნით არ იძებნება კანდიდატი, რომელიც თანამდებობისათვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ორგანიზაციამ შეიძლება აიღოს რისკი და დაუშვას გამონაკლისი ყველაზე დაბალი რისკის შემცველობის კრიტერიუმის საკონკურსო პირობებიდან ამოღების შესახებ ამ კონკრეტული შემთხვევისათვის. ეს ქმედება, გაზრდის მოსაძიებელ კანდიდატთა მოძიების ალბათობას და მიუხედავად გამონაკლისი წესისა, თანაბარ პირობებს შექმნის ყველა შესაძლო კანდიდატისათვის. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს გამონაკლისების ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობა მის გამოყენების წესისა და პირობების შემოღების გზით.

ვინაიდან კომუნიკაცია ყოველი ცვლილების მნიშნელოვანი ნაწილია, ინფორმაციის ორგანიზაციის ყველა წევრამდე სწორად მიტანა და უკუკავშირის მიღება, არა მხოლოდ ზრდის დაქვემდებარებულების ნდობას, არამედ ორგანიზაციას აჩვენებს მისის წევრების ცვლილებებზე რეაგირებას, ქმნის ჯანსაღ გარემოს და ამცირებს ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული უარყოფითი აღქმების გაჩენას. შესაბამისად, ცვლილებებისა თუ შერჩევის პროცესის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა აქტიური კომუნიკაციის გზით, ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი პირობა უნდა გახდეს.

გამონაკლისის წესის ანალოგიური მექანიზმის ქონა, გამონაკლისებებს მოაქცევდა გარკვეულ ჩარჩოში, შესძენდა მას გამჭვირვალეობის მეტ ხარისხს და გაზრდიდა პროგნოზირებადობისა და სამართლიანობის განცდას ორგანიზაციის წევრებში.

ღირებულებები

სოციუმის კულტურა, რომელშიდაც ვცხოვრობთ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს ყოველდღიურ ქცევას. შესაბამისად ჩვენს გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებს სოციუმის ღირებულებები. ორგანიზაციული ღირებულებებს ორგანიზაციული კულტურის მთავარ შემადგენელს წარმოადგენს, რომლის როლიც ორგანიზაციის განვითარებისა ნაწილში ძალიან დიდია. „როგორც ადამიანის შემთხვევაში განსაზღვრას ფასეულობები და ღირებულებები მის წარმატებას და მიღწევებს, ასევე მოქმედებს ეს ფენომენი ორგანიზაციის განვითარებაზე“.[14] ორგანიზაციული ფასეულობები აერთიანებენ მის წევრებს ერთი მიზნის ქვეშ, ეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, უკეთესს ხდის კომუნიკაციას ორგანიზაციის შიგნით, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, ახალი ტალანტების მოზიდვას და საუკეთესოს შენარჩუნებას.

თუ რამდენად თანხვედრაშია სოციუმის ღირებულებები ორგანიზაციულ ღირებულებებთან, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრების მიერ ორგანიზაციული ღირებულებების მიმღებლობის ხარისხსა და მათ ზემოქმედებას გადაწყვეტილებების მიღებაზე. მაგალითად, თუ სოციუმის მოლოდინია, რომ გარკვეული თანამდებობრივი ძალაუფლების ფლობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პირად ურთიერთობებს და ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციული ღირებულებების წინააღმდეგ წასვლა არა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად აღიქმება, არამედ სოციუმში მიღებულ ნორმად, სახეზეა აცდენა სოციალურ და ორგანიზაციულ ღირებულებებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ნათესაური კავშირები ან მეგობრობა გაცილებით მაღლა დგას სოციუმში, ვიდრე ერთგულება ორგანიზაციული ღირებულებებისა, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად სამართლიანობას, კეთილსინდისიერებას და უანგარო სამსახურსაც მოიცავს, მაშინ გადაწყვეტილების მიმღები ყოველთვის იქნება სოციუმის ღირებულებების წნეხის ქვეშ და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა გაცილებით დიდი იქნება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება მენტორობისა და მრჩეველების ინსტიტუტის არსებობა და

14 “Ani Jorjoliani Samagistro.Pdf.” გვ. 15

ორგანიზაციული ღირებულებების მუდმივი კულტივირება განათლებისა და განვითარების ყველა საფეხურზე. კარიერულ ზრდასთან ერთად ძალაუფლებისა და მიღებული გადაწყვეტილებების გავლენის არეალი უფრო და უფრო იზრდება და შესაბამისად ორგანიზაციულ კულტურასა და კლიმატზე მზარდ გავლენას ახდენს. ძალაუფლების ზრდა და რიგ შემთხვევებში ღირებულებებისაგან აცდენა მისი არასწორი გამოყენების ცდუნებასაც ზრდის. შესაბამისად, კარიერული ზრდის პარალელურად მნიშვნელოვანია ადამიანის, თუ ადამიანთა ჯგუფის არსებობა, რომლებიც გასწევენ მენტორობას, იზიარებენ რა ორგანიზაციულ ღირებულებებს და ამასთანავე გადაწყვეტილების მიმღებებისათვის წარმოადგენენ პატივსაცემ და ავტორიტეტულ ადამიანებს. შესაძლებელია, კარიერული ზრდის ერთ-ერთ პირობად, ორგანიზაციის წევრების ადრე მიღებული გადაწყვეტილებების ღირებულებებთან თავსებადობაც იქნას განხილული. ეს და სხვა მრავალი მექანიზმები, რომლებიც ღირებულებებზე დაფუძნებულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს აქტიურად უნდა იქნას დანერგილი საქართველოს თავდაცვის ძალებში ნდობაზე დაფუძნებული გუნდის შესაქმნელად.

დასკვნა

მიუხედავად საქართველოს თავდაცვის ძალების მრავალი მიმართულებით პროგრესისა, ნათელია, რომ ამოცანით მართვის და კონკრეტულად მისი მთავარი შემადგენელის - ნდობის კულტივირების ნაწილში კიდევ მრავალი ნაბიჯია გადასადგმელი. ძირითადი მიმართულებები რომლის გაძლიერებაც გვმართებს თავდაცვის სისტემის ამ მიმართულებით გასაჯანსაღებლად სისტემის გამჭვირვალეობა, კომუნიკაცია, წოდებრივი პირამიდის გამართვა, თვითგანვითარების კულტურის დანერგვა, საბრძოლო მომზადების რესურსებით უზრუნველყოფა და ორგანიზაციული ღირებულებების შესისხლხორცება წარმოადგენს.

ნდობის ფაქტორის გაძლიერება თავდაცვის ძალებში შექმნის იმ სასურველ საფუძველს ამოცანით მართვისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შემოქმედებითი და ღირებულებებზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბებისა. რაც, თავის მხრივ მოიტანს სარგებელს არა მხოლოდ მშვიდობიანობის დროს, არამედ საბრძოლო ოპერაციებში, რაოდენობრივად და თვისობრივად ცენტრალიზებული მართვის კულტურის მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად, სწრაფი, მოქნილი და ადაპტირებადი მცირე ქვედანაყოფების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

- https://api.army.mil/e2/c/downloads/312724.pdf.
- “Adrp1.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://irp.fas.org/doddir/army/adrp1.pdf.
- “Adrp6-0-2012.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://caccapl.blob.core.usgovcloudapi.net/web/character-development-project/repository/adrp6-0-2012.pdf.
- “Ani Jorjoliani Samagistro.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://openscience.ge/bitstream/1/1800/1/Ani%20Jorjoliani%20Samagistro.pdf.
- “Ar350-1-2017.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://caccapl.blob.core.usgovcloudapi.net/web/character-development-project/repository/ar350-1-2017.pdf.
- “ARN18314-ADP_6-0-000-WEB-3.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://armypubs.army.mil/epubs/DR_pubs/DR_a/ARN18314-ADP_6-0-000-WEB-3.pdf.
- “B-ანა კატუკია დისერტაცი%.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://openscience.ge/bitstream/1/9/1/B-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%25.pdf.
- Defense Institute of International Legal Studies. “Mission Command Study Visit - Findings and Recommendations,” December 4, 2019.
- “Fm6_22.Pdf.” Accessed December 16, 2021. https://www.milsci.ucsb.edu/sites/secure.lsit.ucsb.edu.mili.d7/files/sitefiles/fm6_22.pdf.
- Kapp, Lawrence. “Military Officer Personnel Management: Key Concepts and Statutory Provisions,” n.d., 20.
- NeuroLeadership Institute. “Why Transparency Is the Secret to Improving Employee Experience,” October 26, 2018. https://neuroleadership.com/your-brain-at-work/transparency-secret-employee-experience/.
- “კომპეტენცია - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.” Accessed December 16, 2021. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16607.
- წრთვნებისა და განათლების სარდლობა, დოქტრინების ცენტრი. “საქართველოს თავდაცვის ძალების ღირებულებები.” თადაცვის სამინისტრო, 2021.

შავი ზღვის რეგიონი და ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის საქმეში

პოლკოვნიკი ზვიად შანავა

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია შავი ზღვის რეგიონის სტაბილურიბისა და უსაფრთხოების განმაპირობებლი ფაქტორები, რაც საერთო ჯამში ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებას და განმტკიცებას უზრუნველყოფს. თავისი არსით ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტიას, ხოლო ეკონომიკური დამოუკიდებლობა გამოიმუშავებს გარკვეულ დაცვის მექანიზმებს შიგა და გარე საფრთხეებისაგან, ეკოლოგიური პრობლემებისაგან და სხვა სამხედრო თუ ეკონომიკური რისკებისაგან. უსაფრთხოების ამ მიმართულებებს, მათ შორის თვდაცვისუნარიანობის შენარჩუნების და განმტკიცების საკითხებს ვერ განვიხილავთ იზოლირებულად. იგი პირდაპირ კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან და პოლიტიკურ სტაბილურობასთან. ასევე სახელმწიფო მოწყობისა და მართვის ინსტიტუციურ კონცეფციებთან. ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკის სტაბილური ზრდის შესანარჩუნებლად. სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი ხარისხი განაპირობებს შეზღუდული რესურსების რაციონალურად გამოყენებას, საინვესტიციო გარემოს შექმნას და შესაბამისად კაპიტალის გაზრდას როგორც ეკონომიკის ზრდის შესანარჩუნებლად ასევე სამხედრო ძალის ეფექტურობის ამაღლებისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქვეყნის ფაქტობრივი სტრატეგიული ადგილმდებარეობა, ასევე გლობალურ სამყაროში ღირსეული როლის შესრულება იმ შესაძლებლობების გამოყენებით რაც ქვეყანას გააჩნია: სატრანზიტო პოტენციალი, ლოგისტიკური ინფრასტრტუქტურა, სატრანსპორტო და საპორტო მხარდაჭერა, ენერგეტიკული პროექტები (მილსადენები), საკანონმდებლო და ინსტიტუციური წყობა და სხვა მსხვილი კომპონენტები, რომლებიც საერთო ჯამში ქმნიან ერთიან ხელსაყრელ ეკონომიკურ სივრცეს იმ საფრთხეების გათვალისწინებით რომლებიც არესებობენ შავი ზღვის რეგიონში.

საკვანძო სიტყვები:
თავდაცვისუნარიანობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, სტაბილურობა, სატრანზიტო პოტენციალი, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, შავი ზღვის რეგიონი, გლობალიზაცია, რესურსები.

THE BLACK SEA REGION AND ECONOMIC SECURITY IN ENSURING THE COUNTRY'S DEFENSE CAPABILITIES

COLONEL ZVIAD SHANAVA

ABSTRACT

The article considers the factors contributing to the stability and security of the Black Sea region, which ensures the development and strengthening of economic security as a whole. In general, economic security guarantees economic independence, while economic independence provides certain mechanisms of protection against internal and external threats, environmental problems, and other military or economic risks. We cannot discuss these areas of security, including maintaining and strengthening defense capabilities, in isolation, because it is directly related to national security and political stability, as well with the institutional concepts of state organization and management. Economic security is crucial for a country's economic growth and maintaining stable economic development. A stable economic situation and a high degree of security lead to the rational use of limited resources, the creation of an investment environment, and, therefore, an increase in financial capital to support economic growth while increasing the effectiveness of the armed forces. In this regard, the favorable strategic location of the country is essential, as well as the opportunity to play a significant role in the global environment, using the opportunities that the country has: transit potential, logistics infrastructure, transport capabilities, seaports, energy projects (pipelines), legislative and institutional structures, etc. Considering the existing threats in the Black Sea area, it is vital to create a favorable economic space in the region and Georgia.

KEYWORDS:
Defense capabilities, economic security, stability, transit, logistics infrastructure, Black Sea region, globalization, resources.

შესავალი

როგორც მოგეხსენებათ საქართველო თავისი ტერიტორიულ-გეოგრაფიული მდგომარეობით, რეგიონში წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო პოლიტიკურ-ეკონომიკური როლის მატარებელი სახელმწიფო, რომელიც თავისი პოტენციალით როგორც ისტორიულად, ასევე თანამედროვე პერიოდში აქტუალურს წარმოადგენს. ეს ბუნებრივი მოცემულობა თავისთავად იპყრობს ყურადღებას გლობალური სამყაროს მხრიდან. შესაბამისად ქვეყნის შიგნით არსებული (მიმდინარე) ეკონომიკურ-პოლიტიკური ტენდენციები სწორედ რომ უნდა პასუხობდეს ყველა იმ გამოწვევას რომლებიც ამ გეოპოლიტიკური ვითარებიდანაა გამოწვეული. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია შავი ზღვის აუზის კონტექსში.

ძირითადი ნაწილი

შავი ზღვის რეგიონი ყოველთვის იყო მზარდი და ინტენსიური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილი და ის სულ უფრო ყალიბდება სხვადასხვა მხრიდან მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერაქციის მიზიდულობის ცენტრად. რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებულობისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის არათანაბრობის მიუხედავად ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულობა დღითიდღე იზრდება. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს მრავალფეროვნება, რეგიონში გავლენების მოპოვება, მსხვილი ეკონომიკების ინტერესების გატარება, მკაცრი ნეგატიური ფაქტორებისა და ბერკეტების გამოყენება, პატარა ქვეყნებს, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც მოკლებულნი არიან მდიდარი ბუნებრივი თვითკმარი რესურსებით, როგორიცაა ნავთობ-პროდუქტები კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ამყოფებს. ბუნებრივია ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც ცდილობს წინ წამოწიოს თავის ბუნებრივი თუ შეძენილი უპირატესობები და მეტი შეთავაზებებით გამოვიდეს მსოფლიო ასპარესზე, რათა ასეთი რთული კონკურენციის პირობებში უფრო მეტი როლი შეასრულოს გლობალურ სივრცეში თავისი ადგილის გასამყარებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კერძოდ: რეგიონის ენერგო მომარაგების სატრანზიტო შესაძლებლობები, ნავთობსადენები და გაზსადენები; რეგიონალური სარკინიგზო მაგისტრალი; თანამედროვე სტანდარტების მქონე და მშენებარე საავტომობილო მაგისტრალები, როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთის ასევე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ეს მოცემულობა ეკონომიკური მოძრაობის/ტვირთბრუნვის საუკეთესო დამაკავშირებელი საშუალებაა მეზობელი ქვეყნებისათვის და ხელსაყრელი გზა შავ ზღვაში და შემდეგ ევროპაში გასასვლელად. აქ იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება რომ ეს პროექტები ხელშეწყობილია მსოფლიოს სხვადასხვა მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების მიერ, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონი და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვანძო ლოგისტიკურ მონაკვეთს, აზია-ევროპის დამაკავშირებელი ფუნქციით.

ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი სფერო შედგება სხვადასხვა კომპონენტისაგან: ბუნებრივი რესურსები; მიმზიდველი ადგილმდებარეობა (ანუ გეოგრაფიული მდგომარეობა) და ქვეყნის ტერიტორიების თავისებურება; სახელმწიფო მართვის პოლიტიკა; საწარმოო პოტენციალი; სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი; სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა; ეროვნული რესურსების პოლიტიკა; საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემები; ბიზნესის ხელშეწყობის ტენდენციები (ზოგადად ბიზნესის თავისუფლების გარემო); კერძო საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა; საინვესტიციო გარემოს შექმნა და სხვა.

ეკონომიკური განვითარების მხრივ, ლიდერ ქვეყნებს თითქმის ყველა ეს კომპონენტი გააჩნიათ, რაც თავისთავად მათი ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა თუ მრავალი ქვეყნის მაგალითს გადავხედავთ უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის ერთობლიობაში არსებობა. ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას შესაძლოა არ გააჩნდეს სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა ან კიდევ მდიდარი ბუნებრივი რესურები, მაგრამ სხვა ფაქტორებით კომპენსირდებოდეს: წარმოების მაღალი დონე, ინოვაციურობა, ტექნოლოგიები და ა.შ.

შეგვიძლია ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელის სამი ძირითადი ნაწილი გამოვყოთ, პირველი ეს არის სამეურნეო დამოუკიდებლობა; მეორე - სახელმწიფო ეკონომიკის მდგრადობისა და სტაბილურობის ხარისხი, რაც ნიშნავს საკუთრების (ყველა ფორმის ქონების) დაცვის უზრუნველყოფას, გარანტიებისა

და საიმედო პირობების შექმნას სამეწარმეო აქტიურობისათვის, კრიმინალთან ბრძოლას და სხვ.; და მესამე მიმართულება ესაა თვითგანვითარების და პროგრესის შესაძლებლობების შექმნა, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია დღევანდელი განვითარებადი საზოგადოებისათვის და ეს უკანასკნელი ნიშნავს საინვესტიციო კლიმატის შექმნას ადგოლობრივი წარმოებისა და ბიზნესის მუდმივი განვითარებისათვის. ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაცია მიმართული უნდა იქნეს ინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკის შექმნის ხელშეწყობაზე, რომელზეც ეროვნული უსაფრთხოების ხარისხია დამოკიდებული; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართვა იმ დარგებისა და საწარმოებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის კონკურენტულობის ზრდას.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოსა და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დრამატულად შეცვალა უსაფრთხოების ბალანსი შავი ზღვის რეგიონში, რაც ასევე თავისთავად საფრთხეს უქმნის ევროპის სტაბილურობის და უსაფრთხოების მდგომარეობას და შესაბამისად ეს გამიზნულია ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის შეფერხების ხელშემწყობი ვითარების შესაქმნელად. აქ უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და ნატო-ს ჩართულობა შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში და ამ მიმართულებით საქართველოს, როგორც რეგიონში სტაბილურობითა და უსაფრთხოებით დაინტერესებულმა ქვეყანამ გააგრძელოს და გააღრმავოს მჭიდრო თანამშრომლობა არა მხოლოდ რეგიონის, ასვე სხვა ქვეყნებთან, მათ შორის დაბალი ეკონომიკის ქვეყნებთანაც, საკუთარი საწარმოო თუ სავაჭრო პოტენციალის ექსპორტირებისათვის. საქართველომ ბევრჯედ დაუმტკიცა დასავლეთს რომ ის სანდო და ძლიერი მოკავშირეა და ის არა მხოლოდ რეგიონის უსაფრთხოების არამედ მსოფლიო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორია. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში (ავღანეთი და ერაყი და სხვა). ქართული ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი კონტრიბუცია უზრუნველყოფდა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას და მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა გლობალური უსაფრთხოების კლიმატის შექმნას მხოფლიოში, რაც ირიბად თუ პირდაპირ, კავშირშია არა მხოლოდ თავდაცვის სფეროში მხარდაჭერის მოპოვებასთან, არამედ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორებთანაც. ქვეყანა ჩამოყალიბდა როგორც სანდო საერთაშორისო პარტნიორი ამ რეგიონში. ხოლო უსაფრთხო და სტაბილური გარემო კი ეკონომიკური უსაფრთხობის გარანტიასაც წარმოადგენს.

ასეთი გარანტიის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია თავდაცვის ხარჯების სტაბილურობა, რაც გამოიხატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების %-ულ ოდენობაში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. რადგანაც საქართველო ნატოში ინტეგრაციის მსურველი, აქტიური პარტნიორი ქვეყანაა, ხელისუფლებამ გადაწყვიტა მიუახლოვდეს ამ ნიშნულს (2%-ს). შესაბამისად ბოლო 5-6 წლის საშუალო მაჩვენებელი 1,8-დან 2,1-ს ფარგლებში მერყეობს, როგორც ეს ნატოს სტანდარტებითაა გათვალისწინებული. თუ გადავხედავთ ამ მხრივ რეგიონში არსებულ მდგომარეობას შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გარკვეული შედარებითი მრავალფეროვნება, რაც თვისობრივია. მოგეხსენებათ აზერბაიჯანსა და სომხეთში, ასევე უკრაინაში განვითარებული მოვლენები. ბუნებრივია ამ ქვეყნების ყოველწლიური სამხედრო ხარჯები ძირითადად მიმართულია საბრძოლო მოქმედებების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ხოლო შავი ზღვის აუზის დანარჩენ ნატო-ს წევრ ქვეყნებს (ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი), მათი ყოველწლიური დინამიკა შედარებით სტაბილურია.

აღსანიშნავია ის რომ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედებს გარკვეული საშინაო და საგარეო ფაქტორები, და ამ ფაქტორების ზემოქმედების ძალა შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი. ამის შესაბამისად ფასდება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი სუსტი, საშუალო თუ მაღალი ხარისხის საფრთხეები, რათა არ იქნეს გამოწვეული ეკონომიკის დასუსტება. ხოლო ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობის სისუსტე პირდაპირ პროპორციულად იწვევს უსაფრთხოების მიმართულებით წარმოქმნილ გარკვეულ რისკებს, რომლებიც იოლად ვერ რეაგირებენ ცვლილებებზე, განსაკუთრებით ეს აღინიშნება გლობალური რყევებისა და ზემოქმედების პირობებში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ფარგლებში მიმდინარე ცვლილებები წარმოადგენს ხელისუფლების, მოსახლეობისა და ბიზნესს შორის კომუნიკაციის თვისობრივი განაწილების საფუძველს, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეგიონალური განვითარებისათვის და პრიორიტეტული ეკონომიკური მიმართულებების შემუშავებისათვის, ასევე თანამედროვე საინვესტიციო და სავაჭრო გარემოს შექმნისათვის. შესაბამისად ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმები, როგორებიცაა: ევროკავშირთან ასოცირება, გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობა, თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები არა ერთ განვითარებულ ქვეყანასთან, ახალ თვისებებს შესძენს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადობას, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარებას და სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- https://data.worldbank.org/indicator/MS.MIL.XPND.GD.ZS?locations=
- https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/10-12-2021/danartebi/8.2022%20BD%20Tables%20sen%2011_1_BDD_LEPL.pdf
- კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
- თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა. https://mod.gov.ge/uploads/2021/november/tavdacvis_strategiuli_mimoxilva__2021-2025.pdf

აზერბაიჯანის წარმატების მიზეზები მთიანი ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტში

ვიცე-პოლკოვნიკი ილია ჩანადირი

აბსტრაქტი

მთიანი ყარაბაღი წარმოადგენს საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენს დაპირისპირების და ომის საბაბს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. კონფლიქტის გამწვავება დაიწყო გასულ საუკუნეში, რომელმაც კულმინაციას მიაღწია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ათეული წლების განმავლობაში სომხეთს ოკუპირებული ჰქონდა არამარტო ყარაბაღის რეგიონი, არამედ მის გარშემო მდებარე აზერბაიჯანის შვიდი რეგიონი. 2020 წელს კონფლიქტი განახლდა და გადაიზარდა ფართო მაშტაბიან საომარ კამპანიაში, სადაც წარმატებას მიაღწია აზერბაიჯანმა და დაიბრუნა ოკუპირებული ტერიტორიის თითქმის 70% მეტი. სტატიაში განხილულია აზერბაიჯანის წარმატების მიზეზები ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტების - დიპლომატია, ინფორმაცია, სამხედრო, ეკონომიკის მიხედვით (DIME – Diplomatic, Informational, Mmilitary, Economic). მიმოხილულია თითოეულ ინსტრუმენტში მიღწეული წარმატება და ყურადღება გამახვილებულია სამხედრო კომპონენტზე. შეფასების მიხედვით ნათლად ჩანს რომ წლების განმავლობაში აზერბაიჯანის პრაგმატული პოლიტიკის, ეკონომიკური გაძლიერების და უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენებით, რასაც ზურგს უმაგრებდა ძლიერი საინფორმაციო კამპანია აზერბაიჯანმა შესძლო წარმატების მიღწევა 2020 წლის ყარაბაღის კონფლიქტში.

საკვანძო სიტყვები:
ეროვნული სიძლიერი ინსტრუმენტი, ყარაბაღის კონფლიქტი, უახლესი სამხედრო ტექნოლოგიები, დიპლომატია, ეკონომიკა, ინფორმაცია.

REASONS FOR AZERBAIJAN'S SUCCESS IN THE 2020 NAGORNO-KARABAKH CONFLICT

LIEUTENANT COLONEL ILIA CHANADIRI

ABSTRACT

Nagorno-Karabakh has been the cause of controversy and war between Azerbaijan and Armenia for centuries. The escalation of the conflict began in the last century, wich culminated after the collapse of the Soviet Union. For decades, Armenia has occupied not only the Nagorno-Karabakh region, but also the seven surrounding regions of Azerbaijan. In 2020, the conflict resumes and escalates into a large-scale military campaign in which Azerbaijan succeeded and recaptured almost 70% of the occupied territory. The article discusses the reasons for Azerbaijan's success in terms of Instruments of National Power – Diplomacy, Information, Military, Economy (DIME), the success of each instrument is reviewed and the focus is on the military component. The assessment makes it clear that over the years, using Azerbaijan's pragmatic policies, economic empowerment and the latest military technology, backed by a strong information campaign, Azerbaijan has been able to succeed in the 2020 Nagorno-Karabakh conflict.

KEYWORDS:
National Power Instruments, Nagorno-Karabakh, Latest Military Technologies, Diplomacy, Economy, Information.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ დიდი ,,აისბერგი", რომლის მხოლოდ 1/9 ნაწილი ჩანს თვალთახედვის არეალში, ხოლო დანარჩენი ისტორიულ წარსულში ღრმადაა ჩაძირული. აზერბაიჯანელ და სომეხ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი, რომელიც გამწვავდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მცირე ლოკალური დაპირისპირებები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ომი, რომელიც დასრულდა ბიშკეკში ხელმოწერილი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც, ახლად გამოცხადებულმა რესპუბლიკებმა - აზერბაიჯანმა და სომხეთმა აიღეს პასუხისმგებლობა ცეცხლის შეწყვეტაზე. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დროისთვის სომხეთის მიერ ოკუპირებული იყო ყარაბაღის ავტონომიური ოლქი და მის გარშემო მდებარე აზერბაიჯანის რესპუბლიკის შვიდი რაიონი (ქალბაჯარი, ლაჩინი, ფიზული, ზანგილანი, ჯებრაელი, აღდამი, ქუბადლი). დაკავებული შვიდი რაიონი მდებარეობდა ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გარშემო. ამ ადგილმდებარეობის ოკუპაციით გარკვეული ბუფერული ზონაშექმნა სომხეთმა ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გარშემო. მიუხედავად ხელშეკრულებისა, მცირე და ლოკალური შეტაკებები კვლავ გრძელდებოდა აზერბაიჯან-სომხეთის სახელმწიფო და ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, რის შედეგადაც ათასობით პირი დაიღუპა ორივე მხარეს. 1994 წლიდან მოყოლებული აზერბაიჯანმა დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება დიპლომატიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მიმართულებებით. აზერბაიჯანის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თუ შევაფასებთ ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტების - დიპლომატიის, ინფორმაციის, სამხედრო და ეკონომიკის (DIME – Diplomatic, Information, Military, Economic) მიხედვით, იყო წარმატებული, რამაც განაპირობა აზერბაიჯანის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება. ამრიგად, ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტების (DIME) სწორად გამოყენებით აზერბაიჯანმა შეძლო, მიეღწია წარმატებისთვის 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში.

პირველ რიგში, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანმა სომხეთთან შედარებით გასწია უდიდესი და სწორი დიპლომატიური სამუშაო, რამაც ითამაშა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტის წარმატებაზე. აზერბაიჯანის მიერ წარმოებული პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობდა რამდენიმე ათეული წელიწადი და შედეგები დაიდო უშუალოდ კონფლიქტის პერიოდში. თუ გავშლით დიპლომატიის მიმართულებას, აშკარად დავინახავთ აზერბაიჯანის მიერ სწორად წარმოებულ პოლიტიკასა და მის ძლიერ მხარეებს, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს არაღიარების პოლიტიკა, პარტნიორობა და საერთაშორისო ორგანიზაციები.

აზერბაიჯანული დიპლომატიის პირველი მიღწეული გამარჯვება, შეიძლება ითქვას, რომ არის კარგად წარმოებული არაღიარების პოლიტიკა, რომლის შედეგადაც არ აღიარდა მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა დეიურე მსოფლიო საზოგადოების მიერ. ამ ქვეყნებს შორის იყო სომხეთიც, რომელმაც საერთაშორისო გამოხმაურების შიშით ვერ აღიარა ყარაბაღის დამოუკიდებლობა. სომხეთი ამ ნაბიჯით საერთაშორისო სანქციების ქვეშ აღმოჩნდებოდა და საგარეო მხარდაჭერა სრულად აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაიხრებოდა (გიორგი კობერიძე, The Foreign Policy Council, 2020 წლის 9 ოქტომბერი).

აზერბაიჯანული დიპლომატიის მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო დაბალანსებული და პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან. აზერბაჯანმა 90-იან წლებშივე გაანალიზა ის ფაქტი, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად დიდ გავლენას იქონიებდა მისი ჩრდილოელი მეზობელი, პირველი სამხედრო თუ პოლიტიკური დომინანტი რეგიონში. სწორი დიპლომატიური სვლები დაიწყო ჯერ კიდევ ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობის დროიდან და გაგრძელდა ილხამ ალიევის პრეზიდენტობის დროს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ არცერთხელ საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკურ დონეზე აზერბაიჯანს არასდროს არ გაუკრიტიკებია რუსეთი სომხეთის ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერაში. ბაქო და მოსკოვი, პუტინი და ალიევი ყოველთვის პოულობდნენ გადაკვეთის წერტილებს, რაც საბოლოდ აისახა კონფლიქტზე, სადაც რუსეთმა ვერ გარისკა, ღიად გამოსულიყო აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმატებაში დიდი როლი მიუძღვის მის ერთ-ერთ სტრატეგიულ პარტნიორს - თურქეთს. მათი პარტნიორობა დაფუძნებულია საერთო ეროვნულ ფესვებზე, რომელიც სათავეს იღებს ისტორიულ წარსულში და წარმოადგენს მათი ურთიერთობის ქვაკუთხედს. თუნდაც მათი მთავარი საერთო ლოზუნგი - ,,ერთი ერი, ორი სახელმწიფო"(Saban Kardas, The Jamestown, 2009 წლის 21 ოქტომბერი) ყველაფრის მეტყველია, რასაც ხშირად უსვამს ხაზს ორივე ქვეყნის პრეზიდენტი. თურქეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. ის ყოველთვის ღიად უჭერს აზერბაიჯანს მხარს სომხეთის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე. აქტიურ დიპლომატიურ მხარდაჭერასთან ერთად, დიდია თურქეთის მისწრაფება, შემოვიდეს და ადგილი დაიმკვიდროს სამხრეთ კავკასიაში, საიდანაც გზა გაეხსნება ცენტრალური აზიის თურქმანული წარმოშობის ქვეყნებისკენ. ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევაში მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანის კიდევ ერთი სტრატეგიული პარტნიორია პაკისტანი, რომელიც იყო მეორე ქვეყანა, რომელმაც აღიარა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. 90-იანი წლებიდან მოყოლებული მათი პარტნიორობა სტრატეგიულ დონეზე ავიდა და თითქმის ყველა სფერო მოიცვა. მათი მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის შედეგია ის, რომ პაკისტანს სომხეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ ჰყავს აღიარებული და მასთან არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ გააჩნია. აქვე აღნიშვნის ღირსია სამი ქვეყნის გაერთიანება - აზერბაიჯანი-თურქეთი-პაკისტანი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძლიერი ალიანსი აზიის გეოსტრატეგიულ სივრცეში, რომელიც მოიცავს ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთის ოკეანემდე სივრცეს.

ბაქოს საერთაშორისო პარტნიორულ ურთიერთობებში ასევე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ვაშინგტონთან კარგი ურთიერთობა. საფიქრებელია, რომ ეს უმთავრესად განაპირობა ორმა ფაქტორმა, კერძოდ, აზერბაიჯანის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და ენერგორესურსებმა. აზერბაიჯანი მდებარეობს აშშ-ის ორ პოტენციურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს - ირანსა და რუსეთის ფედერაციას შორის. აქედან გამომდინარე, დიდია ვაშინგტონის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესი აზერბაიჯანში და უცხადებს მხარდაჭერას ბაქოს პოლიტიკას ყარაბაღთან მიმართებით (Foreign Policy Journal 2012). აშშ-ის პოლიტიკური მხარდაჭერა იყო ასევე მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისთვის.

ამასთანავე, კიდევ ერთი პრაგმატული დიპლომატიის მაგალითია პარტნიორული ურთიერთობა ირანთან და ისრაელთან. ირანთან კარგ ურთიერთობას (ეს ეხება ომმამდელ სიტუაცია, რაცას ვერ ვიტყვით ომის შემდგომ პერიოდზე, როდესაც ძლიერ დაიძაბა ურთიერთობა ირანსა და აზერბაიჯანს შორის), ისლამური რელიგიის (როგორც მოგვეხსენება, აზერბაიჯანელებიცა და ირანელებიც არიან შიიტები) გარდა, განაპირობებს ეროვნებით აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელიც რამდენიმე ათეულ მილიონს წარმოადგენს და მათი როლი დიდია ირანის ისლამური რესპუბლიკის სოციალურ - პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაც შეეხება ისრაელს, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდამჭერი და პარტნიორია. ამ ურთიერთობების გაღრმავება დაიწყო რამდენიმე წლის წინ. აზერბაიჯანი ისრაელისთვის არის მხარდამჭერი და ძლიერი მოკავშირეირანის სამეზობლოში. ამასთანავე, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ისრაელს არცთუისე ბევრი მეგობარი სახელმწიფო ჰყავს მუსლიმანურ სამყაროში და ყოველთვის ცდილობს მხარდამჭერების გამოძებნას ისლამურ ქვეყნებში.

კიდევ ერთი მთავარი ფაქტორი აზერბაიჯანის დიპლომატიის გამარჯვებისა არის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მხარს უჭერს და აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული აზერბაიჯანის მხარდამჭერ 4 რეზოლუციას(№822, №853, №874 და №884), რომელშიც ნათლად არის აღიარებული მთიანი ყარაბაღი, როგორც აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილი (Farhad Mirzayev, Moderndiplomacy, 2020 წლის 7 აგვისტო). ამავდროულად, აზერბაიჯანი არის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა:თურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია (TURKSOY - International Organization of Turkic Culture) და ისლამური ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაცია (OIC – Organization of Islamic Corporation), რომელშიც გაწევრიანებულია 60 ისლამური ქვეყანა და საკმაოდ ძლიერია. OIC აქტიურად უჭერს მხარს აზერბაიჯანსა და მის ტერიტორიულ მთლიანობას.

ეროვნული სიძლიერის მეორე ინსტრუმენტით - ინფორმაციით თუ შევაფასებთ აზერბაიჯანს, აქაც დავინახავთ, რომ აშკარად იკვეთება მისი გადადგმული ნაბიჯების მართებულობა, როგორც 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის კონფლიქტის წინა პერიოდში, ასევე მისი მიმდინარეობისას. საინფორმაციო ომში გამოსაყოფია აზერბაიჯანული მხარის რამდენიმე მოქმედება, მათ შორის არის საერთაშორისო აუდიტორიაზე გათვლილი ინფორმაციის გავრცელება. ამისათვის იყენებდა როგორც აზერბაიჯანში მოქმედ პოპულარულ საინფორმაციო საშუალებებს, ასევე საერთაშორისო მედია საშუალებებს. მაგალითად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ საერთაშორისო ჟურნალისტები დაუშვა განჯისა და მინგეჩაურის რაიონში, რათა აქტიურად გაეშუქებინათ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის ფაქტები. ამასთანავე, აქტიურად გააშუქა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიახლოვეს ჩამოვარდნილი ჭურვები, რამაც დასავლეთის შეშფოთება გამოიწვია. ამან უარყოფითად იმოქმედა სომხეთის საერთაშორისო იმიჯზე.

პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი თითქმის ყოველდღიურად აძლევდა ინტერვიუებს მსოფლიოს სხვადასხვა გავლენიან მედია საშუალებას. ამ ინტერვიუებში ინფორმაციას აწვდიდა საერთაშორიოს მედიას არა მარტო ომის მსვლელობაზე, არამედ იმის შესახებაც, თუ როგორ ცხოვრობდნენ ერთად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები, რომელთა უფლებებიც დაცული იყო. ამასთანავე, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი ნარატივი საინფორმაციო ომში იყო ის, რომ სომეხი ეროვნების მოქალაქეები

თანაბარი უფლებებით იცხოვრებდნენ მთიანი ყარაბაღის დეოკუპირებულ ტერიტორიაზე. საინფორმაციო კამპანია ასევე გათვლილი იყო ქვეყნის შიდა აუდიტორიაზე, მაგალითად, პერიოდულად გადაიცემოდა უპილოტო საფრენი აპარატებიდან და საარტილერიო დანადგარებიდან სომხური არმიის ტექნიკისა და ცოცხალი ძალის განადგურების ფაქტები. ასევე გადაიცემოდა ტერიტორიებისა და დასახლებული პუნქტების დეოკუპაციის სიუჟეტები. ამან შექმნა ძლიერი მოტივაცია და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მოახდინა აზერბაიჯანული ერის კონსოლიდაცია. აზერბაიჯანული მხარის მიერ კარგად გათვლილი სამოქმედო გეგმა საინფორმაციო სივრცეში დადებითად აისახა აზერბაიჯანის იმიჯზე.

ასევე, საინტერესო მოსაზრებაა იმასთან დაკავშირებით, რომ საინფორმაციო ომში აზერბაიჯანმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ისეთი ინფორმაციის გაშვებას, რომელშიც ნაჩვენები იყო დანგრეული და განადგურებული აზერბაიჯანული დასახლებული პუნქტები ოკუპირებულ რეგიონში. მაგალითად: აზერბაიჯანულმა მხარემ ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა გათავისუფლებულ ტერიტორიებზე დანგრეულ და განადგურებულ ინფრასტრუქტურას. საბოლოოდ ამ საინფორმაციო ომმა შედეგი გამოიღო, რაც უარყოფითად მოქმედებდა სომხეთისთვის საერთაშორისო საზოგადოებაში.

რაც შეეხება ეროვნული სიძლიერის ელემენტს - ეკონომიკას, აქაც აშკარაა აზერბაიჯანის წარმატება. ეს წარმატება, პირველ რიგში, განაპირობა ბუნებრივმა რესურსებმა, კერძოდ, ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანის ეკონომიკის აღმავლობას. აქაც საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ინდუსტრიაში აზერბაიჯანის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად თავიდანვე ჩაერთო რუსეთი, თურქეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და მათი ინვესტიციები თანდათანობით გაიზარდა. საფიქრებელია, რომ აზერბაიჯანმა საკუთარი ეკონომიკის გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის გამო აწარმოა დაბალანსებული ეკონომიკური პოლიტიკა და არ შეაჩერა არჩევანი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქვეყანაზე. მან კარი გაუღო ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში დაინტერესებულ ქვეყნებს. მათი ფინანსური ინტერესები დააკავშირა და შეუსაბამა თავის ეროვნულ ინტერესებს.

ასევე საინტერესოა აზერბაიჯანის მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობა რუსეთთან. ეს ურთიერთობები მხოლოდ ბაქო-ნოვოროსისკის ნავთობსადენის პროექტით არ შემოიფარგლება. რუსეთის ინტერესები უფრო შორს მიმავალია და მზარდია აზერბაჯანულ ეკონომიკაში. ერთ-ერთი ამ ინტერესებიდან გახლავთკასპიის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევაა და შედის არამარტო რუსეთის, არამედ აზერბაიჯანის ინტერესებშიც. ამან გამოიწვია რუსული ინვესტიციების მიზიდვა აზერბაიჯანის ეკონომიკაში, რამაც ბოლო მონაცემებით ოთხ მილიარდ დოლარს გადააჭარბა (Mushvig Mehdiyev, Caspian News, 2019 წლის 15 მარტი). სავარაუდოა, რომ ამ მოქმედებებით ბაქომ გარკვეულწილად დააკმაყოფილა რუსული ინტერესები, ხოლო თვითონ ამის საპირწონედ მოიპოვა მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის საკითხში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთთან, რომელიც დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტით. ამ პროექტს მოჰყვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ბაქო-ერზერუმის გაზსადენი. აღნიშნული პროექტებით აზერბაიჯანმა გაზარდა ნავთობის/გაზის გაყიდვები და, მეორე მხრივ, დააკმაყოფილა თურქეთისა და დასავლეთის ინტერესები. მაგალითად, ამ პროექტებში ბრიტანული ნავთობკომპანია (BP – British Petroleum) არის უდიდესი წილის (30%) მფლობელი (როლანდ გიოცი, Heinrich-Böll-Stiftung, 2018 წლის 6 თებერვალი). ასევე დიდია ევროკავშირის ინტერესები მომავალ პროექტებში, კერძოდ, ტრანს-ანატოლიის გაზსადენის პროექტში (TANAP - Trans-Anatolian Natural Gas Pipeline Project). ამ პროექტის მიზანია ენერგო რესურსების მიწოდება აზერბაიჯანის სანგაჩალისა და შახ-დენიზის ტერმინალებიდან ევროპულ ბაზარზე. TANAP-ის პროექტის საშუალებით შემცირდება დამოკიდებულება რუსეთის გაზზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებისათვის. სავარაუდოა, რომ ამ პროექტებით გაიზარდა ევროკავშირის ეკონომიკური ინტერესები აზერბაიჯანის მიმართ, რამაც კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოუტანა ბაქოს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელშიც ჩართულია აზერბაიჯანი და საკვანძო ქვეყნის როლს ასრულებს, გახლავთ დიდი აბრეშუმის გზის/დერეფნის განვითარება. ამ პროექტში პირველივე დღეებიდან ჩართულია აზერბაიჯანი და დიდია მისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტის განვითარებაში. ეს საშუალებას აძლევს, კასპიის პორტების გავლით მიიღოს და გაატაროს ცენტრალური აზიიდან და ჩინეთიდან მიღებული ტვირთი, რომელიც რამდენიმე ათეულ მილიონ ტონას აღწევს. საფიქრებელია ისიც, რომ აბრეშუმის გზის განვითარება აზერბაიჯანის გავლით გზას აუვლის ირანსა და რუსეთს, რაც დასავლეთისა და აშშ-ის ეკონომიკურ ინტერესებშიც შედის. ასევე, ბაქოს მიმართულებით ტვირთის გატარებას ხელს უწყობს ერაყსა და სირიაში მიმდინარე საომარი მდგომარეობა, რამაც გაზარდა აზერბაიჯანის როლი და ფუნქცია აბრეშუმის გზის პროექტში. აღნიშნულმა პროექტმა აზერბაიჯანი გადააქცა საკვანძო სატრანსპორტო ქვეყანად, სადაც დიდია დასავლეთის დაინტერესება და გრძელდება ინვესტიციების მოზიდვა.

ინვესტიციების მოზიდვამ აზერბაიჯანის ეკონომიკაში, ნავთობისა და გაზის მზარდმა ინდუსტრიამ ხელი შეუწყო მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტის) გაზრდას რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარით (2020 წლისთვის 40 მილიარდ დოლარს მიაღწია)(კვირა მედიაჰოლდინგი 2019). ეს ყველაფერი აისახა აზერბაიჯანის ეკონომიკურ გარემოზე, რომელიც პირდაპირ პროპორციულად დაკავშირებული იყო ეროვნული სიძლიერის მეოთხე ინსტრუმენტზე - სამხედროზე.

მიმდინარე პროცესებიდან ნათლად გამოჩნდა აზერბაიჯანის ეროვნული სიძლიერის სამხედრო კომპონენტის წარმატება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. ამან განაპირობა მთავარი ეროვნული მიზნის მიღწევა, სომხეთის შეიარაღებული ძალების დამარცხება. აქედან გამომდინარე, საინტერესო იქნება ცოტა ვრცლად თუ გაიშლება DIME-ის სამხედრო კომპონენტი და მოკლე ანალიზი ჩაუტარდება აზერბაიჯანის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმებს: შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას, თანამედროვე იარაღით გადაიარაღებასა და ბრძოლის ახალტაქტიკას, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ძლიერი სამხედრო მოკავშირეები.

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას აზერბაიჯანული არმიის ძირეულ რეორგანიზაციას, რითაც ბაქომუარი თქვა შეიარაღებული ძალების ძველ საბჭოურ სტრუქტურაზე და მოახდინა სრული რეორგანიზაცია. ამაში უდიდესი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანის სტრატეგიულმა სამხედრო მოკავშირემ, თურქეთმა. ამის განსახორციელებლად ბაქომ 90-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო თურქეთის სამხედრო აკადემიაში აზერბაიჯანელი ოფიცრების გადამზადება. თურქეთის არმიის სამხედრო მრჩევლებისა და ინსტრუქტორების დახმარებით აზერბაიჯანმა შექმნა მაქსიმალურად თურქულ სტანდარტებზე მიახლოებული შეიარაღებული ძალები.

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც გაატარა აზერბაიჯანმა შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად, იყო გადაიარაღება თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნოლოგიებით. ამ რეფორმის ფარგლებში აზერბაიჯანმა 2005 წელს შექმნა სამხედრო მრეწველობის სამინისტრო. საფიქრებელია, რომ ბაქომ ამ ნაბიჯით აქცენტი გააკეთა საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე. ეს იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორი სამხედრო წარმოებაში, რამაც დიდი როლი ითამაშა შემდგომი მოვლენების განვითარებაში. დღესდღეობით აზერბაიჯანს სამხედრო მრეწველობის განვითარების სფეროში განსაკუთრებული პარტნიორობა აქვს თურქეთთან, ისრაელთან, პაკისტანთან, რუსეთთან, რომლებთან ერთადაც აწარმოებს ჯავშანტექნიკას, უპილოტო საფრენ აპარატებს (სადაზვერვო და საბრძოლო), ნაღმტყორცნებს, ზალპური ცეცხლის რეაქტიულსისტემებს. მათ შორის უნდა გამოიყოს უპილოტო საფრენი აპარატი,რომელიც არის აზერბაიჯანის სამხედრო მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე მზარდი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინდუსტრიის სფერო. 2016 წლიდან ებრაული კომპანიისგან („Aeronautics Defense Systems“) შეძენილი ლიცენზიით აზერბაიჯანმა დაიწყო საკუთარი უპილოტო საფრენი აპარატების (საბრძოლო და სადაზვერვო) წარმოება.

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანმა შემქნა უპილოტო საფრენი აპარატების მთელი არმია. 2015 წლიდან მოყოლებული ისრაელი და თურქეთი წარმოადგენდნენ აზერბაიჯანის მთავარ პარტნიორებს. ბაქომ ისრაელიდან შეიძინა სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატები, კერძოდ, HERMES 450, HERMES 900 და AEROSTAR. თურქეთიდან კრიტიკულად მნიშვნელოვანი შენაძენი იყო საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატი Bayraktar TB2, რომელიც აღჭურვილია 4 ერთეული ჰაერი-მიწა ტიპის მართვადი რაკეტით - MAM (Mini Akıllı Mühimmat – ჭკვიანი მცირე საბრძოლო მასალა). აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ებრაული Harop-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები (,,კამიკაძე-დრონები“) და მისი გამშვები დანადგარები, რომლებიც 2016 წლიდან გამოჩნდა შეიარაღებაში. ამას გარდა, ბაქომ ისრაელისგან შეიძინა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კოპლექსი ,,სპაიკი“ (Spike-SR/MR/LR),რომლითაც დააკომპლექტა ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფები. მნიშვნელოვნად გაზარდა რეაქტიული სარაკეტო სისტემების რაოდენობა და სახეობა, კერძოდ, 9A52 ,,სმერჩებით“ (40 ერთეულამდე) და 302 მმ-იანი T-300 Kasirga(21ერთეულამდე), ხოლო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა გააძლიერა „S-300PMU2“ სისტემებით. გადაიარაღება შეეხო ჯავშანტექნიკასაც და შესყიდულ იქნა თანამედროვე T-90 ტიპის რუსული ტანკი -100 ერთეულამდე და ქვეითთა საბრძოლო მანქანა BMP-3 90 ერთეულამდე. ბაქოს განკარგულებაში არის ასევე საკუთარი სატელიტური თანამგზავრი SPOT-7.აღნიშნული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვამ და გადაიარაღებამ გარდამტეხი როლი ითამაშა აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებაში.

რაც შეეხება ბრძოლის ახალ ტაქტიკას, რომელიც გამოიყენა აზერბაიჯანმა კონფლიქტის მიმდინარეობისას, იყო წარმატებული. ბაქომ რეგიონისთვის (სამხრეთ კავკასია) მნიშვნელოვნად განსხვავებული სამხედრო ტაქტიკა შემოგვთავაზა, რაც იყო მისი გამარჯვების ერთ-ერთი წინაპირობა. ახალი სამოქმედო გეგმის გამოყენებითთითქმის უფუნქციოდ დატოვა სომხური ,,ოღანიანის თავდაცვითიხაზი“, რომელიც წარმოადგენდა

120 კილომეტრამდე სიგრძის ეშელონირებულ თავდაცვის სისტემას. წინასწარ დაგეგმილი სამოქმედო გეგმით აქტიურად გამოიყენეს სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატები, კერძოდ, HERMES 450, HERMES 900, Heronდა AEROSTAR (Washington Post 2020). მათი საშუალებით დაიზვერა ბრძოლის ველი აქტიურ და მოსამზადებელ ფაზებში. სპეცდანიშნულების ძალები და საარტილერიო ქვედანაყოფები იღებდნენ მოწინააღმდეგის ზუსტ კოორდინატებს მათი განლაგების, პოზიციებისა და სუსტი ადგილების შესახებ, რის შემდგომაც მათ მიერ წარმოებული ოპერაციები იყო მაღალშედეგიანი. მაგალითად, საფიქრებელია, რომ სპეცდანიშნულების ძალებისა და კომანდოს ტიპის ჯგუფებმა იცოდნენ,თუ სად იყო სუსტი თავდაცვა და იქ აკეთებდნენ შეჟონვით ოპერაციებს. უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატების მოქმედებებს თან ერთვოდა სატელიტური თანამგზავრიდან (აზერბაიჯანს გააჩნია საკუთარი სატელიტური თანამგზავრი) მიღებული სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც დადებითად აისახა აზერბაიჯანული არმიის წარმატებაზე.

წარმატების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების კარგად შერჩეული ტაქტიკა, რომლიდანაც გამოსაყოფია ორი მოქმედება. პირველი - ეს იყო შეცდომაში შეყვანის ტაქტიკა, ანუ ეგრეთ წოდებული ,,სატყუარების" გამოყენება, ამ ტაქტიკით ცდილობდნენ აზერბაიჯანელები, აღმოეჩინათ სომხური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები. მაგალითად, უშვებდნენ ორ სატყუარა Harop-ის ტიპის უპილოტო საფრენ აპარატს (,,კამიკაძე-დრონი"), რის შემდეგაც აკვირდებოდნენ საზენიტო სარაკეტო დანადგარებს,თუ საიდან გაისვრიდნენ მათ დასაზიანებლად ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტას. შემდეგ იყენებდნენ მეორე დრონის უშუალოდ სამიზნეზე. რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ხაზგასასმელია სომხეთის არმიის ზურგში მიტანილი იერიშები, რომლებიც ანადგურებდა მაღალი ღირებულების სამიზნეებს, კერძოდ, მართვის პუნქტებს, საჰაერო თავდაცვის რადარებს, სარაკეტო/საზენიტო სისტემებს, ტანკებს, ცოცხალ ძალასა და საბრძოლო პოზიციებს. ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე მიტანილმა იერიშებმა გამოიწვია სომხური შეიარაღებული ძალების დაუძლურება, პანიკა და დემორალიზება.

შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებას ზურგს უმაგრებდა მისი სტრატეგიული სამხედრო პარტნიორები თურქეთი და პაკისტანი. ალბათ, რთული წარმოსადგენი იქნებოდა აზერბაიჯანის სამხედრო წარმატება თურქეთის დახმარების გარეშე. თურქეთთან სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობა გახლავთ ქვაკუთხედი აზერბაიჯანული შეიარაღებული ძალებისა. თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო ურთიერთობა სათავეს იღებს 1992 წლიდან, რომელიც წლების განმავლობაში განვითარდა და სტრატეგიულ დონეზე ავიდა. სამხედრო შეთანხმებები ითვალისწინებს თურქეთის მხრიდან შეიარაღების, ტექნიკისა და არჭურვილობის მიწოდებას, ასევე ათასობით ოფიცერი და სერჟანტი მომზადდა თურქი სამხედრო ინსტრუქტორებისა და სპეციალისტების დახმარებით. მაგალითად, სპეცდანიშნულების ძალები და კომანდოს ტიპის ქვედანაყოფები მომზადდა თურქული მხარის მიერ, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა საბრძოლო ოპერაციების წარატებაში. ყარაბაღის კონფლიქტის მიმდინარეობისას სავარაუდოა, რომ თურქი მაღალი რანგის ოფიცრები დაგეგმვაშიცა და მართვაშიცმხარს უჭერდნენ აზერბაიჯანულ მხარეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთს გარკვეული წვლილი მიუძღვის აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებაში (Aljazeera 2020).

მეორე მნიშვნელოვანი სამხედრო მოკავშირე, რომელიც ზურგს უმაგრებს აზერბაიჯანს, არის პაკისტანი. გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებისა, სადაც განვიხილეთ პოლიტიკურ-დიპლომატიურ ჭრილში პაკისტან-აზერბაიჯანის ურთიერთობა, არის მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის. მრავალი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ სტარტეგიული სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ორ ქვეყანას შორის, მაგალითად, პაკისტანი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მხარდაჭერა გამოუცხადა ბაქოს 2016 წლის აპრილში მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში. პაკისტანის თავდაცვის მინისტრმა ცალსახად განაცხადა, რომ მზად იყო, ბაქოსთვის გაეწია სამხედრო დახმარება (Ismayilov Negate, DND, 2019 წლის 4 აპრილი). რაც შეეხება ბოლო სექტემბერ-ნოემბრის მოვლენებს, სავარაუდოა, რომ მიმდინარე კონფლიქტში ირიბად ჩართულლი იყო პაკისტანი დაგეგმვისა და მართვის პროცესში. ეს ზემოთ მოყვანიილი გარემოებები უმაგრებდა ზურგს აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებას.

მეორე მხრივ, დამაფიქრებელია ომის გრძელვადიანი შედეგი, თუ ვინ არის მოგებული და წაგებული ამ კონფლიქტში. სავარაუდოა რომ გამარჯვებულის ეიფორიიდან გამოსულ აზერბაიჯანს მოუწევს, დაფიქრდეს და გაანალიზოს სულ მცირე ის სამი გარემოება, რომლებიც მის სრულ, უპირობო გამარჯვებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. პირველი - ეს არის ბუნდოვანი 9-პუნქტიანი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეწყდა ყარაბაღის კონფლიქტი და გამარჯვებულ მხარედ აზერბაიჯანი იქნა აღიარებული, ხოლო სომხეთმა დატოვა აზერბაიჯანის ტერიტორია. ფაქტია, რომაზერბაიჯანმა ვერ შეძლო ბოლომდე ყარაბაღის დეოკუპაცია და გაკონტროლება, აქედან გამომდინარე, სტეფანაკერტი ჯერ კიდევ არ ექვემდებარება აზერბაიჯანულ იურისდიქციას. მეორე ფაქტორი - ეს არის რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომლებიც, სავარაუდოდ,

შექმნიან გარკვეულ პრობლემებს და ფარულად მხარს დაუჭერენ სომხურ/ყარაბაღის მხარეს. ასევე საკუთარ ტერიტორიაზე მიიღო უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალები სულ მცირე 5 წლის ვადით.

ამ ფაქტორების მიუხედავად, აზერბაიჯანის წარმატებას ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ, რადგანაც მან დაიკავა შვიდი რაიონი და ყარაბაღის ტერიტორიის 30%, რომელიც ოკუპირებული იყო სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ. ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აზერბაიჯანი რეგიონში გახდა უფრო მეტად ანგარიშგასაწევი ძალა არამარტო სამხედრო კომპონენტში, არამედ ეკონომიკური კუთხითაც. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ ნახიჩევანთან დამაკავშირებელი გზის ნახიჩევანი-მეგრი-ბაქოს გზის (ზანგეზურის გზის) მონაკვეთის აღდგენის პერსპექტივა, დეოკუპირებულ რაიონებში ლტოლვილების დაბრუნება და ეკონომიკის განვითარება, რომელიც მომავლის გათვლებით დამატებით შემოსავალს მოუტანს აზერბაიჯანს. მაგალითად, ნახიჩევანის გზის მონაკვეთის განვითარებით შემოკლდება მარშრუტი თურქეთი-ევროპისკენ, რომელიც მეტი შემოსავლის მომტანია აბრეშუმის გზის პროექტში ჩართული აზერბაიჯანისთვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანმა სწორად შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და გადამწყვეტი მოქმედებები დაიწყო თავისი მთავარი ეროვნული მიზნის მისაღწევად. ამას ზურგს უმაგრებდამის მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული რეფორმები, კერძოდ, პრაგმატული და დაბალანსებული პოლიტიკა, ეკონომიკის განვითარება და მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდა, საინფორმაციო სფეროში წარმატება, შეიარაღებული ძალების რეფორმები და თანამედროვე შეიარაღების აღჭურვა. ამ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებით აზერბაიჯანმა შეძლო 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში წარმატების მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთაძე გიორგი, ჯეოქეისი, რეგიონალური სამხედრო დისბალანსი და საქართველო : დასკვნები მსჯელობისათვის, 2020 წლის 12 ივნისი https://www.geocase.ge/ka/ publications/167/regionaluri-samkhedro-disbalansi-da-saqartvelo-daskvnebi-msjelobisatvis (19.12.2021)
- კობახიძე ბექა, პუბლიკა, ყარაბაღის კონფლიქტი: წარსული, აწმყო, მომავალი 2020 წლის 4 ოქტომბერი. https://publika.ge/article/yarabaghis-konfliqti-warsuli-awmyo-momavali/(19.12.2021)
- კობერიძე გიორგი, The Foreign Policy Council, ყარაბაღის კრიზისი – თანამედროვე ომის კავკასიური ქრონიკა, 2020 წლის 9 ოქტომბერი.https://foreignpolicycouncil. com/2020/10/09/ (04.12.2021)
- სამადბეგიშვილი, სანდრო, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის, 2020 წლის 16 ნოემბერი https://moderndiplomacy.eu/2020/08/07/what-stands-behind-escalation-of-the-conflict-between-armenia-and-azerbaijan/(15.12.21)
- უტიაშვილი, შოთა, რონდელის ფონდი, ვინ მოიგო და ვინ წააგო ყარაბაღის ომით, 2020 წელი, 24 ნოემბერი https://www.gfsis.org/ge/blog/view/1127(18.12.21)
- როლანდ გიოცი, Heinrich-Böll-Stiftung, ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება, ექსპორტი, ტრანზიტი. 2018 წლის 6 თებერვალი https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunebrivi-airi-samxret-kavkasiashi-shida-momarageba-eksporti-tranziti (08.12.2021)
- ნასიბ, ლ ჰასიბლი, Harvard Kennedy SchoolAzerbaijan-Iran Relations: Challenges and Prospects1999 წლის, 30 ნოემბერი https://www.belfercenter.org/publication/azerbaijan-iran-relations-challenges-and-prospects (20.12.2021)
- ჰულუსი ასკარი, ჩვენ მხარს ვუჭერთ აზერბაიჯანს - ერთი ერი, ორი სახელმწიფო, 2020 წლის 14 ივლისი https://tabula.ge/ge/news/649836-turketis-tavdatsvis-ministri-chven-mkhars-vuchert (14.12.2021)
- Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan, Azerbaijan and Pakistan discussed issues of expanding military cooperation, 2020 წლის 5 სექტემბერი https://mod.gov.az/en/news/azerbaijan-and-pakistan-discussed-issues-of-expanding-military-cooperation-32110.html(15.12.21)
- The Chesterfield Colonel in Education, History, Policy, Strategy. Understanding National Power. 2019 წლის 4 აგვისტო https://chesterfieldstrategy.com/2019/08/04/understanding-national-power/(16.12.21)
- Mushing Mehdiyev, Caspian News, Russian Companies Are Boosting Azerbaijan's Non-Oil & Gas Industries 2019 წლის 15 მარტი.https://caspianews.com/news-detail/russian-companies-are-boosting-azerbaijans-non-oil-gas-industries-2019-3-15-14/ (27.01.2020)
- Netmedia, 2020. დრონების ომი მთიან ყარაბახში: როგორ შეცვალეს უპილოტოებმა მდგომარეობა აზერბაიჯანის და სომხეთის კონფლიქტში, 7 ოქტომბერი https://netmedia.ge/2020/10/%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91/?lang=ge (09.12.2021)
- Joanna Frew, Drone Wars, The use of drones in the ongoing Nagorno-Karabakh conflict.2020 წლის 14 ქტომბერი https://dronewars.net/2020/10/14/the-use-of-drones-in-the-ongoing-nagorno-karabakh-conflict/ (14.12.2021)
- The Washington Post, Robin Dixon. 2020. Azerbaijan's drones owned the battlefield in Nagorno-Karabakh — and showed future of warfare. 12 ნოემბერი https://www.washingtonpost.com/world/europe/nagorno-karabkah-dronesazerbaijan-aremenia/2020/11/11/441b-cbd2-193d-11eb-8bda814ca56e138b_story.html (18.12.2021)
- Aljazeera, Patrick Keddie. 2020.What's Turkey's role in the Nagorno-Karabakh conflict. 30 ოქტომბერი. https://www.aljazeera.com/features/2020/10/30/whats-turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-conflict (17.12.2021)
- DND, Ismayilov Nejat. 2019. Golden Age of Military Collaboration. 4 აპრილი. https://dnd.com.pk/if-armenia-has-india-azerbaijan-has-pakistan-golden-age-of-military-collaboration/163909 (19.12.2021)
- Geopolitical Monitor, Wilder Alejandro Sanchez. 2020. US-Azerbaijan Relations: Forging Ahead in a Tough Neighborhood,26 თებერვალი. https://www.geopoliticalmonitor.com/us-azerbaijan-relations-forging-ahead-in-a-tough-neighborhood/(16.12.2021)
- Foreign Policy Journal, Galib Mammadov. 2012Future of U.S.-Azerbaijani Relations, 2 მარტი https://www.foreignpolicyjournal.com/2012/03/02/future-of-u-s-azerbaijani-relations/ (15.12.2021)

რა არის გლობალური სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ორი უდიდესი გამოწვევა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში და რატომ?

პოლკოვნიკი დავით ჩხეტიანი

აბსტრაქტი

თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ მომავალი ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი ბუნდოვანი როგორც დღეს, შესაბამისად იმაისათვის რომ მოხერხდეს გლობალური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილღეობისათვის (უსკ) 2 უმთავრესი გამოწვევის დადგენა უახლოეს მომავალში, სიღრმისეული ანალიზია საჭირო. ამისათვის ეს ნაშრომი შეეცდება დაასაბუთოს, რომ კიბერ-შეტევები და საინფორმაციო ომი - პროპაგანდა, გამოყენებული როგორც სახელმწიფო ასევე არასახემწიფო აქტორების მიერ, მათი მცირე ღირებულებისა მაგრამ უაღრესად მაღალი ეფექტურობიდან გამომდინარე, არსებულ მსოფლიო წესრიგის კითხვის ქვეშ დაყენებით, მზაკვრული პოლიტიკური დღის წესრიის გავრცელებითა და ზოგადად დემოკრატიის ძირგამოთხრით, წარმოადგენენ უდიდეს საფრთხეს გლობალური უსაფრთხოებისათვის მომდევნო ათწლეულში.

საკვანძო სიტყვები:
სტაბილურობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, საფრთხე, კიბერი, საინფორმაციო ომი, პროპაგანდა.

WHAT ARE THE TWO GREATEST CHALLENGES TO GLOBAL STABILITY, SECURITY AND PROSPERITY IN THE NEXT DECADE AND WHY?

COLONEL DAVIT CHKHETIANI

ABSTRACT

It may be said, the future has never been so ambiguous as now, therefore to identify two main challenges to the global stability, security and prosperity (GSSP) for the next decade, thorough considerations should be made. Doing so, this essay will argue that cyber-attacks and information warfare (IW), employed both by the state and non-state actors, due to their low-cost, but immensely high-impact, will pose the highest threat to the GSSP for next decade, challenging the existing world order, promoting malicious political agendas, sowing divisions and undermining democracy in general.

KEYWORDS:
Stability, Security, Prosperity, Threat, Cyber, Information Warfare, Propaganda.

INTRODUCTION

The recent decade has been remarkably volatile facing the convergence of more "traditional" challenges, such as international and regional conflicts, economic turbulences, environmental and climate issues. But also, the global pandemic of COVID-19 which paralysed the world due to unpreparedness of the international community to handle such challenge.

It may be said, the future has never been so ambiguous as now, therefore to identify two main challenges to the global stability, security and prosperity (GSSP) for the next decade, thorough considerations should be made. Doing so, this essay will argue that cyber-attacks and information warfare (IW), employed both by the state and non-state actors, due to their low-cost, but immensely high-impact, will pose the highest threat to the GSSP for next decade, challenging the existing world order, promoting malicious political agendas, sowing divisions and undermining democracy in general.

For start, this essay will offer the definitions. Next it will dissect the challenges posed by cyberattacks and IW, providing evidence of why these two particular will be of the highest probability in the coming decade and finally sum up the argument in the conclusion.

DEFINITIONS

From the perspective of realism, security is the key factor in the notion of GSSP, providing the foundation for stability and prosperity. Security is highly contested and complex concept without universal definition. Originally it more focused on a state as a main actor in International Relations (IR), considering military threats only as challenges to the state survival.[1] However, by the end of the cold war, the concept was widely rethought arriving to broader understanding, going beyond the states all the way down to communities or even individuals and from military to wide array of threats and challenges.[2]

Global approach to the security imposes even higher complexity to the concept, encompassing all aspects of state capabilities and involving multiplicity of actors. While being affected by the interpersonal, societal and international levels of human behavior,[3] it demands higher level of cooperation between states, but at the same time causes more fragmentation as the national interests may contradict such unanimity.[4]

Challenges to the security demands likewise broader considerations rather than just highlighting the military threat, encompassing wide range of instruments and actions that could threaten not only the territorial sovereignty of the given state, but in general challenge the quality of life, narrowing down the availability of policy choices and endangering the governmental, nongovernmental entities and even individuals.[5]

CYBERATTACKS AND INFORMATION WARFARE

The use of military means to promote own political agenda still holds a significant place in contemporary IR. Observing ongoing events in Syria, Ukraine, Yemen or Nagorno-Karabakh, military power is still considered as one of the main instruments of statecraft by many. However, other, less pricey methods with easy deniability prospects are becoming more instrumental to accomplish the desired political ends. This approaches comprise of instruments that can effectively leverage and shape the political, economic, social and information spheres of the targeted states or groups to the liking of aggressor.

Cyber-attacks represent the first such challenge. "Since information technology and the internet have developed to such an extent that they have become a major element of national power, cyberwar has become the drumbeat of the day as nation-states are arming themselves for the cyber battlespace."[6] Projecting a threat through the cyber-space has become a convenient instrument for promoting own interests by many actors in

1 Richard Ullman, "Redefining Security", International Security, Summer, MIT Press, 1983, Vol. 8, No. 1: 129
2 Elke Kraman, "Security: Collective Good or Commodity?", European Journal of International Relations, Vol 14, No3, 2008: 125
3 Bill McSweeney, Security, Identity and Interests: A Sociology of International Relations, Cambridge University Press, 1999: 25-40
4 John Baylis "International and Global Security" in The Globalisation of World Politics, Oxford University Press, 8th Ed, 2020: 252
5 Ullman: 133
6 Fred Shreier, "On Cyber Warfare," DCAF Horizon Working Paper No 7, 2015: 7

contemporary world, both of state, such as Russia, China, North-Korea, Iran and non-state actors such as ISIS, Hezbollah, organized crime syndicates and others.

The main reason, why such threats will be more likely in coming decade is embedded in our increasing dependability on information technologies. "Even a gifted science fiction writer like Bradbury back in the late 1950s could not have imagined the extent of which our lives will dovetail with technology."[7] About 45% of people worldwide are using smartphones, 50% of households own PC, 4,6 billion people ae actively using internet as of July 2020.[8] The level of interconnectedness is steadily rising, but there is also the internet of things, where different systems are communicating even without human participation. IT reliance has become immense in industry, transportation, healthcare, science, finance, defense and security sectors. "From personal use to business platforms and military applications, the reliance on cyberspace is only accelerating."[9] There is not a single sphere left, both in developed and developing countries, which wouldn't be utilising IT to some level at least.

Such dependence has become a source of inspiration for many malign actors. Russia has already integrated cyberwarfare in its planning and force-projection capabilities, using it not only for influence, but also in military operations in Ukraine and elsewhere, on operational and tactical levels, actively conducting offensive cyberattacks to undermine enemy command and control.[10] The reliance on IT is even higher by the modern, advanced militaries whose operations can be easily crippled by well-coordinated cyberattacks.[11] Aforesaid prospects of high-impact but low-cost force projection provide to the cyberwarfare concept even stronger appeal for such actors, whose adversaries field large, well-equipped, advanced militaries. By undermining or limiting their capabilities, malicious actors can operate unhinged, directly endangering the GSSP.

By the state-actors cyber is also widely used for intelligence, espionage, information operations. However, it is not only them who found it convenient to utilise cyberspace for their designs. "It is important to point out that other kinds of cyber-attacks take place regularly, which are much more frequent than state-sponsored activities."[12] These could be attempts to illegally access the computer networks for theft, extortion, revenge and etc., some escalating even to the level considered cyber-terrorism. 2017 cyber-attacks "WannaCry and NotPetya exposed a systemic risk and affected a broad cross-section of businesses without specific targeting, demonstrating the potential for escalation in the threat of cyber terrorism."[13]

This essay has established the challenge posed to the GSSP by cyberattacks and now it will argue why is it more likely that malign actors will use these instruments to do their bidding rather than more traditional violence and direct military confrontation. Besides the compared low-cost but high-impact, it is the ambiguity, that makes the cyber-aggression so inviting. Firstly, it is the complexity of attribution. While facing cyberattacks, it is rather hard to put an unequivocal blame on a perpetrator, due to the difficulty of backtracking. Ambiguity is further enhanced by the absence of legal framework governing the cyberspace. "Attri¬bution stubbornly permeates every aspect of cyber operation; it is, indeed, the single greatest challenge to the application of the law of armed conflict to cyber activity."[14] While the armed conflicts are regulated by the international treaties and agreements such as Geneva Conventions, Humanitarian Law or UN Charta, no such regulations exist regarding the cyberwarfare, which makes it a perfect realm for covert aggression.

Next this essay will discuss the threat posed by the IW, embodying through the propaganda and the weaponisation of social and mass media to promote political agendas, which is also connected to the first challenge utilising the cyberspace for projection. In this field Kremlin is probably the global leader in employing information and propaganda to do it's bidding. "Tactics and strategies developed and employed during the Soviet period have served as a foundation for establishing new strategies that incorporate some of the century- old Leninist repertoire and new trends like IW, as defined by Moscow, for the conduct of continuous political warfare against hostile targets."[15] It is closely followed by Iran, North-Korea, other malign actors who are also largely engaging in IW but more on regional scale. On a state level those propaganda efforts are commonly oriented

7 Christopher Coker, Future War, Polity Press, Cambridge, 2015: 6
8 Statista "Gglobal digital population", https://www.statista.com/ (accessed 17.10.2020)
9 Schreier: 31
10 Stephen Blank, "Cyber War and Information War a La Russe" Understanding Cyber Conflict, George Town University Press, 2017, 81
11 Asymmetric Warfare Group, Russian New Generation Warfare Handbook, Fort Meade, Maryland, USA, December 2016: 46-49
12 Schreier: 8
13 Emil Metropoulos and Jeremy S. Platt, "Global Cyber Terrorism Incidents on Rise" Marsh and McLennan, 2018. https://www.mmc.com/insights/publications/2018/nov/global-cyber-terrorism-incidents-on-the-rise.html (accessed 15/10/2020)
14 Todd C. Huntley, "Controlling the Use of Force in Cyberspace: The Application of the Law of Armed Conflict During a Time of Fundamental Change in the Nature of Warfare," Naval Law Review, Vol. 60, 23 Novem¬ber 2010: 1-40.
15 Blank: 82

on two objectives. At first on domestic audiences, in order to consolidate regime and marginalize opposition if any is still at hand. On foreign audiences secondly, spreading deception and divisions, but also dissuading opponents to confront assailant's malicious activities. Non-state actors on the other hand usually use IW to promote own political agendas but even more importantly, for advancing recruitment and financing efforts.

"IW assumes growing importance as a war-winning strategy that avoids attribution, inhibits enemy reactions, and minimizes expenses."[16] Likewise to cyberattacks, IW also enjoys the advantages of low-cost but high-impact instrument for attaining the desired ends, while similarly keeping hard to spot the actual perpetrator or even an aggression as whole. By some researchers IW is even seen as a decisive instrument of state power rather than supporting or shaping element, designed to exploit advantages in information domain while mitigating disadvantages in other domains.[17]

Weaponisation of social media is another effective manifestation of IW. The Self-declared Islamic-State's 2014 swift drive through Syria and North-Iraq represents a great example of later. The social media campaign accompanying the fighting "took power of an invisible artillery bombardment, its thousands of massages spiraling out in front of the advancing force",[18] seeding fear and discord. But even of higher consequences is IW trying to delegitimise the fundamental process of democratic elections within the western societies. Since 2014, Russian disinformation campaign has become evidently meddling in US, French, Hungarian, German elections, Scottish and Catalan independence and UK BREXIT referendums and in many more such defining events world-wide,[19] targeting to undermine western liberal-democracy as an idea itself. There is also mounting evidence of Iran, North-Korea, other Malign actors also actively engaging in such influence operations regionally and world-wide, what brings the challenge posed by IW to the top of the list threatening global stability security and prosperity.

CONCLUSION

There is a large number of threats and challenges contesting the global stability and security, some of them of high-impact and others of high-probability. This essay argued that cyberattacks and IW will be the most probable due to their high-impact not only on military targets as a part of military campaign, but even more on all aspects of a state and the society in totality. It has also provided an argument regarding their greater probability and why it is highly likely that more malicious actors, both state and non-state, will be increasingly attributing to aggression employing those instruments. These are the comparatively low-costs of such activities and also the immense ambiguity and uncertainty regarding the perpetrator and the intent, sometimes even going to the point where the aggression itself is hard to detect till it's already too late. This is the main reason, those two challenges will be dominating the security field of coming decade, manifesting menace, discord and conflict, originated from malign actors, state or non-state.

16 Ibid: 93

17 T.S. Allen and A.J. Moore, "Victory without Casualties: Russia's Information Operations", Parameters, 48(1) Spring 2018: 69-70

18 P. W. Singer and Emerson T. Brookin, LikeWar: The Weaponization of Social Media, Eamon Dolan Book and Houghton Mifflin Harcourt, Boston/New-York, 2018: 4-5

19 Maggie Tennis, "Russia Ramps up Global Elections Interference: Lessons for the United States", Centre for Strategic & International Studies, July 2020, https://www.csis.org/blogs/technology-policy-blog/russia-ramps-global-elections-interference-lessons-united-states, (accessed 17/10/2020)

USED MATERIALS

- Allen T.S. and A.J. Moore, “Victory without Casualties: Russia’s Information Operations”, Parameters, 48(1) Spring 2018;
- Asymmetric Warfare Group, Russian New Generation Warfare Handbook, Fort Meade, Maryland, USA, December 2016;
- Baylis John, Steven Smith and Patricia Owens, Globalization of world Politics, Oxford University Press, 8th Ed, Oxford, 2020;
- Blank Stephen, “Cyber War and Information War a La Russe” Understanding Cyber Conflict, George Town University Press, 2017;
- Coker Christopher, Future War, Polity Press, Cambridge, 2015
- Huntley C. Todd, “Controlling the Use of Force in Cyberspace: The Application of the Law of Armed Conflict During a Time of Fundamental Change in the Nature of Warfare,” Naval Law Review, Vol. 60, 23 Novem¬ber 2010;
- Kraman, Elke “Security: Collective Good or Commodity?”, European Journal of International Relations, Volume 14, number 3, 2008;
- McSweeney, Bill. Security, Identity and Interests: A Sociology of International Relations, Cambridge University Press, 1999;
- Metropoulos Emil and Jeremy S Platt, “Global Cyber Terrorism Incidents on Rise” Marsh and McLennan, 2018. https://www.mmc.com/insights/publications/2018/nov/global-cyber-terrorism-incidents-on-the-rise.html;
- Patrikarakos David, War in 140 Characters: How Social Media is Reshaping Conflict in Twenty-First Century, Basic Books, New-York, 2017;
- Shreier Fred, “On Cyber Warfare” DCAF Horizon, Working Paper No. 7, 2015
- Statista, “global digital population”,; https://www.statista.com/;
- Singer P. W. and Emerson T. Brookin, LikeWar: The Weaponization of Social Media, Eamon Dolan Book and Houghton Mifflin Harcourt, Boston New-York, 2018;
- Tennis Maggie, “Russia Ramps up Global Elections Interference: Lessons for the United States”, Centre for Strategic & International Studies, July 20, 2020, https://www.csis.org/blogs/technology-policy-blog/russia-ramps-global-elections-interference-lessons-united-states;
- Ullman, Richard “Redefining Security”, International Security, MIT Press, Summer, 1983, Vol. 8, No. 1;

თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატები, საცეცხლე მხარდაჭერა „ღარიბთათვის“

ვიცე-პოლკოვნიკი ბიძინა წერეთელი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია შეიარაღებულ კონფლიქტებში ბოლო წლებში გამოვლენილი ის მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებითაა განპირობებული. ნაშრომი მიმოიხილავს იმ ფაქტორებსაც, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს ბრძოლის ველზე და ასევე ინდიკატორებსა და მაგალითებსაც, რომლებიც ადასტურებენ გამოვლენილი სიახლეების დიდ მნიშვნელობას. კონკრეტულად, სტატია აკავშირებს ერთმანეთთან საჰაერო თავდაცვის სფეროში მომხდარ ცვლილებებსა და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და მთიან ყარაბაღში წარმოებულ კონფლიქტებში. ამგვარი კავშირი მკითხველს აწვდის სამხედრო საქმეში ტექნოლოგიური ინოვაციით გამოწვეული კონცეპტუიალური სიახლეების მტკიცებულებას. დასკვნის სახით სტატიაში მოცემულია ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინონ ზემოთ მოყვანილმა ფაქტორებმა ომის წარმოების მეთოდებსა და ხასიათზე.

საკვანძო სიტყვები:
ტექნოლოგიური წინსვლა, უპილოტო საფრენი აპარატები, საჰაერო თავდაცვა, საზენიტო ქვემეხები, საცეცხლე მხარდაჭერა, ასიმეტრიული მიდგომა, დონბასის რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი, მთიანი ყარაბაღი.

MODERN UNMANNED AERIAL VEHICLES, FIRE SUPPORT FOR THE "POOR"

LIEUTENANT COLONEL BIDZINA TSERETELI

ABSTRACT

The article discusses significant inovations that were observed in conflicts in recent years, mainly caused by use of modern Unmanned Aerial Vehicles (UAV). It includes those factors that enable important changes on a battlefield, as well as indicators and examples that confirm significance of innovations observed. More precicely, the article tries to underline relation between trends identified in air defence systems and use of UAVs in recent conflicts in Ukraine, Middle East and Nagorno Karabakh. That relation gives us evidence of technological inovations resulting in conceptual changes in warfare. The conclusion provides some assumptions about what effects can all above mentioned have on nature and methods of war.

KEYWORDS:
Technological advances, Unmanned Aerial Vehicles, Air Defence, anti-aircraft cannons, fire support, assimetric approach, Donbas Region, Middle East, Nagorno Karabakh.

თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით სამოქალაქო მოხმარების პროდუქტის ხარისხი უახლოვდება ან სულაც უთანაბრდება სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობის ხარისხს. ეს სახელმწიფოებსა და არასახელმწიფო აქტორებს სამხედრო საქმეში შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი მატერიალის გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის თვალსაჩინო მაგალითებია აშშ არმიის მიერ მაიკროსოფტის ვირტუალური რეალობის სათვალის, Microsoft Hololens-ის შესაძენი თითქმის ნახევარ მილიარდ დოლარიანი კონტრაქტი, პროდუქტის, რომელიც სამოქალაქო ბაზრისთვისაა შექმნილი.[1] ასევე სირიაში ტარტუსისა და ხმეიმიმის რუსულ ბაზებზე სირიელი ამბოხებულების მიერ 13 თვითნაკეთი თვითმკვლელი უპილოტოთი მიტანილი ერთდროული გაჯერებული იერიში. რუსული მოხსენებების მიხედვით იმპროვიზირებული უპილოტო საფრენი აპარატები (უ.ს.ა.) აღჭურვილი იყო ბალახის სათიბის ძრავებით, GPS ნავიგაციით და გააჩნდა 100 კმ მოქმედების მანძილი.[2]

ამგვარი ხელმისაწვდომი მეწინავე ტექნოლოგიები განვითარებად ქვეყნებსა და არასახელმწიფო აქტორებს საშუალებას აძლევს აღმოფხვრან ის ნაკლოვანებები სამხედრო შესაძლებლობებში, რომელთა აღმოფხვრაც სულ ათიოდე წლის წინ დაკავშირებული იქნებოდა დიდ დიპლომატიურ და ეკონომიკურ რესურსებთან. შედეგად, საბრძოლო ფუნქციები, როგორიცაა დაზვერვა და საცეცხლე მხარდაჭერა, შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი გახდა. ფასის შემცირებას თანამედროვე ბრძოლის ველზე ყველაზე მეტად უ.ს.ა.-ები იწვევენ.

თუმცა ფასი მხოლოდ ერთია იმ მრავალ ფაქტორთაგან, რომლებიც განაპირობებენ უ.ს.ა.-ების მნიშვნელობას. მხოლოდ დაბალი ფასი არაფრის მომცემია თუ მას თან არ ერთვის ეფექტურობა. ის მთავარი ინოვაცია, რომელიც უ.ს.ა.-ებს შემოაქვთ ბრძოლის ველზე არის ფასი-ეფექტურობის შეუდარებელი კომბინაცია. ბევრი ვიდეო ფაქტი ადასტურებს ამ მოსაზრებას, რაკიღა დღეს შეიარაღებული კონფლიქტები ისე ფართოდ და ღიადაა გაშუქებული, როგორც არასდროს. თუმცა უ.ს.ა.-ების ფასი-ეფექტურობის დამადასტურებელი საბრძოლო ვიდეოების ჩამოთვლის ნაცვლად, სტატია განიხილავს კონცეპტუალურ სიახლეებს, რომლებიც შეიძლება მიუთითებდნენ ომის წარმოების გზების მნიშვნელოვან ცვლილებებზე. ამ ინდიკატორებს ჩვენ ვხედავთ ჰაერსაწინააღმდეგო ქვემეხების განვითარების ისტორიასა და თანამედროვე ტრენდებში, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საარტილერიო ქვედანაყოფებში განხორციელებულ რეფორმებში, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და მთიან ყარაბაღში საჰაერო თავდაცვის ჩახშობისა და გარღვევის მაგალითებში.

საჰაერო თავდაცვაში ქვემეხები ტყუილად არ ბრუნდებიან

საჰაერო თავდაცვის გვარეობის ჩამოყალიბების შემდეგ შეიარაღებულ ძალებში საზენიტო ქვემეხების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს საზენიტო ქვემეხი მსხვრევად-ფუგასური ჭურვითა და საათის მექანიზმიანი ამფეთქით რჩეული იარაღი იყო. ამ კომბინაციამ 30-იან წლებში წარმოშვა კარგად ცობილი გერმანული FLAK 8.8. ეფექტური სროლის მანძლით 10 კმ-მდე და საბჭოთა 100 მმ ჯერ საგემბანო B-34, შემდეგ კი ადაპტირებული ბუქსირებადი KC-19 ეფექტური სროლის მანძილით 15 კმ-მდე.

ცივი ომის პერიოდში საშუალო და მსხვილ კალიბრიანი საზენიტო ქვემეხები ვეღარ პაექრობდნენ საფრთხესთან. მათი მიზნები უკვე აღარ იყვნენ დიდი ზომის ნელი შიგაწვის ძრავიანი ბომბდამშენები, არამედ სწრაფი და მანევრული რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავები. უმართავი ჭურვების ფრენის დიდი დროს გამო მანევრული თვითმფრინავებისთვის იოლი იყო საჰაერო აფეთქების დამაზიანებელი რადიუსიდან გარიდება. ახლო მანძილებზე კი მსხვილ კალიბრიანი ქვემეხების დაბალი სროლის ტემპი და დამიზნების არასაკმარისი სისწრაფე ვერ უზრუნველყოფდა მიზნის დაზიანების საკმარის ალბათობას.

დიდი ზომის საზენიტო ქვემეხები საჰაერო თავდაცვის სარაკეტო სისტემებმა ჩაანაცვლეს. რაკეტის მართვის პრინციპი თანდათან ვითარდებოდა დამიზნების ხაზზე რადიო კომანდებით მართვიდან ნახევრად აქტიური რადარით მართვის პრინციპამდე, ინფრაწითელ დამიზნებამდე და ბოლოს აქტიურ რადარიან რაკეტებამდე. ცვლილებები საზენიტო ქვემეხებსაც შეეხო. იარაღის მწარმოებლებმა სცადეს დაზიანების მაღალი ალბათობა მიეღოთ არა კალიბრის ზომით და დამაზიანებელი ფრაგმენტების რაოდენობით, არამედ სროლის მაღალი ტემპით. შედეგად, სროლის ტემპის ასამაღლებლად თანდათან შემცირდა ქვემეხის კალიბრი და ცივი ომის ბოლო დეკადებში საზენიტო ქვემეხები ძირითადად 20-დან 35 მმ-მდე კალიბრებით იყო წარმოდგენილი.

1 https://www.cnbc.com/2019/04/06/microsoft-hololens-2-army-plans-to-customize-as-ivas.html
2 https://www.economist.com/science-and-technology/2018/02/08/home-made-drones-now-threaten-conventional-armed-forces

იმდროინდელი ტექნოლოგიების შეზღუდული შესაძლებლობების გამო მწარმოებლები ვერ ათავსებდნენ ასეთ მცირე ზომის საბრძოლო მასალაში საათის მექანიზმიან ამფეთქს და ვერ ანიჭებდნენ ჭურვს საჰაერო აფეთქების უნარს. შესაბამისად, ამ პერიოდში ქვემეხები კონტაქტური ამფეთქებით იყო აღჭურვილი. შემცირებულმა კალიბრებმა გამოიწვიეს ბალისტიკური მახასიათებლების შემცირემაც. ეფექტური სროლის მანძილის შემცირებამ გამოიწვია საზენიტო არტილერიის ფუნქციის შევიწროება, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფრთოსან რაკეტებთან და უმართავ ჭურვებთან ძალიან მოკლე მანძილზე ბრძოლით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ ფლოტმა მაგალითად დაადგინა, რომ მის შეიარაღებაში არსებული საგემბანო ახლო მანძილის შეიარაღების სისტემა (Close-In Weapon System CIWS), რომელიც მაღალი სწრაფსროლის 20 მმ ქვემეხითაა დაკომპლექტებული, აღარ იყო საკმარისად ეფექტური თანამედროვე საფრთხეების წინააღმდეგ და გადაწყვიტა თავდაცვის გაძლიერება ინფრაწითელი დამიზნების სარაკეტო სისტემით.[3]

ჩამოთვლილი ცვლილებების შედეგად ჩანდა, თითქოს საზენიტო ქვემეხები კარგავდნენ მათ ადგილს შეიარაღებულ ძალებში. მაგრამ ბოლო დეკადებში ტრენდები შეიცვალა. შეიარაღების მწარმოებლებმა „გააცოცხლეს“ კარგად ცნობილი, მაგრამ თითქმის მივიწყებული ქვემეხები. შეიარაღების ბაზარზე ისინი გამოჩნდნენ გაუმჯობესებული ცეცხლის მართვის სისტემებით და, რაც მთავარია, ახალი ტიპის საბრძოლო მასალით. ყველაზე მნიშვნელოვანი განახლებები შეიცავდა უფრო მგრძნობიარე სენსორებს და მაღალ ტექნოლოგიურ პროგრამირებად საჰაერო სკდომის საბრძოლო მასალას, რომელიც თავის თავში აერთიანებს კონტაქტურ, საათის მექანიზმიან დისტანციურ და რადიო დისტანციურ ამფეთქებს. ამ გაუმჯობესებების მიუხედავად მწარმოებლებმა საგრძნობ წარმატებას ვერ მიაღწიეს 90-იან და 2000-იან წლებში. მართალია გერმანული რეინმეტალი მისი 35 მმ Oerlikon ქვემეხითა და AHEAD ჭურვებით, ფრანგული თალეს გრუპი მისი 40 მმ RAPIDFire-ით და შვედური ბოფორსი ცნობილი 40 და 57 მმ ქვემეხებითა და 3P პროგრამირებადი ჭურვებით მყიდველებს საუკეთესო რეპუტაციას სთავაზობდნენ, ჩამოთვლილი შეიარაღების სისტემების ადაპტირებას შეიარაღებული ძალები ბოლო დრომდე არ ჩქარობდნენ. აქვე უნდა ვახსენოთ რუსული და ჩინური კომპანიებიც. შედარებით მოგვიანებით რუსეთში საკონსტრუქტორო ბიურო ბურევესნიკმა ბუქსირებად C-60 ბაზაზე მუშაობა დაიწყო 57 მმ საგემბანო და სახმელეთო თვითმავალ საზენიტო სისტემებზე. ხოლო ჩინური ნორინკო 2016 წლიდან მყიდველებს სთავაზობს 76 მმ საგემბანო და სახმელეთო თვითმავალ ქვემეხებს.

ვითარება ბოლო 6 წელიწადში შეიცვალა. 2015 წლიდან დანიურმა ფლოტმა, ტაილანდის სამეფო არმიამ და კიდევ ერთმა კონფიდენციალურმა მყიდველმა შეიძნეს Oerlikon და მისი AHEAD საბრძოლო მასალა. გასულ წელს საფრანგეთის ფლოტმა საკუთარი ფრეგატების RAPIDFire-ის საგემბანო ვერსიით აღჭურვაა დაიწყო, ხოლო დიდი ბრიტანეთის ფლოტმა კი შვედური პროდუქტი არჩია.

აშშ-ს არმია ძალიან ახლო მანძილზე საჰაერო თავდაცვის საკითხს უფრო კომპლექსურად მიუდგა. 2018 წელს არმიამ დაასრულა გადასატანი საზენიტო სარაკეტო სისტემა სტინგერის მოდერნიზების, დისტანციური ამფეთქით აღჭურვილი ვერსიის გამოცდა. ამ გაუმჯობესებით სისტემამ მცირე ზომის მიზნებთან ეფექტური ბრძოლის უნარი შეიძინა. მიმდინარე წელს არმიამ გააფორმა 1,2 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტი გარდამავალი სამანევრო ახლო მანძილის საჰაერო თავდაცვის სისტემის (Interim Maneuver Short-Range Air Defense system IM-SHORAD) შესაძენად, რომელშიც თავის თავში აერთიანებს 30 მმ ქვემეხს, ინფრაწითელი დამიზნების Stinger და ლაზერული დამიზნების Hellfire.[4]

აშკარაა, რომ რაღაც შეიცვალა არსებულ საფრთხეებში, რის წინააღმდეგაც ტიპიური საჰაერო თავდაცვის სისტემები არაეფექტური, ან არა ფასი-ეფექტურია, რამაც დააბრუნა მივიწყებული საზენიტო ქვემეხები საჰაერო თავდაცვის სამხედრო გვარეობაში. ქვემოთ განვიხილავთ, თუ რას შეეძლო გამოეწვია ამგვარი რეინკარნაცია.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საარტილერიო მიზნის აღმომჩენი საშუალებების გაუმჯობესება

საცეცხლე მხარდაჭერის და კონკრეტულად საველე არტილერიის სისტემა შედგება სამი კომპონენტისგან. სისტემის აღსაწერად მას ხშირად ადარებენ ადამიანის ორგანიზმს და მის ნაწილებს აღწერენ, როგორც თვალებს (მიზნის აღმომჩენი ძალები), ტვინს (ცეცხლის მართვის ცენტრი) და კუნთებს (საცეცხლე ქვედანაყოფები). საქმე თვალებიდან იწყება. ისინი მოიპოვებენ და გადასცემენ ტვინს ინფორმაციას მიზნის შესახებ, რომელიც

3 https://www.militaryaerospace.com/unmanned/article/16721952/navy-orders-infrared-sensorguided-ram-missile-systems-to-protect-ships-from-aircraft-missiles-and-boats

4 https://www.stripes.com/news/europe/army-to-get-mobile-short-range-air-defenses-to-protect-brigade-combat-teams-1.647047

მას ამუშავებს და გამომუშავებულ გადაწყვეტილებას (საცეცხლე ამოცანა) რეფლექსების სახით (საცეცხლე მონაცემები) უგზავნის კუნთებს დარტყმის განსახორციელებლად. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის საარტილერიო ქვედანაყოფებში დაწყებული მოდერნიზება მართალია სისტემის სამივე კომპონენტს შეეხო, მაგრამ „თვალების“ გაუმჯობესებამ ყველაზე საგრძნობი შედეგი გამოიღო.

რეფორმის გამომწვევი მიზეზი არსებითი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 5 დღიანი ომის განმავლობაში რუსული არტილერია წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ტიპის ქვემეხებითა და ასევე 122 და 240 მმ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით, მისი ეფექტი ქართულ სამანევრო თუ საცეცხლე მხარდაჭერის ქვედანაყოფებზე მინიმალური ან სულაც არ არსებული იყო. მკვლევარებისა და ჟურნალისტების მიერ ომის შემდგომ გამოქვეყნებულ მოხსენებებსა თუ სტატიებში არ იკითხება ქართული ქვედანაყოფების რუსული არტილერიის მიერ დაზიანება ან ჩახშობა. მისი პრობლემა არ იყო გამოწვეული საარტილერიო ბატარეების არასათანადო სიზუსტითა ან სისწრაფით, არამედ მიზნის აღმოჩენისა და დამუშავების არასათანადო უნარით.

რეფორმამდე რუსული საარტილერიო ქვედანაყოფებისთვის დაზვერვას ბატალიონის და ბატარეის მეთაურები აწარმოებდნენ. როგორც არტილერიის ოფიცერს, კარიერის საწყის წლებში სტატიის ავტორსაც მოუწია ამ ტაქტიკის შესწავლა, რადგან რუსულის მსგავსად, ქართული საარტილერიო ტაქტიკაც საბჭოთა საარტილერიო სროლის წესებს ემყარებოდა. ამ დოქტრინის მიხედვით ბატალიონის და ბატარეის მეთაურები აწყობენ სამეთაურო სათვალთვალო პუნქტებს, სადაც მათ მხარს უჭერენ ბატალიონის სადაზვერვო ოცეულის და ბატარეის სადაზვერვო ოცეულების მეთაურები შესაბამისად. საცეცხლე პოზიციებზე საცეცხლე გათვლების მოქმედებებს ბატარეის უფროსი ოფიცრები (პირველი საცეცხლე ოცეულის მეთაური) აკონტროლებენ. საქმე იმაშია, რომ ეს ტაქტიკა არ გულისხმობს მჭიდრო კოორდინაციასა და ინფორმაციის აქტიურ მიმოცვლას სამანევრო და საცეცხლე მხარდაჭერის ქვედანაყოფებს შრის. ანალოგიურად, არც სამანევრო ქვედანაყოფების სტრუქტურა შეიცავს კოორდინაციისთვის აუცილებელ ფუნქციებს ბატალიონის დონეზე, როგორიცაა საცეცხლე მხარდაჭერის დაგეგმვის ოფიცერი ბატალიონის შტაბში და საცეცხლე მხარდაჭერის ჯგუფები გაწვრთნილი მეწინავე მეთვალთვალეებით სამანევრო ასეულების სტრუქტურაში. ამის გარეშე საარტილერიო სამეთაურო სათვალთვალო პუნქტის კონცეფცია მოუქნელი აღმოჩნდა.

ზემოთ აღწერილი კონცეფცია აიძულებდა საარტილერიო ქვედანაყოფებს შედარებით დამოუკიდებლად დაეგეგმათ და აღესრულებინათ საცეცხლე მხარდაჭერა. მიზნების აღმოსაჩენად საარტილერიო ბატალიონები ძირითადად საკუთარ რესურსებს ეყრდნობოდნენ. დოქტრინა არ მოიცავდა მოქნილ პროცედურებს მიზნებთან დაკავშრებული ინფორმაციის სამანევრო ქვედანაყოფებიდან მისაღებად. ის ძალები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ახლო ბრძოლაში ჩართული, არ აძლიერებდნენ საარტილერიო „თვალებს“ და არ კვებავდნენ საარტილერიო „ტვინს“. ანალოგიურად, საარტილერიო სადაზვერვო ჯგუფები არ იყვნენ ინტეგრირებულნი მანევრის სქემაში და არ ავსებდნენ სამანევრო ბრიგადის საცეცხლე მხარდაჭერის გეგმას.

ერთი ვიდეო ფაქტი ცხადად ასახავს რუსულ სამანევრო და საარტილერიო ქვედანაყოფებს შორის ინფორმაციის მიმოცვლაში არსებულ პრობლემებს. 2008 წლის ომის შესახებ გადაღებული პროპაგანდისტული ფილმის ერთ ეპიზოდში თვით 58-ე არმიის სარდალი გენერალ ლეიტენანტი ანატოლი ხრულიოვი ჩანს მის შტაბთან ერთად, რომელიც რამდენიმე წუთის განმავლობაში ცდილობს გამოიძახოს ქვემეხებისა და ზალპური სისტემების საარტილერიო ცეცხლი ქართულ სატანკო ასეულზე. ცეცხლის მოთხოვნა ხდება თვალთვალის გარეშე, ინფორმაცია არ მოიპოვება მიზანთან ვიზუალური კონტაქით. ოფიცრები მიზნის მდებარეობას ვარაუდობენ. გენერლის მოთხოვნის შემდეგ ერთერთი ოფიცერი ასახელებს მხოლოდ ექვს ნიშნა კოორდინატს, მალევე სხვა ოფიცერი აცხადებს სოფლის სახელს და ამბობს, რომ მიზანი მის კიდეზეა განლაგებული. ბოლოს ვხედავთ მეკავშირეს, რომელიც რადიო ქსელით ითხოვს საცეცხლე ამოცანის გამეორებას, სავარაუდოდ იმიტომ, რომ პირველი ცეცხლი არ იყო ეფექტური. ის ფაქტი, რომ არმიის დაჯგუფების შტაბი დროს ხარჯავს მოწინააღმდეგის ასეულზე ცეცხლის გამოძახებისთვის, მეტყველებს პრობლემებზე არამარტო ინფორმაციის მიმოცვლაში, არამედ ზოგადად მართვასა და კონტროლში. თუმცა ეს უკანასკნელი არ არის ამ სტატიის განხილვის საგანი.

რუსეთის გენერალურმა შტაბმა ამოიცნო სისტემური პრობლემა და მისი აღმოფხვრა შედარებით სწორხაზოვანი მიდგომით სცადა. იმის მიხედვით, რაც ჩანს ღია წყაროებიდან, მათ არ მიუმართავთ ძალისხმევა მანევრსა და საცეცხლე მხარდაჭერას შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცედურების გაუმჯობესებაზე. მთავარი ძალისხმევა როგორც ჩანს რუსული არტილერიის საჰაერო დაზვერვის საშუალებებით გაძლიერება იყო. აღნიშნული რეფორმის ეფექტი საკუთარ თავზე უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა გამოსცადა 2014 წლიდან დონბასის რეგიონში. რუსული შორსმსროლელი საარტილერიო ქვედანაყოფების დაქვემდებარებაში სადაზვერვო უ.ს.ა.-ები გამოჩნდა. ამ აპარატებს აქვთ უნარი ცეცხლის მართვის ცენტრს რეალურ დროში გადასცენ ვიდეო გამოსახულება საკუთარი სენსორებიდან ყველაზე მსხვილკალიბრიანი რუსული სისტემის,

БМ-30 Смерч-ის მაქსიმალური სროლის მანძილზე.

საბჭოთა და რუსული სამხედრო შეიარაღების უმეტესობის მსგავსად, ახალი რუსული უ.ს.ა.-ები არ არის შექმნილი ძვირფასი მეწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით. დიზაინით არ არის ნაცადი მაქსიმალური ხარისხისა და ეფექტურობის მიღწევა, არამედ უზრუნველყოფილია მასიური წარმოების შესაძლებლობა. რადიო არეკვლის ზედაპირის შესამცირებლად არა ეგტზოტიკური კომპოზიტური მასალები, არამედ ხის დეტალებია გამოყენებული. აღნიშნული უ.ს.ა.-ების სენსორებიც არ არის მეწინავე თავის კლასში. საბოლოო ჯამში, ამ უ.ს.ა.-ების მთავარი უპირატესობა მათი ფასი-ეფექტურობაა. ქვემო განვიხილავთ, თუ რატომ ქმის ამგვარი ფასი-ეფექტურობა მნიშვნელოვან გამოწვევებს თანამედროვე ბრძოლის ველზე.

მეწინავე ელექტრო-ოპტიკური სენსორების და ლაზერული მანძილმზობის გარეშე რუსული უ.ს.ა.-ებისთვის აუცილებელია უშუალოდ მიზნის მაღლა გადაფრენა, რათა მართვის პუნქტმა შეძლოს მიზნის კოორდინატის განსაზღვრა. ამგვარი მეთოდი ნაკლებ ზუსტია და ის ამცირებს აპარატის გადარჩენისუნარიანობას. მაგრამ რუსული არტილერიისთვის ეს სიზუსტე საკმარისია, რადგან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები არასოდეს გამოირჩეოდნენ ცეცხლის სიზუსტისადმი ინტერესით. არც დიდად რესურსებს ხარჯავდნენ თანამდევი ზიანის შესამცირებლად. არც მიზნის მაღლა ფრენა წარმოადგენს დიდ პრობლემას, რადგან მარტივი და იაფი უ.ს.ა.-ების ჩანაცვლება შედარებით მარტივია. ყველაფერი ზემოთ ჩამოთლილის შედეგად უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო დირექტორატი იუწყება, რომ დონბასის რეგიონში ანტი-ტერორისტული ოპერაციის დაწყებიდან სხვადასხვა ტიპის 120 რუსული წარმოების უ.ს.ა.-ს განადგურება მოხდა.[5] თუმცა ამ ციფრებმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. თუ შევხედავთ უკრაინული და რუსული საჰაერო სადაზვერვო საშუალებების დანაკარგებს კონფლიქტის პირველი თვის განმავლობაში, ნათელი ხდება, რომ კარგად დაპროექტებული უ.ს.ა.-ს ფლობა მნიშვნელოვანი უპირატესობაა. 2014 წლის ივლისში საჰაერო თავდაცვის სარაკეტო სისტემამ ჩამოაგდო უკრაინის საჰაერო ძალების აერო-ფოტო დაზვერვის თითმფრინავი АН-30. ეკიპაჟის 5 წევრი დაღუპულად, ხოლო 2 წევრი დაკარგულად გამოცხადდა.[6] იმავე თვეს კიდევ ერთი უკრაინული АН-30-ის დაზიანება მოხდა. ეკიპაჟის ერთი წევრი კი დაშავდა.[7] ამავე პერიოდში უკრაინელებმა სულ რამდენიმე რუსული წარმოების უ.ს.ა. Орлан-10-ის განადგურების შესახებ განაცხადეს. აერო-ფოტო დაზვერვის დიდი ზომის თვითმფრინავის და უ.ს.ა. ღირებულებას შორის განსხვავება დიდია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ასიმეტრია ამ დანაკარგებში არის დაღუპული ეკიპაჟის წევრების რიცხვი, 7 ერთ მხარეს და არც ერთი საპირისპიროდ.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის ზიანი, რომელიც სეპარატისტების საარტილერიო ქვედანაყოფებმა უ.ს.ა.-ებით აღმოჩენილ მიზნებს მიაყენეს. ბევრ ვიდეო კადრში ჩანს თუ როგორ გააფთრებით ცდილობენ უკრაინული ძალები პოზიციებთან მიახლოებული უ.ს.ა.-ების განადგურებას 23 მმ საზენიტო ქვემეხებითა და მძიმე ტყვიამფრქვევებით, რადგან კარგად იციან, რომ პოზიციის მაღლა უ.ს.ა.-ს გამოჩენას ხშირად ეფექტური საარტილერიო ცეცხლი მოჰყვება. ხშირ შემთხვევაში უკრაინელებისთვის რთულია აღნიშნული აპარატების განადგურება, სანამ ეს უკანასკნელი ზედნეტად არ მიუახლოვდება პოზიციას და ინფრაწითელი დამიზნების Стрела-10 სანამ არ შეძლებს მიზნის ჩაჭერას. Орлан-10-ის შემქმნელების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს საჰაერო თავდაცვის სისტემებს უჭირთ მასთან ბრძოლა, სანამ პოზიციასთან მიახლოებისას მას ვიზუალურად არ აღმოაჩენენ. ამის კიდევ ერთი დასტურია ის ფაქტი, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები საბრძოლო ვერტმფრენ Ми-24-ს და მის მაღალი სწრაფსროლის 12,7 მმ ტყვიამფრქვევს იყენებენ უ.ს.ა.-ებზე ნადირობისთვის.[8]

2014 წლიდან დღემდე რუსულ საარტილერიო ბატალიონებში უ.ს.ა.-ების ინტეგრირება უფრო დაიხვეწა. მიმდინარე წლის მარტში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ საბრძოლო სროლებით საველე სწავლებისას მოხდა Орлан-10-ისა და 152 მმ თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი 2С5-ის ურთიერთქმედების დემონსტრირება. იმავე თვეს თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ვიდეო, რომელზეც ჩანს ლაზერული მომნიშვნელით აღჭურვილი უ.ს.ა.-ს მიერ ლაზერულად მართვადი საარტილერიო ჭურვი კრასნოპოლისთვის მიზნების მონიშვნა.[9]

5 https://www.promoteukraine.org/more-than-120-russian-drones-shot-down-in-donbas/
6 https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Ukrainian_aircraft_losses_during_the_War_in_Donbass
7 http://www.pom-tom.de/Losses_UKR_dat2014.html
8 http://alert5.com/2018/10/16/ukraine-releases-video-showing-mi-24-shooting-down-russian-orlan-10-uav/
9 https://twitter.com/i/status/1241088031974662149

ახლო აღმოსავლეთსა და მთიან ყარაბაღში უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით საჰაერო თავდაცვის დაძლევის მაგალითები

სირიაში, ლიბიაში, იემენსა და მთიან ყარაბაღში საჰაერო თავდაცვის ჩახშობის ან გარღვევის რამდენიმე განსხვავებული მიდგომის მოწმეები გავხდით. მარტივად ამ მაგალითების სამ კატეგორიად დაყოფა შეიძლება: დაბალტექნოლოგიურ, მაღალტექნოლოგიურ და შერეულ მიდგომებად.

<u>დაბალტექნოლოგიური მიდგომა;</u>

ახლო აღმოსავლეთის ბრძოლის ველები გაჯერებულია დრამატულად განსხვავებული რესურსების მქონე მებრძოლი მხარეებით. ზოგი მხარე არის მდიდარი სახელმწიფო, ტექნოლოგიური განვითარების გლობალური ლიდერი. ზოგი - ასევე მდიდარი სახელმწიფო, მაგრამ რომელსაც ჯერჯერობით არ გააჩნია ტექნოლოგიური ბაზა რთული სამხედრო აღჭყურვილობის წარმოებისთვის. თუმცა რომელსაც წარმატებული დიპლომატიის წყალობით ხელი მიუწვდება თითქმის ყველა სახის შეიარაღებაზე (საუდის არაბეთი). ზოგი მებრძოლი მხარე, არასახელმწიფო აქტორების ჩათვლით, დიპლომატიურად ნაწილობრივ ან სრულად იზოლირებულია (ირანი, ISIS, სირიის თავისუფალი არმია, ჰეზბოლა, ჰუსიტი ამბოხებულები) და შესაბამისად ხელი არ მიუწვდება საჭირო ფინანსურ თუ ტექნოლოგიურ რესურსებზე. ამგვარი ვითარება მყარ საფუძველს ქმნის ასიმეტრიული მიდგომებისთვის. მაგალითად ამგვარი ასიმეტრიის განსახიერება იყო ღია გაყიდვაში არსებული კომპონენტებისგან შექმნილი უ.ს.ა.-ებით სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული წარმატებული იერიშები.

ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუსიტმა მებრძოლებმა ხელნაკეთი დრონების გამოყენებით შეძლეს საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მსხვილი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს დაზიანება და შეჩერება. შედეგად ქვეყნის ნავთობის წარმოების სიმძლავრე გარკვეული დროით ნახევარზე მეტით შემცირდა. [10]ქვემოთ მოყვანილი ფოტო კარგად ასახავს ჰუსიტი პარამილიტარების მიერ გამოყენებული საშუალებების მომაკვდინებელი სიზუსტე.[11] ინციდენტის შემდგომი მოხსენებების თანახმად საწარმოს ტერიტორიაზე 17 აფეთქების კვალი გამოიკვეთა.



კიდევ ერთ შემთხვევაში იმავე მეთოდის გამოყენებით ჰუსიტმა ამბოხებულებმა იერიში მიიტანეს საუდის არაბეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო აეროპორტზე, რა დროსაც 7 სამოქალაქო პირი დაიჭრა.[12]

10 https://www.nytimes.com/2019/09/14/world/middleeast/saudi-arabia-refineries-drone-attack.html
11 https://www.dailysabah.com/mideast/2019/09/16/photos-show-precision-of-attack-on-saudi-oil-plant
12 https://www.dw.com/en/yemen-houthi-rebels-attack-saudi-airport-with-drone/a-49437476

მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთი კარგადაა შეიარაღებული, მან ვერ შეძლო საკუთარი სტრატეგიული ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის დაცვა ხელნაკეთი უ.ს.ა.-ებისგან. ქვეყანა თავს იცავს საჰაერპო თავდაცვის სისტემით, რომელიც ბალისტიკურ რაკეტებთან ბრძოლაშია გამოცდილი და მის კლასში ერთერთ საუკეთესოდ ითვლება. შეიარაღებული ძალები იყენებენ რამდენიმე მილიონ დოლარად ღირებულ Patriot PAC 3 რაკეტებს რამდენიმე ათეულ ათას დოლარად ღირებული თვითმკვლელი დრონების წინააღმდეგ. საუდებისთვის გამართლებულია ასეთი რესურსების ხარჯვა მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე, მაგრამ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას შეუძლია აიტანოს მოწინააღმდეგესთან ასეთი უთანასწორობა ფინანსური ხარჯების კუთხით.

ჰუსიტმა ამბოხებულებმა გვაჩვენეს ასიმეტრიული მიდგომის კლასიკური და ამავე დროს თანამედროვე მაგალითი. მათ გამოიმუშავეს პრობლემის გადაწყვეტის მათი რესურსებისათვის შესაბამისი გზა. კომპლექსური და ძვირფასი სისტემების დასამარცხებლად და კრიტიკული სტრატეგიული მიზნების დასაზიანებლად მათ შექმნეს ან მოიპოვეს შეიარაღების სისტემა ვიწრო დანიშნულებითა და შეზღუდული, მაგრამ მართებულად განსაზღვრული შესაძლებლობებით. სწორედ ეს არის ასიმეტრიის არსი.

<u>მაღალტექნოლოგიური მიდგომა;</u>

ახლო აღმოსავლეთში მაღალტექნოლოგიური შეიარაღების სისტემების გამოყენებით საჰაერო თავდაცვის ჩახშობის ორი მეთოდი გამოვლინდა. ერთერთი მათგანის დემონსტრირება მოახდინა ისრაელის თავდაცვის ძალებმა, როდესაც მათ სირიის არაბული არმიის კუთვნილი რუსული წარმოების მეტად გარეკლამებული საშუალო მანძლის საჰაერო თავდაცვის სისტემა Панцирь-С1-ები გაანადგურეს ისრაელში წარმოებული ე.წ. თვითმკვლელი დრონების გამოყენებით. ოპერაციის აღსრულებისას საჰაერო თავდაცვის ბატარეეების გადატვირთვისთვის განხორციელდა კლასიკური გაჯერებული იერიშები თითო საბრძოლო ერთეულზე არანაკლებ ორი უ.ს.ა.-თი თავდასხმით. მეორე მეთოდის დემონსტრირება მოახდინა თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ლიბიაში, სადაც იმავე Панцирь-С1-ების განადგურება მოხდა თურქეთში წარმოებული უფრო დიდი ზომის საბრძოლო უ.ს.ა.-ების გამოყენებით, რომლებიც ლაზერულად მართვადი მცირე ზომის ბომბებით არიან შეიარაღებული.

მაღალტექნოლოგიური შეიარაღების სისტემებით საჰაერო თავდაცვის ჩახშობის ორივე ზემოთ ხსენებული მეთოდი განსხვავდება რუსული მიდგომისგან, რომელიც მარტივი მაგრამ მასობრივად წარმოებადი უ.ს.ა.-ების გამოყენებას გულისხმობს. ებრაული და თურქული წარმოების „თვითმკვლელი დრონები“ და შეიარაღებული უ.ს.ა.-ები მათში ითავსებს ყველა იმ ქვგესისტემას და კომპონენტს, რომელიც აუცილებელია თანაბარი ძალის ოპონენტთან წინააღმდეგობრივ საბრძოლო სივრცეში გადარჩენისუნარიანობისა და ეფექტურობისთვის. ბრძოლის ამსახველ ერთ ვიდეოში კარგად ჩანს, თუ როგორ უშედეგოდ იყენებს საჰაერო თავდაცვის სისტემა რაკეტებს მიახლოებული „თვითმკვლელი დრონის“ გასანადგურებლად და ამ დროს თვითონ ნადგურდება სხვა დრონით სხვა მიმართულებიდან.[13] დრონების ასეთმა მასიურმა გამოყენებამ პირობები შეუქმნა და საშუალება მისცა ებრაულ მე-4 თაობის საბრძოლო ავიაციას უდანაკარგოდ განეხორციელებინა საჰაერო თავდასხმები მაღალი ღირებულების მიზნებზე.

ლიბიაში საჰაერო თავდაცვის ჩახშობის თურქული მაგალითი ბევრად ნიშანდობლივი და მნიშვნელოვანია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს იყო საჰაერო თავდაცვით შეიარაღებული ოპონენტის წინააღმდეგ შედარებით დიდი ზომის უ.ს.ა.-ების ეფექტური გამოყენების პირველი პრეცედენტი. თურქეთის შეიარაღებული ძალების დრონები საკუთარი ძალებით აღმოაჩენდნენ და თავს ესხმოდნენ საჰაერო თავდაცვას საკუთარი საბრძოლო მასალით, მცირე ზომის ლაზერულად მართვადი ბომბებით. აქამდე შეიარაღებულ საბრძოლო დრონებს პუბლიკა მხოლოდ ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციებიდა იცნობდა, სადაც ამბოხებულებს არ გააჩნდათ საჰაერო თავდაცვის რაიმე ანგარიშგასაწევი საშუალება. ლიბიის სამოქალაქო ომში თურქეთის შეიარაღებული ძალების ჩართვამდე ბევრი ექსპერტი აცხადებდა, რომ საშუალო და დიდი ზომის ხანგრძლივი ფრენის უ.ს.ა.-ების წინააღმდეგობრივ საბრძოლო სივრცეში გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა მათი დაბალი გადარჩენისუნარიანობის გამო (აღმოჩენადობა, დაბალი სისწრაფე და მანევრულობა). თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ეს მოსაზრება გააქარწყლეს. მათ წარმოადგინეს საბრძოლო სისტემა, რომელიც არა მხოლოდ გადარჩენისუნარიანი, არამედ ძალზედ ეფექტური იყო. იმდენად ეფექტური, რომ ამ ფაქტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საერთოდ თუ არის საჭირო მე-4 ან მე-5 თაობის საბრძოლო ავიაცია საჰაერო თავდაცვის ჩახშობის და ახლო საჰაერო მხარდაჭერის ამოცანების შესასრულებლად.

Bairaktar TB2-ის გადარჩენისუნარიანობა უზრუნველყოფილია დაბალი რადიო არეკვლის ზედაპირითა და ელექტრონული კონტრზომებით დაცული მონაცემთა გადაცემის არხით. ეს შეიარაღების სისტემა თავის

13 https://www.youtube.com/watch?v=NI0REqlYhmc

შესაძლებლობით ვერ შეედრება პილოტირებად მრავალფუნქციურ საბრძოლო თვითმფრინავებს, მაგრამ მას შეუძლია დიდად შეამციროს საჰაერო თავდაცვის ჩახშობისა და ახლო საჰაერო მხარდაჭერის ფასი.

<u>შერეული მიდგომა;</u>

მთიან ყარაბაღში განახლებული საბრძოლო მოქმედებების დროს ჩვენ საჰაერო თავდაცვის არა ჩახშობის ან გარღვევის, არამედ განადგურების მოწმენი გავხდით.

აზერბაიჯანელი დამგეგმავების კრეატიულობა უნდა ვაღიაროთ, თუ როგორ შეძლეს მათ მომზადებული და მეტ-ნაკლებად აღჭურვილი თავდაცვის დაძლევა. მთიანი ყარაბაღის ცა მრავალფეროვანი ეშელონირებული ინტეგრირებული საჰაერო თავდაცვის სისტემით იყო დაცული. ის თავის თავში აერთიანებდა ძირითადად 80-იანი წლების საბჭთა წარმოების შეიარაღებას, კონკრეტულად: С-300ПТ არანაკლებ ერთ ბატარეას 90 კმ მოქმედების მანძილით, БУК-М1-ს 42 კმ მოქმედების მანძილით, ახლო მანძლის ОСА-АКМ და Стрела-10 სისტემები ბრძოლის ველზე ყველაზე მრავლად იყო წარმოდგენილი. ინტეგრირებული თავდაცვის სისტემა ასევე შეიცავდა რუსული წარმოების დრონების საწინააღმდეგო რადიო-ელექტრონული ბრძოლის თანამედროვე სისტემას Репеллент.

სისტემის კონპონენტები არ იყო მრავალფეროვანი მხოლოდ სროლის მანძლებით, არამედ რაკეტების მართვის პრინციპებით, მობილურობის და დეცენტრალიზების ხარისხითაც. С-300ПТ და БУК-М1 ნახევრად აქიური რადარით მართვის პრინციპს იყენებს. 300ПТ ბატარეის კომპონენტები, მიზნის აღმომჩენი, იგივე საჰაერო თვალთვალის რადარი 36Д6, ბრძოლაში ჩართვის რადარი 30Н6 და სარაკეტო გამშვებები სტაციონარული და ურთიერთდამოკიდებულია. მობილური БУК-М1 გამშვები კი თავის თავში აერთიანებს ბრძოლაში ჩართვის რადარსაც, რომელსაც საჰაერო თვალთვალის შეზღუდული შესაძლებლობებიც აქვს. ОСА-АКМ იყენებს დამიზნების ხაზზე რადიო კომანდებით მართვის პრინციპს, არის მობილური და ერთ მანქანაში აერთიანებს საჰაერო თვალთვალის, ბრძოლაში ჩართვის რადარებსა და სარაკეტო გამშვებს. Стрела-10 მეტად მობილური და „პასიური“ სისტემაა, რადგან არ ახასიათებს სხვა სისტემებისთვის ჩვეული ძლიერი რადიო გამოსხივება. ეს სისტემა მიზნების აღმოჩენისთვის ელექტრო-ოპტიკურ სენსორებს იყენებს ხოლო ბრძოლაში ჩართვისთვის ინფრაწითელი დამიზნების რაკეტებს.

კონფლიქტის პირველ დღეებში ბევრი გააკვირვა აზერბაიჯანელების მოძველებული საბჭოთა ეპოქის ბიპლანების, АН-2-ების გამოჩენამ მოწინააღმდეგის პოზიციების სიახლოვეს. თავდამცველებმა რა თქმა უნდა ნელი თვითმფრინავების ჩამოგდება ადვილად შეძლეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული ბიპლანები უპილოტო იყო, გადაკეთებული დისტანციურად მართვადად და გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ბატარეების გააქტიურებისათვის. ამ გზით შემტევმა მხარემ დაადგინა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემების პოზიციები და შექმნა პირობები მომდევნო ფაზისთვის. ომის ეს ეპიზოდი საჰაერო თავდაცვის ჩახშობის პირველი ფაზა, დაბალტექნოლოგიური მიდგომის და ასევე სამხედრო ხრიკის კლასიკური მაგალითი იყო.

ოპერაციის მეორე ფაზა ჩვენთვის უკვე ნაცნობმა ებრაული წარმოების თვითმკვლელმა დრონებმა გახსნეს. მათ შეუტიეს პირველ ფაზაში გამოვლენილ საზენიტო სარაკეტო სისტემების პოზიციებს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო თითქმის ყოველ დღე ასაჯაროებდა ამის ამსახველ ვიდეო ფაქტებს. ჩვენ ვნახეთ ბევრი განადგურებული ОСА-АКМ და Стрела-10, ცნობილი С-300 ბატარეის საჰაერო თვალთვალის რადარი 36Д6 და სარაკეტო გამშვები, ასევე თანამედროვე რუსული წარმოების ТОР-2 МКМ, თვითმავალი საზენიტო სარაკეტო ТОР-2-ის მოდულური ვერსია. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, დიდად გარეკლამებული დრონების საწინააღმდეგო რუსული სისტემა სწორეთ დრონის მიერ განადგურდა.

ოპერაციის ბოლო ფაზაში ჩვენთვის ასევე უკვე ნაცნობი თურქული წარმოების საბრძოლო უ.ს.ა. Bairaktar TB2-ებმა წინა ფაზებში გადარჩენილ საზენიტო სისტემებზე ინადირეს. ბოლოს კი ხსენებული უპილოტოები ასრულებდნენ ჩვეულებრივ ახლო საჰაერო მხარდაჭერის ამოცანას, უტევდნენ რა ტანკებს, სხვა საბრძოლო მანქანებსა და ცოცხალ ძალას.

უ.ს.ა.-ების გამოყენების აზერბაიჯანული ტაქტიკა კონფლიქტის საბოლოო შედეგის განმაპირობებელი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. მათ მოახდინეს უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში გამოვლენილი მეთოდებისა და მიდგომების შერწყმა. ტაქტიკა მოიცავდა როგორც იაფი დაბალტექნოლოგიური იმპროვიზირებული უ.ს.ა.-ების, ასევე მაღალტექნოლოგიური „თვითმკვლელი დრონებისა“ და შეიარაღებული საბრძოლო უპილოტოების გამოყენებას.

შეჯამება

დონბასის რეგიონის გაჯერება რუსული წარმოების უ.ს.ა.-ებით მიუხედავად მათი დანაკარგებისა, საუდის არაბეთის მიერ იაფ დრონებთან ერთერთი ყველაზე ძვირი მასალით ბრძოლა, რომელიც ყოველთვის წარმატებული არ არის, ბალახის სათიბის ძრავებით დაკომპლექტებული იმპროვიზირებული დრონების გამოყენებით თანავედროვე ეშელონირებული საჰაერო თავდაცვის სისტემებით დაცულ ორ რუსულ სამხედრო ბაზაზე ერთდროული წარმატებული შეტევა, ესენია თანამედროვე ბრძოლის ველის მახასიათებლები.

უ.ს.ა-ები ქმნიან ფასი-ეფექტურობვის პრობლემასაც და შესაძლებლობასაც. შესაძლებლობას მათთვის, ვინც იძულებულია ასიმეტრიული მიდგომებით გამონახოს ძვირადღირებული ამოცანების იაფფასიანი გადაწყვეტები. პრობლემას მათთვის, ვისაც არ ძალუძს იბრძოლოს იაფ სადაზვერვო და საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებებთან ფასი-ეფექტური იარაღით ან სულაც არ ძალუძს ეს არანაირი იარაღით. თუნდაც საბჭოთა ეპოქის Стрела-10-ის რაკეტები, რომლითაც უკრაინის შეიარაღებული ძალები ანეიტრალებენ რუსული წარმოების Орлан-10-ებს, ღირს იმაზე ბევრად მეტი ვიდრე მიზანი, რომელსაც ისინი ანადგურებენ. რაც მთავარია, ამ საბრძოლო მასალის მარაგი ამოწურვადია. ამგვარი შეუსაბამობის შემთხვევაში იაფფასიანი უ.ს.ა.-ების მწარმოებელ მხარეს საშუალება ეძლევა მარტივად მასობრივად აწარმოოს პროდუქტი და ამგვარად გამოიწვიოს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის გამოფიტვა.

ქვეყნების შეიარაღებული ძალების უმეტესობაში არსებული ტიპიური საჰაერო თავდაცვის სისტემები დაპროექტებულია და შექმნილია ძვირფასი ტექნოლოგიების გამოყენებით და გათვლილია კიდევ უფრო ძვირფასი მრავალფუნქციური საბრძოლო ავიაციის წინააღმდეგ. შესაბამისად, როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარი სისტემების გამოყენება თანამედროვე უ.ს.ა.-ებთან საბრძოლველად გამოწვევებთანაა დაკავშირებული ან სულაც შეუძლებელია ამ უკანასკნელის ფასი-ეფექტურობის კუთხით დიდი უპირატესობის გამო ან სულაც საზენიტო სისტემების უუნარობის გამო მცირე ზომის მიზნებთან ბრძოლაში. სწორედ ეს არის საზენიტო ქვემეხების შეიარაღებაში დაბრუნების მთავარი მიზეზი. ამგვარი შეიარაღება შესაძლებელს ხდის თანამედროვე უ.ს.ა.-ებთან ბრძოლას ორი გზით. პირველ რიგში, ახალი ქვემეხებიანი სისტემები აღჭურვილია სპეციალურად მცირე რადიო არეკვლის ზედაპირის და სუსტი თერმული გამოსხივების მქონე მიზნების აღმოსაჩენად. ეს შეიარაღების სისტემას ფიზიკურად აძლევს ამგვარი მიზნების დაზიანების უნარს. მეორეც, სარაკეტო სისტემებთან შედარებით ქვემეხების საბრძოლო მასალის ფასი ბევრად დაბალია. ეს კი დრონებთან გამოფიტვის რისკის გარეშე ბრძოლის საშუალებას იძლევა.

საბრძოლო უ.ს.ა.-ებმა დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე წინააღმდეგობრივ საბრძოლო სივრცეში, არა მხოლოდ ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციებში. ამ ეტაპზე უპირატესობა მათ მხარესაა და ეს ასეც დარჩება, სანამ ქვეყნები შეიარაღებაში არ მიიღებენ სპეციალურად უ.ს.ა.-ების საწინააღმდეგოდ შექმნილ შეიარაღების სისტემებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოდროინდელ კონფლიქტებში ბევრი ისეთი შეიარაღების სისტემა განადგურდა უპილოტოების მიერ, რომელიც სწორედ ამ მიზნით იყო შექმნილი და დიდად გარეკლამებული, როგორც ეფექტური საშუალება დრონების წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში თანამედროვე იმპროვიზირებულმა და მაღალტექნოლოგიურმა უ.ს.ა.-ებმა თავი დაიმკვიდრეს, როგორც ომის წარმოების ახალმა მეთოდებმა. ისინი განასახიერებენ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლოა მიუთითებნდნენ მოსალოდნელ ან სულაც მიმდინარე რევოლუციაზე სამხედრო საქმეში, კონკრეტულად, ცვლილებებს გამოყენებულ ტექნოლოგიასა და იარაღში, ასევე ამ სიახლეებით გამოწვეულ ცვლილებებს სტრუქტურასა და ტაქტიკაში. რაც ყველაზე მთავარია, უ.ს.ა.-ები ომის წარმოებას უფრო ხელმისაწვდომად აქცევენ მათი შეუდარებელი ფასი-ეფექტურობის წყალობით. თუ ამ ფაქტორის გამოყენება მოხდება მართებულად, ნაცვლად იმისა, რომ ამ მოვლენამ ომები უფრო მოსალოდნელი გახადოს, პირიქით, ეს გახდება შეკავების უფრო ეფექტური ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა

- https://www.cnbc.com/2019/04/06/microsoft-hololens-2-army-plans-to-customize-as-ivas.html
- https://www.economist.com/science-and-technology/2018/02/08/home-made-drones-now-threaten-conventional-armed-forces
- https://www.militaryaerospace.com/unmanned/article/16721952/navy-orders-infrared-sensorguided-ram-missile-systems-to-protect-ships-from-aircraft-missiles-and-boats
- https://www.stripes.com/news/europe/army-to-get-mobile-short-range-air-defenses-to-protect-brigade-combat-teams-1.647047
- https://www.promoteukraine.org/more-than-120-russian-drones-shot-down-in-donbas/
- https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Ukrainian_aircraft_losses_during_the_War_in_Donbass
- http://www.pom-tom.de/Losses_UKR_dat2014.html
- http://alert5.com/2018/10/16/ukraine-releases-video-showing-mi-24-shooting-down-russian-orlan-10-uav/
- https://twitter.com/i/status/1241088031974662149
- https://www.nytimes.com/2019/09/14/world/middleeast/saudi-arabia-refineries-drone-attack.html
- https://www.dailysabah.com/mideast/2019/09/16/photos-show-precision-of-attack-on-saudi-oil-plant
- https://www.dw.com/en/yemen-houthi-rebels-attack-saudi-airport-with-drone/a-49437476
- https://www.youtube.com/watch?v=NI0REqlYhmc

ყარაღის კონფლიქტის გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე და საქართველოს პოზიცია

კაპიტანი ხვიჩა ხოზრევანიძე
ხელმძღვანელი: **დოქტორი მაია კაპანაძე**

აბსტრაქტი

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გასულ წელს კიდევ ერთხელ გამწვავდა კონფლიქტი ყარაბაღში. კონფლიქტის გამწვავებისას შესაბამისად ადგილი ქონდა სამხედრო შეტაკებებს. ორივე მხარე ცდილობდა სამხედრო უპირატესობის მოსაპოებლად „თავიანთი მოკავშირეები“ უფრო მეტად გაიაქტიურებინათ.

ყარაბაღის ბოლო დროინდელ კონფლიქტში მნიშვნელოვანი იყო მეზობელი სახემწიფოების პოზიციები. რუსეთის ფედერაცია და თურქეთის რესპუბლიკა ამ კონფლიქტში მხარეები იყვნენ. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ ყარაბაღში ბოლო დროს მიმდინარე რთულ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში.

ამ კონფლიქტის გადაჭრის შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული სამხრეთ-კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემა.

იყო ვარაუდი იმისა, რომ თუ ყარაბაღში მიმდინარე საომარი ვითარება დიდხანს გაგრძელდებოდა, სამხრეთ-კავკასია ერთ-ერთი ცხელი რეგიონთაგანი გახდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მეზობელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარება და შესაძლოა სამხრეთ-კავკასიის რეგიონში პოლიტიკურ და სამხედრო თვალსაზრისით ვითარება საკმაოდ გართულებულიყო.

უკვე ავღნიშნე, რომ კონფლიქტის მონაწილე სომხეთისა და აზერბაიჯანის ორი მეზობელი ქვეყანა_ თურქეთი და რუსეთი ამ კონფლიქტში მხარეეები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ ესარგებლათ ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებით ესარგებლად და ამით პოზიციები განემტკიცებინათ სამხრეთ-კავკასიაში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რუსეთისათვის ერთგვარი ხელსაყრელი პირობები დადგა კავკასიაში კვლავ გასააქტიურებლად, რისთვისაც ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გახდა. რუსეთის ამ მიზანს, თავისი განზრახვის განსახორციელებლად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის პოზიცია, რომელიც ასევე ეცადა ეს კონფლიქტი გამოეყენებინა სამხრეთ-კავკასიაში თავისი პოლიტიკური და სამხერდო პოზიციების განსამტკიცებლად.

აქვე აღსანიშნავია საქართველოს პოზიცია, რომელიც მათგან განსხვავებით მხარე არ იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოს ინტერესები მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის მისწრაფებებისაგან. განსაკუთრებით საქართველოსათვის რუსეთის კვლავ განმტკიცება ჩვენს რეგიონში ძალზეთ არახელსაყრელია. ეს იმ ფონზე, როდესაც ამ ქვეყანას საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული.

ქართულმა მხარემ არაერთხელ გამოთქვა სურვილი, სომხურ და აზერმაიჯანულ მხარეებს შეეწყვიტათ ცეცხლი და მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ ტერიტორიული პრობლემა.

საკვანძო სიტყვები:
ყარაბაღი, კონფლიქტი, სამხედრო შეტაკებები, ხელშეკრულებები, სახელმწიფოები, რეგიონი და პრობლემა.

POSITION OF GEORGIA AND INFLUENCE OF KARABAKH CONFLICT ON REGIONAL SECURITY

CAPTAIN KHVICHA KHOZREVANIDZE
SUPERVISOR: **PH.D MAIA KAPANADZE**

ABSTRACT

The last year conflict between Azerbaijan and Armenia broke out again in Nagorno Karabakh. Consequently, there was a number of battles due to worsening situation. Both sides try to get military advantage by getting their “allies” involved into the battle.

A level of Importance of neighbor states’ positions into that conflict was too high, especially Russian Federation and Turkey who were concerned as sides of conflict. Those two states were actively involved with political and military power in Karabakh’s war.

Result of this war vas vitally important to South Caucasian states’ regional security and future in general.

There was an assumption if the war had continued for a long, South Caucasus would have become a hot spot in region. Also, it’s being considered that situation was tensioned in the Middle East as well which might have had affected on situation in our region.

As I mentioned above, besides Armenia and Azerbaijan there were two neighbor countries Turkey and Russia, considered as conflict sides. They were trying to take advantage in that conflict and spread their influence in region more. It must be underlined that Russia got a good chance to re-activation in Caucasian region. For that Karabakh war was one of the best chances. However Turkey’s position was counter wise and against Russia’s will to get more influence over Caucasus. Turkey had its own interests in Region and tried hard to use this conflict to weaken Russia’s positions and spread its own.

It’s important to mention that Georgia’s position as a neutral state was quite different from involved countries; therefore, Georgia’s interests were different from Turkey’s and Russia’s goals. Personally for Georgia, Russia’s influence is a huge disadvantage because RF has occupied more than 20% of Georgia.

Georgia came up many times with a message to cease fire and solve conflict peacefully.

KEYWORDS:
Karabakh, conflict, hostilities, treaties, states, region and problem.

შესავალი

სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება ახალ მოვლენას არ წარმოადგენს. იგი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იღებს სათავეს. კონფლიქტი სამი ათეული წლის განმავლობაში ეთნიკური დაპირისპირებიდან ორ საბჭოთა რესპუბლიკას, ხოლო შემდეგ ორ დამოუკიდებელ ქვეყნას შორის გაჭიანურებულ კონფლიქტად იქცა, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას. ამ რეგიონში სამი სუვერენული სახელმწიფოა (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი), რომლებსაც გააჩნიათ ტერიტორიული კონფლიქტები. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონფლიქტების არსებობისა. მეზობელი ეთნოსები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან თავისი კულტურით, რელიგიით, ენითა და პოლიტიკური ორიენტაციით. აქედან, გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კონფლიქტებს გააჩნიათ პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ტერიტორიული ხასიათი. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციების შექმნაში დიდი წვრილი მიუძღვის კრემლს, რომელიც დღესაც აქტიურად არის ჩართული სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ამ რეგიონში არსებულ კონფლიქტებს აერთიანებს ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომ სამწუხაროთ ვერც ერთი მათგანის ჯერ-ჯერობით გადაწყვეტა ვერ მოხერხდა და ისინი დღემდე „გაყინულ კონფლიქტებად“ რჩებიან. ფაქტია, რომ „გაყინული კონფლიქტებთან“ დაკავშირებული სამშვიდობო მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ იძლევა.

სამხრეთ კავკასიასა და კონკრეტულად კი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტების მიზანი არის აღნიშნულ რეგიონში რუსეთის ფედერაციის მიერ კონტროლის კვლავ დაბრუნება. ის ამისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. მათ შორისაა, რბილი ძალის პოლიტიკაც, რომელიც ერთ-ერთი კარგი ბერკეტია „გაყინული კონფლიქტების“ სამართავად. სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ, რუსეთის ფედერაციას ბიძგი მისცა თავსი „რბილი ძალაც“ გამოყენებინა გაეაქტიურებინა ყარაბაღის კონფლიქტში, მაგრამ ეს კონფლიქტი საომარ მოქმედებებშიც გადაიზარდა. ყარაბაღის კონფლიქტი გარკვეული შეთანხმებების საფუძველზე კონკრეტული შედეგებით დამთავრდა, მაგრამ კონფლიქტი კვლავ მოუგვარებელი დაჩა.

ყარაბაღის კონფლიქტის დასაწყისი

ყარაბაღის კონფლიქტი დაიწყო ჯერ კიდე საბჭოთა კავშირის პერიოდში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ეთნიკური სომხებით დასახლებულ რეგიონში - მთიან ყარაბაღში, ეთნიკური სომხები მოითხოვდნენ აზერბაიჯანიდან გამოყოფსა და სომხეთის რესპუბლიკაში გაერთიანებას. 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურმა უმაღლესმა საბჭომ[1] მიიღო გადაწყვეტილება, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთთან მიერთების შესახებ. სომხეთის რესპუბლიკამ თავის თავზე აიღო ამ ოლქის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება. აღნიშნულ მოქმედებას შესაბამისი პასუხი მოყვა აზერბაიჯანის მხრიდან, დაიწყო პერმამენტური გამოსვლები, რაც მალევე მასობრივ ძალადობაში გადაიზარდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ სცადა კონფლიქტის მოგვარება. 1990 წლის დასაწყისში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა მთიან ყარაბაღსა და ირანის მოსაზღვრე რაიონებში, მოგვიანებით კი, ქალაქ ბაქოშიც. ამ პროცესის შემდეგი ეტაპი იყო საბჭოთა ჯარების შეყვანა კონფლიქტის ზონაში, მაგრამ დაშლის პირას მყოფი საბჭოთა იმპერიის მოქმედებები საკმარისი არ აღმოჩნდა კონფლიქტის მოსაგვარებლად.[2] 1988-1991 წლები შესაძლოა შეფასდეს, „შედარებით მშვიდობიანი“ პერიოდი ამ კონფლიქტისა.

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს. ამ პერიოდში ბაქომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსი, ხოლო იმავე წლის 10 დეკემბერს მთიანი ყარაბაღის მოსახლეობამ აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლად ჩაატარა რეფერენდუმი და მთლიანი ყარაბაღი გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამ პერიოდიდან აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღში იწყება ფართო მაშტაბიანი სამხედრო მოქმედებები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორივე ქვეყანამ დიდი რაოდენობით შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა მიიიღეს ადგილობრივი საბჟოთა კავშირის სამხედრო ბაზებიდან. რაც შეეხება სამხედრო გენერალიტეტს, ამ მხრივ სომხეთს უფრო გამოცდილი მმართველი რგოლი ყავდა ვიდრე აზერბაიჯანს, რაც აისახა კიდეც

1 პიპინაშვილი, დ. „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები“, თბილისი, გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, 2009წ, გვ: 57;

2 საქართველოს თავდაცვის სამინიტრო , თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი, კონფლიქტები და ტექნოლოგიები, 2020 წ. გვ3.

საბრძოლო ტაქტიკასა და საომარი ოპერაციების მსვლელობაზე. 1994 წელს სომხეთმა ომში გაიმარჯვა. კონტროლი დაამყარა მთიანი ყარაბაღის გარდა 7 რაიონზე, მათ შორის ლაჩინის დერეფანზე (ეს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით სტრატეგიული ტერიტორია). დაპირისპირების პირველი ფაზა 1994 წლის მაისში სომხეთის, აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს შორის ხელმოწერილმა „ბიშკეტის პროტოკოლმა"[3] დაასრულა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება არ შეეგუა ყარაბაღში შექმნილ მისთვის არახელსაყრელ სიტუაციას, რასაც მოყვა კიდეც გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირება. ამასთან დაკავშირებით შექმნილ „ეუთო"-ს მინსკის ჯგუფი (1994წ.) ცდილობდა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას. „ეუთო"-ს წარმომადგენლებმა ორივე მხარეს შესთავაზეს პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის გარკვეული გეგმა, რაზეც, როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანული მხარისაგან მტკიცე უარი მიიღეს. ამის პარალელურად აშშ-ს წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ ფაქტი ერთია პრობლემა კვლავ გადასაწყვეტი რჩება.

ამის გარდა სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირები რამოდენიმეჯერ შეხვნენ ყარაბღის კონფლიქტთან დაკავშირებით, მაგრამ მათ კონსესუს ვერ მიაღწიეს. ფაქტი ის არის, რომ ორივე ქვეყანას დაწყებული ქონდა მომავალი ომისთვის მზადება, თუმცა განსხვავებული ამბიციებითა და ამოცანებით. აზერბაიჯანმა თანდათანობით სამხედრო განვითარების მხრივ პროგრესი განიცადა სომხეთთან შედარებით. დიდი ფინანსები ჩადო თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესაძენად.[4] ამის პარალელურად ახდენდა საბრძოლო ქვედანაყოფების მომზადებასა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

1994 წელს შეწყვეტილი საბრძოლო მოქმედეგები მაშტაბურად განახლდა 2016 წლის გაზაფხულზე, რომელიც გაგრძელდა 4 დღის განმავლობაში. ორივე მხარემ გამოიყენა მათ ხელთარსებული ყველა საშუალება საბრძოლო მოქმედებებისათვის. ეს სამხედრო დაპირისპირებ ცნობილია, როგორც „აპრილის ომი" . ეს ერთგვარ დაზვერვით საბრძოლო მოქმედებებად ითვლება სამომავლო სამხედრო ოპერაციების დასაგეგმად. ისევ მეზობელი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით მოხდა კონფლიქტის შეჩერება და არა მოგვარება. „გაყინული კონფლიქტი" მისაღები იყო რუსეთის ფედერაციისათვის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში თავისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერების თვალსაზრისით იყენებს საჭიროებისამებრ.

ახალი დაპირისპირება მთიანი ყარაბაღისთვის

ხანგრძლივი მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში და ძალთა ბალანსი რამოდენიმე უმთავრესი დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეზე არის დამოკიდებული. ძირითადად ეს მოთამაშეები არიან: აშშ, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, ირანი და ევროკავშირი. აზერბაიჯანმა ბოლო პერიოდში ახალი საომარი ოპერაციების დაწყებისათვის სწორად შეაფასა პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში: რუსეთში არსებული ეკონომიკური პრობლემები და პუტინის შესაძლო წასვლა ხელისუფლებიდან, სომხეთის პრემიერ ნიკოლ ფაშინიანის ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკით უკმაყოფილო რუსეთი და აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები, რაც ყურადღებას ასუსტებდა რეგიონისადმი.[5] ამას დაემატა ასევე თურქეთის უპირობო მხარდაჭერა აზერბაიჯანს.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წლის 27 სექტემბრს დაწყებულმა სამხედრო ესკალაციამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ამ დროში გაწელილ კონფლიქტს ინტერნაციონალური ხასიათი აქვს და იგი ბევრად გასცდა.[6] სამხედრო შეტაკებების დაწყებიდანვე, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა სრული მობილიზაცია გამოაცხადეს. კონფლიქტის დროს გამოიყენებულ იქნა სამხედრო ავიაცია, დრონები, მძიმე არტილერია, ბალისტიკური რაკეტები და სხვა.[7] ასევე ადგილი ქონდა ონლაინ-საინფორმაციო ომსა და პროპაგანდასაც, რაც დამახასიათებელია ახლი ომის მოდელისათვის.

აზერბაიჯანი, რომელიც სრულად იყო მხარდაჭერილი ანკარას მიერ, საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან მალევე გამოიკვეთა მისი სამხედრო უპირატესობა. ის ცდილობდა მოწინააღმდეგის დაბნევას. აზერბაიჯანმა მთლიან ფრონტზე განავითარა საბრძოლო მოქმედებები, რადგან მოწინაღმდეგეს კონკრეტულ მიმარულებაზე კონცეტრაცია არ მოეხდინა და ძალების მობილიზება ერთი მიმართულებით არ მოეხდინა.

3 The Bishkek Protocol, UN Peacemaker, 05.05.1994, https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/Bishkek%20Protocol.pdf;

4 7 Trends in international arms transfers 2013, Siemon T. Wezeman and Pieter D. Wezeman, SIPRI, 03.2014, https://www.sipri.org/sites/default/files/files/FS/SIPRIFS1403.pdf;

5 ანთაძე გ. „ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები", თბილისი, 7.11.2020წ;

6 Слом статус КВО и международное измирение кризиса в Нагороном Карабаже, Доклад Международного дискуссионного клуба Валдай, https://ru.valdaiclub.com/files/36258/

7 Gatopoulos, Alex, The Nagorno-Karabakh conflict is ushering in a new age of warfare, 11.10.2020.

სომხეთის მხარეს ჩრდილოეთი და ცენტრალური მიმართულება კარგად ჰქონდათ გამაგრებული, როგორც რელიეფიდან, ასევე იქ მის მიერ დისლოცირებული სამხედრო ძალების ხარისხიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა ის მაინც იძულებული გახდა შეეცვალა თავისი გეგმა მოწინააღმდეგის მოქმედებების ფონზე. აზერბაიჯანულმა მხარემ ჩრდილოეთის მიმართულებით მალევე მოიპოვა უპირატესობა. მათ პრაქტიკულად ჩაკეტეს ლაჩინის ალტერნატიული მაგისტრალი (ვარდენისი-მარტაკერტი M11), რითაც სომხურ მხარეს შეუზღუდეს ზურგში მანევრირება და ლოჯისტიკური შესაძლებლობის გამოყენება. რაც შეეხება ცენტრალურ მიმართულებას, ძირითადად მეომარ მხარეებს შორის საარტილერიო დაპირისპირება მიმდინარეობდა, საბრძოლო მოქმედებებში სამანევრო ელემენტები არ ჩართულან. აზერბაიჯანულმა მხარემ აქცენტი გააკეთა ირანის საზღვრის გასწვრივ არსებულ ტერიტორიაზე, რომელითაც შესაძლებელი გახდა პლაცდარმს შექმნა ლაჩინის კოლიდორის მიმართულებით.

ამ პლაცდარმის შექმნის შემდეგ მოხდა ლაჩინის კორიდორზე იერიში და მალევე მოახდინეს ამ კოლიდორზე კონტროლის აღდგენა. საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა აზერბაიჯანული მხარის უპირატესობით. მათ „მომქანცველი დისტანციური ომითა“ და მაღალი სიზუსტის იარაღით შეძლეს თავდაცვაში მყოფი სომხური ძალების განეიტრალება. ჩვენი აზრით აზერბაიჯანმა საჰაერო სივრცის გაკონტროლებითა (მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატები) და საარტილერიო უპირატესობით შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქალაქი შუშა, მთიან ყარაბაღში, როგორც პირველ, ისე მეორე ომში გადაწმყვეტი იყო. ამის დასტურია ის, რომ 1992 წელს, აზერბაიჯანის მიერ შუშას დაკარგვა მისთვის ომის წაგების წინაპირობა გახდა. 2020 წელს კი ის მისი გამარჯვების გასაღებად იქცა. პირველი ომის შემდეგ, შუშა მიწასთან გაასწორეს. აზერბაიჯანელი მოსახლეობა კი იქიდან გაიქცა. ახლა ქალაქი, სომხებმა დატოვეს.

აღნიშნული სამომარი ოპერაცია, ანუ ყარაბაღის მეორე ომი 44 დღე გაგრძელდა. ამ კონფლიქტის მოგვაებაში ჩართული იყო სხვადასხვა მხარე, მათშორის ძალიან აქტიურობდა მინსკის ჯგუფი, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნეთ თავის დროზე ზუსტად ამ კონფლიქტის გამო შეიქმნა.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტა ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ჩარევით მოხდა, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაჭრელად შეიქმნა. ამ პრობლემის მოგვარებაში რუსეთის ფედერაციის აქტიურმა ჩარევამ და ამ გზით სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ დასავლეთის ქვეყნები თამაშგარე პოზიციაში დატოვა, ხოლო რუსეთს სამხრეთ კავკასიაში მოქმედების ასპარეზის გზა გაუხსნა.

ქართული მხარის პოზიცია

ცალკე გამოვყობთ ყარაბაღს მეორე ომის მიმდინარეობისას საქართველოს პოზიციას. როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ ამ ომში ჩართულნი იყვნენ მსხვილი გეოპოლიტიკური მოთამაშეები. მათ შორის სამხრეთ კავკასიის მეზობელი ქვეყნები. მათი პოზიციები და ჩართულობის ხარისხი აღნიშნულ სტატიაში უკვე განვიხილეთ. ახლა ყურადღებას საქართველოს პოზიციაზე გავამახვილებთ. აღსანიშნავია, რომ საქართველო ყარაბაღის კონფლიქტში ყოველთვის მედიატორის როლიში გამოდიოდა ხოლმე, რადგანაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოსათვის, რომელიც ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის, მიუღებელია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება, რისი ერთ-ერთი ხელსაყრელი მომენტიც ყარაბაღის კონფლიქტში ამ ქვეყნის ჩართულობაა. ყარაბაღის მეორე ომის დროსაც, როგორც წინა პერიოდში ქართული მხარე მოუწოდებდა მეომარ სომხურ და აზერბაიჯანულ მხარეებს მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ და დიალოგის გზით მოეგვარებინათ კონფლიქტი. 2020 წელს მთიან ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებმა ცხადად აჩვენა, რომ ჩვენს რეგიონში რუსეთს პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისათვის ხელსაყრელი ვითარება მიეცა. ეს საქართველოსათვის არასასურველი გარემოებაა. საბოლოო ჯამში ვითარება ისე წარიმართა, რომ ამ პრობლემის მოგვარება ძირითადად მაინც რუსეთის ფედერაციის აქტიურობით მოხდა. ამისდა მიუხედავად შეწყვეტილმა საომარმა ოპერაციებმა რეგიონში სიმშვიდე დაამყარა.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტები პოსტ საბჭოთა ქვეყნებისადმი უცხო არ იყო. ამ ხრივ მათ შორის სამხეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებიცაა. საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხავებით შიდა ტერიტორიული კონფლიქტები აქვს.

რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათ შორის ტერიტორიული კონფლიქტი საბჭოთა იმპერიის დაშლამდე დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ კონფლიქტის მოუგვარებლობა სხვადასხვა გარემოებებმა შეუწყო ხელი. ერთ-ერთი ამ გარემოებათაგანი რუსეთის ფაქტორია.

ამ ქვეყანას ჩვენს რეგიონში „გაყინული კონფლიქტის“ არსებობა ხელს აძლევს, რადგანაც მას ამით საშუალება ეძლევა ნებისმიერ დროს გააცოცხლოს გაყინული კონფლიქტი რათა სამხრეთ კავკასიაში შესუსტებული პოლიტიკური გავლენა გააზლიეროს. ამის კარგი მაგალითი ყარაბაღის მეორე ომია, რომელიც რუსეთმა კარგად გამოიყენა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთაძე გ. „ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები“, თბილისი, 7.11.2020წ;
- პიპინაშვილი დ. „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები“, თბილისი, გამომცემლობა თბილისის უნივერსიტეტი, 2009წ;
- საქართველოს თავდაცვის სამინიტრო , თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი, კონფლიქტები და ტექნოლოგიები, 2020 წ;
- Aleksandra Jarosiewicz and Maciej Falkowski, The four-day war in Nagorno-Karabakh, Centre for Eastern Studies (OSW), 06.04.2016;
- Gatopoulos, Alex, The Nagorno-Karabakh conflict is ushering in a new age of warfare, 11.10.2020.
- „ყარაბაღის ომი დასრულდა, კონფლიქტი - არა“ https://www.radiotavisupleba.ge 11.11.2020წ.
- მთიანი ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შედეგები საქართველოსთვის http://gip.ge 30.07.2021წ.
- The Bishkek Protocol, UN Peacemaker, 05.05.1994, https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/Bishkek%20Protocol.pdf;
- 7 Trends in international arms transfers 2013, Siemon T. Wezeman and Pieter D. Wezeman, SIPRI, 03.2014, https://www.sipri.org/sites/default/files/files/FS/SIPRIFS1403.pdf ;
- Слом статус КВО и международное измирение кризиса в Нагороном Карабаже, Доклад Международного дискуссионного клуба Валдай, https://ru.valdaiclub.com/files/36258/
- https://english.alarabiya.net/en/features/2020/09/30/Turkish-claims-of-PKK-fighters-in-Armenia-absolute-nonsense-Armen-Sarkissian
- https://en.president.az/articles/41714

თავდაცვის განხორციელება არარეგულარული მიდგომების გამოყენებით

პოლკოვნიკი რომან ჯანჯულია

აბსტრაქტი

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასთან დაკავშირებული უსაფრთხოების კონცეფციები. ეს დოკუმენტები არის სახელმწიფო ინსტიტუციების გაძლიერებისა და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მამოძრავებელი ძალა.

გასული წლების განმავლობაში რამოდენიმე დოკუმენტი იქნა შექმნილი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ტექსტის პირველ ნაწილში თემის ავტორი აღწერს ამ დოკუმენტების ურთიერთ დამოკიდებულებას ეროვნულ და უწყებრივ დონეზე. დოკუმენტის ანალიზის პროცესში, ავტორმა გამოავლინა გარკვეული საკითხები რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. გარდა ამისა, მწერალმა დაადგინა სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მნიშვნელობა უწყებრივ დონეზე (გენერალური შტაბი.) აღნიშნული დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს საბრძოლო მოქმედებების წარმოების სტრატეგიის განსაზღვრა ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე.

აღნიშნული კვლევა თავისი ხასიათით აკრიტიკებს მიმდინარე ხაზოვან აზროვნებას, როგორც გამოწვევას ქართველი სამხედრო დამგეგმარებლებისათვის. აქვე ავტორმა ასევე გამოავლინა ხაზოვანი აზროვნება, როგორც გამოწვევა სამხედრო სტრატეგიის შემუშავებისას. იგი სთავაზობს რეკომენდაციებს, რათა შემუშავდეს სტრატეგია, რომელიც იქნება დამყარებული ირიბ/არარეგულარულ მიდგომებზე. სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა გამოიყენოს ირიბი/არარეგულარული მიდგომები, რათა დაუპირისპირდეს რუსეთის ტაქტიკას. ასევე, შექმნას ისეთი ეფექტები, რომლებიც არ მისცემენ მოწინააღმდეგეს საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. ასეთი ჩარჩო გულისხმობს სტრატეგიის ადაპტირებას ისეთი სუსტი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ძლიერ მტერთან შებრძოლებისას. ამ მხრივ, „ომის წარმოება მოწინააღმდეგის გამოფიტვით“ (Exhaustion Warfare) არის სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი შესაფერისი ფორმა, რადგან ის ფოკუსირებულია მოწინააღმდეგის გამოფიტვაზე მისი რესურსების და საბრძოლო სულისკვეთების (will to fight) განადგურებით. არარეგულარული მიდგომა მოწინააღმდეგის გამოფიტვით უფრო ართულებს მოწინააღმდეგისათვის ომის წარმოებასა და მიზნების მიღწევას.

საკვანძო სიტყვები:
ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, სამხედრო სტრატეგია, თავდაცვითი ოპერაციები, არახაზოვანი მიდგომა

IMPLEMENTING DEFENSE USING IRREGULAR / NON-LINEAR APPROACH

COLONEL ROMAN JANJULIA

ABSTRACT

The paper reviews security concepts regarding strategies for Georgian national defense. During the past years, several documents were issued about Georgian national security. These documents are drivers for strengthening institutions and the national security of the country. The author describes co-relations beet documents on national and agency levels in the first section of the text. While analyzing the documents, the author identified some shortfalls that require further development. In addition, he recognized the importance of developing a military strategy document on an interagency level (General Staff Level) that defines an operational and tactical way of war which shapes force requirements and capability development to achieve the objectives of Georgian national defense.

The given research effort critiques conventional (regular/linear) thinking as a challenge to Georgian military planners. The author identified regular/linear thinking as a challenge in developing a military strategy. It offers recommendations for developing an appropriate military strategy based on an indirect approach. Within the strategy framework, GDF should adopt an "indirect/irregular" way of thinking to counter Russian tactics and create effects that deny Russia from achieving its military objects. Such a frame involves adapting a strategy relevant to a weaker country like Georgia when fighting a stronger enemy. In this regard, "Exhaustion Warfare" is the most suitable form of strategy, as it focuses on exhausting the enemy by destroying its resources and the will to fight while making war too costly to achieve.[1] This strategy supports the Georgian National Defense objectives by linking the means to ends while producing the desired outcome.

KEYWORDS:
National Defense Strategy, Military Strategy, Defensive Operations, Irregular Warfare

1 Nathan K. Finney and US Army Combined Arms Center, eds., On Strategy: A Primer (Fort Leavenworth, Kansas: Combat Studies Institute Press, US Army Combined Arms Center, 2020), 68.

საქართველო რიცხობრივი და ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას რუსეთის ინტერვენციის საწინააღმდეგო სტრატეგიის განსაზღვრისას. რუსეთთან ბრძოლა ტრადიციული მიდგომით, ნიშნავს Whac-A-Mole-ის რეაქტიულ რეჟიმში ყოფნას რაც მოიცავს მხოლოდ რექგირებით რეჟიმში ყოფნას და წარმოადგენს წამგებიან სტრატეგიას. აღნიშნული კვლევის ძალისხმევას წარმოადგენს სწორხაზოვანი აზროვნების გაკრიტიკება, რომელიც არ არის თანხვედრაში პოლიტიკურ მიზნებთან, გზებთან და საშუალებებთან. აქვე ავღნიშნავ რომ სწორხაზოვანი აზროვნება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა (კონცეფცია) და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის (თსმ) მხარდაჭერას. სწორხაზოვანი აზროვნების უკან დგას არსებული სამხედრო დოქტრინები, რომლებიც გადმოთარგმნილია აშშ არმიის და NATO დოქტრინებიდან. სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის ძალებმა (სთძ) უნდა გამოიყენოს „არარეგულარული" აზროვნება რუსულ ტაქტიკასთან დასაპირისპირებლად და შემაკავებელი ეფექტის შესაქმნელად. აქვე, ამ თემის ავტორი გთავაზობთ რეკომენდაციებს სტრატეგიის ფორმის ადაპტაციას ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ძლიერ მოწინააღმდეგესთან დაპირისპირების შემთხვევაში.

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკა

ქვეყნის პოლიტიკასა და მისი უსაფრთხოების საკითხებს განსაზღვრავს კონცეფცია.[1] აღნიშნული დოკუმენტი მიმოიხილავს უსაფრთხოების არსებულ გამოწვევებს, რისკებს და სახავს მიზნებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის (სთს) რათა უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფო პოლიტიკა თავდაცვის სფეროში, ქვეყნის თავდაცვის სისტემის განვითარებისათვის. ქვეყნის ძირითადი მიმართულების კონცეფციაში განსაზღვრის შემდეგ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ახდენს ამ დოკუმენტის მიერ ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეების შეფასების, ალბათობის და მათი განხორციელების შედეგების ანალიზს.[2] საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლის დოკუმენტი, სამხედრო საფრთხეებში ასახავს რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის მიერი გზებით, საქართველოში საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევას.[3] კონცეფციისა და საფრთხის შეფასების დოკუმენტის გათვალისწინებით დგინდება საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია (სესს.) აღნიშნული დოკუმენტი ეროვნულ დონეზე მიმოიხილავს ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს, ინტერესებს, უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს და განსაზღვრავს სთძ სამხედრო მიზნებს, ამოცანებს და პრიორიტეტებს. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში განისაზღვრა სამი ძირითადი მიზანი: 1) შეკავება და თავდაცვის უზრუნველყოფა; 2) რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა; 3) ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს.[4]

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (სთს) თავის მხრივ ამ მიზნების მისაღწევ გზებს უწყებრივ დონეზე ასახავს თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში (თსმ) რომელიც არის სახელმძღვანელო დოკუმენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბისათვის (გშ), რათა განავითარონ თავდაცვითი შესაძლებლობები, კონცეფციისა და სესს-ის მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. ასევე, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030" აყალიბებს გრძელვადიან გეგმებს სთძ-სა და შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებით თავდაცვის მისაღწევად.[5] შეკავება და თავდაცვის უზრუნველყოფა ფოკუსირებული საქართველოს ტერიტორიულ დაცვაზე. შეკავება აიძულებს მოწინააღმდეგეს, უარი თქვას შეიარაღებულ თავდასხმაზე, ვინაიდან მისთვის სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მიღწევა დაკავშირებული იქნება მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებთან.[6] ხოლო, შეკავების პოლიტიკის წარუმატებლობის შემთხვევაში სთძ დაიცავენ სახელმწიფოს „თავდაცვითი" ოპერაციების გამოყენებით. ნაშრომის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, თემის ავტორი მიმოიხილავს მხოლოდ ერთ სამხედრო მიზანს „შეკავება და თავდაცვის უზრუნველყოფა"-დან „თავდაცვის" ნაწილს.

1 "NSC-GEO.Pdf," 3.
2 "საფრთხეების შეფასების დოკუმენტი."
3 "„საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010–2013 წწ. დოკუმენტის" დამტკიცების თაობაზე."
4 Kvamladze, "ეროვნული სამხედრო სტრატეგია," 1.
5 "თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030."
6 Kvamladze, "ეროვნული სამხედრო სტრატეგია," 6.

თავდაცვის განხორციელება

დოქტრინული განმარტების თანახმად, თავდაცვა მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის შეტევის დამარცხებას და კონტრშეტევის განხორციელებას.[7] თავდაცვითი ოპერაციების სამი სახე არსებობს: მობილური თავდაცვა, რაიონული თავდაცვა და უკან დახევა. მობილური თავდაცვა კონცენტრირებულია მოწინააღმდეგის განადგურებაზე ან დამარცხებაზე საკუთარ პასუხისმგებლობის რაიონში იქამდე, სანამ შემტევი ძალები არ გადავლენ იერიშზე. რაიონული თავდაცვის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მოწინააღმდეგის ძალების განადგურება; ის ორიენტირებულია განსაზღვრული დროის მონაკვეთში, შეუშალოს ხელი მოწინააღმდეგეს ტერიტორიაზე შეღწევაში. ხოლო უკან დახევა გულისხმობს ჯარების ორგანიზებულ გადაადგილებას მოწინააღმდეგის შეხებიდან. სამივე თავდაცვის ფორმას ერთი ხასიათი აერთიანებს, სამივე ფოკუსირებულია ქვედანაყოფების მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებაში შესვლაზე და პოზიციური ბრძოლების წარმოებაზე. თავდაცვის ეს სახეები ასევე მოიცავს მოძრავ და უძრავ ელემენტებს რა დროსაც მნიშვნელოვანია ქვედანაყოფების მობილურობა და მათი ძალთა დაცვა. შეიარაღების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის აქტიური და პასიური დაცვა ამცირებს მოწინააღმდეგის ეფექტურობას.[8] მწირე რესურსებიდან გამომდინარე საქარელოსნაირ ქვეყანას გაუჭირდება რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან გამკლავება არსებული დოქტრინული მიდგომების გამოყენებით.

როგორ შეძლებს საქართველოს ნაირი მწირე რესურსების მქონე ქვეყანა ეომოს რუსეთს, მსგავსი ორგანიზებითა და ტაქტიკით? სთძ ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება მოძველებული საბჭოთა აღჭურვილობისა და შეიარაღების სისტემებისაგან, რომელიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ომის პირობებს.[9] ამის საპირისპიროდ, რუსეთის სამხედრო ძალებს აქვს დიდი ოპერატიული და ტაქტიკური უპირატესობა ხმელეთზე, ჰაერსა და ზღვაში. სადაზვერვო ინფორმაცია რუსეთს აძლევს უკეთეს სიტუაციურ ცნობიერებას სთძ-ის ქვედანაყოფების მდებარეობის, მისი გადაადგილებისა და ქვედანაყოფების ადგილსამყოფელის შესახებ. რუსეთი გამოიყენებს უპილოტო საფრენ აპარატებსა და სხვა საჰაერო საშუალებებს, სთძ ქვედანაყოფების აღმოსაჩენად. ხოლო ამის შემდეგ, საარტილერიო და საავიაციო ცეცხლის გამოყენებით მოახდენს ამ ქვედანაყოფების განადგურებას ან ბრძოლის უნარიანობის დაქვეითებას. რუსეთის ტაქტიკური ქმედებების შედეგები ნათლად გამოჩნდა მის უკრაინასთან საომარ მოქმედებებში.[10] რუსეთმა მოახდინა უპილოტო საფრენი აპარატების ინტეგრირება ელექტროინული ბრძოლის საშუალებებთან რათა აღმოეჩინა უკრაინული დანაყოფები რის შემდეგაც მან გამოიყენა ცეცხლი მათ გასანეიტრალებლად.[11] ცოტა ხნის წინ, სასომხეთ-აზერბაიჯანის ომმა ასევე გამოავლინა ნაკლოვანებები პოზიციური ომების წარმოებაში. აზერბაიჯანი ფლობდა დიდ უპირატესობას როგორც უპილოტო საფრენი აპარატების, ასევე საარტილერიო სისტემებში რამაც გამოიწვია სომხური ჯარის პოზიციებისა და შეჯგუფებული ქვედანაყოფებისა და ტექნიკისათვის დიდი ზიანის მიყენება რაც დასრულდა სასომხეთის საბოლოო მარცხით.[12]

სთძ დოქტრინების გამოყენების არაეფექტურობის ნათელი მაგალითია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. სთძ სწორხაზოვანმა მიდგომებმა რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების წინააღმდეგ გამოამჟღავნა სისუსტეები როგორც ოპერატიულ ასევე ტაქტიკურ დონეზე.[13] ომის დროს ამერიკის არმიის დოქტრინებზე აგებული ქართული ფორმირებები ხუთი დღის განმავლობაში ებრძოდნენ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს იქამდე, სანამ უკან არ დაიხიეს. რუსეთის საბრძოლო ძალის/შესაძლებლობების გამოყენების შედეგად სთძ დაუცველი იყო რუსული ავიაციისა და საარტილერიო დაბომბვებისაგან, დაცვის შესაძლებლობების არაეფექტურობის გამო. რუსეთის სამიზნედ იქცა სთძ შეჯგუფებული ქვედანაყოფები, საბრძოლო ტექნიკა და აღჭურვილობა რამაც გამოიწვია ასობით ადამიანის დაღუპვა და ათობით ტექნიკის განადგურება.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გატარდა რეფორმები, რათა გაეუმჯობესებინათ თავდაცვის უნარიანობა სამხედრო შესაძლებლობებისა და საბრძოლო მომზადებით. მოხდა ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებისა და ტანკსაწინააღმდეგო საშულებების შესყიდვა. დამატებით, ჩამოყალიბდა NATO-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC), რომელიც აფასებს ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნას და ამზადებს მათ ქვეყნის ტერიტორიული თავდაცვისათვის.

7 "დირექტივა კოლექტიური წვრთნებისა და სწავლებეის შესახებ.Pdf," 228.
8 "დირექტივა კოლექტიური წვრთნებისა და სწავლებეის შესახებ.Pdf," 108.
9 "Janes: Georgia - Army."
10 Axe, "The Ukrainian Army Learned The Hard Way—Don't Idle Your Tanks When The Russians Are Nearby."
11 Axe, "Russia's Jamming Force Could Isolate Ukrainian Troops—So Artillery Can Destroy Them."
12 "The Air and Missile War in Nagorno-Karabakh."
13 Cohen and Hamilton, The Russian Military and the Georgia War, 22.

მიუხედავად ბევრი დადებითი ცვლილებისა, არსებობს საკითხები რომლებიც საჭიროებენ ყურადღების მიქცევას. მაგალითად, ყოველდღიურობაში სთძ საბრძოლო მომზადება მოიცავს ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადებას არსებული დოქტრინის (ტრადიციული/ხაზოვანი) გამოყენებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ყველაზე ეფექტური სტრატეგია მკაცრად შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისათვის.

კითხვა დაისმის შემდეგნაირად: შესწევს თუ არა სთძ უნარი, დოქტრინული თავდაცვის განსახორციელებლად? აღნიშნული თავდაცვის განხორციელების გამოწვევა ის გახლავთ რომ ქვედანაყოფებს საკუთარი ძალთა სტრუქტურიდან და სამხედრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვერ შესწევთ უნარი განახორციელონ თავდაცვის ოპერაციების სახეები სრულყოფილად. სთძ ქვედანაყოფების JTEC ბრძოლის სიმულაციის (ერთობლივი კონფლიქტის და ტაქტიკური სიმულაცია (JCATS)) დროს, საბრძოლო მზადყოფნის შესაფასებლად გამოიყენებულ იქნა მიმდინარე დოქტრინა, არსებული რესურსები და შესაძლებლობები ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე. აღნიშნული სწავლების მიზანი გახლდათ ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა როგორც საკუთარი ასევე მოწინააღმდეგის ძალთა სტრუქტურაში და შესაძლებლობებში. სამხედრო მოდელირების შედეგებმა აჩვენა, რომ სთძ-ბი არსებული დოქტრინით, სტრუქტურით და შესაძლებლობებით შესწევს უნარი თავდაცვითი პოზიციების შენარჩუნებისა და შეზღუდული დროის განმავლობაში ბრძოლის წარმოება, რაც ვერ უზრუნველყოფს სთძ მიერ თავდაცვის განხორციელების მიზანს. სესს მხარდასაჭერად თავდაცვის ძალების გამოყენების კონცეფციის არ არსებობამ და სათანადო ძალის მზადყოფნის მიღწევის ტაქტიკურმა წარუმატებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ოპერატიული და ეროვნული სტრატეგიული მიზნების მიღწევას.[14]

დოქტრინა და სტრატეგიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სტრატეგიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ტაქტიკური და ოპერატიული ცოდნა.. [15]
Nathan K. Finney

როგორ შეიქმნა დოქტრინა და რა არის ხელისშემშლელი მის განსაახლებლად? სანამ სთძ მოარგებდა საკუთარ სისტემას ამერიკისა და NATO-ს სამხედრო საგანმანათლებლო სისტემებზე, ქართველი სამხედროები იყენებდნენ რუსულ დოქტრინებს საკუთარი ძალების მოსამზადებლად. 2004 წლის შემდეგ გახშირდა ამერიკის ჩართულობა საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში. ჩამოყვანილ იქნა მწვრთნელები როგორც ტაქტიკურ ასევე ინსტიტუციურ დონეზე, რათა დახმარება გაეწიათ საქართველოსთვის ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საკითხებში. განვითარების ერთ-ერთ მიზნად დაისახა შეიარაღებულ ძალებში რუსეთის დოქტრინებიდან ამერიკისა და NATO-ს დოქტრინებზე გადასვლა. აღნიშნული პროცესში ამერიკელი მრჩევლების ხელშეწყობით მოხდა ამერიკის არმიის დოქტრინების თარგმნა და მათი ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე გამოყენება. ამ რჩევების და კონსულტაციების შედეგად მოხდა ქართველი სამხედროების მიერ თავიანთი გეგმებისა და წვრთნების წარმართვა რამაც ასევე განაპირობა სამხედრო შესაძლებლობების განვითარება.

დოქტრინული ცვლილებების განხორციელებისა და სამხედრო სტრატეგიის შემუშავების გამოწვევა, საქართველოს თავდაცვის ძალებში არსებული რეგულარული/ხაზოვანი აზროვნებაა. ამ აზროვნების ჩამოყალიბების უკან დგას სამხედრო დოქტრინები რომელიც ერთი-ერთში თარგმნილია აშშ არმიის დოქტრინებიდან და არ არის მორგებული სთძ შესაძლებლობებს. მყარი სამხედრო სტრატეგიის და დოქტრინების ჩამოუყალიბებლობის კიდევ ერთი მიზეზია სთძ-ში არსებული გამოწვევების არასაკმარისი აკადემიური და კრიტიკული კვლევები. სამუშაოს უმეტესობა დამოკიდებულია უცხოელ მრჩევლებზე, უმეტესად კი აშშ არმიის წარმომადგენლებზე. როგორც მსოფლიოში ერთად ერთი უძლეველი სამხედრო ძალის მქონე ქვეყანა, აშშ ძირითად აქცენტს აკეთებს შეტევითი ომებზე. ასეთი შეხედულებების მქონე მრჩევლებისათვის რთულია გასცენ რჩევები სუსტის პერსპექტივიდან და დაეხმარონ სთძ შექმნან შესაფერისი სტრატეგია რომელიც ფოკუსირებულია "სუსტის ძლიერის წინააღმდეგ" ომზე. ამიტომაც, მრჩევლები ქართველ სამხედროებს აძლევენ რჩევებს საკუთარი გამოცდილებითა და შეხედულებით რომელიც ძალიან ხაზოვანი და დოქტრინულია. მრჩევლები ფიქრობენ რომ აშშ არმიის დოქტრინები და არმიის მოდელი შეიძლება იქნას გამოყენებული საქართველოში რა დროსაც ისინი უგულველყოფენ ქვეყნის შესაძლებლობებს,

14 "Theory of Strategy.Pdf," 23.
15 Finney and US Army Combined Arms Center, On Strategy, IV.

მოწინააღმდეგის ბუნებას და გარემოს.

აშშ-ს დოქტრინების დაკოპირების კიდევ ერთი გამოწვევა ის გახლავთ, რომ აშშ-ს დოქტრინა სრულიად დაფუძნებულია სისტემაზე, რომელსაც მხარს უჭერს ძლიერი ბიუჯეტი და მრავალი რესურსი, ხოლო სთძ-ის ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები ბევრად შეზღუდულია. საქართველოს მთავრობა თავდაცვისათვის გამოყოფს დაახლოებით 2% მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება პერსონალს, ინფრასტრუქტურასა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურეობაზე. სთძ ვერ გამოყოფს საკმარის რესურსებს მოდერნიზაციისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამებისათვის, არსებული თავდაცვის ხარჯებით.[16] საქართველომ უნდა მოახდინოს ადაპტირება განსხვავებულ დოქტრინებზე, რომელიც იაზრებს მის უთანაბრობას რუსეთთან მიმართებაში და ახდენს არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენებას.

არარეგულარული მიდგომის დანერგვა

მოქმედება უნდა ერგებოდეს გარემოებას. [17]
J.F.C Fuller

სთძ შეუძლია მოახდინოს კომპენსირება, რუსეთის შეიარაღებული ძალების უპირატესობის საბრძოლო ფუნქციებში, ხელოვნებისა და მეცნიერების არარეგულარულ სტრატეგიაში შერწყმით. თუ საქართველო არარეგულარულად აწარმოებს ომს, რუსეთის სამხედრო დამგეგმავებს გაუჭირდებათ თავიანთი ძალებისა და სამხედრო ეფექტების კონცენტრირება კონკრეტულ მიმართულებაზე.[18] უფრო მსხვილი ქვეყნები ომობენ რეგულარულ ომებს, ხოლო ომის არარეგულარულ მიდგომებთან დაპირისპირებისას მათ უჭირთ გამკლავება. მაგალითად, საბჭოთა შეტევამ ფინეთში 1939 წელს ვერ მიაღწია თავის მიზნებს ბევრად უფრო სუსტი ფინეთის არმიის წინააღმდეგ, რომელიც ყველანაირად ჩამორჩებოდა რუსეთის ძალას ტაქტიკის გარდა.[19] ფინეთის არმია არარეგულარულად იბრძოდა საბჭოთა ძალების წინააღმდეგ, რაც გამოწვევად იქცა რუსეთის ჯარისთვის და მათ ვერ შეძლეს საკუთარი საბრძოლო უპირატესობის გამოყენება არარეგულარული ფინეთის არმიის წინააღმდეგ.

ჩვენი ადრინდელი განხილვა ბადებს კითხვას, თუ რა, გარდა არარეგულარული მიდგომისა, უწყობს ხელს მოწინააღმდეგის დამარცხებას და ტერეტორიის შენარჩუნებას? ერთ-ერთი პასუხი ამ კითხვაზე არის: თავდაცვის განხორციელება მანევრული ომით. მანევრული ომი არ გულისხმობს ქვედანაყოფების მანევრის განხორციელებას, ის არის საბრძოლო ფილოსოფია, რომლის მიზანია დაამსხვრიოს „მოწინააღმდეგის ერთიანობა“ სხვადასხვა სწრაფი, ორიენტირებული და მოულოდნელი მოქმედებებით, რაც ქმნის გამოწვევებითა და სწრაფად გაუარესებულ ვითარებას, რომელსაც მოწინააღმდეგე ვერ უმკლავდება.[20] სამანევრო ომის არ გულისხმობს მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლიების გაჩაღებას, არამედ მოწინააღმდეგის გამოვფიტვას რათა გავხადოთ ის უძლური საკუთარი ძლიერი მხარეების გამოყენებაში. აღნიშნული ომი მოიცავს ცეცხლისა და პირადი შემადგენლობის კონცენტრირებას გადამწყვეტ წერტილებზე. თუ მანევრული ომის მიზანს მოწინააღმდეგის "ერთიანობის" დამსხვრევაა, მაშინ მთავარი მიზანია შეიქმნას გარემო, რომელშიც მოწინააღმდეგეს არ შესწევს მოქმედების უნარი.

ჩვენ უნდა შევისწავლოთ მოწინააღმდეგის სისტემის ფუნქციონირების მახასიათებლები, რათა შემდგომ შევძლოთ ამ სისტემაში შეღწევა, მისი მოშლა და შესაძლებლობის შემთხვევაში - იზოლირებული კომპონენტების განადგურება.[21] უნდა ვისწრაფვოდეთ, რომ მოვახდინოთ იმ კრიტიკული მოწყვლადი ასპექტებისა და გრავიტაციის ცენტრების იდენტიფიცირება, რომლის გარეშეც მოწინააღმდეგე ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებს და სწორედ მათ შევუტიოთ. მაგალითად, პერსონალი და სამხედრო ტექნიკა კონვენციურ ომებში წარმოადგენს მთავარ კომპონენტს. აღნიშნული კომპონენტის ფუნქციონირებისათვის და მაღალი ბრძოლის უნარიანობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია მისი უწყვეტი მომარაგება და მომსახურება. შესაბამისად, სთძ-ის ერთ-ერთ ამოცანას ზუსტადაც რომ რუსეთის ჯარების უწყვეტი ლოგისტიკური უზრუნველყოფის მოშლა უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულ სტრატეგია მოიცავს მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის და აღჭურვილობის ფიზიკური განადგურებით, მოწინააღმდეგის ქვედანაყოფების

16 "Janes: Georgia - Army."
17 "Foundationsof-Science-of-War.Pdf," 254.
18 Mikael and Geir, "Irregular Warfare as a National Military Strategy Approach for Small States," 31.
19 Mikael and Geir, 31.
20 "MCDP 1 Warfighting GN Maneuver Warfare.Pdf," 77.
21 "MCDP 1 Warfighting GN Maneuver Warfare.Pdf," 81.

იზოლირებას, მის ფსიქოლოგიურ დამარცხებასა და ომის გაგრძელების სურვილის დაკარგვას. აღნიშნული მიდგომა განაპირობებს მოწინააღმდეგისათვის ისეთი პირობების შექმნას, როდესაც მას პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მიღწევად დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდება. თანმიმდევრული რისკების შეფასება ნათლად ასახავს იმ გამოწვევებს რის წინაშეც დადგება რუსეთი შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში (იხილეთ: დანართი A.)

''მანევრული ომის წარმოება მოწინააღმდეგის გამოსაფიტად მხარს უჭერს სთძ „შეკავება და თავდაცვა"-ის მიზანს. იგი ფოკუსირებულია მოწინააღმდეგის დაქანცვაზე, მისი რესურსების და ბრძოლის ნებისყოფის განადგურებით.[22] აღნიშნული მიდგომა მოითხოვს მუდმივ გადაადგილებას, რათა მოწინააღმდეგე გყავდეს მუდმივივად დაბნეულ და მადევარის მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში მოწინააღმდეგის ყოფნა აწესებს შეზღუდვებს მისი ძლიერი მხარეების (საბრძოლო ფუნქციების) ეფექტურ გამოყენებაზე. ვინაიდან არ იქნება სტატიკური თავდაცვითი პოზიციები და სთძ იქნებიან გაფანტულები საკუთარი ოპერაციების რაიონებში (დანართი: B). მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს აღმოჩენას და ცეცხლის მასირებას რაც გამოიწვევს მისი დაზვერვის და ცეცხლის საბრძოლო ფუნქციის შესუსტებას. სთძ სამომავალო ძალთა სტრუქტურა ვერ პასუხობს აღნიშნული ტაქტიკის გამოყენებას და საჭიროებს მცირედ ცვლილებებს (დანართი: C).

დაბნეულობის კიდევ ურო მეტად შესაქმნელად, სამანევრო ომის გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანია კომპლექსური ადაპტაციური სისტემის (Complex Adaptive Systems) მიღება.[23] ომში კომპლექსურობის ჩამოყალიბების მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგისათვის მეტად გამომწვევი და არაპროგნოზირებადი გარემოს შექმნაა საკუთარი ძალების სასარგებლოდ. კომპლექსურობა გაართულებს მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღებას და მოქმედებებს. ეს კი გახდება ხელსაყრელი პირობა საკუთარი ძალებისათვის თავდაცვითი ოპერაციების ეფექტურად განხორციელებისათვის. ამიტომაც, მოწინააღმდეგის საბრძოლო უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის უნარის მოშლა შეიტანს კომპლექსურობას და გამოწვევებს. აღნიშნული მდგომარეობა გამოიწვევს პანიკას და ქვედანაყოფების პარალიზებას რაც მანევრული ომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. აქვე ავღნიშნავ რომ, მანევრული ომის განხორციელება მოითხოვს ადამიანური რესურსის გარკვეულ უნარებსა და თვისებებს.[24] ის მოითხოვს მოქნილობას, ინიციატივას, კრიტიკულ აზროვნებას და სურვილს რათა იმოქმედოს დამოუკიდებლად. ამოცანით მართვის დანერგვა სთძ-ში ზუსტადაც ის მართებული ინიციატივაა, რომელიც მხარს დაუჭერს საჭირო უნარების განვითარებას სამეთაურო რგოლში.

აღსანიშნავია, რომ თსმ რისკებში გამოავლინა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საფრთხეები.[25] აღნიშნული საფრთხე თავად ქმნის კომპლექსურ გარემოს სთძ ქვედანაყოფებისათვის. რუსული პროპაგანდა მანიპულირებს ნარატივებს და აყალიბებს საინფორმაციო გარემოს თავის სასარგებლოდ, რა დროსაც ქმნის ალტერნატიულ რეალობას, რომლის დანახებაც სურს მოწინააღმდეგისათვის.[26] თუ დამგეგმავი პერსონალი იყურება რუსულ ქმედებებში სწორხაზოვნად და არ უყურებს სხვადასხვა ლინზებიდან, ამან შეიძლება შექმნას გადაწყვეტილების მიმღებთა ოპერატიული გარემოს მცდარი შეფასება. ამ დროისთვის არ არის განსაზღვრული რუსულ პროპაგანდა-დეზინფორმაციის საფრთხესთან ბრძოლის სტრატეგია. სთს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტამენტს უნდა დაევალოს აღნიშნულ საფრთხესთან ბრძოლის სტრატეგიის განსაზღვრა (იხილეთ: დანართი D).

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა თუ რა სახის სტრატეგიაა საჭირო თავდაცვითი ოპერაციების განსახორციელებლად. ნაშრომი თავად გასცემს პასუხს ჩვენს მიერვე შესავალში დასმულ კითხვებს: რა სახის სტრატეგიისა და დოქტრინების ადაპტირებაა საჭირო სთძ მიერ თავდაცვის განსახორციელებლად? ამ საკვლევი კითხვის პასუხად კი ვიტყვით რომ უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მოიძებნოს ახალი, ინოვაციური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც მხარს დაუჭერენ როგორც თავდაცვითი ოპერაციეების განხორციელებას, ასევე შეკავების მიზანს. თავდაცვის პოლიტიკის მხარდასაჭერად და თსმ მიზნის მისაღწევად სთძ გენერალურმა შტაბმა უნდა განსაზღვროს საქართველოს თავდაცვის ძალების (სთძ) წინაშე დასმული მიზნების და ამოცანების მიღწევის გზები თავის კონცეფციაში. აღნიშნული თავდაცვის განხორციელების კონცეფცია უნდა მოიცავდეს თავდაცვის ძალების გამოყენების

22 Nathan K. Finney and US Army Combined Arms Center, eds., On Strategy: A Primer (Fort Leavenworth, Kansas: Combat Studies Institute Press, US Army Combined Arms Center, 2020), 68.

23 Lingel et al., Leveraging Complexity in Great-Power Competition and Warfare. Volume I, Volume I, 6.

24 "MCDP 1 Warfighting GN Maneuver Warfare.Pdf," 80.

25 "თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.Pdf," 10.

26 Finney and U.S. Army Combined Arms Center, On Strategy, 73.

სტრატეგიას „თავდაცვით“ ოპერაციებში.

ამისათვის საჭიროა მოხდეს რუსეთის საომარი სტრატეგიისა და ტაქტიკის შესწავლა. სთძ უნდა შეაფასოს ვითარება, გაანალიზოს და შეისწავლოს მოწინააღმდეგის მოქმედებები, საკუთარი ქვედანაყოფების შესაძლებლობები და მოარგოს დოქტრინა, ტაქტიკა და პროცედურები შესაბამისად. კრიტიკული დისკუსიები ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზევით მნიშვნელოვანია დოქტრინული ცვლილებების განსახორციელებლად. საზღვაო ქვეითების მიერ დოქტრინული ცვლილებების განხორციელება იყო მტკივნეული პროცესი, რამაც გამოიწვია ახალი დოქტრინის მიღება.[27] JTEC-ში არსებული საბრძოლო მომზადების ცენტრი (CTC) უნდა გახდეს ლაბორატორია, სადაც ჩატარდება წვრთნები ძალა-ძალაზე არარეგულარული მიდგომების გამოყენებით. აღნიშნული სწავლებების შემდგომი მიმოხილვა და დაგროვებული გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია დოქტრინული, სტრუქტურული, და სამხედრო შესაძლებლობების ცვლილებებისათვის.

დანართი A

რუსეთის მიერ ინტერვენციის, თანმიმდევრული რისკების შეფასება

თანმიმდევრული რისკების შეფასების პროცედურა (Iterative Risk Assessment) გამოყენებულ იქნა სტრატეგიის ეფექტიანობის და საქართველოში რუსეთის შემოჭრის მომგებიანობის შესაფასებლად.[28] შეფასებამ აჩვენა, რომ თუ სთძ გამოიყენებენ ინოვატორულ, არარეგულარულ მიდგომებს, რუსეთი იძულებული გახდება უარი თქვას საქართველოში ძალისმიერი მეთოდებით შემოჭრაზე.

თანმიმდევრული შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის ოპერაციები (საჭიროებს რესურსებს)			
დაღუპული და დაშავებული პირადი შემადგენლობა			
დაზიანებული და განადგურებული აღჭურვილობა			
შელახული რეპუტაცია			
გავლენის შემცირება			
შეწინააღმგდეგების მაგალითის მიცემა სხვა მოსაზღვრე რესპუბლიკებს			
ეკონომიკის შესუსტება			
შიდა საზოგადოების უარყოფითი რეაქცია			
საწქციები საერთაშორისო საზოგადოების მიერ			

სურათი 1: რუსეთის საქართველოში შემოჭრის თანმიმდევრული რისკის შეფასება

27 “Marine Corps Maneuver Warfare.”
28 “NWC Primer 2020 Final.Pdf,” 43.

რუსეთს დასავლეთთან საკუთარი იმიჯის აღდგენა სურს,[29] საქართველოს წინააღმდეგ ძალადობრივი მოქმედებები ზიანს მიაყენებს მას. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს მისი აგრესიის გამო შეიძლება მოჰყვეს მძიმე ფინანსური კრიზისი, რომელიც გავლენას მოახდენს თავისივე საზოგადოებაზე და გამოიწვევს კრემლის ხელმძღვანელობის პრესტიჟის შემცირებას. რაც უფრო დიდია ომის მაშტაბები, მით უფრო ძვირია მისი შენახვა ეკონომიკურად.[30] არარეგულარული მიდგომების გამოყენება გამოიწვევს საომარი მოქმედებების დროში გახანგრძლივებას, რაც უზარმაზარ გავლენას მოახდენს რუსეთის ეკონომიკაზე. კონფლიქტის შემთხვევაში ძლიერი სთძ სათანადო სამხედრო შესაძლებლობებით გამოიწვევს დიდი მსხვერპლს. ამრიგად, კონფლიქტი რუსეთის შიდა საზოგადოების კრიტიკის საგანი გახდება. ასევე, მზარდი მსხვერპლი მოიტანს რუსეთის რეჟიმის მხარდაჭერის შემცირებას, რა დროსაც საშინაო და დიპლომატიური კრიტიკა აიძულებს რუსეთს გაიყვანოს საკუთარი ჯარები საქართელოდან. მაგალითად, რუსეთის მთავრობაზე ზეწოლა საზოგადოების მხრიდან მსხვერპლის გამო, რათა შეეჩერებულიყო რუსეთის საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში, იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთის მაშინდელმა მთავრობამ თავისი ჯარები ჩეჩნეთიდან 1996 წელს გაიყვანა.[31] თუ რუსეთი მიმართავს უფრო კოლექტიური დასჯის მიდგომას, ამან შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობის ქართული საზოგადოების მხრიდან.[32] თუ მოსკოვი შეეცდება გამოიყენოს შეზღუდული ძალა და შეეცდება გამოიყენოს "გული და გონების მოგება"-ის მიდგომა მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ეს მას არ მოუტანს სასურველ ეფექტს. ვინაიდან "გული და გონების მოგება"-ის მიდგომა ითვალისწინებს ქართული საზოგადოების მიკერძოებლობას რუსული ნერატივის მიმართ, რაც კრემლისათვის რთული იქნება არსებული ვითარების პირობებში. სამთავრობო ძალისხმევის შედეგად ქართული საზოგადოება აცნობიერებს რუსეთის საფრთხეს და აღიქვავს მას როგორც აგრესორს. ამრიგად, რბილი ან ძალისმიერი მეთოდების გამოყენება კრემლს არ მოუტანს სარგებლობას. შესაბამისად, არარეგულარული მიდგომის გამოყენება სთძ-ის მიერ გამოიწვევს "შეკავება და თავდაცვა"-ის მიზნის მიღწევას. თუმცა, თანმიმდევრული რისკების შეფასება მოითხოვს უფრო ღრმა გამოკვლევას ომის მოდელირების პროცესის მეშვეობით.

დანართი B

ბრძოლის სტრატეგია

დავუშვათ, სთძ ქვედანაყოფები გაიშალნენ თავიანთ ოპერაციების რაიონში. სთძ ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები ასეთ შემთხვევაში იქნება ძირითადი შესაძლებლობა რაც საფრთხეს შეუქმნის რუსულ ტექნიკას და საფრენი აპარატების გადაადგილებას.[33] ქართული არარეგულარულარული ბრძოლებისათვის მომზადებული ქვედანაყოფები სამიზნედ აიყვანენ ლოგისტიკურ კონვოებს რა დროსაც მიაყენებენ მნიშვნელოვან ზიანს რუსეთის მხარდაჭერის ოპერაციების განხორციელებას. ამით, სთძ-ს შეუძლია დააფიქროს რუსეთი იმ ზარალზე რომელიც მას ექნება შემოჭრის დროს. არარეგულარული ომის სირთულისა და ხანგრძლიობის გამო მნიშვნელოვანია მოხდეს არსებითი რესურსების ეფექტურად დაგეგმვა. დელბრიუკმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ძალების ადეკვატურად მომზადება გამოფიტვის ტიპის ოპერაციებისათვის, რადგან მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გამოიფიტება პირველი.[34] ამიტომაც მნიშვნელოვანია მომზადდეს (განისაზღვროს) წინასწარ გათვლილი ადგილები სადაც მოხდება ბრძოლის წარმოებისათვის საჭირო რესურსების დასაწყობება.

გშ-მა უნდა შექმნას თავდაცვის განხორციელების, ჯარების გამოყენების სამხედრო კონცეფცია რომელიც დაეფუძვნება მანევრულ ომს გამოფიტვის მიდგომებით. სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია კრიტიკულად მოაზროვნე და სტრატეგიული მრჩევლების ჩართულობა აღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბებისას. მათ შეუძლიათ შეხედონ გარემოს ქართული პერსპექტივიდან და დაეხმარონ სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელებს განვითარებაში არარეგულარული მიდგომების მიმართულებით. სთძ-მა უნდა შეუსაბამონ ქართული დოქტრიანა არარეგულარული ბრძოლის წარმოებას და შეცვალონ ტაქტიკა, ტექნიკა და პროცედურები, და დააკავშირონ ისინი სტრატეგიულ სამხედრო მიზნების შესრულებასთან. JTEC-ის საბრძოლო მომზადების ცენტრმა უნდა მოამზადოს სთძ-ის ქვედანაყოფები და მათი მეთაურები რთულ, ბრძოლასთან მიახლოებულ გარემოში სადაც ისინი შეძლებენ არარეგულარული მიდგომების გატესტვას. სამხედრო

29 Isabelle, "Russia's National Security Strategy and Military Doctrine and Their Implications for the EU," 10.
30 "The Effect of War on Economic Growth."
31 Gerber and Mendelson, "Casualty Sensitivity in a Post-Soviet Context," 44.
32 Ucko, "'The People Are Revolting,'" 32.
33 "United States-Georgia Charter on Strategic Partnership."
34 Finney and US Army Combined Arms Center, 68.

წვრთნების ჩატარება არარეგულარული მიდგომების გამოყენებით უნდა გაშუქდეს მედია საშუალებებით რაც დააფიქრებს რუსეთს საკუთარ შესაძლებლობებში და მხარს დაუჭერს შეკავების პოლიტიკას.[35]

დანართი C

ქვედანაყოფების მობილურობის საშუალება

სთძ არსებულ და სამომავლო ძალთა სტრუქტურაში ძირითადი საბრძოლო ქვედანაყოფები არიან მსუბუქი ქვეითი. მათ მობილურ საშუალებას წარმოადგენს მაღალი გამავლობის სატვირთო ტექნიკა, რომელიც მისი მოწყვლადობის გამო (საჰაერო, საარტილერიო და სხვა სა ცეცხლე საშუალებები) ვერ უზრუნველყოფს ძალთა დაცვას. სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების შემთხვევაში საკუთარი ქვედანაყოფები არიან მაღალი რისკის ქვეშ. ძალების დაუცველობის შემთხვევაში, რიცხობრივად ჭარბმა დანაკარგებმა ცოცხალ ძალაში შესაძლებელია გამოიწვიოს ომის სურვილის დაკარგვა და ამოცანის წარუმატებლობა.

ასევე, ოპერაციების განხორციელებისას ხშირად იცვლება ვითარება რა დროსაც მნიშვნელოვანია ქვედანაყოფების გადაჯგუფება უფრო ხელსაყრელ პოზიციაზე. ასევე, შესაძლებლობის გაჩენისას ქვედანაყოფს უნდა შეეძლოს სწრაფი მანევრის განხორციელება რათა მიიტანოს იერიში მოწინააღმდეგის შესუსტებულ ფლანგებზე. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია შეჯავშნული სატრანსპორტო (ბორბლიანი) საშუალების ყოლა, რომელიც შემატებს მსუბუქ ქვეით ქვედანაყოფებს მობილურობას.

ვინაიდან არსებული ძალთა სტრუქტურა მოიცავს მხოლოდ მსუბუქ ქვეით ქვედანაყოფებს, რომლებსაც შეზღუდული აქვთ მობილურობის საშუალება. არსებული მიდგომა მოითხოვს ქვედანაყოფების მოტორიზირებული (დაჯავშნული) ტექნიკით უზრუნველყოფას. მსუბუქ ქვეით ბატალიონებს უნდა დაემატოს მინიმუმ ასეულის ზომის მოტორიზირებული ქვედანაყოფი. აღნიშნულის ამოცანად განისაზღვრება სწრაფი რეაგირება და რეზერვის როლს.

დანართი D

რუსეთის დეზინფორმაცია/პროპაგანდასთან ბრძოლა

თსმ #6.9 თავში ამახვილებს ყურადღებას სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობაზე, რომელიც სთს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს. თსმ-ის რისკებში გამოავლინა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საფრთხეები,[36] ხოლო აღნიშნული საფრთხეზე რეაგირება არ არის განსაზღვრული. სამინისტროს სისტემაში არსებული "სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი" სტრუქტურული ქვედანაყოფია რომელიც პასუხისმგებელია საინფორმაციო ოპერაციებზე. სთს დებულება (საქართველოს მთავრობის დაგენილება №580) არეგულერებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესს. დებულება ავალდებულებს სამინისტროს საინფორმაციო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას. თუმცაღა, მისი ფუნქციონალური მოვალეობიდან გამომდინარე მას არ აქვს დავალებული[37] პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლა რომელიც მოხსენებულია სთმ-ის ერთ-ერთ ძირითად ძალისხმევად.[38]

როგორ უნდა დავიცვათ თავი პროპაგანდა / დეზინფორმაციისაგან? - სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს თავის საქმიანობაში, დებულებით უნდა დაემატოს დეზინფორმაცია და პროპაგანდასთან ბრძოლა. დეპარტამენტში საჭიროა შეიქმნას სამსახური რომელიც იმუშავებს მხოლოდ ამ მიმართულებით. ვინაიდან აღნიშნული სამსახურის არარსებობა მისცემს რუსეთის ფედერაციას შესაძლებლობას მოიპოვოს უპირატესობა და მოახდინოს ზეგავლენა მოსახლეობის შეხედულებებზე. დღეის დღეობის პროპაგანდა და დეზინფორმაციის გამოვლენის კარგი პრაქტიკა აქვს დაგროვებული არასამტავრობო ორგანიზაციებს. მაგალითად მითების დეტექტორი, არის ორგანიზაცია რომელიც გამოავლენს ინფორმაციას რომელიც შეიცავს პროპაგანდა, დეზინფორმაციას.

35 Finney and US Army Combined Arms Center, 12.

36 "თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.Pdf," 10.

37 "„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბტის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

38 "თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.Pdf," 40.

გამოყენებული ლიტერატურა

- Axe, David. “Russia’s Jamming Force Could Isolate Ukrainian Troops—So Artillery Can Destroy Them.” Forbes. Accessed December 16, 2021. https://www.forbes.com/sites/davidaxe/2021/11/23/russias-jamming-force-could-isolate-ukrainian-troops-so-artillery-can-destroy-them/.
- ———. “The Ukrainian Army Learned The Hard Way—Don’t Idle Your Tanks When The Russians Are Nearby.” Forbes. Accessed December 16, 2021. https://www.forbes.com/sites/davidaxe/2020/08/05/the-ukrainian-army-learned-the-hard-way-dont-idle-your-tanks-when-the-russians-are-nearby/.
- Cohen, Ariel, and Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications. Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, 2011.
- Finney, Nathan K., and U.S. Army Combined Arms Center, eds. On Strategy: A Primer. Fort Leavenworth, Kansas: Combat Studies Institute Press, US Army Combined Arms Center, 2020.
- “Foundations of-Science-of-War.Pdf,” n.d.
- Gerber, Theodore P., and Sarah E. Mendelson. “Casualty Sensitivity in a Post-Soviet Context: Russian Views of the Second Chechen War, 2001-2004.” Political Science Quarterly 123, no. 1 (March 2008): 39–68. https://doi.org/10.1002/j.1538-165X.2008.tb00616.x.
- Isabelle, FACON. “Russia’s National Security Strategy and Military Doctrine and Their Implications for the EU,” n.d., 29.
- “Janes: Georgia - Army.” Accessed January 27, 2021. https://customer-janes-com.nduezproxy.idm.oclc.org/Janes/Display/JWARA158-JWAR.
- Kvamladze, Tato. “ეროვნული სამხედრო სტრატეგია,” n.d., 17.
- Lingel, Sherrill Lee, Matthew Sargent, Timothy R Gulden, Tim McDonald, Parousia Rockstroh, Project Air Force (U.S.), Force Modernization and Employment Program, Rand Corporation, United States, and Department of the Air Force. Leveraging Complexity in Great-Power Competition and Warfare. Volume I, Volume I, 2021.
- MCA. “Marine Corps Maneuver Warfare.” Accessed December 16, 2021. https://mca-marines.org/blog/gazette/marine-corps-maneuver-warfare/.
- “MCDP 1 Warfighting GN Maneuver Warfare.Pdf,” n.d.
- Mikael, Minberger S, and Svendsen O Geir. “Irregular Warfare as a National Military Strategy Approach for the Small States,” n.d., 154.
- “NSC-GEO.Pdf,” n.d.
- “NWC Primer 2020 Final.Pdf,” n.d.
- “The Air and Missile War in Nagorno-Karabakh: Lessons for the Future of Strike and Defense.” Accessed December 16, 2021. https://www.csis.org/analysis/air-and-missile-war-nagorno-karabakh-lessons-future-strike-and-defense.
- Cato Institute. “The Effect of War on Economic Growth,” February 5, 2020. https://www.cato.org/cato-journal/winter-2020/effect-war-economic-growth.
- “Theory of Strategy.Pdf,” n.d.
- Ucko, David H. “‘The People Are Revolting’: An Anatomy of Authoritarian Counterinsurgency.” Journal of Strategic Studies 39, no. 1 (January 2, 2016): 29–61. https://doi.org/10.1080/01402390.2015.1094390.
- Middle East Institute. “United States-Georgia Charter on Strategic Partnership: Defense and Security.” Accessed February 25, 2021. https://www.mei.edu/publications/united-states-georgia-charter-strategic-partnership-defense-and-security.
- “დირექტივა კოლექტიური წვრთნებისა და სწავლებეის შესახებ.Pdf,” n.d.
- “თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030,” n.d.
- “თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.Pdf,” n.d.
- “საფრთხეების შეფასების დოკუმენტი.” Accessed December 6, 2021. https://nsc.gov.ge/ka/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.
- სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. “„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 23 სექტემბტის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.” Accessed December 8, 2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3633042.
- სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. “„საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010–2013 წწ. დოკუმენტის“ დამტკიცების თაობაზე.” Accessed December 6, 2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032959.

შენიშვნები
NOTES

შენიშვნები
NOTES

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-4174-3